ISSN 1987-5789

# ეკონომიკა და ბიზნესი

# ECONOMICS AND BUSINESS

# ЭКОНОМИКА И БИЗНЕС

# 1

ტომი ✧ Volume ✧ Том
IX
№1, 2016

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და
რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Practical Journal
of the Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Реферируемый и рецензируемый международный научно-практический журнал
факультета экономики и бизнеса Тбилисского государственного университета
им. Иванэ Джавахишвили

გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2015 წლიდან – კვარტალში ერთხელ

Published since January 2008 once in two months,
Since 2015- Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ.,
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.
e-mail: ebf.journal@tsu.ge
lia_lugela@mail.ru

## სარედაქციო კოლეგია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: რამაზ აბესაძე, იური ანანიაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, **რევაზ გოგოხია** *(მთავარი რედაქტორი),* **თამაზ ზუბიაშვილი** *(პასუხისმგებელი მდივანი),* ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, ქეთევან მარშავა, მურთაზ მაღრაძე, იაკობ მესხია, ელგუჯა მექვაბიშვილი, დავით ნარმანია, ვლადიმერ პაპავა *(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი),* ავთანდილ სილაგაძე *(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი),* დემურ სიჭინავა, მირიან ტუხაშვილი, გიორგი ღაღანიძე, თეიმურაზ შენგელია, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ეთერ ხარაიშვილი.

## EDITORIAL BOARD

Doctors of Economic Sciences, Professors: Ramaz Abesadze, Iuri Ananiashvili, Teimuraz Beridze, George Ghaghanidze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, **Revaz Gogokhia** *(Editor-in-Chief),* **Tamaz Zubiashvili** *(Executive Secretary),* Nugzar Todua, Irakli Kovzanadze, Ketevan Marshava, Murtaz Maghradze, Iakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Davit Narmania, Vladimer Papava *(Academician of the National Academy of Sciences of Georgia),* Avtandil Silagadze *(Academician of the National Academy of Sciences of Georgia),* Demur Sichinava, Mirian Tukhashvili, Temur Shengelia, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Eter Kharaishvili.

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Доктора экономических наук, профессора: Рамаз Абесадзе, Юрий Ананиашвили, Теймураз Беридзе, Георгий Гаганидзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, **Реваз Гогохия** *(главный редактор),* **Тамаз Зубиашвили** *(ответственный секретарь),* Нугзар Тодуа, Ираклий Ковзанадзе, Муртаз Маградзе, Кетеван Маршава, Элгуджа Мек-вабишвили, Якоб Месхия, Давид Нармания, Владимер Папава *(Академик Национальной Академии Наук Грузии),* Автандил Силагадзе *(Академик Национальной Академии Наук Грузии),* Демур Сичинава, Мириан Тухашвили, Темур Шенгелия, Нодар Хадури, Элене Харабадзе, Этер Хараишвили.

## სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

ვოლფგანგ ვენგი – *ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი;* ოლეგ კარასევი – *ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;* გრაჟინა კარმოვსკა - *დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ფინანსებისა და სისტემური ანალიზის კათედრა, პროფესორი (ქ. შჩეცინი, პოლონეთი);* იან მიხალეკი – *ვარშავის უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკ-ის დეკანი, ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;* დიმიტრი სოროკინი – *რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;* ვიტალი ტამბოვცევი - *ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივრსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ინსტიტუციური ანალიზის ლაბორატორიის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი;*
ტომას ჰალდმა – *ტარტუს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.*

## FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

Wolfgang Weng – *Berlin University, Professor;* Oleg Karasev – *Lomonosov Moscow State University, Chair of the Department of Statistics, Doctor of Economic Sciences, Professor;* Grazyna Karmowska, *Faculty of Economics, West Pomerania University of Technology in Szczecin, Professor (Poland);* Jan Mikhalek – *University of Warsaw, Dean of the Faculty of Economic sciences, Doctor of Economic Sciences, Professor;* Dmitry Sorokin – *Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Doctor of Economic Sciences, Professor;* Vitaly Tambovtsev *- head of the Laboratory for Institutional Analysis of Economic Faculty of Lomonosow Moscow State University, Doctor of Economic Sciences, Professor;* Toomas Haldma – *Tartu University, Dean of the Faculty of Economics and Business Administration, Professor.*

## ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ

Вольфганг Венг – *профессор Берлинского Университета;* Олег Карасев – *зав. кафедрой статистики Московского Государственного Университета им. Ломоносова, д.э.н., профессор;* Гражина Кармовска, *д. э. н., Экономический фак. Технологического Университета Западного Померания, Шчецин (Польша);* Ян Михалек – *декан факультета экономических наук Варшавского Университета, д.э.н., профессор;* Дмитрий Сорокин – *член корреспондент Российской Академии Наук, д.э.н. профессор;* Виталий Тамбовцев –*Заведующий Лабораторией институционального анализа Экономического факультета Московского Государственного Университета им. Ломоносова, д. э. н., профессор;*Томас Халдма – *декан факультета экономики и администрирования бизнесса университета Тарту, профессор.*

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

*ნუგზარ პაიჭაძე.* უმუშევრობის პრობლემა საქართველოში და მისი დაძლევის გზები ....................................................................................................................9
*ბადრი რამიშვილი.* დემოგრაფიული ტრენდი - თანამედროვე გლობალური გეოსტრატეგიული ლანდშაფტის უმნიშვნელოვანესი მდგენელი და მისი გავლენა საქართველოზე .......................................................................................................28
*სულხან ტაბაღუა.* მთავრობის მასშტაბის (ზომის) გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე ..........................................................................................45

## მიკროეკონომიკა ✧ მაკროეკონომიკა ✧ ეკონომეტრიკა

*გიორგი მიქელაძე.* საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიების ეკონომეტრიკული ანალიზი (ჩინეთის მაგალითზე) 62
*ზვიად ზედგინიძე.* მაკროპრუდენციული პოლიტიკა პოსტკრიზისულ პერიოდში ........................................................................................................72

## მენეჯმენტი ✧ მარკეტინგი ✧ ტურიზმი

*ნაირა ღვედაშვილი.* შრომითი პროცესების მართვის ძირითადი მიმართულებები ..............................................................................................81
*ქრისტინა ჯღანჯღავა.* ელექტრონული კომერცია: არსი, მნიშვნელობა და მასზე ზემოქმედი ფაქტორები ..............................................................................94

## ფინანსური ეკონომიკა

*ლამარა ქოქიაური, ნინო ქოქიაური.* ვენჩერული და ბიზნეს-ანგელური ინვესტირება ბიზნესის დაფინანსების ციკლში (ინგლისურ ენაზე) ..........................101
*ციური ოქრუაშვილი, ქეთევან ღუდუშაური.* კონტროლის მექანიზმი ფინანსების ფუნქციათა სისტემაში და მისი განხორციელების წინაპირობები ..........................115

## გამოკვლევის შედეგები

*ნინო ფარესაშვილი.* ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2015 წელს შესრულებული მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოების შედეგების შესახებ ..............................................................................................................126

## მეშვიდე ფორმაცია

ინტერვიუ პროფესორ გიორგი ცაგოლოვთან ..................................................151

## საიუბილეო სხდომა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა პროფესორ ნიკოლოზ იაშვილის დაბადების 115 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა ..............................................................................................................159

*რევაზ გოგოხია.* პროფესორ ნიკოლოზ იაშვილის ცხოვრება და შემოქმედება ...160

**მოსაზრებები ახალ წიგნებზე**

*მზია ქირთბაია.* განსაკუთრებულ დიალოგი მკითხველთან ................................170
*მერაბ კვესელიანი.* საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკისა და ეკონომიკური თეორიების განვითარების პრიზმით ..............................................173

**ახალი სტანდარტები**

ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესში“ გამოსაქვეყნებელი სტატიებისადმი წაყენებული მოთხოვნები ..........................................................................................................189

ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ 2015 წლის ნომრების (№1-4) შინაარსი ..........193

## CONTENTS

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

***Nugzar Paichadze.*** Unemployment Problem in Georgia and Ways of Its Overcoming ………....9
***Badri Ramishvili.*** The Demographic Trend - The Most Important Component of the Modern Global Geo-Strategic Landscape and Its Impact on Georgia ……………………………………28
***Sulkhan Tabaghua.*** The Influence of Government Size on Economic Growth ……………..…..45

MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

***Giorgi Miqeladze.*** Econometric Analysis of the Theories of Transition to Market Economy (Case of China) ……………………………………………………………………………..……62
***Zviad Zedginidze.*** Development of Macroprudential Policy after Financial Crisis ………..……72

MANAGEMENT ✧ MARKETING ✧ TOURISM

***Naira Gvedashvili.*** The Main Directions in the Management of Labour Processes …………..…81
***Kristine Jganjgava.*** E-commerce: Essence, Importance and the Factors Influence on It ……......94

FINANCIAL ECONOMICS

***Lamara Qoqiauri, Nino Qoqiauri.*** Place of Venture and Business Angel Investment in the Cycle of Business Financing (in English) …………………………………………………….....101
***Tsiuri Oqruashvili, Ketevan Gudushauri.*** Mechanism of Control in Finances Function System and Prerequisites for its Realization …………………………………………………..115

RESEARCH RESULTS

***Nino Paresashvili.*** Targeted research projects carried out in 2015 at the Faculty of Economics and Business …………………………………………………......................…126

SEVENTH FORMATION

Interview with Professor George Tsagolov ………………………………………………….…151

ANNIVERSARY MEETING

The meeting dedicated to the 115th anniversary of the birth of Professor Nikoloz Iashvili was held at Iv. Javakhishvili Tbilisi State University ………………………………………….…159
***Revaz Gogokhia.*** The life and career of Professor Nikoloz Iashvili ……………………………160

CONSIDERATIONS ABOUT NEW BOOKS

***Mzia Kirtbaya.*** A special dialogue with the reader ……………………………………….… 170
***Merab Gvelesiani.*** Georgia's economy through the prism of the global economy and the development of economic theories ..........................................................................................173

NEW STANDARDS

Requirements to articles to be published in the journal "Economics and Business" ….….……189

Contents of the journal "Economy and Business," 2015, Vol. VIII, Issue №№1-4 ……….……193

## С О Д Е Р Ж А Н И Е

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

***Нугзар Пайчадзе.*** Проблема безработицы в Грузии и пути её преодоления ..........................9
***Бадри Рамишвили.*** Демографический тренд – важнейший составляющий современного глобального геостратегического ландшафта и его влияние на Грузию .........28
***Сулхан Табагуа.*** Влияние масштаба (мера) мера правительства на экономический рост.....45

МИКРОЭКОНОМИКА ✧ МАКРОЭКОНОМИКА ✧ ЭКОНОМЕТРИКА

***Георгий Микеладзе.*** Эконометрический анализ теории перехода на рыночную экономику (на примере Китая)..........................................................................................62
***Звиад Зедгинидзе.*** Макропруденцальная политика в посткризисном периоде.....................72

МЕНЕДЖМЕНТ ✧ МАРКЕТИНГ ✧ ТУРИЗМ

***Наира Гведашвили.*** Основные направления управления трудовыми ресурсами.................81
***Кристина Джганджгава.*** Электронная коммерциа: сушность, значение и воздействующие на неё факторы ..................................................................................94

ФИНАНСОВАЯ ЭКОНОМИКА

***Ламара Кокиаури, Нино Кокиаури.*** Венчурные и бизнес-ангельные инвестирования в цикле финансирования бизнеса (на англ. языке)....................................................................101
***Циури Окруашвили, Кетеван Гудушаури.*** Механизм контроля в системе функции финансов и предусловия её осуществления............................................................................115

ИТОГИ ИССЛЕДОВАНИЙ

Нино Фаресашвили. Результаты целевых научно-исследовательских работ выполненных в 2015 году на факультете экономики и бизнеса............................................126

СЕДЬМАЯ ФОРМАЦИЯ

Интервъю у профессора Георгия Цаголова .........................................................................151

ЮБИЛЕЙНОЕ ЗАСЕДАНИЕ

В ТГУ им. Джавахишвили, состоялось заседание посвященное 115-летию со дня рождения профессора Николоза Иашвили.................................................................159
***Реваз Гогохия.*** Жизнь и деятельность профессора Николоза Иашвили..................................160

СООБРАЖЕНИЯ О НОВЫХ КНИГАХ

***Мзия Киртбая.*** Особый диалог с читателем.........................................................................170
***Мераб Гвелесиани.*** Экономика Грузии в призме развития мировой экономики и экономическихтеорий..................................................................................................173

НОВЫЕ СТАНДАРТЫ

Требования к статьям публикуемым в нашем журнале.........................................................189

Содержание журнала „Экономика и бизнес", 2015, т. VIII, №№1-4............................................193

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 1, გვ. 9-27
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 1, pp. 9-27

# ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა
# ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

## უმუშევრობის პრობლემა საქართველოში და მისი დაძლევის გზები

*ნუგზარ პაიჭაძე*

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*
*nugzarpaichadze@mail.ru*

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელ ეტაპზე ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანებიდან უმნვავესია მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლებისა და, შესაბამისად, უმუშევრობის დონის შემცირების პრობლემა. მოცემულ პრობლემაზე მრავალი საინტერესო შრომაა გამოქვეყნებული როგორც უცხოელი, ასევე ქართველი ეცონომისტ-მკვლევართა მიერ [1,2,3,4,5,6]. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პრობლემის მრავალმხრივობის, სირთულისა და დროში მისი მდგომარეობის მუდმივი ცვალებადობიდან გამომდინარე, მასთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერული კვლევა კვლავაც აქტუალურია და ასე იქნება მომავალშიც. წინამდებარე სტატიაში ძირითადად განხილულია მოსახლეობის დასაქმებასა და უმუშევრობასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, რაც ამ პრობლემაზე მომუშავე ქართველი ეკონომისტების მიერ, ჩვენი აზრით, შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი და, საქართველოში დასაქმების არსებული მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია უმუშევრობის შემცირების ზოგიერთი კონკრეტული ღონისძიება.

**საკვანძო სიტყვები:** მოსახლეობის დასაქმება; ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა; სამუშაო ძალა; დასაქმებულები; თვითდასაქმებულები; დასაქმების დონე; უმუშევრობის დონე; უმუშევრობის სახეობები.

# უმუშევრობა და მასთან დაკავშირებული თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები

ტერმინები – „მოსახლეობის დასაქმება“ და „უმუშევრობა“ ერთმანეთთან ახლომდგომი ცნებებია. როგორც წესი, ქვეყანაში რამდენად მაღალია დასაქმების დონე, იმდენად დაბალია უმუშევრობის დონე. თუმცა, აღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში დასაქმების დონის ზრდას ყოველთვის ახლავს უმუშევრობის დონის შემცირება და პირიქით. მაგალითად, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში 2010 წელს დასაქმების დონე, 2006 წელთან შედარებით, გაზრდილია 3 პროცენტული პუნქტით, ხოლო უმუშევრობის დონე იმავე წლებში კი არ შემცირებულა, არამედ გაიზარდა 2.5 პროცენტული პუნქტით. ყოველივე ეს გამოწვეულია ზემოაღნიშნული მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიის თავისებურებებით. კერძოდ, უმუშევრობის დონე გაიანგარიშება უმუშევართა რაოდენობის შეფარდებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობასთან და გამოისახება პროცენტებში. უმუშევრებში კი არ შეიყვანება პირები, რომლებიც მოცემულ მომენტში აქტიურად არ ეძებენ სამუშაოს. სინამდვილეში, ამ კატეგორიის მოსახლეობის დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, უმუშევარია. წარსულში მათი უმეტესობა აქტიურად ეძებდა სამუშაოს, მაგრამ ვერ იპოვა იგი, დაკარგა იმედი და ხელი ჩაიქნია, ანუ თავი მიანება სამუშაოს ძიებას. რაც შეეხება დასაქმების დონეს, იგი გაიანგარიშება დასაქმებულთა რაოდენობის შეფარდებით 15 და მეტი ასაკის მოსახლეობის რაოდენობასთან. როგორც ჩანს, უმუშევრობის დონის მაჩვენებელი, მატების ან კლების მიმართულებით, შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ სამუშაოს აქტიური მაძიებელი მოსახლეობის რა ნაწილმა დაკარგა სამუშაოს პოვნის იმედი და შეწყვიტა მისი ძიება. გამოდის, რომ რაც უფრო იზრდება ამ კატეგორიის მოსახლეობის რიცხვი, მით უფრო მცირდება უმუშევრობის დონის მაჩვენებელი, რაც, ცხადია, ფიქტიურია და მიუთითებს უმუშევრის სტატუსის განსაზღვრის ნაკლზე. რაც შეეხება დასაქმების დონეს, მასზე გავლენას ვერ ახდენს ფაქტობრივად უმუშევარი მოსახლეობის რა ნაწილი არ ეძებს სამუშაოს ამა თუ იმ მიზეზით. აქედან გამომდინარე, ცხადია, პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევებს, როცა უმუშევრობისა და დასაქმების დონე იზრდება ერთდროულად ან პირიქით.

უმუშევრობის დონე განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. თანამედროვე მსოფლიოში ამჟამად შენარჩუნებულია ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც, როგორც წესი, შობადობის დონე დაბალია, უმუშევრობის დონეც დაბალია, ხოლო ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში, სადაც შობადობის დონე მაღალია, მაღალია უმუშევრობის დონეც, რაც სერიოზულ სირთულეებს უქმნის მოცემულ ქვეყნებს.

უმუშევრობის გამომწვევი მიზეზების შესწავლისას, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მასზე ისეთი ცნობილი მკვლევარების შეხედულებებს, როგორიცაა: კ. მარქსი, მ. კეინზი და თ. მალთუსი. მალთუსის მიხედვით, უმუშევრობა გამოწვეულია დემოგრაფიული მიზეზებით, როცა მოსახლეობის ზრდის ტემპები უსწრებს წარმოების ზრდის ტემპებს. დღესაც, უმუშევრობის აღნიშნული მიზეზი დამახასიათებელია ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებშიც შობადობის მაღალი დონეა. კ. მარქსის მიხედვით, ტექნიკური პროგრესის შედეგად იზრდება ერთ მომუშავეზე მოსული წარმოების საშუალებების მასა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარება იწვევს კაპიტალის დაგროვების ტემპებთან შედარებით შრომაზე მოთხოვნის შეფარდებით შემცირებას. ეს კი, საბოლოოო ანგარიშით, იწვევს უმუშევრობას. მ. კეინზის მიხედვით კი, სამომხმარებლო მოთხოვნის დაცემით მცირდება კაპიტალის დაბანდების ინტერესი და ამის შედეგია სამუშაო ძალაზე ინვესტიციების შემცირება, რისი ლოგიკური შედეგიცაა უმუშევრობა. ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული სამივე მოსაზრება ერთობ ყურადსაღებია და ის გათვალისწინებულ უნდა იქნეს უმუშევრობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისა და მის შესამცირებლად შესაბამისი ღონისძიებების დასახვისას.

უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, თუმცა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი მიშვებულ უნდა იქნეს თვითდინებაზე. შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან აუცილებელია სხვადასხვა მარეგულირებელი ღონისძიებების გატარება, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში უმუშევრობისა და მისგან მიღებული დანაკარგების შემცირებას.

მოსახლეობის დასაქმებისა და, შესაბამისად, უმუშევრობის დონე სხვა მრავალ ფაქტორთან (შრომის ბაზრის საინფორმაციო ნაკადების არასრულყოფილება, დაბალი პროფესიათაშორისი მობილურობა და მათ განაწილებაში ტერიტორიული დისპროპორციები და სხვ.) ერთად, განპირობებულია სხვა ისეთი ფაქტორებითაც, როგორიცაა: დამატებითი პროდუქციის (მომსახურების) ერთეულზე შრომისა და კაპიტალის მატების ტემპებს შორის თანაფარდობა, სამუშაო დღის (სამუშაო კვირის) დადგენილი ხანგრძლივობა, ზეგანაკვეთური და მოქნილი სამუშაო რეჟიმებით მუშაობის ქვეყანაში არსებული პრაქტიკა, საგადასახადო განაკვეთების შემცირება, ქვეყანაში ემიგრანტების ჩამოსვლისა და მიგრანტების წასვლის ინტენსივობა და სხვ. მოკლედ ზოგიერთ მათგანის შესახებ:

1) როგორც ცნობილია, დამატებითი პროდუქვიის (მომსახურების) წარმოება დაკავშირებულია როგორც შრომითი, ასევე შრომის მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველმყოფელი კაპიტალის დანახარჯების მატებასთან. ცხადია, დამქირავებელი დაინტერესებულია, წარმოების გაფართოებისას, აირჩიოს მისი განმაპირობებელი ის ფაქტორი, რომელიც უფრო იაფია, ანუ, თუ დამატებითი ერთეული პროდუქციის (მომსახურების) მისაღებად დამატებითი სამუშაო ძალის დანახარჯები ამეტებს ამავე მიზნის მისაღწევად კაპიტალის

მატებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, მაშინ უპირატესობა მიენიჭება კაპიტალის გადიდებას და პირიქით. იმ შემთხვევაში კი, როცა წარმოების გადიდება ახალი სამუშაო ძალის დაქირავებისა და კაპიტალის გადიდების ხარჯზე თანაბარია, დამქირავებლისათვის არახელსაყრელია შეცვალოს თანაფარდობა შრომასა და კაპიტალს შორის. მოცემულ საკითხზე მსჯელობისას, მხედველობაში ისიცაა მისაღები, რომ თვით შრომას გააჩნია სხვა ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: ასაკი, სქესი ეროვნება, რასა, განათლების მდგომარეობა და სხვ. წარმოების პროცესში მონაწილეობს, აგრეთვე, ენერგია და მასალები. ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი გავლენას ახდენს ზემოაღნიშნულ თანაფარდობაზე. მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელფასის დონესა და სხვა ჩამოთვლილ ფაქტორებზე ფასის ცვლილებებს;

2) სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სიდიდე პირდაპირ კავშირშია დაქირავებულ მომუშავეთა სამუშაო დღისა და სამუშაო კვირის კანონმდებლობით დადგენილ ხანგრძლივობასთან. საქმე ისაა, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, საწარმოს (ფირმას, ორგანიზაციას) შეუძლია გამოუშვას პროდუქციის მოცემული რაოდენობა ან შეასრულოს გარკვეული მოცულობის სამუშაო, მომუშავეთა რაოდენობისა და მათ მიერ კვირაში ნამუშევარი საათების ოდენობის სხვადასხვა კომბინაციისას. სამუშაო კვირის ხანგრძლივობის გადიდება საშუალებას იძლევა შემცირდეს მომუშავეთა რაოდენობა და პირიქით, სამუშაო კვირის ხანგრძლივობის შემცირება იწვევს მომუშავეთა რაოდენობის გადიდებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო დღის (კვირის) ოპტიმალური ხანგრძლივობის დადგენას. იგი უნდა ითვალისწინებდეს როგორც დამქირავებლების (საკმარისი მოგების მიღება), ასევე დაქირავებულების ( მიიღონ ღირსეული ანაზღაურება და გააჩნდეთ საკმარისი თავისუფალი დრო) ინტერესებს. ამიტომ, მისი დადგენისას დიდი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. ჩვენი აზრით, სამუშაო დღის (კვირის) ხანგრძლივობის დადგენილმა ნორმამ უნდა უზრუნველყოს ის, რომ სამეცნიერო- ტექნოლოგიური პროგრესით ისარგებლონ არა მარტო დამქირავებლებმა, არამედ დაქირავებულებმაც. საქმე ისაა, რომ თანამედროვე მომუშავე რობოტების, ავტომატიზებული წარმოებრივი ხაზებისა და კომპიუტერების ეპოქაში, ინდუსტრიულად მოწინავე ქვეყნებში, ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად, პარალელურად თუ არ შემცირდება დაქირავებულთა სამუშაო დღე (სამუშაო კვირა) და, შესაბამისად, არ გაიზრდება თავისუფალი დრო, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა შეიძლება კატასტროფულად შემცირდეს, ანუ გაიზრდოს უმუშევრობა. ეს ნიშნავს იმას, რომ სამეცნიერო პროგრესის შედეგებით ისარგებლებენ მხოლოდ დამქირავებლები, ხოლო დასაქმებულები იზარალებენ. ეს კი, საბოლოო ანგარიშით, გამოიწვევს ქვეყანაში სოციალურ მღელვარებას, თავისი უარყოფითი შედეგებით;

3) პრაქტიკაში ხშირად ადგილი აქვს ე. წ. **ზეგანაკვეთურ მუშაობას,** რაც გულისხმობს, რომ ხდება კვირაში კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო საათების რაოდენობის გადიდება. ზოგადად, ზეგანაკვეთური მუშაობა საზოგადოებრივად უარყოფითი მოვლენაა. გარდა იმისა, რომ იგი ზრდის უმუშევრობის

დონეს (განსაკუთრებით სამუშაო ადგილების დეფიციტის მქონე ქვეყნაში, როგორიც საქართველოა), იწვევს ადამიანების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებას და, შესაბამისად, აქვეითებს მათ შრომისუნარიანობას. იგი, აგრეთვე, ამცირებს ადამიანის თავისუფალ დროს და, ამდენად, აფერხებს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასა და პიროვნების თვითგანვითარებას. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზებით. ობიექტურია მიზეზი, მაგალითად, როცა სამუშაოთა ზოგიერთ სახეობაზე ვერ ხერხდება შესაბამისი კვალიფიკაციის მომუშავეთა მოძიება, დროის რაღაც მომენტში გაზრდილია მოთხოვნა საწარმოს მიერ გამოსაშვებ პროდუქციაზე და იგი იმდენად სეზონური და ხანმოკლეა, რომ საწარმოს (ფირმის და ა. შ) ხემძღვანელთა თვალსაზრისით, დამატებით ახალი მომუშავეთა დაქირავება მიზანშეუწონელია და ა. შ. სუბიექტური მიზეზებიდან მთავარია დამქირავებელთა მისწრაფება – მიიღონ რაც შეიძლება მეტი მოგება, რასაც უმეტესად აღწევენ ზეგანაკვეთურად ნამუშევარ საათებზე ხელფასის სატარიფო განაკვეთის ზრდის მცირე კოეფიციენტის დაწესებითა და იმ დანახარჯების თავიდან აცილებით, რაც დაკავშირებულია ორგანიზაციის შტატში დამატებით მიღებულ მომუშავეთა სოციალურ უზრუნველყოფასთან (ჯანდაცვის დაზღვევასთან და სხვ.). ცხადია, ორგანიზაციაში ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დროის ხანგრძლივობა პირდაპირ გავლენას ახდენს არსებული წარმოებრივი პროგრამის შესრულებისათვის საჭირო მომუშავეთა რაოდენობაზე, ანუ რაც უფრო იზრდება მომოშავეთა მიერ მთელ ნამუშევარ დროში ზეგანაკვეთურად მუშაობის წილი, იმდენად მცირდება მოთხოვნა დასაქირავებელ მომუშავეებზე. მაგალითად, თუ დავუშვებთ, რომ კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო კვირის საათების რაოდენობაა 40 და ორგანიზაციის გარკვეულ უბანზე ზეგანაკვეთურად კვირაში ნამუშევარია 4000 საათი, ეს ნიშნავს იმას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი არ ექნებოდა ზეგანაკვეთურ მუშაობას, მოცემულ უბანზე საჭირო გახდებოდა დამატებით 100 მომუშავის დაქირავება. ამდენად, ზეგანაკვეთური მუშაობის შემცირება მოსახლეობის დასაქმების გადიდებისა და, შესაბამისად, უმუშევრობის შემცირების ერთ-ერთი გზაა. ამიტომაა, რომ ბევრ ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყანაში ზეგანაკვეთური მუშაობის რეგულირებას დიდი ყურადღება ექცევა. მაგალითად, ჯერ კიდევ 1979 და 1985 წელს აშშ-ის კონგრესმენმა მიჩიგანიდან ჯონ კომერსმა კონგრესის განსახილველად წარადგინა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათებისათვის შრომის ანაზღაურების მატების კოეფიციენტის 2-მდე გაზრდას [1, გვ. 161]. იგი გამიზნული იყო სამუშაო ადგილების გაზრდაზე. მოცემულ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ აღნიშნულმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ე. წ. კვაზიმუდმივი დანახარჯების (ჯანმრთელობის დაზღვევაზე და სხვ.) მეტისმეტი გადიდება და ამან დამქირავებლები აიძულოს გადავიდნენ განვითარების კაპიტალინტენსიურ წესზე, რაც, საბოლოო ანგარიშით, შეამცირებს მოთხოვნას სამუშაო ძალაზე. ამიტომ, ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების შრომის ანაზღაურების მატების კოეფიციენტის განსაზღვრისას სიფხიზლის გამოჩენაა

საჭირო. იგი უნდა იყოს არც ისე მაღალი, რომ მან დამქირავებლები აიძულოს წარმოების განვითარება განახორციელონ მხოლოდ კაპიტალის ზრდის საშუალებით და არც ისე დაბალი, რომ მან წაახალისოს ზეგანაკვეთური მუშაობის წილის გადიდება მთელ ნამუშევარ დროში. ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს დამქირავებელთა დაინტერესება – უპირატესობა მისცენ ახალ მომუშავეთა დაქირავებას და არა ზეგანაკვეთურ მუშაობას. ეს კი ხელს შეუწყობს ქვეყანაში დასაქმების დონის ზრდას და, შესაბამისად, უმუშევრობის დონის შემცირებას;

4) ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებში მოსახლეობის დასაქმების ამაღლების მიზნით, აქტიურად იყენებენ მუშაობის ისეთ მოქნილ რეჟიმებს, როგორიცაა: არასრული სამუშაო დღით დასაქმება, ორგანიზაციის პერსონალის შტატში ე. წ. შინ მომუშავე თანამშრომლების აყვანა და ა. შ.;

5) მრავალი ეკონომისტისა და პოლიტიკოსის აზრით, ეკონომიკის დაქვეითების ან შენელებული ტემპით განვითარების და, შესაბამისად, დასაქმების დონის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია ქვეყანაში მაღალი საგადასახადო განაკვეთების არსებობა. ამ დებულების ჭეშმარიტების მკაფიო მაგალითია აშშ-ის პრეზიდენტის რეიგანის მიერ ქვეყანაში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის სტრატეგიის ძირითადი ელემენტი იყო საშემოსავლო გადასახადის მნიშვნელოვანი შემცირება. ეს კი, რეიგანის ადმინისტრაციის აზრით, წარმოადგენდა დასაქმების ამაღლების ეფექტიან საშუალებას;

6) ქვეყანაში უმუშევრობის დონეზე გავლენას ახდენს, აგრეთვე, მოსახლეობის როგორც შიგა, ასევე გარე მიგრაცია. შიგა მიგრაციას შეიძლება ახლდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. დადებითია, როცა ადგილი აქვს მოსახლეობის მიგრაციას ჭარბი სამუშაო ძალის მქონე რაიონებიდან მისი (სამუშაო ძალის) დეფიციტის მქონე რაიონებში, რაც განაპირობებს ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირებას. ამ მოვლენას შეიძლება გააჩნდეს ისეთი უარყოფითი შედეგებიც, როგორიცაა: ქვეყნის მოსახლეობის მეტისმეტი გადინება ზოგიერთი რეგიონიდან, რაც შეუძლებელს ხდის ამ უკანასკნელის ნორმალურ ეკონომიკურ განვითარებას, დიდ ქალაქებში მოსახლეობის დიდი ოდენობით კონცენტრაცია, რაც ართულებს ამ ქალაქების საყოფაცხოვრებო, კომუნალურ და სხვა სახის მომსახურებას და ა. შ.

რაც შეეხება გარე მიგრაციას, როგორც ცნობილია, მისი ორი სახე არსებობს: 1) ემიგრაცია, როცა ხდება მოსახლეობის გადინება მოცემული სახელმწიფოდან და 2) იმიგრაცია, როცა მოსახლეობა შემოედინება მოცემულ სახელმწიფოში. ცხადია, მის ორივე სახეს ახლავს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები, როგორც ამას შიგა მიგრაციის შემთხვევაში აქვს ადგილი. ემიგრაციის შემთხვევაში, ერთი შეხედვით, დადებითად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ჭარბი სამუშაო ძალა გადის ქვეყნის ფარგლებიდან და ამის შედეგად მცირდება უმუშევრობის დონე, ხოლო უარყოფითია ის, რომ ქვეყნიდან გაედინება სამუშაო ასაკის მაღალენერგიული სამუშაო ძალა, ძირითადად ახალგაზრდობა. ეს კი გარკვეულ პრობლემებს უქმნის განსაკუთრებით იმ ქვეყნებს, სადაც შობადობის დონე დაბალია და საფრთხის წინაშეა მოსახ-

ლეობის მარტივი კვლავწარმოების უზრუნველყოფაც კი. ცხადია, მაღალენერგიული ახალგაზრდა კადრების დიდი ოდენობით გადინება უთუოდ უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე. რაც შეეხება იმიგრანტებს, თავის მხრივ, მათ ყოფენ ორ ნაწილად: ლეგალური და არალეგალური. არალეგალური იმიგრანტების მიმართ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებაა გავრცელებული: პირველი მოსაზრებით, თითოეული არალეგალი იმიგრანტიართმევს სამუშაოს ქვეყნის მომუშავეს. შესაბამისად, რამდენი არალეგალი იმიგრანტი იქნება დეპორტირებული ქვეყნიდან, იმდენითვე შემცირდება უმუშევართა რიცხვი. მეორე თვალსაზრისით კი, ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში არალეგალები ასრულებენ ისეთ სამუშაოებს (მაგალითად, ჭუჭყიანს), რასაც ადგილობრივი მოქალაქეები თავს არიდებენ და მათი სამუშაო ძალად არგამოყენების შემთხვევაში საჭირო გახდება ე. წ. შავ სამუშაოებზე გადიდებული ხელფასის დაწესება [1, გვ.387]. რაც შეეხება ეკონომიკურად დაბალგანვითარებულ ქვეყნებს, სადაც უმუშევრობის დონე მაღალია, ჩვენი აზრით, აღნიშნული პრობლემისადმი ფრთხილი მიდგომაა საჭირო. ასეთმა ქვეყნებმა უარი უნდა თქვან არა მარტო არალეგალი მიგრანტების სამუშაო ძალად გამოყენებაზე, არამედ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში (ადამიანთა საქმიანობის რომელიმე სფეროში ადგილობრივი სპეციალისტის მწვავე დეფიციტისას) მოახდინონ უცხოეთიდან შემოსულ სამუშაოს მაძიებელთა ლეგალიზაცია, რამდენადაც ლეგალური იმიგრანტიც, საბოლოო ანგარიშით, ართმევს სამუშაო ადგილს ამ უკანასკნელის ადგილობრივ მაძიებელს.

უმუშევრობა წარსულშიაც და ახლაც კაცობრიობის წინაშე მდგომი მწვავე პრობლემაა. რაც უფრო დიდია იგი, მით უფრო დაბალია ადამიანთა ცხოვრების დონე. ამიტომ, საჭიროა მის შესამცირებლად შესაბმისი ორგანოების მიერ ქმედითი ეფექტიანი ღონისძიებების გატარება, რაც უზრუნველყოფს მის მნიშვნელოვან შემცირებას. ამისათვის კი აუცილებელია საზოგადოებას გააჩნდეს მოსახლეობის დასაქმებისა და, შესაბამისად, უმუშევრობის რეალური მდგომარეობის ზუსტად ამსახველი მაჩვენებელი, რომლის გარეშე ძნელია მისი (უმუშევრობის) არსებული დონისა და მიზეზების სწორი ანალიზი და მის შესამცირებლად ეფექტიანი ღონისძიებების დასახვა. სამწუხაროდ, უმუშევრობის დონის მაჩვენებლის გაზომვის დღეისათვის მოქმედი მეთოდოლოგია, ჩვენი აზრით, ვერ პასუხობს მისდამი წაყენებულ მთავარ მოთხოვნას (ობიექტურად ასახოს რეალური მდგომარება). ჩვენ ძირითადად ვეთანხმებით იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომელთაც მიაჩნიათ, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დაფიქსირებული დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები სწორად ვერ ასახავს არსებულ ვითარებას [3, გვ.29; 5, გვ.66]. ეს კი განაპირობებს მოსახლეობის დასაქმების დონის მოჩვენებით გადიდებას და, შესაბამისად, უმუშევრობის დონის მაჩვენებლის შემცირებას. ამიტომაა, რომ ზოგიერთი ექსპერტი ეჭვის თვალით უყურებს საქართველოს მოსახლეობის დასაქმების ოფიციალურ მაჩვენებლებს, რასაც არ შეიძლება არ დაეთანხმო. ამას კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ მოსახლეობის ბოლოო აღწერის

მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 700 ათასი კაცით ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე ეს აღწერამდე ოფიციალურად იყო დაფიქსირებული. ცხადია, როცა მოსახლეობის რაოდენობის ოფიციალური მაჩვენებელი არარეალურია, მის საფუძველზე გაანგარიშებული მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლებიც არარეალურია.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჩვენი აზრით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები მეტ-ნაკლებად სწორად ასახავს მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის დონის მაჩვენებელთა დინამიკის ბოლოდროინდელ ძირითად ტენდენციებს და ჩვენც მოცემული პრობლემის განხილვისა და შესაბამისი მაჩვენებლების ანალიზისას, მას ვეყრდნობით.

## 1998-2014 წლებში საქართველოს მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის არსებული მდგომარეობა და მისი ანალიზი

აღნიშნულ წლებში საქართველოში მოსახლიობის აქტიურობის, დასაქმებისა და უმუშევრობის დონის არსებულ დინამიკაზე ზოგად წარმოდგენას იძლევა პირველი ცხრილის მონაცემები.

საქართველოს მოსახლეობის აქტიურობის, დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები 1998-2014 წლებში [7]

ცხრილი 1

| მაჩვენებლები | 1998წ. | 2005წ. | 2006წ. | 2010წ. | 2012წ. | 2013წ. | 2014წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, ათასი კაცი | 1972.9 | 2023.9 | 2021,8 | 1944.9 | 2029.1 | 2003.9. | 1991.1 |
| აქტიურობის დონე, % | 65.4 | 64.0 | 62.2 | 64.2 | 66.9 | 66.2 | 66.5 |
| დასაქმებულები სულ, ათასი კაცი | 1728.5 | 1744.6 | 1747.3 | 1628.1 | 1724.0 | 1712.1 | 1745.2 |
| მათ შორის: დაქირავებულები, % | 41.9 | 34.4 | 34.5 | 38.0 | 38.6 | 38.7 | 39.8 |
| თვითდასაქმებულები, % | 58.1 | 65.4 | 65.5 | 62.0 | 61.4 | 61.3 | 60.2 |
| დასაქმების დონე, % | 57.3 | 55.2 | 53.8 | 53.8 | 56,8 | 56.6 | 58.3 |
| უმუშევარი, ათასი კაცი | 244.2 | 279.3 | 274.5 | 316.9 | 305.1 | 291.8 | 246.0 |
| უმუშევრობის დონე, % | 12.4 | 13.8 | 13.6 | 16.3 | 15.0 | 14.6 | 12.4 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1998-2014 წლებში საქართველოს აქტიური მოსახლეობის რაოდენობა, მისი მატება-კლების მიმართულებით, უმნიშვნელო ცვლილებებს განიცდიდა. ასე, მაგალითად, 1998 წელს იგი 1972.8 ათას კაცს შეადგენდა, ხოლო 2014 წელს – 1991.1 ათასს, ანუ გაიზარდა მხოლოდ 0.9 %-ით. რაც შეეხება მოსახლეობის აქტიურობის დონეს, იგი მოცემულ წლებში 1.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. აღნიშნულ წლებში მოსახლეობის აქტიურობის დონე ყველაზე მაღალი იყო 2012 წელს (66.9%), ხოლო ყველაზე დაბალი – 2006 წელს (62.2%). ამავე ცხრილიდან ჩანს, რომ 1998-2014 წლებში საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობაც, მატებისა და კლების მიმართულებით, უმნიშვნელოდ იცვლებოდა. 2014 წელს იგი (დასაქმებულთა რაოდენობა) 1745.2 ათასი კაცი იყო, ანუ 1998 წელთან შედარებით მისმა ზრდამ შეადგინა 0.9%, ხოლო 2006 წელთან შედარებით, არა თუ გაიზარდა, არამედ, შემცირდა კიდეც. მოცემულ წლებში დასაქმებულთა რაოდენობა ყველზე მცირე იყო 2010 წელს. აღნიშნულ წელს იგი, 1998 წელთან შედარებით, 100.4, ხოლო 2006 წელთან შედარებით 119.2ათასი კაცით, ანუ 6.2%-ით შემცირდა. ამავე ცხრილიდან ჩანს, რომ დასაქმებულებში ჭარბობს თვითდასაქმებულები. მათი წილი მთლიანად დასაქმებულებში 1998 წელს იყო 58.1,ხოლო 2014 წელს_60.2%. რაც შეეხება დაქირავებულებს, მათი წილი მთლიანად დასაქმებულებში მოცემულ წლებში ყველაზე დაბალი იყო 2005 წელს (34.6%). როგორც ცხრილიდან ჩანს, თვითდასაქმებულებსა და დაქირავებულებს შორის თანფარდობა, 2005 წლისათვის, საანალიზო პერიოდის სხვა წლების ანალოგიური მაჩვენებლებისაგან მკვეთრად განსხვავებულია. ჩვენი აზრით, იგი შეიძლება გამოწვეული იყოს ორი მიზეზით: 1) მოცემულ წლებში მოხდა მაშინდელი ხელისუფლებისათვის იდეოლოგიურად არასაიმედო კადრების სამსახურიდან მასობრივი დათხოვნა, რომელიც ყველაზე მწვავედ შეეხო ქვეყნის სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს; 2) უმუშევრობის ფაქტობრივი დონის მოჩვენებითი შემცირების მიზნით, მოხდა თვითდასაქმებულთა რაოდენობის ხელოვნურად გაზრდა, რამდენადაც, დასაქმებულთა რაოდენობის გაანგარიშების არსებული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, გაცილებით რთულია დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობის გაანგარიშებაში მანიპულირება.

იმავე ცხრლიდან ისიც ჩანს, რომ 1998-2014 წლებში, ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში დასაქმების დონე მერყეობს 53.8-დან 58.3%-მდე. იგი ყველაზე მაღალია 2014 წელს (58.3%), ხოლო ყველაზე დაბალი 2006 და 2010 წელს (53.8%). შესაბამისად, უმუშევრობის დონე ყველაზე დაბალია 1998 და 2014 წელს (12.4%), ხოლო ყველაზე მაღალი- 2010 წელს (16.3%). 1998-2014 წლებში საქართველოში მოსახლეობის უმუშევრობის დონე მერყეობს 12.4%-დან 16.3%-მდე.

უმუშევრობის შესახებ ზემოაღნიშნული მაჩვენებლები, თუ ის ობიექტურია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისი მონაცემების მიხედვით, არც

ისე შორსაა ისეთი განვითარებული ქვეყნების ანალოგიური მაჩვენებლებისაგან, როგორიცაა: საფრანგეთი, თურქეთი, ლიტვა, ლატვია და სხვ., ხოლო ისეთ განვითარებულ ქვეყანაში, როგორიცაა იტალია, უკანასკნელ პერიოდში (2014 წ.) უმუშევრობის უფრო მაღალი დონეა, ვიდრე საქართველოში. გამოდის, რომ მოსახლეობის დასაქმების მხრივ საქართველოში არც ისე საგანგაშო მდგომარეობაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი აზრით, ეს ასე არაა. ჩვენ ძირითადად ვიზიარებთ მოცემულ პრობლემაზე მომუშავე სპეციალისტებისა და ექსპერტების და, მათ შორის მ. ტუღუშის, ნ. ლაცაბიძისა და მ. ცარციძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებიც თვლიან, რომ საქართველოში უმუშევრობის ფაქტობრივი დონე მერყეობს 30-50%-ის ფარგლებში [3, გვ.29, 5, გვ.66]. ამაზე ნათლად მეტყველებს უკანასკნელ წლებში საქართველოში ჩატარებული მრავალი სოციოლოგიური კვლევის მონაცემები, რომლის მიხედვითაც ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემებიდან თითქმის ყველა კვლევაში უმუშევრობა პირველ ადგილზეა. ნიშანდობლივია, რომ გამოკითხულთა 60-70% აცხადებს, რომ იგი უმუშევარია. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, დღეისათვის მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის გაანგარიშების მეთოდოლოგია ვერ პასუხობს მისდამი წაყენებულ მთავარ მოთხოვნას (ობიექტურობის უზრუნველყოფა) და აუცილებელია მისი გაუმჯობესება.

მეორე ცხრილში მოცემულია მონაცემები სქესობრივი ჭრილით საქართველოს მოსახლეობის აქტიურობის, დასაქმებისა და უმუშევრობის შესახებ.

საქართველოს მოსახლეობის აქტიურობის, დასაქმებისა და უმუშევრობის დონე სქესობრივი ჭრილით [7]

ცხრილი 2

| მაჩვენებლები | 2006წ. | 2010წ. | 2012წ. | 2013წ. | 2014წ. |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს მოსახლეობის აქტიურობის დონე | 62.2 | 64.2 | 66.9 | 66.2 | 66.5 |
| მათ შორის: ა)მამაკაცების | 72.2 | 74.5 | 78.2 | 77.3 | 74.4 |
| ბ)ქალების | 53.6 | 55.5 | 57.4 | 56.8 | 57.1 |
| საქართველოს მოსახლეობის დასაქმების დონე | 53.8 | 58.8 | 56.8 | 56.6 | 58.3 |
| მათ შორის: ა)მამაკაცების | 61.2 | 61.2 | 65.6 | 64.5 | 66.6 |
| ბ)ქალების | 47.4 | 47.5 | 49.5 | 49.8 | 51.1 |
| საქართველოს მოსახლეობის უმუშევრობის დონე | 12.4 | 16.3 | 15.0 | 14.6 | 12.4 |
| მათ შორის: ა)მამაკაცების | 15.2 | 17.9 | 16.1 | 16.5 | 14.0 |
| ბ)ქალების | 11.7 | 14.5 | 13.8 | 12.3 | 10.4 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, მოსახლეობის აქტიურობის დონე სქესობრი-

ვი ჭრილით მკვეთრად განსხვავებულია. იგი უფრო მაღალია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში. 1998-2014 წლებში მამაკაცებში იგი მერყეობს 72.2-დან 78.2%-მდე, ხოლო ქალებში – 53.6-დან 57.4%-მდე. მოცემულ წლებში აქტიურობის დონე როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში ყველაზე დაბალი იყო 2006 წელს (შესაბამისად, 72.2 და 53.6%) და ყველაზე მაღალი – 2012 წელს (შესაბამისად, 78.2 და 57.4%). რაც შეეხება დასაქმების დონეს, აქაც იგივე ტენდენციაა, როგორიცაა აქტიურობის შემთხვევაში, ანუ იგი მოცემულ წლებში უფრო მაღალია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში. მამაკაცებშიც და ქალებშიც დასაქმების ყველაზე მაღალი დონეა 2014 წელს (შესაბამისად, 66.6 და 51.1%), ხოლო ყველაზე დაბალი – 2006 წელს (შესაბამისად, 61,2 და 47.4%). რაც შეეხება უმუშევრობის დონეს, მთელ საანალიზო პერიოდში (1998-2014 წლები), ისიც უფრო მაღალია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიზეზად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მიჩნეულია ის, რომ დაუსაქმებელი ქალების დიდი ნაწილი დიასახლისია და, შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება.

უმუშევრობის დონე რეგიონული და ასაკობრივი ჭრილით
2014 წელს, % [7]

ცხრილი 3

| რეგიონები | უმუშერობის დონე | ასაკობრივი ინტერვალი | უმუშევრობის დონე |
|---|---|---|---|
| საქართველო | 12.4 | 15-19 | 31.5 |
| კახეთი | 22.5 | 20-24 | 30.5 |
| ქ. თბილისი | 5.2 | 25-29 | 23.5 |
| შიგა ქართლი | 8.2 | 30-34 | 17.1 |
| ქვემო ქართლი | 9.5 | 35-39 | 15.8 |
| აჭარა | 15.8 | 40-44 | 11.0 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 13.4 | 45-49 | 8.2 |
| იმერეთი | 10.1 | 50-54 | 8.7 |
| დანარჩენი რეგიონები[1] | 5.1% | 55-59 | 7.9 |
| | | 60-64 | 4.9 |
| | | 65 და მეტი | 0.9 |

მე-3 ცხრილიდან ჩანს, რომ 2014 წლის ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობის დონე შედარებით მაღალია 15-დან 34 წლამდე ასაკის მქონე აქტიურ მოსახლეობაში, ხოლო შედარებით დაბალი – 45 და მეტი ასაკის მქონე აქტიურ მოსახლეობაში. უმუშევრობის დონე განსაკუთრებით მაღალია 15-24

1 დანარჩენ რეგიონებში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შეყვანილია სამცხე-ჯავახეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი.

წლის აქტიურ მოსახლეობაში, ხოლო დაბალი – 60 და მეტი ასაკის აქტიურ მოსახლეობაში. მოცემულ პრობლემაზე მომუშავე მკვლევართა და სპეციალისტთა აზრით, ახალგაზრდა ასაკში მყოფ მოსახლეობაში უმუშევრობის შედარებით მაღალი დონე გამოწვეულია იმით, რომ მათი დიდი ნაწილი არ ფლობს რაიმე კონკრეტულ სპეციალობას და უჭირს მუშაობის დაწყება, ხოლო 65 და მეტი ასაკის აქტიურ მოსახლეობაში უმუშევრობის ყველაზე დაბალი დონის არსებობის მიზეზია ის, რომ მათთვის მოახლოებული ან დამდგარია საპენსიო ასაკი და უმეტესობა არ ეძებს სამუშაოს.

რაც შეეხება ქვეყნის რეგიონებს, როგორც მესამე ცხრილიდან ჩანს, 2014 წლისათვის უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე იყო ქ. თბილისში, აჭარასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში (შესაბამისად, 22.5, 15.8 და13.4%), ხოლო ყველაზე დაბალი – კახეთსა და ე. წ. დანარჩენ რეგიონებში (შესაბამისად, 5.2 და 5.1%).

ქალაქისა და სოფლის ჭრილით, საქართველოს მოსახლეობის უმუშერობის დონეზე წარმოდგენას იძლევა მეოთხე ცხრილის მონაცემები.

უმუშერობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილით 2014 წელს, % [7]

ცხრილი 4

| მაჩვენებლები | 2006წ. | 2010წ. | 2012წ. | 2013წ. | 2014წ. |
|---|---|---|---|---|---|
| უმუშევრობა საქართველოში | 13.6 | 16.3 | 15.0 | 14.6 | 12.4 |
| მათ შორის: ა)ქალაქებში | 26.1 | 27.2 | 26.2 | 25.6 | 22.1 |
| ბ)სოფლებში | 4.8 | 7.9 | 7.0 | 6.5 | 5.4 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2006-2014 წლებში საქართველოს ქალაქებში უმუშევრობის საშუალო დონე საშუალოდ 3-5-ჯერ მაღალი იყო, ვიდრე სოფლებში. იგი ქალაქებში ყველაზე მაღალი იყო 2010 წელს (27.2%), ხოლო ყველაზე დაბალი – 2014წელს (22.1%). სოფლის მოსახლეობაში მოცემულ პერიოდში უმუშევრობის საშუალო დონე მერყეობდა 4.8%-დან 7.9%-მდე. რაც შეეხება თანაფარდობას ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის უმუშევრობის დონეში, იგი ყველაზე მაღალი იყო 2006 წელს, ხოლო ყველაზე დაბალი 2010 წელს. კერძოდ, 2006 წელს საქართველოს ქალაქებში უმუშევრობის საშუალო დონე 5.4-ჯერ ჭარბობდა სოფლის მოსახლეობის შესაბამის მაჩვენებელს, ხოლო 2010 წელს ანალოგიური მაჩვენებელი იყო 3.3. ჩვენი მოსაზრებით, უმუშევრობის დონეში ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ჭრილით ასეთი დიდი სხვაობა საეჭვოა და იგი მეტწილად გამოწვეულია უმუშევრობის დონის მაჩვენებლის გაანგარიშების ამჟამად მოქმედი მეთოდოლოგიის ნაკლოვანებებით, რომელზედაც ზემოთ უკვე იყო მითითებული.

# მოსაზრებები საქართველოში მოსახლეობის უმუშევრობის ძირითად მიზეზებსა და მისი შემცირების გზებზე

საქართველოში ამჟამად ფაქტობრივად არსებული უმუშევრობის მაღალი დონე მრავალი მიზეზითაა განპირობებული. მათ შორისაა:

**1) წარმოების მკვეთრი დაცემა,** განსაკუთრებით ეკონომიკის ისეთ წამყვან დარგებში, როგორიცაა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის 90-იან წლებში და რომელიც ჯერ კიდევ ბოლომდე არაა აღმოფხვრილი. ქვეყანაში თითქმის მთლიანად განადგურდა მანქათმშენებლობისა და ლითონდამუშავების ისეთი დარგები, როგორიცაა: საკუთრივ მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკური მრეწველობა, ჩარხთმშენებელი და ინსტრუმენტალური მრეწველობა, ხელსაწყოთმშენებლობა, საავტომობილო მრეწველობა, სასოფლო-სამეურნეო, მათ შორის სატრაქტორო მანქანათმშენებლობა და სხვ. ასევე, თითქმის მთლიანად განადგურდა მსუბუქი მრეწველობის ისეთი წამყვანი დარგები, როგორიცაა: ბამბეულისა და შალის მრეწველობა, აბრეშუმის მრეწველობა და ა.შ. მეტ-ნაკლებად ანალოგიური მდგომარეობაა ეკონომიკის სხვა დარგებშიც. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, იგი ხელისუფლების, განსაკუთრებით ე. წ. ვარდების რევოლუციის შედეგად მოსულის, მცდარი პოლიტიკის შედეგად იმდენად გაჩანაგდა, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე დიდწილად იმპორტის ხარჯზე კმაყოფილდება, მაშინ როცა უახლოეს წარსულში საქართველო ახორციელებდა ბევრი იმ სახის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტს, რომელზედაც დღეს იმპორტს ეწევა. დასანანია ისიც, რომ დღეისათვის იმპორტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი, მისი ხარისხისა და უვნებლობის ეფექტიანი კონტროლის უქონლობის გამო, მდარე ხარისხისაა, ხშირად გენმოდიფიცირებულიც. მართალია, ბოლო წლებში სოფლის მეურნეობაში მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ქვეყნის ხელისუფლების მიერ განხორციელდა რიგი ეფექტიანი ღონისძიება, მაგრამ იგი ჯერ კიდევ სრულიად არასაკმარისია.

ყოველივე ზემოაღნიშნულს არ შეეძლო უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა მოსახლეობის დასაქმებაზე. უბრალო ჭეშმარიტებაა – ეკონომიკის ჩამოშლამ გამოიწვია ქვეყანაში სამუშაო ადგილების რაოდენობის კატასტროფულად შემცირება და, შესაბამისად, უმუშევრობის დონის ზრდა. სამწუხაროდ, სადღეისოდ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონე ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად დაბალია. უკიდურესად დაბალი ტემპით ხდება ისეთი პროდუქციის მწარმოებელი საწარმოების შექმნა, რაზეც დიდი მოთხოვნაა როგორც ადგილობრივ, ასევე საგარეო ბაზარზე და ა. შ.;

2) საქართველოში მოსახლეობის ფაქტობრივად არსებული უმუშევრობის მაღალი დონის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მისი **(უმუშევრობის)** დონის **მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდოლოგიას,** როგორც უკვე აღინიშნა,

**გააჩნია რიგი ნაკლოვანება.** ამ მიზეზით, ჩვენში უმუშევრობის ოფიციალური მაჩვენებელი ხელოვნურადაა შემცირებული, რაც იწვევს მოცემული პრობლემისადმი ყურადღების მოდუნებასა და აძნელებს მისი (უმუშევრობის) გამომწვევი მიზეზების დიაგნოზს და, შესაბამისად, მის შესამცირებლად ღონისძიებათა დასახვასა და განხორციელებას;

3) **დასაქმების ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა.** ე. წ. ვარდების რევოლუციის შედეგად მოსული ხელისუფლება ძირითადად დაკავებული იყო ისეთი პიარკამპანიებით, როგორიცაა: 2006 წელს მთავრობის დადგენილებით მიღებული სამუშაო ადგილებზე მომუშავეთა პროფესიული მომზადების ე. წ. მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სტუდენტების დასაქმების პროგრამა, 2007 წლის ბოლოს მთავრობის მიერ გატარებული უმუშევართა დასაქმების პროგრამა და ა. შ. ზემოაღნიშნული და სხვა მსგავსი პროგრამებიდან, რომლებსაც აკად. ვ. პაპავა, სავსებით სამართლიანად, უწოდებს "ცრუ დასაქმების პროგრამებს [2, გვ. 209], მიღებული დადებითი შედეგი უკუდურესად მცირეა, მასზე ბიუჯეტიდან გაწეული ფულადი დანახარჯები კი დიდი. რაც შეეხება დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის სხვა საკითხებს, და, უპირველეს ყოვლისა, მის (დასაქმების) სახელმწიფო რეგულირებას, აქ მოხდა პირიქით. იგი გაუმჯობესების ნაცვლად გაუარესდა. ასე, მაგალითად, 2005 წელს გაუქმდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შემადგელობაში ფუნქციონირებადი შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი. 2006 წელს, შრომის ახალი კოდექსის მომიზეზებით, ასევე გაუქმდა კანონი „დასაქმების შესახებ" და მისგან გამომდინარე უმუშევართა პროფესიული მომზადება-გადამზადებასთან, უმუშევრებისათვის დახმარების დანიშვნასა და გაცემასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტები. ამავე წელს გაუქმდა დასაქმების სახელმწიფო სამსახური, რომელიც ფუნქციონირებდა სხვადასხვა სახელწოდებით და რომლის ფუნქციები იყო: უმუშევართა აღრიცხვა და მათი პროფესიული მომზადება-გადამზადება, დასაქმებაზე შუამავლობა, უმუშევრებისათვის შემწეობის დანიშვნა და სხვ.;

4) საქართველოში უმუშევრობის ფაქტობრივად არსებულ მაღალ დონეს განაპირობებს ისეთი მიზეზებიც, რომლებიც საერთოდ ან ნაკლებადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების არსებულ დონეზე და მათი უმუშევრობაზე გავლენის შემცირება ძირითადად შესაძლებელია ადამიანთა რესურსების მართვის სრულყოფასთან დაკავშირებული შესაბამისი ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ღონისძიებებით. ასეთი მიზეზებია: ა) საქართველოში **ფრიქციული უმუშევრობა ხშირად გამოწვეულია სამუშაო ადგილების ვაკანსიების არსებობის შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდების არასრულყოფილებით;** ბ) სამუშაო ადგილების ვაკანსიების არსებობისას, საქართველოში **სტრუქტურული უმუშევრობის მიზეზია** პროფესიათაშორისი **მობილურობის დაბალი დონე და ქვეყნის მასშტაბით კადრების**

განაწილებაში ტერიტორიული დისპროპორციები; გ) არადამაკმაყოფილებელია ქვეყანაში არსებული ციკლური უმუშევრობის შესამცირებლად ხელისუფლების ქმედებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: შრომის ბაზრის სტიმულირება, სხვადასხვა შეღავათები ფირმებისათვის, რომლებიც ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს, გონივრულ ფარგლებში სახელმწიფო დანახარჯების დონისა და ფულის მატების ტემპის გადიდება და სხვ.; დ) საქართველოში უმუშევრობის განმაპირობებელი ერთ-ერთი, არც ისე უმნიშვნელო, მიზეზია ზეგანაკვეთური მუშაობის ქვეყანაში არსებული პრაქტიკა. არც ისე იშვიათად, დამქირავებლები ბოროტად სარგებლობენ ქვეყანაში სამუშაო ადგილების მწვავე დეფიციტით და იმ იმედით, რომ დასაქმებულები, სამუშაოს დაკარგვის შიშის გამო, მოერიდებიან მათთან კონფლიქტს, ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დროის ხანგრძლივობას საერთოდ არ აღრიცხავენ და, შესაბამისად, მისი გადიდებული ტარიფით ანაზღაურებაც არ ხდება. სამწუხაროდ, ეს ძირითადად ასეცაა. დასაქმებულები, უმეტეს შემთხვევაში, იძულებულნი არიან შეურიგდნენ ასეთ ვითარებას. ზეგანაკვეთური მუშაობა განსაკუთრებით ხშირია ქ. თბილისსა და მის გარეუბნებში. მოცემულ პრობლემაზე ჩატარებული სპეციალური გამოკვლევის შესაბამისად [8], 2014 წელს საქართველოში დასაქმებულთა 22% აცხადებდა, რომ უწევდა ზეგანაკვეთური მუშაობა. იგი განსაკუთრებით მაღალია ქ. თბილისსა (დასაქმებულთა 50%-ზე მეტი) და ქვემო ქართლში (დასაქმებულთა 44%). ყოველივე ამის ლოგიკური შედეგია მომუშავეებზე მოთხოვნის შემცირება და, შესაბამისად, უმუშევრობის ზრდა; ე) ჩვენში აქტიურად ან საერთოდ არ იყენებენ მუშაობის ისეთ მოქნილ რეჟიმებს, როგორიცაა: არასრული სამუშაო დღით დასაქმება, ორგანიზაციის პერსონალის შტატში ე. წ. შინ მომუშავე თანამშრომლების აყვანა. იშვიათად მიმართავენ, აგრეთვე, ე. წ. მუშაობის დაყოფის პრაქტიკას და ა.შ; ვ) ნაკლოვანებანი მოსახლეობის დასაქმების ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკის გატარებაში; ზ) ნაკლოვანებანი მოსახლეობის სამიგრაციო (როგორც შიგა, ისე გარე მიგრაციის) პოლიტიკის გატარებაში და ა. შ.

საქართველოში მოსახლეობის დასაქმების ამაღლების და, შესაბამისად, უმუშევრობის დონის შემცირების მიმართულებით აუცილებელია განხორციელდეს რიგი ისეთი ღონისძიება, როგორიცაა:

**1) მეტი ყურადღება დაეთმოს ეკონომიკის, განსაკუთრებით მისი რეალური სექტორის აღორძინებას.** საგანგებო ყურადღებას მოითხოვს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ეკონომიკის და, უპირველეს ყოვლისა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების აღორძინებას, რომელთა პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა როგორც შიგა, ისე გარე ბაზარზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთი პროდუქტების მწარმოებელი საწარმოების შექმნა-აღორძინებას, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ქვეყანაში მზარდი ტურისტული ნაკადების მაღალ დონეზე მომსახურებას საქართველოში წარმო-

ებული და არა იმპორტირებული პროდუქციით, რასაც, სამწუხაროდ, ამჟამად მნიშვნელოვანწილად აქვს ადგილი, რითაც ეცემა საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული საერთო ეფექტი. საქმე ისაა, რომ ასეთ ვითარებაში ჩვენთან სხვა ქვეყნებიდან შემოსული ტურისტები განაპირობებენ ახალი დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას არა ჩვენს ქვეყანაში, არამედ იმ ქვეყნებში, საიდანაც ჩვენ ვეწევით იმ პროდუქტების იმპორტს, რომლითაც ვემსახურებით მათ. სასურველია შედარებით დიდი წარმადობის საწარმოების მშენებლობასა და წარმოების ათვისებაში წილობრივი მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფომ. ასევე, სასურველია მასში კიდევ უფრო აქტიურად მონაწილეობდეს, მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების მქონე, ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ფონდები, მათ შორის საპარტნიორო და თანაინვესტირების ფონდი. მიზანშეწონილია, ეკონომიკის ახლანდელი მდგარეობისა და მისი აღორძინების ინტერესებიდან გამომდინარე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, მთავრობის შესაბამისი დადგენილებით, **შეიმუშაოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების 5-10 წლიანი ინდიკატორული გეგმა;**[1]

2) **გადაიხედოს მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის დონის მაჩვენებლის გაანგარიშების საქართველოში არსებული მეთოდოლოგია** ისე, რომ მან უზრუნველყოს მისი (დასაქმებისა და უმუშევრობის დონის მაჩვენებლის) ობიექტურობა, რაც გააადვილებს უმუშევრობის მიზეზების დიაგნოზს და, შესაბამისად, მის შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების დასახვასა და განხორციელებას;

**3) სრულყოფილ იქნეს დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა.** ამ მიზნით, დაიხვეწოს დასაქმების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, რისთვისაც საჭიროა განხორციელდეს ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დასაქმების შესახებ კანონის (რომელიც არსებობდა და 2006 წელს უსაფუძვლოდ გაუქმდა) მიღება; ამჟამად არსებული შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროდან შრომის მართვასთან დაკავშირებული საკითხების გამოყოფა და მის ბაზაზე დამოუკიდებელი მმართველობითი ორგანოს შექმნა, თუნდაც დეპარტამენტის სახით; მოხდეს უმუშევართა აღრიცხვის, მათი პროფესიული მომზადება-გადამზადების, შემწეობის დანიშვნისა და დასაქმების მიზნით, 2006 წლამდე სხვადასხვა სახელწოდებით (შრომის ბირჟა, დასაქმების სახელმწიფო ფონდი და სხვ.) ფუნქციონირებადი დასაქმების სახელმწიფო სამსახურის აღდგენა და ა. შ.;

4) ქვეყანაში ფრიქციული უმუშევრობის შემცირების მიზნით, ფართოდ **დაინერგოს შრომითი მოწყობის საკითხებზე კომპიუტერიზებული საინფორმაციო სისტემები,** რომელთა დახმარებითაც სამუშაოს მაძიებლები შეუფერხებლად მიიღებენ ინფომაციას დასაქმების ზემოხსენებული სახელმწიფო სამსახურიდან (ცხადია,თუ იგი ქვეყანაში იარსებებს);

1 ინდიკატორული გეგმა არაა დირექტიული ხასიათის და იგი არ ეწინააღმდეგება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს.

5) სტრუქტურული უმუშევრობის შესამცირებლად აუცილებელია პროფესიათაშორისი მობილურობის ამაღლების უზრუნველმყოფელი ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა: მრავალპროფილური სწავლებისათვის უპირატესობის მინიჭება, დასწრებული და დაუსწრებელი ფორმით, კადრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ორგანიზაციის სრულყოფა და სხვ. სამუშაო ადგილების ტერიტორიული დისპროპორციის შემთხვევაში მიზანშეწონილია სამიგრაციო ხარჯების დაფარვაში გარკვეული დახმარება გაეწიოს პირებს, რომლებმაც გადაწყვიტეს სპეციალისტთა ჭარბი რაოდენობის მქონე რეგიონებიდან სამუშაოდ გადავიდნენ იმავე სახის კადრებზე დეფიციტურ რეგიონებში;

6) ციკლური უმუშევრობის შეცირების მიზნით, მიზანშეწონილია ქვეყანას გააჩნდეს მოსახლეობის ერთობლივი მოთხოვნის გადიდებისაკენ მიმართული მაკროეკონომიკური პოლიტიკა, აგრეთვე, განხორციელდეს შრომის ბაზრის სტიმულირების სხვადასხვა პროგრამა. მაგალითად, საგადასახადო შეღავათები ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს და რომელიც შეიძლება განხორციელდეს ორი გზით: ა) ხელფასის სუბსიდირებისა და ბ) საგადასახადო შეღავათის გზით და ა.შ.;

7) მომუშავეთა მიერ მთელ ნამუშევარ დროში ზეგანაკვეთური მუშაობის წილისა და, შესაბამისად, უმუშევრობის დონის შემცირების უზრუნვესაყოფად, კიდევ უფრო სრულყოფილ იქნეს მოცემულ სფეროში სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია. აუცილებელია აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პროფკავშირების მხრიდან გაძლიერდეს კონტროლი ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დროის ხანგრძლივობის აღრიცხვასა და ანაზღაურებაზე. უპირველეს ყოვლისა, ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურების ზრდის საკანონმდებლო დონეზე დადგენილი კოეფიციენტი უნდა იყოს ისეთი, რომ მან ხალისი დაუკარგოს დამქირავებელს – მიმართოს ზეგანაკვეთური მუშაობის პრაქტიკას, თუ იგი გამოწვეული არაა წარმოებრივი აუცილებლობით. ამასთან, იგი არ უნდა იყოს მეტისმეტად მაღალი, რომ მან არ აიძულოს დამქირავებელი_წარმოების ზრდა განახორციელოს მხოლოდ კაპიტალის ზრდის საშუალებით. ჩვენ მიერ მიახლოებული ექსპერტული გაანგარიშებით, დღეს საქართველოში მომუშავეთა მიერ ზეგანაკვეთური მუშაობის ხანგრძლივობის თუნდაც განახევრებით, უმუშევრობის ფაქტობრივი დონე შემცირდებოდა 2-3 პროცენტული პუნქტით;

8)უმუშევრობის დონის შესამცირებლად, სასურველია ქვეყანაში აქტიურად დაინერგოს მუშაობის ისეთი მოქნილი რეჟიმები, როგორიცაა: არასრული სამუშაო დღით დასაქმება, ორგანიზაციის პერსონალის შტატში ე. წ. შინ მომუშავე თანამშრომლების აყვანა, მუშაობის (სამუშაო დღის ან კვირის სამუშაო საათების) დაყოფის პრაქტიკა და სხვ.;

9) სამიგრაციო პოლიტიკის სრულყოფა და ა. შ.

* * *

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში მოსახლეობის უმუშევრობის დონე, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, არც ისე მაღალია. მაგრამ, სამწუხაროდ, მოსახლეობის ფაქტობრივი დასაქმების მდგომარეობის შესწავლა-ანალიზისა და სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე ჩნდება ეჭვი,რომ ეს სინამდვილეში ასე არაა, რაც, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ძირითადად გამოწვეულია დასაქმებისა და უმუშევრობის დონის მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდოლოგიური ნაკლოვანებებით. დღეს ჩვენში უმუშევრობის დონე გაცილებით მაღლია, ვიდრე ეს დაფიქსირებულია ოფიციალური სტატისტიკის მიერ. იგი გამოწვეულია ისეთი ობიექტური და სუბიექტური მზეზებით, როგორიცაა: XX საუკუნის 90-იან წლებში ეკონომიკის, განსაკუთრებით მისი რელური სექტორის მკვეთრი დაცემა, რომელიც დღემდე არაა დაძლეული; დასაქმების ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა; დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდოლოგიური ნაკლოვანებები და სხვ. უმუშევრობის დონის შემცირების მიზნით, აუცილებელია განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები როგორც ქვეყნის ეკონომიკის, განსაკუთრებით მისი რეალური სექტორის, დაჩქარებული განვითარების, ასევე ქვეყანაში დასაქმებისა და უმუშევრობის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის მიმართულებით.

## ლიტერატურა:


1. Рональд Дж. Эренберг, Роберт С. Смит. Современная экономика труда. Переод с английского. М.,1996.
2. პაპავა ვ. ოთხი წელი „ვარდისფერ პარლამენტში“, თბ., 2009.
3. ტუღუში მ. დასაქმების ეფექტიანი სახელმწიფოებრივი რეგულირებისათვის, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2013, №2.
4. ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ. შრომის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2012, №1.
5. ლაცაბიძე ნ., ცარციძე მ. უმუშევრბის ეკონომიკური და სოციალური შედეგები საქართველოში, ჟურნ. „ეკონომიკა და მიზნესი“, 2009, №2.
6. ხარიტონაშვილი ჯ. უმუშევრობა და მისი დაძლევის პროგრამები: უცხოეთის გამოცდილება, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2008, №3.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წლიური ანგარიშები
8. www.geostat.ge. info@geostst.ge
9. http://iset-pi.ge/index.php/iset-economist blog/entry/2015-12-03-14-48-42

# Unemployment Problem in Georgia and Ways of Its Overcoming

***Nugzar Paichadze***

*Associate Professor, Doctor of Economic Sciences,*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*
*nugzarpaichadze@mail.ru*

At the current stage of socio-economic development of Georgia the most acute problem in the country is the raising of the level of population employment and, therefore, reduction of unemployment. About the noted problem there are published many interesting works by foreign and Georgian economist-researchers. However, due to the complexity and permanent volatility of the noted problem, scientific study of the issues related to this problem is still relevant and will continue to be so in the future. This article mainly deals with the employment and unemployment-related issues, which, in our opinion, are relatively less studied by Georgian economists working on this problem. And, proceeding from the analysis of existing situation in employment in Georgia there are suggested some concrete measures for unemployment reduction.

**Keywords:** Population employment, economically active population, labor force, employees, self-employees, employment level, unemployment level, types of unemployment.
**JEL Codes:** E 24, J 60, J 64, J 65

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 1, გვ. 28-44
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 1, pp. 28-44

# დემოგრაფიული ტრენდი – თანამედროვე გლობალური გეოსტრატეგიული ლანდშაფტის უმნიშვნელოვანესი მდგენელი და მისი გავლენა საქართველოზე

*ბადრი რამიშვილი*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

დემოგრაფიული მეგატრენდი უმნიშვნელოვანესია თანამედროვე მსოფლიოს გეოსტრატეგიული ლანდშაფტის ფორმირებაში. კაცობრიობის ისტორიაში ყოფილა ადამიანთა მასების მიგრაციის ეპიზოდები, თუმცა ის, რაც სადღეისოდ უკვე შეინიშება და სადამდეც შეიძლება მივიდეს ამ მხრივ ვითარება, გვაფიქრებინებს, რომ არცთუ შორეულ მომავალში ხალხთმოსახლეობის მოზაიკა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს. მდებარეობიდან გამომდინარე მოვლენების ეპიცენტრში საქართველო იმყოფება და ცვლილებებმა შეიძლება დრამატული გავლენა იქონიოს მასზე.

**საკვანძო სიტყვები:** დემოგრაფიული ტრენდი; დემოგრაფიული ცვლილებები; ეკონომიკური ადამიანის ეფექტიანობა; ურბანიზაცია; მოსახლეობის დაბერება; საშუალო ასაკი; რუსეთი; საქართველო.

პლანეტაზე, დემოგრაფიული თვალსაზრისით, ხშირად მეტად წინააღმდეგობრივი პროცესები ვითარდება. ამის მაგალითად, განვითარებულ და შედარებით ჩამორჩენილ რეგიონებში მიმდინარე პროცესებიც გამოდგება. სწორედ ამიტომაა საკვლევი პრობლემა ერთობ აქტუალური. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ ცალკეულ ვექტორთა არათანმხვედრი, ზოგჯერ კი საწინააღმდეგო მიმართულება, საკმაოდ ართულებს საპროგნოზო კონსოლიდირებული სურათის წარმოდგენას. დემოგრაფიული ვითარების ერთი შეხედვით ანალიზითაც ჩანს, რომ ამ მხრივ დრამატული ცვლილებები აფრიკის,

ევროპისა და აზიის კონტინენტებზე განვითარდება, ანუ საქართველო მოვლენათა ეპიცენტრში იქნება. ეს კი გლობალიზაციის ფონზე უდიდეს შესაძლებლობებს და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, უფრო დიდ საფრთხეებს წარმოქმნის მოსახლეობით ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. შესაძლებლობები და საფრთხეები სრულიად სხვადასხვა სფეროებში (პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამხედრო, ტექნოლოგიურ, კულტურულ, ეკოლოგიურ და ა.შ.) შეიძლება წარმოიქმნას, მათ შორის იქ, სადაც მისი განჭვრეტა სადღეისოდ შეუძლებელია. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ დემოგრაფიული მიმართულებით მიმდინარე ცვლილებები ყველაზე უფრო განჭვრეტადად ითვლება და ამის გამო გაადვილებულია გრძლევადიანი პროგნოზირება, მსგავსი კვლევა დროის გარკვეული ინტერვალით (მაგ. 5-10 წელიწადში ერთხელ) უნდა ჩატარდეს, რათა მოხდეს რისკების და პერსპექტივების სპექტრის მაქსიმალურად გამოვლენა.

წინამდებარე გამოკვლევა არის იმ ციკლის შემადგენელი, რომლის პირველი ნაშრომი [1] მეგატრენდების განვითარების ფონზე, გლობალური ძალების ურთიერთობების განხილვას მივუძღვენით. მაშინ ჩვენ მოვახდინეთ ოთხი გლობალური ძალის იდენტიფიცირება, ხოლო ერთ-ერთი მეგატრენდი კი, რისი მეშვეობითაც ჩვენ ვაპირებდით კვლევის განხორციელებას, სწორედ დემოგრაფიული ტრენდი იყო. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ოთხი გლობალური ძალის იდენტიფიცირების მთავარი საფუძველი სწორედ დემოგრაფიული ფაქტორებია. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მოსახლეობის ზრდის ტემპებით თუ სხვა დემოგრაფიული ასპექტებით, ისინი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, ხოლო თუ ეს ძალები რამდენიმე სახელმწიფოსგან შედგება, ეს ქვეყნები, როგორც წესი, ანალოგიური პრობლემების წინაშე დგანან. მაგალითად, დასავლურ გლობალურ ძალაში შემავალ ქვეყნებს ახასიათებს მოსახლეობის დაბერება, რიცხოვნობის მცირე წლიური ნამატი. სრულიად საპირისპირო ვითარებაა ისლამური ძალის შემთხვევაში, ჩინეთში ამ მხრივ ერთგვარი სტაბილურობა აღინიშნება, ხოლო ე.წ. რუსული გლობალური ძალა იმით გამოირჩევა, რომ მის შემადგენელ ქვეყნებში საკმაოდ განსხვავებული დემოგრაფიული ვითარებაა შექმნილი.

დემოგრაფიული თვალსაზრისით, დრამატული ცვლილებების პროცესი ამ საუკუნის დასასრულამდე გასტანს, რაც განუზომლად ზრდის გეოსტრატეგიული ლანდშაფტის ამ მიმართულებით შესწავლის მნიშვნელობას. ამჟამად და თვალსაწიერ მომავალში, გარდა მკვეთრად გამოხატული რეგიონული ვექტორებისა, დემოგრაფიული ტრენდის ფორმირების მონაწილე იქნება მთელი რიგი პროცესებისა, მაგალითად: მოსახლეობის დაბერება განვითარებულ სამყაროსა და ამის საწინააღმდეგო პროცესი თითქმის მთელ დანარჩენ მსოფლიოში, ურბანიზაცია, შრომისუნარიან ადამიანთა ეფექტიანობის ზრდა, მიგრაციის მკვეთრი გააქტიურება. ჩვენ შევეცადეთ თითოეული ამ ვექტორის მიხედვით

შეგვესწავლა განსახილველი საკითხი, ასევე მოგვეხდინა მათი ზემოქმედების საქართველოზე პროეცირება.

წინამდებარე ნაშრომში დიდი ყურადღება დავუთმეთ ადამიანის ეფექტიანობის საკითხს და მის ანალიზს გლობალური ძალებისა თუ ცალკეული ქვეყნების მიხედვით. ამ მიზნით გამოვიყენეთ ეკონომიკური ადამიანის ჩვენეული გაგება,[1] რაც არ გულისხმობს მხოლოდ კონკრეტული ინდივიდის მწრამოებლურობის უნარს, არამედ მასში აკუმულირებულია იმ გარემოს (გლობალური ძალის, ქვეყნის) ხარისხიც, რაც მისი პოტენციალის ამა თუ იმ დონეზე რეალიზებას განაპირობებს.

საქართველოს გლობალურ გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში პოზიციონირებისთვის უმნიშვნელოვანესია მის მახლობელ ქვეყნებში შექმნილი დემოგრაფიული ვითარება. ნაშრომში ამ მიმართულებითაცაა გამახვილებული ყურადღება, განსაკუთრებით კი – რუსეთსა და ე.წ. რუსული გლობალური ძალის ქვეყნებში შექმნილ ვითარებაზე ვიმსჯელეთ.

## XXI საუკუნე – გლობალური დემოგრაფიული ცვლილებების ერა

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან პლანეტაზე დაიწყო მოსახლეობის უსწრაფესი ზრდა, ანუ ე.წ. დემოგრაფიული აფეთქება, რაც პროგნოზების თანახმად, XXI საუკუნის შუახანებამდე გასტანს, ხოლო პიკს დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა XXI საუკუნის ბოლოს მიაღწევს (იხ. ცხრილი 1). დემოგრაფიული ბუმის ხელისშემწყობი რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი შეიძლება

1 სამეცნიერო მიზნებით "ეკონომიკური ადამიანის" ცნება საკმაოდ ფართოდ გამოიყენება. მას ვხვდებით ეკონომიკურ, ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, კულტუროლოგიურ, გეოგრაფიულ და ა. შ. ლიტერატურაში. ამასთან, თითოეული ამ მიმართულებითაც კი არ არსებობს აღნიშნული ცნების ერთიანი გაგება. ერთ-ერთი პირველი მინიშნება "ეკონომიკური ადამიანის", კონკრეტულად კი ადამიანის ქცევაში პირადი მისწრაფებების პრივალირების შესახებ, გვხვდება ადამ სმითის შრომებშიც, თუმცა თავად ტერმინი "Homo Economicus", უფრო გვიანდელია და ის მოიაზრებს ადამიანის ქცევის მოდელს, რისი საფუძველიც ეგოისტური მისწრაფებები და მის მისაღწევად მიღებული რაციონალური გადაწყვეტილებებია. მიუხედავად ამისა, ყველაზე ფართო გაგებით, სიტყვათა წყობა – "ეკონომიკური ადამიანი" ყოფიერების ანთროპოლოგიური საზღვრების დაძლევის აღმნიშვნელია, რაც, ჩვენი აზრით, ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას ტოვებს. ამ გარემოებით ვისარგებლეთ ჩვენ და წინამდებარე ნაშრომში შემოვიყვანეთ ეკონომიკური ადამიანისა და მისი ეფექტიანობის, როგორც ამა თუ იმ ლოკალიზაციის ადამიანთა პოტენციალის გამოყენების გასაშუალოებული ინდიკატორი. ეს არის სიახლის დამკვიდრების მოკრძალებული მცდელობა, რაც არ გამორიცხავს დისკუსიას დროთა განმავლობაში ტერმინის დახვეწისა და მისი დეფინიციის სრულყოფის მიზნით.

გამოიყოს, მაგალითად: ეკონომიკური განვითარების აჩქარება და ამ ფონზე სოციალური დაცვის ზრდა, ზოგადად სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი და კერძოდ ჯანმრთელობის დაცვის სისტემისა და ფარმაცევტული მრეწველობის განვითარება, საერთაშორისო სოლიდარობის ზრდა კაცობრიობის ჰუმანიზაციის კონტექსტით და ა.შ. თუმცა, ჩვენი ეპოქის სირთულე ისიცაა, რომ მიუხედავად მსოფლიოს მოსახლეობის საერთო რაოდენობის ზრდისა, რიგ რეგიონში უკვე შეინიშნება ზრდის ტემპების შემცირების ტენდენცია, ხოლო ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში სახეზეა დეპოპულაციის საფრთხე. მსგავსი პროცესები მრავალ პრობლემას წარმოშობს. მაგალითად, თუ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იგრძნობა ჭარბი მოსახლეობის პრობლემა, ევროპა მალე შეიძლება შრომითი რესურსების დეფიციტის წინაშე აღმოჩნდეს. ამ და სხვა მოვლენების შესახებ საქართველოს კონტექსტით უფრო დაწვრილებით ვიმსჯელებთ. თუმცა ნაშრომის ამავე ნაწილში შევეხებით ერთ უმნიშვნელოვანეს ტენდენციას, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით უდიდეს გავლენას მოახდენს კაცობრიობაზე. მხედველობაში გვაქვს მოსახლეობის დაბერების გლობალური პროცესი.

მსოფლიოს მოსახლეობა დედამიწის ძირითადი რეგიონების მიხედვით
2015-2100 წწ. (მლნ ადამიანი) [2, გვ. 1]

ცხრილი 1

| | 2015 | 2030 | 2050 | 2100 |
|---|---|---|---|---|
| აფრიკა | 1186 | 1679 | 2478 | 4387 |
| აზია | 4393 | 4923 | 5267 | 4889 |
| ევროპა | 738 | 734 | 707 | 646 |
| ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის ქვეყნები | 634 | 721 | 784 | 721 |
| ჩრდილოეთი ამერიკა | 358 | 396 | 433 | 500 |
| ოკეანია | 39 | 47 | 57 | 71 |
| მსოფლიო | 7349 | 8501 | 9725 | 11213 |

წარმოდგენილი ცხრილი ასახავს მსოფლიოს მოსახლეობის დინამიკას ძირითადი რეგიონების მიხედვით. როგორც ვხედავთ, აზიის მოსახლეობა 2050 წლისთვის 19.9%-ით გაიზრდება, ჩრდილოეთ ამერიკის – 20.9%-ით, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების – 23.7%-ით, ოკეანიის – 38.6%-ით. მოსახლეობის ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი ფიქსირდება აფრიკაში, სადაც მართლაც რომ ფანტასტიკური დემოგრაფიული ბუმია. ამ კონტინენტზე მოსახლეობა 2050 წლისთვის დაახლოებით 109%-ით გაიზრდება. საერთო პლანეტარული ზრდის კონტექსტიდან ერთგავარად ამოვარდნილია ევროპის

კონტინენტი, სადაც მოსახლეობის შემცირება დაფიქსირდება და 2050 წლისათვის კლების მაჩვენებელი 4.2%-ს შეადგენს. თუ 2015 წლისთვის დედამიწის მოსახლეობის 59.8% ცხოვრობდა აზიაში, 16.1% აფრიკაში, 10% ევროპაში, 8.6% ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის ქვეყნებში, 4.9% ჩრდილოეთ ამერიკაში, ხოლო ოკეანიის ქვეყნებში მხოლოდ 0.5%, 2050 წლისთვის დედამიწის მოსახლეობის სტრუქტურა არსებითად შეიცვლება და შემდეგ სახეს მიიღებს: აზიაში იცხოვრებს დედამიწის მთელი მოსახლეობის 54.2%, აფრიკაში – 25.5%, ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის ქვეყნებში – 8.1%, ევროპაში – 7.3%, ჩრდილოეთ ამერიკაში – 4.5%, ოკეანიის ქვეყნებში კი - 0.6%.

სადღეისოდ, არამარტო ევროპასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოში, დემოგრაფიულ საკითხს მკვეთრად ამძაფრებს მოსახლეობის დაბერების ტენდენცია. აშშ-ის დაბერების პრობლემების ინსტიტუტის თანახმად: „ჩვენ ვბერდებით არამარტო როგორც ინდივიდები და საზოგადოებები, არამედ როგორც მსოფლიო. 2006 წელს პლანეტაზე თითქმის 500 მლნ ადამიანი იყო 65 წლისა და უფრო ხანდაზმული. 2030 წლისთვის კი პროგნოზირებულია ამ რიცხვის 1 მლრდ-მდე გაზრდა, ანუ დედამიწის ყოველი 8 ადამიანიდან 1 ხანდაზმული იქნება. ნიშანდობლივია, რომ 65 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანების რაოდენობის უფრო სწრაფი ზრდა განვითარებად ქვეყნებში ხდება, სადაც 2030 წლისთვის ამ მაჩვენებლის 140%-იანი ნახტომისებური მატება დაფიქსირდება“ [3, გვ. 2]. მოსახლეობის დაბერების პროცესი მრავალი მიმართულებით მოახდენს კაცობრიობაზე გავლენას. მათაგან ექსპერტთა მიერ იდენტიფიცირებულია რამდენიმე უმნიშვნელოვანესი.

ისტორიაში პირველად და შესაძლოა კაცობრიობის მთელი შემდგომი არსებობის განმავლობაშიც, 65 წლისა და უფროს ადამიანთა რაოდენობამ გადააჭარბა 5 წლამდე ბავშვების რიცხოვნობას [3, გვ.3]. ბევრ ქვეყანაში, განვითარებადი სახელმწიფოების ჩათვლით, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის მდგრადი ტემპი აღინიშნება. ამ პროცესს კი მრავალი გამოწვევა ახლავს თან. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საპენსიო, ჯანდაცვისა და სხვა სოციალური დანახარჯების ზრდა. მაგალითად, მშპ-ში საპენსიო ხარჯების წილი 2030 წლისთვის, 2011 წელთან შედარებით, 30 ყველაზე განვითარებული ქვეყნის მიხედვით, გაიზრდება 1.3%-ით, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები 3.3%-ით. 30 წარმატებული განვითარებადი ქვეყნის მიხედვით, იმავე პერიოდში საპენსიო ხარჯების ზრდა იქნება 2.2%, ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებისა კი – 1% [4, გვ.79-80]. ამასთან, ერთი მხრივ, დასაქმებულთა და პენსიონერთა თანაფარდობის შემცირება და აგრეთვე შრომისუნარიანი ადამიანის მიერ საკუთარი სიცოცხლის სულ უფრო დიდი ნაწილის პენსიონერად გატარება, ზრდის არსებული ჯანმრთელობისა და საპენსიო სისტემების დაძაბულობას. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ იცვლება ჯანდაცვის სპეციფიკა. მომავალში გაიზრდება არაინფექციური დაავადებების ხვედრითი წონა. უკვე ამჟამად ქრონიკული არაგადამდები დაავადებები ხანდაზმულთა შორის ავადმყოფობის ძირითადი

გამომწვევია. იმის გამო, რომ ადამიანები უფრო ხანგრძლივად ცხოვრობენ და შედარებით ცოტა შვილი ჰყავთ, ოჯახის სტრუქტურა ტრასფორმაციას განიცდის, რაც ამცირებს მოხუცებზე მზრუნველობის შესაძლებლობებს, ეს კი ზრდის სოციალურ ხარჯებს. მოსახლეობის დაბერება დრამტულ გავლენას მოახდენს სოციალურ პროგრამებზე, სამუშაო ძალის მიწოდებაზე, ვაჭრობასა და დაგროვებაზე მთელი პლანეტის მასშტაბით და მოითხოვს ცვალებადი მსოფლიოს შესაბამის ახალ ფისკალურ მიდგომებს [3, გვ.3].

## ეკონომიკური ადამიანის ეფექტიანობის დისბალანსი მსოფლიოში

დედამიწაზე მკვეთრად გამოიყოფა რეგიონები ეკონომიკური განვითარების კუთხით, რის უმთავრესი მიზეზიც ადამიანის ფაქტორია. აქედან გამომდინარე, დემოგრაფიული მიმართულებით რამდენიმე დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ: პირველი, სხვადასხვა რეგიონში ეკონომიკური თვალსაზრისით განსხვავებული ეფექტიანობის მოსახლეობაა; მეორე, ამა თუ იმ ლოკალიზაციის ადამიანის ეფექტიანობის დონე არამარტო პიროვნული თვისებებით: განათლებით, პროფესიონალიზმით, კვალიფიკაციით, შრომისუნარიანობით, ნიჭით და ა.შ. არის გამოწვეული, არამედ ამას ის გარემოც განაპირობებს, სადაც უხდება საქმიანობა ადამიანს; მესამე, ვინაიდან სხვადასხვა გარემოში მცხოვრებ ინდივიდებს საკუთარი პოტენციალის გამოყენების, თვითრეალიზაციის განსხვავებული შესაძლებლობები აქვთ, ეს მთელ რიგ პროცესებს წარმოშობს დემოგრაფიული თვალსაზრისით, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიგრაცია და ურბანიზაცია (იხ. ცხრილი 2).

ზემოაღნიშნული კონტექსტით ანალიზისთვის შემოვიღეთ ეკონომიკური ადამიანის ცნება, რომლის ეფექტიანობის შეფასების უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი მიგვაჩნია. ამ და წმინდა მიგრაციის ინდიკატორების კომპლექსურად განხილვა საინტერესო დასკვნის შესაძლებლობას იძლევა. ჩვენ მიერ ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ყველაზე მაღალი შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი აქვთ აშშ-ს, ავსტრალიას, შვეიცარიას, ევროკავშირსა და ისრაელს. შესაბამისად მაღალია ამ ქვეყნებში იმიგრაციის დონეც და ის 1000 სულზე 2.24-დან 5.65 ადამიანამდე მერყეობს. შრომის მწარმოებლურობის მხრივ შემდეგი მაჩვენებელი აქვს იაპონიას, თუმცა, აქ წმინდა მიგრაციის ნულოვანი დონეა დაფიქსირებული, რაც ამ ქვეყნის ჭარბი მოსახლეობითა (ან სხვანაირად რომ ვთქვათ, მაღალი სიმჭიდროვით) და მთელი რიგი სპეციფიკური გარემოებით არის განპირობებული.

ის თუ რატომ არის მაღალი იმიგრაციის დონე იმ ქვეყნებში, სადაც ასევე დიდია შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლები და პირიქით, თუ რატომ ტოვებს მოსახლეობა დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლების მქონე ქვეყნებს, ეს მოვლენა უპირველესად სწორედ ეკონომიკური ადამიანის ეფექტიანობის დისბალანსით აიხსნება. მაგალითისთვის ავიღოთ პაკისტანი და ნიგერია. თუ

ეკონომიკური ადამიანის ეფექტიანობის მაჩვენებლები მსოფლიოს ძირითადი და საქართველოსთვის აქტუალური ქვეყნების მიხედვით (თანხობრივი მონაცემები წარმოდგენილია დოლარის პარიტეტული მყიდველობითუნარიანობის მიხედვით. ცხრილი შედგენილია [5] მასალების საფუძველზე)

ცხრილი 2

| ქვეყანა | მშპ (მლრდ დოლარი) | მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (ათასი აშშ დოლარი) | მშპ-ს 8წლის საშუალოწლიური ტემპები, % (2013-2015 წ.წ.) | დასაქმებულთა რაოდენობა (მლნ ადამიანი) | შრომის მწარმოებლურობა (ათასი აშშ დოლარი 1 დასაქმებულზე) | საშუალო ასაკი (წელი) | წმინდა მიგრაციის მაჩვენე-ბელი (მიგრანტების რაოდე-ნობა მოსახლეობის1000 სულზე) | ურბანული მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში , % | ურბანიზაციის საშუალოწლიური ტემპი, % 2010-2015 წწ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2015 | 2015 | | 2015 | 2015 | 2015 | 2015 | 2015 | |
| აზერბაიჯანი | 174.3 | 18.7 | 4.2 | 4.6 | 37.9 | 30.5 | 0.00 | 54.6 | 1.56 |
| ავსტრალია | 1489.0 | 65.4 | 2.5 | 11.7 | 127.3 | 38.4 | 5.65 | 89.4 | 1.47 |
| აშშ | 17970.0 | 56.3 | 2.2 | 148.3 | 121.2 | 37.8 | 3.86 | 81.6 | 1.02 |
| არგენტინა | 964.3 | 22.4 | 1.3 | 16.2 | 59.5 | 31.4 | 0.00 | 91.8 | 1.04 |
| ბელარუსი | 168.2 | 17.8 | -0.3 | 4.4 | 38.3 | 39.6 | 0.70 | 76.7 | 0.05 |
| ბრაზილია | 3166.0 | 15.8 | -0.1 | 102.2 | 31.0 | 31.1 | -0.14 | 85.7 | 1.17 |
| ერაყი | 531.4 | 15.5 | 1.5 | 7.5 | 70.8 | 19.7 | 1.62 | 69.5 | 3.01 |
| ეგვიპტე | 996.0 | 11.5 | 2.0 | 25.2 | 39.5 | 25.3 | -0.19 | 43.1 | 1.68 |
| თურქეთი | 1576.0 | 20.5 | 3.4 | 26.3 | 59.9 | 30.1 | 2.16 | 73.4 | 1.97 |
| იაპონია | 4658.0 | 38.2 | 1.0 | 61.0 | 74.4 | 46.5 | 0.00 | 93.5 | 0.56 |
| ინდოეთი | 8027.0 | 6.3 | 7.2 | 466.5 | 17.2 | 27.3 | -0.04 | 32.7 | 2.38 |
| ირანი | 1382.0 | 17.8 | 1.1 | 26.0 | 53.2 | 28.8 | -0.07 | 73.4 | 2.07 |
| ისრაელი | 281.8 | 34.3 | 2.8 | 3.7 | 76.2 | 39.6 | 2.24 | 92.1 | 1.37 |
| ნიგერია | 1105.0 | 6.4 | 5.2 | 43.8 | 25.2 | 18.2 | -0.22 | 47.8 | 4.66 |
| პაკისტანი | 930.8 | 4.9 | 4.0 | 59.2 | 15.7 | 23.0 | -1.54 | 38.8 | 2.81 |
| რუსეთი | 3471.0 | 23.7 | -0.7 | 70.1 | 49.5 | 39.1 | 1.69 | 74.0 | -0.13 |
| სომხეთი | 25.2 | 8.4 | 3.1 | 1.2 | 21.0 | 34.2 | -5.80 | 62.7 | -0.11 |
| უკრაინა | 334.2 | 8.0 | -5.9 | 17.5 | 19.1 | 40.1 | -2.25 | 69.7 | -0.33 |
| ჩინეთი | 19510.0 | 14.3 | 7.3 | 770.2 | 25.3 | 36.8 | -0.44 | 55.6 | 3.05 |
| ევროკავშირი | 19180.0 | 37.8 | 1.1 | 209.9 | 91.4 | 42.5 | 2.50 | 75.1 | 0.5-1.0 |
| შვეიცარია | 482.7 | 59.3 | 1.6 | 4.9 | 98.5 | 42.1 | 4.74 | 73.9 | 1.08 |
| ბანგლადეში | 577.0 | 3.6 | 6.1 | 77.9 | 7.4 | 24.7 | 0.46 | 34.3 | 3.55 |
| მსოფლიო | 113700.0 | 15.8 | 3.3 | 3118.8 | 36.5 | 29.9 | - | 54.0 | 2.05 |
| საქართველო | 35.4 | 9.5 | 3.4 | 1.6 | 22.1 | 37.9 | -2.70 | 53.6 | -0.1 |

ამ ქვეყნებიდან შრომისუნარიანი ადამიანი მოახერხებს ემიგრირებას და ავსტრალიაში, აშშ-სა ან ევროკავშირის შედარებით განვითარებულ ქვეყნებში აღმოჩნდება, მას ეძლევა შესაძლებლობა დაახლობით 5-8-ჯერ გააუმჯობესოს საკუთარი ეკონომიკური პოტენციალის რეალიზების მაჩვენებელი და ასეთივე ტემპით შეამციროს უმუშევრობის თუ სხვა სახის რისკები. ცხადია, ამის მსურველი ბევრი იქნება და რომ არა სხვადასხვა სახის ბარიერი, მსოფლიოში მიგრაციის დონე გაცილებით შთამბეჭდავი იქნებოდა.

ცხრილში ამ სახის რამდენიმე მაჩვენებელია, რაც დამატებით ახსნას საჭიროებს. მაგალითად, რუსეთის წმინდა მიგრაციის საკმაოდ მაღალი დადებითი სალდო, მუხედავად ამ ქვეყანაში წარმოქმნილი ეკონომიკური პრობლემებისა, იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ არ ამოწურულა ამ ქვეყნის დემოგრაფიული შევსების მთავარი წყარო – პოსტსაბჭოთა ქვეყნების რუსულენოვანი (და არამარტო) მოსახლეობა. მაგალითად, უკრაინის წმინდა მიგრაციის მაჩვენებელი – 2.25 ადამიანია 1000 სულზე, ხოლო სომხეთისა კი ყველაზე უარესია წარმოდგენილ მაჩვენებლებში და -5.8 ადამიანს შეადგენს. საკმაოდ ცუდი მაჩვენებელი აქვს ამ მხრივ საქართველოსაც. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ქვეყნებიდან ემიგრანტების საკმაოდ დიდი ნაწილი რუსეთში ხვდება.

მიუხედავად არასტაბლური ვითარებისა, დადებითი მიგრაციული სალდო აქვს ერაყს, ეს ომიანობის წლებში ქვეყნიდან გასული მოსახლეობის სამშობლოში დაბრუნებით შეიძლება აიხსნას. სამაგიეროდ გაუგებარია ბანგლადეშის დადებითი ბალანსი წმინდა მიგრაციის მხრივ. ეს ქვეყანა, რომელიც გამოირჩევა მოსახლეობის ყველაზე მაღალი სიმჭიდროვით პლანეტაზე და ცხრილში წარმოდგენილი ქვეყნებიდან ეკონომიკის განვითარების ყველაზე დაბალი დონით, რთული სათქმელია, რით იზიდავს იმიგრანტებს. აქ ხომ ყველაზე ნაკლები შანსია, რათა ადამიანმა სრულად მოახდინოს საკუთარი ეკონომიკური პოტენციალის რეალიზება. საინტერესოა წმინდა მიგრაციის ჩინეთის მონაცემიც, რომელიც პროცენტული გამოსახულებით, თითქოს არ არის შთამბეჭდავი, მაგრამ თუ მას აბსოლუტურ მაჩვენებელში გადავიყვანთ, მივიღებთ, რომ, ჩინეთი 2015 წელს დატოვა იქ იმიგრირებულზე დაახლოებით 600 ათასით მეტმა ადამიანმა. ამ რაოდენობის იმიგრანტს თავისუფლად შეუძლია ისტორიულად შედარებით მოკლე დროში რამდენიმე არცთუ მცირერიცხოვან ქვეყანაში ერთად შეცვალოს დემოგრაფიული ბალანსი. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინეთში აღარ არის მძიმე ეკონომიკური ვითარება, ზოგიერთი შეფასებით, იგი უკვე მსოფლიოს პირველი ეკონომიკაა და კვლავ ინარჩუნებს საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპებს. ამიტომ, ემიგრანტების ასეთი ნაკადი, შეიძლება ჩინეთის მთავრობის მიზანმიმართულ დემოგრაფიულ ექსპანსიაზე მიუთითებდეს.

საშუალო ასაკის მაჩვენებლები ნათლად მეტყველებს მოსახლეობის დაბერების პრობლემის შესახებ. ამასთან, ამის საფუძველზე რამდენიმე დასკვნა შეიძლება გაკეთდეს. ის ქვეყნები, სადაც ეს მონაცემი მაღალია, მალე დადგებიან (თუ უკვე არ დგანან) შრომითი რესურსების ნაკლებობის წინაშე, რაც

შობადობის ზრდით ან იმიგრაციული პოლიტიკის ლიბერალიზებით შეიძლება დაიძლიოს. იმ ქვეყნებიდან კი, სადაც ეს მონაცემი დაბალია და ეკონომიკური განვითარების დონეც არ არის შესაბამისი, მოიმატებს ემიგრანტთა ნაკადი. მაგალითად, ინდოეთში, სადაც საშუალო ასაკის მაჩვენებელი 27.3 წელს შეადგენს, მომავალი 20 წლის განმავლობაში შრომით რესურსებს ყოველთვიურად შეემატება 1 მლნ ახალგაზრდა [6] და თუ ამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონემ არ უზრუნველყო აღნიშნული მოცულობის ჭარბი შრომითი რესურსის ადგილზე დამაგრება, მაშინ დიდი ალბათობით, ამ ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი ემიგრაციას მიაშურებს საკუთარი ეკონომიკური პოტენციალის უფრო სრულყოფილად რეალიზებისთვის. ცხრილში გამოირჩევა ერაყისა და ნიგერიის მოსახლეობის საშუალო ასაკის მაჩვენებლები, რაც 20 წელზე ნაკლებია. ეს კი ნიშნავს, რომ უახლოესი ათწლეულების განმავლობაში, თუ რაიმე ფორსმაჟორული ვითარება არ შეიქმნა, ამ ქვეყნების ეკონომიკები შრომითი რესურსების სიჭარბის წინაშე აღმოჩდნება, რაც გაზრდილ ემიგრაციულ ალბათობაზე მიუთითებს.

ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ურბანიზაციის პროცესი და ეკონომიკური ადამიანის ეფექტიანობის დონე პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან. საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ საქალაქო დასახლებებში უფრო მაღალია განათლების მიღების, პროფესიონალიზმის სრულყოფის, მაღალანაზღაურებადი სამუშაოს მიღების, ადამიანის თვითრეალიზაციის შესაძლებლობა. სადღეისოდ ქვეყნის კარგი ეკონომიკური მდგომარეობა თითქმის ყოველთვის მიანიშნებს ურბანიზაციის მაღალ დონეზე. ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების ერაში, თანდათან ეს დამოკიდებულება, ალბათ, შეიცვლება, მაგრამ ამჟამად ამის დასტურად ჩვენ მიერ მოტანილი ცხრილის მონაცემებიც შეიძლება გამოვიყენოთ. ურბანიზაციის დონე ყველა განვითარებულ სახელმწიფოში 75%-ზე მეტია. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ურბანიზაციის დიდი მაჩვენებელი ყოველთვის არ ნიშნავს ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს. ამის დასტურად, ცხრილის მონაცემების გამოყენებით, შეიძლება მოვიყვანოთ არგენტინის, ბელორუსის და ბრაზილიის მაგალითები. ამ ქვეყნებში ურბანიზაციის დონე 75%-ზე მეტია, ხოლო მშპ მოსახლეობის ერთ სულზე განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, რამდენიმეჯერ ნაკლები.

ურბანიზაციის დაბალი დონე, გარდა იმისა, რომ ქვეყნის სუსტ ეკონომიკურ განვითარებაზე მიუთითებს, შეიძლება გარკვეული თვალსაზრისით რეზერვადაც მივიჩნიოთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქალაქო დასახლებებში უფრო მაღალია ადამიანის თვითრეალიზაციის შესაძლებლობა. უპირობო ჭეშმარიტებას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის შემთხვევაში ამ დარგს ქვეყნის შრომითი რესურსების უმნიშვნელო წილი ესაჭიროება, ანუ იქ, სადაც ქვეყნის მაღალი სიმჭიდროვის ფონზე დიდია სასოფლო დასახლებების მაცხოვრებელთა რაოდენობა, ეკონომიკის სხვა დარგებთან შე-

დარებით, მნიშვნელოვნად დაბალია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობა. აქედან გამომდინარე, შრომის საშუალო მწარმოებლურობის ჩვენ მიერ შემოყვანილი ეკონომიკური ადამიანის ეფექტიანობისა და ზოგადად ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი რეზერვი ურბანიზაციის პროცესიცაა. ამას ცხრილში მოყვანილი მაჩვენებლებიც ადასტურებს. იმ ქვეყნებში, სადაც დაბალია ურბანიზაციის დონე, მაგრამ მაღალია ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები, ასევე მაღალია ურბანიზაციის საშუალოწლიური ტემპები, კერძოდ: ინდოეთში, ნიგერიაში, პაკისტანში, ბანგლადეშსა და ჩინეთში ურბანიზაციის დონე 32.7%-დან – 55.6%-მდე მერყეობს, ურბანიზაციის საშუალოწლიური ტემპები ბოლო ხუთი წლის მიხედვით 2.38%-დან – 4.66-მდე, ხოლო მშპ-ს ზრდის ტემპები უკანასკნელი სამი წლის მიხედვით, 4.0%-7.3%-ის ფარგლებშია.

## რუსეთი დემოგრაფიულ ხაფანგში

ჩვენი კვლევის ძირითადი საკითხია გლობალურ გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში საქართველოს პოზიციის განსაზღვრა, რაზედაც როგორც მიმდინარე ციკლის სტატიებში [1,7] არაერთხელ იყო მითითებული, დიდ გავლენას ახდენს რუსეთი, რომელიც მეგაძალის იპოსტასში ცდილობს მოევლინოს მსოფლიოს. ჩვენ ეს საკითხი უკვე განვიხილეთ ეკონომიკურ თუ ენერგეტიკული ჭრილით, ხოლო მოცემულ სტატიაში ვიხილავთ თუ რამდენად აქვს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს ამის დემოგრაფიული რესურსი. როგორც რუსეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი როგოზინმა ამ ქვეყნის ერთ-ერთი ცენტრალური არხის გადაცემაში განაცხადა, „რუსეთის დაცვისთვის საჭიროა, რომ მისი მოსახლეობა 600 მლნ ადამიანი იყოს“ [8]. ის ამ შემთხვევაში არა მარტო სამხედრო მიზნებს გულისხმობდა, არამედ ეფექტიანი სუპერსახელმწიფოსთვის საჭირო დემოგრაფიულ რესურსზეც მიუთითებდა. ჩვენი აზრით, ეს ციფრი საკმოდ მიახლოებულია რეალობასთან და შემდგომი ანალიზისთვის მას დავეყრდნობით.

2015 წლის ივლისის მონაცემებით, რუსეთის მოსახლეობა 142.4 მლნ-ს შეადგენს, ხოლო 1994 წლის ბოლოს ეს მაჩვენებელი 149.6 მლნ იყო, ანუ დაახლოებით 20 წელიწადში კლებამ 7.2 მლნ ადამიანი შეადგინა. დავუშვათ, რომ რუსეთში მოხდება დემოგრაფიული სასწაული და იქ მოსახლეობის ხანგრძლივვადიანი მატება ამჟამად მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლის, წელიწადში დაახლოებით 1%-ის, შესაბამისი იქნება, ამ შემთხვევაშიც კი, რუსეთის მოსახლეობა როგოზინისთვის სასურველ რაოდენობას მხოლოდ 144 წლის შემდეგ მიაღწევს. ამავე დროს ვითარება სრულიად არ მიანიშნებს, რომ დემოგრაფიული სურათი რუსეთში გამოსწორების გზაზეა. "2015 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში რუსეთში შობადობა 5%-ით დაეცა, ხოლო 2%-ით

მოიმატა სიკვდილიანობამ. ამგვარად, მთლიანად რუსეთში დაფიქსირდა ყველაზე უარესი დემოგრაფიული ცვლილებები 1998-1999 წლების შემდეგ, როდესაც ის დეფოლტს და საფინანსო კრიზისს განიცდიდან [9].

რუსეთს დემოგრაფიული ვითარების გამოსწორების ორი გზა აქვს: „პირველი საკუთარი მოსახლეობის მატერიალური წახალისება და ამ გზით შობადობის გაზრდა და, მეორე, იმიგრაციის სტიმულირება. პირველ გზას რუსეთის ხელისუფლებამ უკვე მიმართა, მაგრამ მან არ გამოიღო სათანადო შედეგები. აღნიშნული პოლიტიკის ფორსირებისთვის კი რუსეთს აღარ აქვს სათანადო ფინანსური რესურსები. ამას გარდა აღსანიშნავია ისიც, რომ შობადობის სტიმულირების პოლიტიკა წარმატებული იყო რუსეთის იმ რეგიონებში, სადაც არარუსული მოსახლეობა (ძირითადად ისლამის აღმსარებელნი) ცხოვრობს. ეს კი იმგვარად ცვლის რუსეთის დემოგრაფიულ სურათს, რომ მხოლოდ დაასუსტებს მის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს პერსპექტივებს" [10, გვ.10-11]. რაც შეეხება იმიგრაციის სტიმულირებას, რუსეთისთვის ესეც საფრთხის შემცველია, რადგან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში თანდათანობით იწურება ე.წ. რუსულენოვანი მოსახლეობის რესურსი. სწორედ ეს მოსახლეობა იყო ძირითადი წყარო იმისა, რომ ბოლო წლებში რუსეთის დემოგრაფიული ვითარება უფრო კატასტროფული არ გახდა. სადღეისოდ ამ კუთხით შეიძლება მივანიშნოთ მაქსიმუმ 10-15 მლნ ადამიანზე, რომელთაგან ბევრმა შეიძლება აღარც მოისურვოს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება.

რუსეთის დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად დაარჩენილია ორი მნიშვნელოვანი წყარო. ერთია შუააზიის მოსახლეობა და მეორე კი – ჩინეთისა. მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ რუსეთ-ჩინეთის საზღვრის გასწვრივ ჩინეთის მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელი რამდენიმე ათეულჯერ აღემატება რუსეთის ანალოგიურ მონაცემს, რაც კორუფციის გამო თითქმის გამჭვირვალე 4.3 ათასი კმ სიგრძის საზღვრის პირობებში, დიდხანს ვერ შენარჩუნდება და ზიარჭურჭელის პრინციპი ამოქმედდება (არსებობს ძირითადად არაოფიციალური მონაცემები, რომ ის უკვე მოქმედებს კიდეც). გამომდინარე ამ მსჯელობიდან, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ რუსეთის ეფექტიან სახელმწიფოდ ქცევისთვის საჭირო დემოგრაფიული რესურსის (600 მლნ ადამიანი) მობილიზება უახლოეს ასწლეულშიც ვერ მოხერხდება გარედან შევსების გარეშე, ამ შემთხვევაში კი რადიკალურად შეიცვლება დემოგრაფიული სურათი.

ახლა განვიხილოთ შემთხვევა – აქვს თუ არა რუსეთს შესაძლებლობა იმპერიის აღდგენის ხარჯზე მოახდინოს დემოგრაფიული ნახტომი. 1989 წლის აღწერის მიხედვით, საბჭოთა კავშირის მოსახლეობა შეადგენდა 285.7 მლნ ადამიანს, ამათგან რუსი იყო 145.2 მლნ, ანუ დაახლოებით 51%-ზე ნაკლები, 1979 წლის აღწერის მიხედვით კი რუსების წილი სსრკ-ის მოსახლეობაში 52%-ზე მეტი იყო. იმპერიის სტაბილურობისთვის მპყრობელი ერის ამგვარი პროცენტული წილი უკვე თავისთავად არის მეტად საეჭვო, თუმცა, მაშინ ვითარებას

ასტაბილურებდა მძლავრი იდეოლოგიური დოქტრინა, რის მიხედვით ნაციონალური და რელიგიური საკითხი ნიველირებული იყო. ქვემოთ მოყვანილი გვაქვს მოსახლეობის საპროგნოზო რაოდენობა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში (იხ. ცხრილი 3).

ჩვენ, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში 2015 წლისთვის არსებული რუსი მოსახლეობის წილი, დავტოვეთ უცვლელად და მისი პროეცირება მოვახდინეთ 2030 და 2050 წლებზე, რაც რუსული ეთნოსისთვის უკიდურესად ოპტიმისტური პროგნოზია. დავუშვათ, რომ მოხერხდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების (გარდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისა) გაერთიანება ახალ იმპერიაში. მაშინ გამოდის, რომ 2030 წლისთვის (ეს თარიღია მოცემული ოპტიმისტური იმპერიული პროექტის მიხედვით) ამ ახალ გაერთიანებაში იცხოვრებს 288.6 მლნ ადამიანი, საიდანაც რუსი იქნება 123.9 მლნ, ანუ 42.9%, ხოლო 2050 წლისთვის კი - 281.1 მლნ, ხოლო რუსების რაოდენობა კი იქნება 115.6 ანუ 41.1%. ამ სცენარის განხორციელება კი გამორიცხულია როგორც დემოკრატიული, ასევე ავტორიტარული სახელმწიფოს კონტექსტით. რუსეთის დემოგრაფიული პერსპექტივების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ჩვენ მიერ მოყვანილი სხვა, მაგალითად: მოსახლეობის დაბერების, საშუალო ასაკის, ზრდის ტემპების მაჩვენებლებიც (იხ. ცხრილი 2 და 4).

მოსახლეობის საპროგნოზო რაოდენობა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში
(ცხრილი შედგენილია [2] მასალების საფუძველზე)

ცხრილი 3

| | მოსახლეობის საპროგნოზო რაოდენობა (მლნ) | | | რუსების წილი და რაოდენობა მთლიან მოსახლეობაში | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **2030** | **2050** | **2100** | **2015 (%)** | **2030 (მლნ)** | **2050 (მლნ)** |
| რუსეთი | 138.7 | 128.6 | 117.4 | 77.7 | 107.8 | 99.9 |
| აზერბაიჯანი | 10.7 | 11.0 | 9.6 | 1.4 | 0.15 | 0.15 |
| ბელორუსი | 9.0 | 8.1 | 6.9 | 8.3 | 0.75 | 0.67 |
| თურქმენეთი | 6.2 | 6.6 | 5.6 | 4.0 | 0.25 | 0.26 |
| მოლდოვა | 3.5 | 3.5 | 3.5 | 16.0 | 0.56 | 0.56 |
| სომხეთი | 3.0 | 2.7 | 1.8 | 0 | 0 | 0 |
| ტაჯიკეთი | 11.1 | 14.3 | 18.6 | 0 | 0 | 0 |
| უზბეკეთი | 34.4 | 37.1 | 32.1 | 5.5 | 1.9 | 2.0 |
| უკრაინა | 40.9 | 35.1 | 26.4 | 17.3 | 7.1 | 6.1 |
| ყაზახეთი | 20.1 | 22.4 | 24.7 | 23.7 | 4.8 | 5.3 |
| ყირგიზეთი | 7.1 | 8.2 | 9.0 | 7.7 | 0.55 | 0.63 |
| საქართველო | 3.9 | 3.5 | 2.4 | 1.5 | 0.06 | 0.05 |

# დემოგრაფიული მეგატრენდის გავლენა საქართველოზე

დემოგრაფიული ცვლილებები საქართველოზე უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს. პირველ რიგში უნდა გაანალიზდეს, თუ რა ზემოქმედება ექნება ამ პროცესებს საქართველოში დემოგრაფიული სურათის ჩამოყალიბებაზე; ასევე, უნდა მოხდეს ჩვენი მახლობელი და იმ ქვეყნების დემოგრაფიული მდგომარეობის შესწავლა, რომელთაც ამ მხრივ გავლენის მოხდენა შეუძლია საქართველოზე; და მესამე, გულდასმით უნდა იქნეს შესწავლილი საქართველოს გეოსტრატეგიულ პოზიციაზე დემოგრაფიული ცვლილებების ზემოქმედება.

საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც მწვავედ იგრძნობა მოსახლეობის შემცირების პრობლემა. 2015 წლის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობდა 3.7 მლნ ადამიანი[5], ხოლო 1989 წლის აღწერით კი - 5.4 მლნ, ანუ კლება 31%-ზე მეტს შეადგენს, მსგავსი ცუდი შედეგი, ალბათ, დედამიწაზე ძალიან რთული მოსაძებნია. მდგომარეობას უფრო დრამატულს ხდის ის, რომ გრძელდება დეპოპულაციის პროცესი. აქვე უნდა ითქვას, რომ, როდესაც ჩვენ ვადარებთ 2015 წლის მონაცემს წინა წლის მაჩვენებელს, რა დროსაც კლება ძალიან შთამბეჭდავია, უნდა გავითვალისწინოთ: ეს არის არა ერთწლიანი პერიოდის ამსახველი მონაცემი, არამედ მასში ასახულია აღწერებს შორის მოქცეულ 12-წლიან პერიოდში მიმდინარე დეპოპულაციის პროცესი.

ცხრილში მოყვანილი მონაცემები წარმოდგენას გვაძლევს მსოფლიოში შექმნილი დემოგრაფიული ვითარების შესახებ. მასში განხილულია ყველა კონტინენტის ამ კუთხით მინიმუმ ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო. ამავე დროს ყურადღება გამახვილებული გვაქვს იმ ქვეყნებზე, რომლებიც მეტ-ნაკლებად ახდენს გავლენას საქართველოზე დემოგრაფიული თვალსაზრისით. ცხრილი, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ადასტურებს მოსახლეობის რიცხოვნობის იმ ტენდენციებს, რასაც ზემოთ შევეხეთ. განსაკუთრებით საინტერესოა აფრიკის კონტინენტის ორი ქვეყნის - ეგვიპტის და ნიგერიის მონაცემები. პირველ მათგანში განსახილველ პერიოდში მოსახლეობის მატებამ 45.6%, ხოლო მეორეში კი 85.1% შეადგინა. ცხრილში მოყვანილ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, აზერბაიჯანის გარდა, მოსახლეობის შემცირების ტენდენცია შეინიშნება, მათგან ყველაზე უარესი მაჩენებელი, სამწუხაროდ, საქართველოს აქვს.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საინტერესოა მოსახლეობის სიმჭიდროვის მონაცემების განხილვა. აზერბაიჯანში ეს მაჩვენებელი 1994 წელს 1კმ$^2$ 89 ადამიანს, ხოლო 2015 წელს 113 ადამიანს შეადგენდა, სომხეთის ანალოგიური მაჩვენებლებია დაახლოებით 119 და 103 ადამიანი; თურქეთის - 79 და 101; რუსეთის - 9 და 8; ხოლო საქართველოსი კი - 82 და 53 ადამიანი. რუსეთს ჩვენ კიდევ შევეხებით, ხოლო დანარჩენის საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარების შედეგად ადვილად დავინახავთ, რომ საქართველო ამ სამ მოსაზღვრე ქვეყანასთან შედარებით, ყველაზე ნაკლებად დასახლებულია. მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებლები ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ინდოეთი, პაკისტანი ნიგერია, ჩინეთი, რომლებთანაც საკმაოდ აქტიური მიგ-

რაციული ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა, რამდენიმეჯერ აღემატება საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს.

ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები საქართველოსთვის აქტუალური ქვეყნების მიხედვით (ცხრილი შედგენილია [5; 11; 12] მასალების მიხედვით)

ცხრილი 4

| ქვეყანა | ტერიტორია (ათასი კმ$^2$) | მოსახლეობა სულ (მლნ ადამიანი) | | მოსახლეობის სიმჭიდროვე (ადამიანი 1 კმ$^2$-ზე) | | მოსახლეობის ზრდის ტემპი (%) | | სიცოცხლის ხანგრძლივობა (წელი) | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1994** | **2015** | **1994** | **2015** | **1994** | **2015** | **1994** | **2015** |
| აზერბაიჯანი | 86.6 | 7.68 | 9.78 | 89 | 113 | 1.41 | 0.96 | 70.85 | 72.2 |
| ავსტრალია | 7741 | 18.08 | 22.75 | 2.3 | 2.9 | 1.38 | 1.07 | 77.57 | 82.15 |
| აშშ | 9826 | 260.71 | 321.37 | 26.5 | 32.7 | 0.99 | 0.78 | 75.9 | 79.7 |
| არგენტინა | 2780 | 33.91 | 43.43 | 12.2 | 15.6 | 1.12 | 0.93 | 71.4 | 77.7 |
| ბელარუსი | 207.6 | 10.4 | 9.6 | 50.3 | 47.1 | 0.32 | -0.2 | 70.1 | 72.5 |
| ბრაზილია | 8515 | 158.8 | 204.3 | 18.7 | 24.0 | 1.28 | 0.77 | 62.3 | 73.5 |
| ერაყი | 438.3 | 44.1 | 37.1 | 100.1 | 84.7 | 3.73 | 2.93 | 65.7 | 74.5 |
| ეგვიპტე | 1001.5 | 60.8 | 88.5 | 60.7 | 88.4 | 1.95 | 1.79 | 60.8 | 73.7 |
| თურქეთი | 783.6 | 62.2 | 79.4 | 79.3 | 101.2 | 2.02 | 1.26 | 70.9 | 74.6 |
| იაპონია | 378 | 125.1 | 126.9 | 330.9 | 335.7 | 0.32 | -0.16 | 79.3 | 84.7 |
| ინდოეთი | 3287 | 919.9 | 1251.7 | 279.9 | 380.8 | 1.82 | 1.22 | 58.6 | 68.1 |
| ირანი | 1648.2 | 65.6 | 81.8 | 39.8 | 49.6 | 3.46 | 1.2 | 65.6 | 71.2 |
| ისრაელი | 20.8 | 5.1 | 8.1 | 245.2 | 389.4 | 2.22 | 1.56 | 77.7 | 82.3 |
| ნიგერია | 923.8 | 98.1 | 181.6 | 106.2 | 196.6 | 3.15 | 2.45 | 55.3 | 55.1 |
| პაკისტანი | 796.1 | 128.1 | 199.1 | 160.9 | 250.1 | 2.86 | 1.46 | 57.4 | 67.4 |
| რუსეთი | 17098.2 | 149.6 | 142.4 | 8.7 | 8.3 | 0.2 | -0.04 | 69.9 | 70.5 |
| სომხეთი | 29.7 | 3.5 | 3.06 | 118.5 | 103 | 1.08 | -0.15 | 72.07 | 74.37 |
| უკრაინა | 603.6 | 51.8 | 44.4 | 85.8 | 73.6 | 0.05 | -0.6 | 70.0 | 71.6 |
| ჩინეთი | 9597 | 1190.4 | 1367.5 | 124.0 | 142.5 | 1.08 | 0.45 | 67.9 | 75.4 |
| ევრო-კავშირი | 4324.8 | | 513.9 | | 118.8 | | 0.25 | | 80.2 |
| შვეიცარია | 41.3 | 7.0 | 8.1 | 169.5 | 196.1 | 0.7 | 0.71 | 78.2 | 82.5 |
| ბანგლადეში | 148.5 | 125.1 | 169.0 | 839.5 | 1134.2 | 2.33 | 1.6 | 55.1 | 70.9 |
| მსოფლიო | 148940 | 5643.3 | 7256.5 | 37.9 | 48.7 | 1.5 | 1.08 | 62 | 68.7 |
| საქართველო | 69.7 | 5.7 | 3.7 | 81.8 | 53.1 | 0.81 | -0.08 | 72.8 | 76.0 |

დემოგრაფიული თვალსაზრისით, ბანგლადეში გამორჩეულია დედამიწაზე და ამასთან ის არცთუ შორსაა ჩვენგან. კუთვნილი წყლით დაფარული ტერიტორიის გათვალისწინებით, ამ ქვეყნის ფართობია 148.5 ათასი კმ$^2$, ანუ ის საქართველოზე დაახლოებით 2.1-ჯერ დიდია. სამაგიეროდ იქ ცხოვრობს დაახლოებით 169 მლნ ადამიანი, ანუ საქართველოს ტერიტორიის ტოლ ფართობზე განსახლებულია დაახლოებით 80 მლნ ადამიანი. მსგავსი სიმჭიდროვე დედამიწაზე არ გვხვდება არცერთ ქვეყანაში, გარდა ქალაქსახელმწიფოებისა. 2015 წლის მონაცემით, ამ ქვეყნის მოსახლეობის სიმჭიდროვე 1კმ$^2$-ზე იყო დაახლოებით 1134 ადამიანი. შედარებისთვის, ქალაქ თბილისის ანალოგიური მაჩვენებელი სადღეისოდ 1553 ადამიანია. თუ დავუშვებთ, რომ ბანგლადეშის მთელი ხმელეთი - 130.2 ათასი კმ$^2$, გამოყენებულ იქნება სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით, მოსახლეობის ერთ სულზე მოვა მხოლოდ 0.077 ჰა სოფლის მეურნეობის სავარგული.

სიცოცხლის ხანგრძლივობა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის განვითარების დონესთან, მის ბიოკლიმატურ პირობებთან, პოლიტიკურ ვითარებასთან, ტრადიციებთან და ა.შ. განსახილველ პერიოდში ამ მაჩვენებლის ზრდა აღინიშნება თითქმის ყველა ქვეყნის შემთხვევაში. გამონაკლისია მხოლოდ ნიგერია, სადაც მცირე გაუარესებას აქვს ადგილი და რუსეთი, სადაც მეტად უმნიშვნელო ზრდა დაფიქსირდა. ამ მხრივ ყველაზე კარგი მდგომარეობაა იაპონიაში, სადაც 2015 წელს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 84.7 წელი იყო და ეს არც არის საკვირველი, რადგან იაპონია თითქმის ყველა იმ პირობის მიხედვით გამოირჩევა მსოფლიოში, რაც ხანგრძლივ სიცოცხლეს უწყობს ხელს. საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 2015 წელს იყო 76 წელი, რაც 3.2 წლით აღემატება 1994 წლის მაჩვენებელს. მართალია, ეს არ არის პლანეტის საუკეთესო მონაცემი, მაგრამ ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების ფონზე დამაიმედებელია. ქართველთა ხანგრძლივი სიცოცხლის განმაპირობებელი უმთავრესად საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში უნდა ვეძიოთ.

საქართველოზე დემოგრაფიული მეგატრენდის უშუალო გავლენა ჯერჯერობით მკვეთრად უარყოფითია. მიუხედავად იმისა, რომ ის იმ რეგიონების მიჯნაზე მდებარეობს, საიდანაც ერთში დემოგრაფიული ბუმია, ხოლო მეორეში კი უმწვავესი პრობლემები, საქართველო სწორედ დემოგრაფიულად დეპრესიული რეგიონის ნიშანთვისებებს ატარებს, უფრო მეტიც, ამ მხრივ ის „ლიდერადაც" კი გვევლინება. თუ ასე გაგრძელდება, არცთუ შორეულ მომავალში, პროპორციული თვალსაზრისით დემოგრაფიული შემადგენლობის შეცვლის გარეშე, შეუძლებელი იქნება ეკონომიკური განვითარება, ეს კი კატასტროფას გამოიწვევს ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით. ვითარებას ამწვავებს ის, რომ საქართველოზე გადის უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო მაგისტრალები, რასაც, როგორც წესი, თან ახლავს აქტიური დემოგრაფიული მიმოქცევა. მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია ფორსირებული წესით შემუშავდეს სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა და დაიწყოს მისი რეალიზება. უნდა წახალისდეს შობადობა, მაგრამ სწრაფი შედეგის მიღწევის-

თვის აუცილებელია ქართული ემიგრაციის მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნება ქვეყანაში.

## ლიტერატურა:


1. ბ. რამიშვილი, საქართველოს პოზიცია გლობალურ გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში, ჟურნ. "ეკონომიკა და ბიზნესი", 2015, №1.
2. World Population Prospects The 2015 Revision – UNITED NATIONS
3. Why Population Aging Matters. A Global Perspective – NATIONAL INSTITUTE ON AGING, NATIONAL INSTITUTES OF HEALTH, U.S. DEPARTMENT OF HEALTH AND HUMAN SERVICES.
4. "Fiscal Monitor - Fiscal Adjustment in an Uncertain World" 2013 - International Monetary Fund.
5. https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/
6. http://www.adb.org/publications/asian-development-outlook-2011-update-preparing-demographic-transition
7. ბ. რამიშვილი, ენერგეტიკული ტრენდის განვითარების მიმართულებები და მისი გავლენა საქართველოს სტრატეგიულ მდგომარეობაზე, "ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი", 2015, №2.
8. https://www.youtube.com/watch?v=-jIOKukYwdE
9. http://inosmi.ru/russia/20150429/227785020.html
10. ბ. რამიშვილი, რუსეთის გეოპოლიტიკური გამოწვევები აღმოსავლეთ აზიაში მიმდინარე დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე, თეუსუ-ს სამეცნიერო ჟურნალი, 2010. №1.
11. http://www.theodora.com/wfb/1995/
12. http://www.geostat.ge/


# The Demographic Trend - The Most Important Component of the Modern Global Geo-Strategic Landscape and Its Impact on Georgia


***Badri Ramishvili***

*Associate Professor,*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*



The author continues the series of articles, the aim of which is the identification of Georgia's position in the global geo-strategic landscape; the given work explores the demographic megatrend, which is determined by demographic explosion and started from the second half of the XX century and according to the projections it will last until the mid-21st century and will have a significant impact on the planet's geo-strategic landscape formation.

According to the author, several important factors, contributing to demographic boom on the planet, can be identified, for example: the acceleration of economic development and the increase of social protection in this light, scientific and technological progress in general and in particular, the development of the health care system and pharmaceutical industry, the growth of international solidarity in the context of the humanization of mankind, etc. At the same time, in a number of regions there have been observed the downward trend of the reduction of growth rates, while some European countries face the threat of depopulation. According to the author, such processes give rise to many problems. For example, if in many countries there is the problem of excess population; Europe can soon face a shortage of labor resources. It is also emphasized that the global population aging process also exacerbates demographic problem in some countries.

According to the level of economic development, the author considers the human factor as the main reason for the planet's sharp regionalization and therefore he makes a conclusion: first, in different regions, from economic standpoint, there is population of different effectiveness; second, the level of effectiveness of the human of a certain localization is conditioned not only by personal characteristics: education, professionalism, qualifications, performance, talent, etc. but also it is determined by the setting where a person has to work; third, because the individuals, living in different settings, have different possibilities of the use of their own potential and self-realization, it gives rise to a number of processes in the demographic point of view, among them migration and urbanization are of particular importance. In this regard, in the research context, the author introduces the economic man's concept and considers the index of labor productivity as the most important criterion for the assessment of effectiveness; however, in this regard, he gives and analyzes the GDP, GDP growth, labor force, urbanization level and rates, median age, net migration indicators.

The author believes that Russia has a great influence on the determination of Georgia's position in the global geo-strategic landscape; he pays great attention to the study of the demographic perspectives of this country. A separate chapter is dedicated to the issue in this work; in its final part there are opinions that Russia has not demographic resources for imperial formation and even more – proceeding from the size of territory and demographic problems, it doesn't have sufficient population for the formation of effective state.

The final part of the work is devoted to the analysis of the impact of demographic megatrend on Georgia, which in the author's opinion, is still clearly negative. On the basis of different data he has presented the grave situation in Georgia in this regard and considers that it is necessary to formulate and start the implementation of the state demographic policy. It should be encouraged fertility, but to achieve fast results, it is necessary for a significant part of Georgian emigration to return to Georgia.

**Keywords:** Demographic trend, demographic changes, effectiveness of economic man, urbanization, population aging, median age, Russia, Georgia.
**JEL Codes:** J 10, J 11, J 14

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 1, გვ. 45-61
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 1, pp. 45-61

# მთავრობის მასშტაბის (ზომის) გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

*სულხან ტაბაღუა*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*დოქტორანტი*
*sulkhani87@gmail.com*

ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფოს მონაწილეობის დონე საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც საქართველოში, ასევე სხვა განვითარებად თუ განვითარებულ ქვეყნებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე პირობებში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად რჩება საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობასა და მთავრობის მასშტაბის განუწყვეტლივ ზრდას ან შემცირებას შორის არსებული კავშირის გამოვლენა. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ხშირ შემთხვევაში მთავრობის მასშტაბის ზრდა ბიუროკრატიულ მიზნებს ემსახურება და მისი ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე შეიძლება უმნიშვნელო ან/და უარყოფითი იყოს. ეკონომიკაში მთავრობის მასშტაბის შემცირებაც გარკვეულ კითხვებს ბადებს, რადგან აღნიშნული დაკავშირებულია მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმასთან.

**საკვანძო სიტყვები:** ბიუჯეტის ხარჯები; ბიუჯეტის შემოსავლები; ეკონომიკური ზრდა; არმეის მრუდი.
**JEL: E62, H10, H50, B12, C01**

## მთავრობის მასშტაბის მაჩვენებელი

ეკონომიკურ ზრდასა და მთავრობის მასშტაბს შორის არსებული კავშირის გამოსავლენად, მთავრობის მასშტაბის სხვადასხვა მაჩვენებელს იყენებენ, კერძოდ: ქვეყნის მთლიან აქტივებში სახელმწიფო აქტივების წილი; სახელმწი-

ფო სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის თანაფარდობა მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობასთან; სახელმწიფო სექტორის გამოშვება; სახელმწიფო ინვესტიციების წილი ქვეყანაში განხორციელებულ ინვესტიციებში; სახელმწიფო ხარჯების თანაფარდობა მშპ-თან; ბიუჯეტის შემოსავლების წილი მშპ-ში. ადრეულ ეტაპებზე განხორციელებული კვლევების უმრავლესობაში მთავრობის ზომის ანალიზისათვის გამოყენებულია სახელმწიფო მოხმარება [1]; სახელმწიფო ხარჯები [2]; საერთო და სოციალური ხარჯები [3;4;5]; ხარჯების და შემოსავლების წილი მშპ-ში [6]. უახლესი კვლევები მთავრობის მასშტაბის შეფასებისათვის იყენებს მთლიან საგადასახადო შემოსავლებს და მთლიან ბიუჯეტის ხარჯებს [7;8;9]; ბიუჯეტის მთლიან ხარჯებს [10]; ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებსა და ხარჯებს [11;12][1].

ეკონომიკური ზრდის თეორია ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს თანამედროვე მაკროეკონომიკურ კვლევებში. ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი საბაზისო მოდელი ეყრდნობა რ. სოლოუს (Solow) [13] ნეოკლასიკურ მიდგომას, რომლის მიხედვით გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა ეფუძნება ორ ძირითად ფაქტორს – ტექნოლოგიური ცვლილებასა და მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის კონვერგენციას (აღნიშნული ფაქტორები ეგზოგენური ხასიათისაა, რაც ამცირებს მთავრობის როლს ეკონომიკური ზრდის პროცესში). ეკონომიკური ზრდის სხვა მოდელები, რომლებიც შემუშავებულია რომერის (Romer) [14], ლუკასის (Lucas) [15] და ბაროს (Barro) [16;17;18] მიერ, ეყრდნობა ენდოგენურ ფაქტორებს და შესაბამისად, ზრდის მთავრობის როლს ეკონომიკური ზრდის სტიმულირების პროცესში.

## მთავრობის მასშტაბსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის ზოგადი მიმოხილვა

ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილი თეორიები მთავრობის მასშტაბსა და ეკონომიკურ ზრდას შორის წრფივ და არაწრფივ ურთიერთდამოკიდებულებას განიხილავს. მეცნიერთა ერთი ნაწილი, ლანდაუ (Landau), ბარო (Barro), ენგენი და სკინერი (Engen; Skinner), ჰანსონი და ჰენრეკსონი (Hansson; Henrekson), ჰლოსტერი (Fölster), ილარიონოვი და პივოვაროვა (Илларионов; Пивоварова) დარი და ამირხალხალი (Dar; AmirKhalkhali), რომერო-ავილა და სტრაუჩი (Romero-Ávila; Strauch), ბერგი და კარლსონი (Bergh; Karlsson) მიუთითებს მთავრობის მასშტაბსა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებულ უარყოფით კავშირზე [2;19;17;20;21;22;23;24;10;25;12], მეორე ნაწილი – რობინსონი (Rubinson). გროსმანი (Grossman), კოლომბერი (Colombier), აფონსოსა და ფურცერი (Afonso; Furceri) კვლევებში აღნიშნულ ცვლადებს შორის

1 წინამდებარე სტატიაში მთავრობის მასშტაბსა და ეკომომიკურ ზრდას შორის არსებული კავშირის შეფასებისათვის გამოყენებულია ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობა მშპ-თან, 1996 წლის ფასებით.

პოზიტიური ურთიერთკავშირის არსებობას უსვამენ ხაზს [26;27;9;11]. მთავრობის მასშტაბის ზრდის აუცილებლობა ეკონომიკურ ლიტერატურაში გამყარებულია შემდეგი ორი არგუმენტით: პირველი „ვაგნერის კანონის“ (Wagner law) სახელწოდებით არის ცნობილი, რომლის მიხედვითაც საზოგადოების შემოსავლების ზრდის შესაბამისად, საზოგადეობის ელასტიკურობის კოეფიციენტი სახელმწიფო ხარჯებისადმი 1-ზე მეტია, რაც იწვევს მთავრობის მასშტაბის ზრდას [28, გვ. 192-193); მეორე, „ბაუმოლის ხარჯების დაავადება“ (Baumol's cost disease), მიუთითებს იმაზე[1], რომ სახელმწიფო ხარჯების მაჩვენებელი იზრდება, გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო მოხელეების ხელფასები იზრდება უფრო მეტად, ვიდრე მათი პროდუქტიულობა [29, გვ.447].

მთავრობის მასშტაბის თეორიული მოდელი სათავეს იღებს არმეის მრუდიდან [31], რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება მთავრობის მასშტაბის ანალიზისათვის[2] (დიაგრამა 1).




დიაგრამა 1
არმეის მრუდი

აღნიშნული მრუდი გვიჩვენებს მთავრობის მასშტაბისა (სახელმწიფო ხარჯები/მშპ) და ეკონომიკურ ზრდას (მშპ-ის რეალური ზრდა) შორის თანაფარდობას. მრუდის თანახმად, მცირე მასშტაბის მთავრობის პირობებში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელიც მცირე იქნება (თეორიულ დონეზე ის შეიძლება ნულიც იყოს). სახელმწიფოს ხარჯების ზრდა ხელს უწყობს ეკონომიკის სტიმულირებას, რაც აისახება მშპ-ის ზრდაში, თავდაპირველად უფრო მაღალი ტემპით, იმ წერტილამდე, სადაც მიაღწევს მაქსიმალური ეკონომიკური ზრდის

1 აღნიშნული ასევე ცნობილია „ბაუმოლის ეფექტის“(Baumol Effec) სახელწოდებით.

2 ეკონომიკურ ლიტერატურაში ასევე ცნობილია “BARS curve” (აკრონიმი სახელებისა: Barro, Armey, Rabn და Scully), რომელიც მთავრობის მასშტაბის და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებული კავშირის ანალიზისათვის გამოიყენება [32].

მაჩვენებელი (A) მთავრობის გარკეული მასშტაბის პირობებში (C)[1] . აღნიშნული წერტილის შემდეგ მთავრობის მასშტაბის გაზრდა ამცირებს ეკონომიკურ ზრდას გამომდინარე იქიდან, რომ ამ ქმედების შემდეგ სახელმწიფოს უწევს საგადასახადო პოლიტიკის ცვლილება, რაზეც უარყოფითად რეაგირებს ეკონომიკურ აგენტთა უმრავლესობა, რაც, თავის მხრივ აისახება ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებაზე.[2] არმეის მრუდზე დაყრდნობთ გაკეთებული ემპირიული კვლევებიდან ჩანს, რომ ცალკეულ ქვეყნებში ადგილი აქვს მთავრობის ოპტიმალური მასშტაბის მაჩვენებელზე გადაჭარბებას. კერძოდ, რ. ვედერის და ე.გალვეის (Vedder, Gallaway) [34,გვ.7] მიერ განხორციელდა აშშ-ის 200 წლიანი პერიოდის ანალიზი. კვლევის თანახმად, სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-ში, რომელიც ეკონომიკური ზრდის მაქსიმიზაციას უწყობს ხელს, შეადგენს მშპ-ის 17,45%-ს. ჯ.ჩაოს და ჰ.გრუბელის (Chao, Grubel) კვლევების მიხედვით განვითარებულ თუ განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ადგილი აქვს მთავრობის ოპტიმალურ მაჩვენებელზე გადაჭარბებას [35]. პევნიკის (Pevcin) მიერ ჩატარებულ კვლევაში, რომელიც ეხება ევროპის ქვეყნების მონაცემების ანალიზს, მთავრობის ოპტიმალური ზომის მაჩვენებლები შეადგენს: იტალიაში-37,09%; საფრანგეთში – 42,90%; ფინეთში-38,98%; შვედეთში – 45,96%; გერმანიაში-38,45%; ჰოლანდიაში – 44,86% [36,გვ.10). ცენტრალური ევროპის ქვეყნებისათვის აღნიშნული მაჩვენებელი შეიძლება იყოს 37%-39% შორის [36,გვ. 30]. როგორც ცალკეული კვლევებიდან ჩანს, ყველა ქვეყანას აქვს მთავრობის ოპტიმალური მასშტაბის საკუთარი სიდიდე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორსა და წინაპირობაზე (როგორიცაა: ეკონომიკური განვითარების დონე, საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტებისა და საზოგადოებრივი სექტორის ეფექტიანობა, სახელმწიფო ადმინისტრირება და მოსახლეობის უპირატესობები). გროსმანის [38], სკულის (Scully [39], ჩაოსა და გრუბელის [35], პევნიკის [36] კვლევები გვიჩვენებს, რომ ზოგადად, სახელმწიფო ხარჯების ოპტიმალური პროცენტული წილი მშპ-ში არ შეიძლება მიღწეულ იქნეს.[3]

1 როგორც დიაგრამიდან ჩანს, C-წერტილი წამოადგენს მთავრობის ოპტიმალური მასშტაბის მაჩვენებელს.

2 ეკონომიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ სიტუაციას, როდესაც გადასახადების გადიდება ზრდის ერთობლივ მოთხოვნას, ეს უკანასკნელი დამოკიდებულია შინამეურნეობების მხრიდან მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებასა (b) და სახელმწიფოს მხრიდან მოხმარებაზე ზღვრულ მიდრეკილებას (g) შორის თანაფარდობაზე, შესაძლებელია ეკონომიკაში ადგილი ჰქონდეს მათ შორის შემდეგ კომბინაციას: b>g; b<g; b=g [33, გვ.27-36].

3 ყველაზე პრაქტიკული რჩევა, რომელიც ეხება მთავრობის მასშტაბის სიდიდეს ეკონომიკაში, ეკუთვნის მილტონ ფრიდმანს, რომელმაც აღნიშნა, რომ „სახელმწიფომ უნდა ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი თავისუფალ და ღია საზოგადოებაში. მისი საშუალო მონაწილეობა დადებითია; მაგრამ მე მჯერა, რომ ზღვრული მონაწილეობა, რომელიც იზრდება ეროვნული შემოსავლების

იმ ქვეყნებში, სადაც ადგილი აქვს მდგრად სტატისტიკურ კავშირს მთავრობის მასშტაბისა და ეკონომიკურ ზრდას შორის, მთავრობის მასშტაბის კრიტიკული მაჩვენებელი შეადგენს: ღარიბი ქვეყნებისათვის მშპ-ის 35%; საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებში დაახლოებით 46%; მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვის მშპ-ის 75%. ქვეყნებში, სადაც ადგილი აქვს ამ ორ ცვლადს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირს, მთავრობის ოტიმალური მასშტაბი (1991-2000 წლებში) შეადგენდა: დაბალგანვითარებული ქვეყნებისათვის მშპ-ის დაახლოებით 15%-ს; საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებისათვის – 17%; მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვის – 24% [25, გვ.33].

## მთავრობის მასშტაბი და ეკონომიკური ზრდა

მთავრობის მასშტაბსა და ეკონომიკრ ზრდას შორის არსებული კავშირის შესასწავლად მნიშვნელოვანია ბიუჯეტის ხარჯებსა და ეკონომიკური ზრდას შორის კავშირის სტატისტიკური ანალიზი. როგორც დიაგრამა 2-დან ჩანს, მთავრობის მასშტაბის გავლენა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ცვლილებებზე არაერთმნიშვნელოვანია. ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალ ტემპი დაფიქსირდა იმ ქვეყნებში, სადაც მთავრობის მასშტაბი მშპ-თან შეფარდებით 35%-ზე ნაკლები იყო[1].

დიაგრამა 2

კავშირი მთავრობის მასშტაბსა და ეკონომიკურ ზრდას შორის (ევროკავშირის 28 წევრი ქვეყანა, 2000-2013 წწ)*




* დაჯგუფებულია ავტორის მიერ ოფიციალური სტატისტიკის გამოყენებით.

15%-დან-50%-მდე, იქნება კლებადი...“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფრიდმანის მიხედვით, მთავრობის მასშტაბის ოპტიმალური მაჩვენებელი, სადღაც 15% და 50% შორის არის მოქცეული [39, გვ.14).

1 უფრო მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი.

საქართველოში 2002-2014 წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა მთავრობის მასშტაბის მნიშვნელოვან ცვლილებას. კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში მთავრობის მასშტაბის ზრდის საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 29,2%-ს, აღნიშნულ წლებში ეკონომიკის რეალური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 6,2% იყო (დაიგრამა 3).

დიაგრამა 3

კავშირი მთავრობის მასშტაბისა და ეკონომიკურ ზრდას შორის საქართველო, 2003-2014 წწ*




* გაანგარიშებული ავტორის მიერ ოფიციალური სტატისტიკის გამოყენებით.

## მთავრობის მასშტაბის მოდელის ფორმირება

მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკური მონაცემების ანალიზი თვალსაჩინოს ხდის მთავრობის მასშტაბსა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებულ კავშირს, მასზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა მიზანშეწონილი არ არის, რაც ზრდის მთავრობის ზომის მოდელის ფორმირების აუცილებლობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენს კვლევას საფუძვლად დაედო ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელი[1], სადაც მაკროეკონომიკურ წონასწორობა აღწერილია შემდეგი ტოლობით:

1 აღნიშნული მოდელი ეყრდნობა ფასების სიხისტისა და ფულის ნეიტრალურობის შესახებ დაშვებას.

$$Y^D = C(\underset{-}{i}, \underset{-}{G}) + I(\underset{-}{i}) + G$$

$$Y^S = Y^S(\underset{+}{i}, \underset{+}{G})$$

სახელმწიფო ხარჯები ეკონომიკურ კონიუქტურაზე ზემოქმედებს შემდეგი სახით: ა) მცირდება მოსახლეობის განკარგვადი შემოსავალი (სახელმწიფოს ხარჯების დაფინასების წყაროა გადასახადები); ბ) მცირდება სამომხმარებლო ხარჯები, გამომდინარე იქიდან, რომ მოთხოვნის ნაწილი კმაყოფილდება სახელმწიფოს მიერ; გ) იზრდება საწარმოების მწარმოებლურობა, სახელმწიფო აფინანსებს ფუნდამენტურ კვლევებს, ხელს უწყობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას და ა.შ. სახელმწიფო ხარჯების ერთი ერთეულით ზრდისას, მოსახლეობა ზოგავს სამომხმარებლო ხარჯებს $a$ ერთეულით, წამოების მოცულობა იზრდება $\beta$ ერთეულით. თუ $(a+\beta)>1$-ზე, მაშინ ეკონომიკაში მიზანშეწონილია სახელმწიფო ხარჯების ზრდა. მოსახლეობა დაინტერესებულია სახელმწიფო ხარჯების თანაფარდობა მშპ-თან მიმართებით გაიზარდოს იმ წერტილამდე, სანამ არ მიაღწევს მის კრიტიკულ მნიშვნელობას $(a+\beta)=1$ . თუ სახელმწიფო ხარჯების შემდგომი ზრდა ერთჯერად ხასიათს ატარებს, მაშინ მოსახლეობის ხელთ არსებული განკარგვადი შემოსავალი ერთჯერადად მცირდება, რისი კომპენსირება დანაზოგებიდან ხდება და მოხმარების სიდიდე პრაქტიკულად არ იცვლება. სამომხმარებლო დანაზოგები იზრდება საზოგადოებრივი საქონლის ზრდის შედეგად. ამ ეფექტის გათვალისწინებით ერთობლივი მოთხოვნა იზრდება $\Delta Y^D = \Delta G - a\Delta G$ სიდიდით, ერთობლივი მიწოდება $\Delta Y^S = \beta\Delta G$ სიდიდით. რეალურ ეკონომიკაში არის შემდეგი სიტუაცია – $(a+\beta)<1$, როცა ერთობლივი მოთხოვნის ზრდა აღემატება ერთობლივ მიწოდებას, რის შედეგაც წონასწორობის აღსადგენად საქონლის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთი უნდა გაიზარდოს (დანაზოგების შემცირების შედეგად), რასაც მოჰყვება დეფიციტი კაპიტალის ბაზარზე. სახელმწიფოს ხარჯების ერთჯერადი ზრდა იწვევს: წარმოებისა და დასაქმების დონის ზრდას, კერძო მოხმარება და ინვესტიციები მცირდება საპროცენტო განაკვეთის ზრდის შედეგად; წარმოება იზრდება, მაგრამ გამოდევნის ეფეტის შედეგად, წარმოების ზრდა მცირეა სახელმწიფოს ხარჯების ზრდასთან შედარებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მულტიპლიკატორი ერთზე ნაკლებია. სახელმწიფო ხარჯების მუდმივი ზრდა ამცირებს განკარგვად შემოსავალს არამარტო მიმდინარე, არამედ მომავალ პერიოდშიც, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ხარჯების ზრდა ამცირებს მოხმარებას და დანაზოგებს, ხოლო სახელმწიფო ხარჯების ზრდა სამომხმარებლო ხარჯების შემცირების ტოლია. სახელმწიფო ხარჯების შემდგომი ზრდა წარმოების მოცულობას ზრდის $\Delta Y^S = \beta\Delta G$ სიდიდით. სახელმწიფო ხარჯების ერთჯერადი ზრდის შედეგად მოხმარება იზრდება ამავე სიდიდით, შედეგად კი – $\Delta Y^S = \beta\Delta G = \Delta Y^D$. სახელმწიფოს ხარჯების მუდმივი ზრდის შედეგად წარ-

მოება იზრდება $\Delta Y = \beta \Delta G$, მოხმარება მცირდება $\Delta C = (1-\beta)\Delta G$. სახელმწიფოს ხარჯების ზრდა გამოდევნის კერძო მოხმარებას [40,გვ.359-361).

ზემოთ აღნიშნული თეორიული მიდგომის საფუძველზე მთავრობის მასშტაბსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის შესაფასებლად შეგვიძლია ავაგოთ შემდეგი მოდელი[1]:

$$Y = AExp^{\alpha} \operatorname{Re} v^{\beta} K^{\lambda} \tag{1}$$

სადაც A-არის ექსტენსიური ზრდის პარამეტრი, *Epx*-ბიუჯეტის ხარჯები, *Rev*-ბიუჯეტის შემოსავლები, K-კაპიტალის ფორმირება, $\alpha, \beta, \lambda$ ელასტიკურობის კოეფიციენტებია.

ცალკეული ცდებისა და ძიების შედეგად გამოვლინდა (1)-ლი მოდელის ორმაგი ლოგარითმული ვარიანტის უპირატესობა:

$$\log Y = \log A + \alpha \log(Exp) + \beta \log(\operatorname{Re} v) + \lambda \log(k) \tag{2}$$

2002-2014 წლების კვარტალური დესეზონირებული მონაცემების გამოყენებით, მეორე მოდელი საქართველს მაგალითზე შემდეგი სახისაა:

$$\log(Y) = \underset{(22.58)}{4.67} - \underset{(-3.05)}{0.06}\log(Exp) + \underset{(4.67)}{0.21}\log(\operatorname{Re}v) + \underset{(13.39)}{0.30}\log(k)$$

$$R^2 = 0.98, \overline{R}^2 = 0.98, DW = 1.94$$

ფაქტორთა მნიშვნელობის გამოსავლენად გამოვიყენეთ სტანდარტიზებული კოეფიციენტები

$$\widetilde{b}_{\exp} = 0.28; \widetilde{b}_{rev} = 0.47; \widetilde{b}_{k} = 0.2 .$$

როგორც მოდელის შესაფასებლად გამოყენებული სტატისტიკიდან ჩანს, მოდელი მნიშვნელონად ახასიათებს გამოყენებული ფაქტორების როლს ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების პროცესში. მოდელის მიხედვით, ბიუჯეტის შემოსავლების ელასტიკურობის კოეფიციენტი უფრო მაღალია, ვიდრე ბიუჯეტის ხარჯებისა. ბიუჯეტის ხარჯების 1%-ით ზრდა ეკონომიკას ამცირებს 0.06%-ით, ბიუჯეტის შემოსავლების 1%-ით ზრდა 0.21%-ით ასტიმულირებს ეკონომიკას, კაპიტალის ფორმირების 1%-ით ზრდა ეკონომიკის ზრდას იწვევს 0.30%-ით.

მთავრობის მასშტაბსა და ეკონომიკურ ზრდას შორის თანაფარდობის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია მთავრობის ოპტიმალური ზომის $(\alpha + \beta) = 1)$ გამოვლენა, რომლის ზევით მთავრობის მასშტაბის ზრდა ამცირებს

1 აღნიშნული მოდელი ეყრდნობა რ. ბაროს მიერ შემუშავებულ ენდოგენური ზრდის მოდელს [17, გვ.104).

ეკონომიკურ ზრდას $(\alpha+\beta)<1)$ საქართველოს მაგალითზე აგებული მოდელის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა ბიუჯეტის შემოსავლების უპირატესობა ბიუჯეტის ხარჯებთან შედარებით. მთავრობის ზომის ანალიზისათვის, აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოში მთავრობის ოპტიმალური მასშტაბი $(a+\beta)=1)$ მშპ-თან შეფარდებით 21%-ია (დიაგრამა 4).

დიაგრამა 4

სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების ზღვრული პროდუქტი




ბიუჯეტის ხარჯების ზღვრული პროდუქტი
ბიუჯეტის შემოსავლების ზღვრული პროდუქტი

მთავრობის მასშტაბსა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებული კავშირის გაფართოებული და შედარებითი ანალიზისათვის ჩვენ მიერ აგებულ იქნა მეორე მოდელი ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაგალითზე[1], რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$\log(Y)=\underset{(31.65)}{1.1}+0.18\underset{(5.98)}{\log(Exp)}+0.54\underset{(14,.49)}{\log(\mathrm{Rev})}+0.25\underset{(16.26)}{\log(k)}$$

$$R^2=0.99, \overline{R}^2=0.99, DW=2.07$$

1 მოდელში გამოყენებულია ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნების 1996-2013 წლების მონაცემები, რაც გაანგარიშებულია სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოყენებით.

ეს მოდელიც სტატისტიკურად მისაღებია და აკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ ძირითად კრიტერიუმებს, რაც გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ფაქტორთა მნიშვნელოვნების გამოსავლენად ამ შემთხვევაშიც გამოყენებულია სტანდარტიზებული კოეფიციენტები:

$$\tilde{b}_{\exp} = 0.13\,;\tilde{b}_{rev} = 0.45\,;\tilde{b}_{K} = 0.38\,.$$

მოყვანილი მაჩვენებლებით ბიუჯეტის შემოსავლები უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვიდრე ბიუჯეტის ხარჯები. მოდელის მიხედვით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ბიუჯეტის ხარჯების 1%-ით ზრდა ეკონომიკას ზრდის 0.18%-ით, ბიუჯეტის შემოსავლების 1%-ით ზრდა 0.54%-ით ასტიმულირებს ეკონომიკას, კაპიტალის ფორმირების 1%-ით ზრდა ეკონომიკის ზრდას იწვევს 0.25%-ით. ჩვენ მიერ გაანალიზებულ ქვეყნებში მთავრობის ოპტიმალური ზომა $(\alpha+\beta)=1$) საანალიზო პერიოდში მშპ-ში 18%-ის ტოლია $(\alpha+\beta)<1$) (დიაგრამა 5).

დიაგრამა 5

სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების ზღვრული პროდუქტი




ეს მოდელი მნიშვნელოვნად ახასიათებს მთავრობის ზომის როლს ეკონომიკურ მასშტაბის სტიმულირები პროცესში, თუმცა, მათ შორის მიზეზობრივი კავშირის გამოსავლენად რეგრესიული ანალიზი საკმარისი არ არის. აღნიშნუ-

ლისათვის აუცილებელია გრენჯერის მიზეზობრიობის ტესტის შედეგების შეფასება (Granger Causality Test[1]), რომელიც წარმოდგენილია ცხრილში.

გრენჯერის მიზეზობრიობის ტესტის შედეგები

| მიზეზობრიობის მიმართულება | დაკვირვების წერტილი | F-სტატისტიკა | ლაგი | ალბათობის მაჩვენებელი | გადაწყვეტილება | მიღებული შედეგი |
|---|---|---|---|---|---|---|
| EXP→ GDP | 42 | 2.88 | 2 | 0.06% | ნულოვანი ჰიპოთეზა მიღებულია | მთავრობის მასშტაბის ზრდა არ იწვევს ეკონომიკურ ზრდას |
| GDP → EXP | | 0.89557 | | 0.41% | ნულოვანი ჰიპოთეზა მიღებულია | ეკონომიკური ზრდა არ იწვევს მთავრობის მასშტაბის ზრდას |
| EXP→ GDP | 40 | 4.85771 | 4 | 0.003% | ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილია | მთავრობის მასშტაბის ზრდა იწვევს ეკონომიკურ ზრდას |
| GDP → EXP | | 10.3423 | | 2.E-05% | ნულოვანი ჰიპოთეზა მიღებულია | ეკონომიკური ზრდა არ იწვევს მთავრობის მასშტაბის ზრდას |
| EXP→ GDP | 39 | 2.67026 | 5 | 0.04% | ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილია | მთავრობის მასშტაბის ზრდა იწვევს ეკონომიკურ ზრდას |
| GDP → EXP | | 9.00040 | | 3.E-05 | ნულოვანი ჰიპოთეზა მიღებულია | ეკონომიკური ზრდა არ იწვევს მთავრობის მასშტაბის ზრდას |
| EXP→ GDP | 37 | 3.02279 | 7 | 0.02% | ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილია | მთავრობის მასშტაბის ზრდა იწვევს ეკონომიკურ ზრდას |
| GDP → EXP | | 5.93706 | | 0.0006 | ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილია | ეკონომიკური ზრდა იწვევს მთავრობის მასშტაბის ზრდას |
| EXP→ GDP | 36 | 3.73287 | 8 | 0.0088% | ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილია | მთავრობის მასშტაბის ზრდა იწვევს ეკონომიკურ ზრდას |
| GDP → EXP | | 3.73287 | | 0.0070% | ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილია | ეკონომიკური ზრდა იწვევს მთავრობის მასშტაბის ზრდას |
| EXP→ GDP | 35 | 3.15194 | 9 | 0,02% | ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილია | მთავრობის მასშტაბის ზრდა იწვევს ეკონომიკურ ზრდას |
| GDP → EXP | | 3.73287 | | 0,09% | ნულოვანი ჰიპოთეზა მიღებულია | ეკონომიკური ზრდა არ იწვევს მთავრობის მასშტაბის ზრდას |

1 კლაივ გრენჯერი (Clive Granger) – 2003 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი. ნობელის პრემია მიენიჭა „ეკონომიკური დროითი მწკრივებისა და საერთო ტრენდის (კოინტეგრაციის) კვლევებში“ შეტანილი წვლილისათვის.

საქართველოს მაგალითზე გრეინჯერის მიზეზობრიობის ტესტი შედეგად ნულოვანი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მთავრობის მასშტაბის ზრდა არ არის მიზეზობრივ კავშირში ეკონომიკის ზრდასთან, უარყოფილია ჩვენ მიერ განხილული 4, 5, 7, 8, 9 დროითი ლაგების პირობებში, ხოლო მიღებულია 2 დროითი ლაგის პირობებში. მეორე მხრივ, ნულოვანი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ზრდა არ არის მიზეზობრივ კავშირში მთავრობის მასშტაბის ზრდასთან, მიღებულია 2, 4, 5, 9 დროითი ლაგის პირობებში, ხოლო უარყოფილია 8,7 დროითი ლაგების შემთხვევაში. საქართველოს მაგალითზე განხილული მიზეზობრიობის ტესტის მიხედვით, მთავრობის მასშტაბი და ეკონომიკური ზრდა ერთმანეთის მიზეზის როლში გვევლინება[1].

## კვლევის ზოგიერთი მნიშვნელოვანი შედეგის შესახებ

1. მთავრობის მასშტაბის განსაზღვრისას უპრიანია გამოყენებულ იქნეს ბიუჯეტის შემოსავლების და არა ბიუჯეტის ხარჯების წილი მშპ-ში. აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ:
   ა) ბიუჯეტის ხარჯების არაეფექტიანობა უფრო მეტად ამცირებს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს, ვიდრე გადასახადების ზრდა;
   ბ) მთავრობის ოპტიმალური მასშტაბის მაჩვენებლად უნდა გამოვიყენოთ ბიუჯეტის შემოსავლები;
2. საქართველოს მაგალითზე აგებულ მოდელში ელასტიკურობის კოეფიციენტები გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს ხარჯების ზრდა 0.06%-ით იწვევს ეკონომიკურ ზრდის შემცირებას, ბიუჯეტის შემოსავლების 1%-ით ზრდა კი 0.21%-ით ასტიმულირებს ეკონომიკას, კაპიტალის ფორმირების 1%-ით ზრდა განაპირობებს ეკონომიკის ზრდას 0.30%-ით;
3. საქართველოში მთავრობის მასშტაბსა და ეკონომიკურ ზრდას შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობს;
4. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სახელმწიფო ხარჯების 1%-ით ზრდა ეკონომიკას ზრდის 0.18%-ით, ბიუჯეტის შემოსავლების 1%-ით ზრდა კი 0.54%-ით ასტიმულირებს ეკონომიკას, კაპიტალის ფორმირების 1%-ით ზრდა ეკონომიკის ზრდას იწვევს 0.25%-ით;
5. მთავრობის მასშტაბის ანალიზის პროცესში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ის მაჩვენებელი, რომელიც ეკონომეტრიკულად უფრო

1 აღნიშნული გარემოება ამყარებს კეინზის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ხარჯები არის მნიშვნელოვანი ეგზოგენური ფაქტორი ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის.

მისაღებია და მიუთითებს ფაქტორების მნიშვნელობაზე. ჩვენ მიერ განხილულ მოდელებში ბიუჯეტის შემოსავლები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბიუჯეტის ხარჯები;

6. საქართველოს და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაგალითზე აგებულ მოდელში მთავრობის მასშტაბის ანალიზისათვის მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება ბიუჯეტის შემოსავლები. ამის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ჰიპოთეზა „ბიუჯრტის დეფიციტის როლის“ შესახებ, რომლის არსია შემდეგი: ბიუჯეტის დეფიციტის მქონე ქვეყნებში[1], მიმდინარე წლის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილის წარმართვა ხდება წარსულში განხორციელებული ვალდებულებების დასაფინანსებლად, რაც მიმდინარე პერიოდში მთავრობის ზომის ანალიზში ბიუჯეტის ხარჯების მნიშვნელობის შემცირებას იწვევს. რაც შეეხება ბიუჯეტის შემოსავლებს, ბიუჯეტის დეფიციტის პირობებში ის გვიჩვენებს თუ რა შემოსავალს იღებს ეკონომიკიდან სახელმწიფო წარსულში განხორციელებული საქმიანობისა და მიმდიდარე პერიოდში დაგეგმილი ამოცანების შესასრულებლად. პროფიციტული ან/და დაბალანსებული ბიუჯეტის შემთხვევაში, მთავრობის მასშტაბის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ბიუჯეტის ხარჯების ანალიზი. თანამედროვე პირობებში, ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი და მათ შორის საქართველო, ბიუჯეტის დეფიციტის პრობლემის წინაშე დგას[2], რაც მთავრობის მასშტაბის ანალიზისას ბიუჯეტის შემოსავლების როლს ზრდის, ბიუჯეტის ხარჯებთან შედარებით.

1 დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: http://ec.europa.eu/eurostat/tgm/table.do?tab=table&init=1&language=en&pcode=tec00

2 დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: p://mof.ge/4554

## დანართი: მთავრობის მასშტაბი და ეკონომიკური ზრდა

| ჯგუფი* | მთავრობის მასშტაბი | ეკონომიკური ზრდა | ქვეყნის დასახელება და წელი** |
|---|---|---|---|
| I-ჯგუფი | <35% | 10,4% | ესტონეთი (2004-2007 წწ ); ირლანდია (2000-2005 წწ); კვიპროსი (2000 წ); ლატვია (2001, 2003-2005, 2007 წწ); ლიტვა (2004-2006 წწ); რუმინეთი (2002-2005 წწ); საქართველო (**2002**-2007, 2011-2013). |
| II-ჯგუფი | 35-40% | 10,7% | ჩეხეთი (2007 წ); ესტონეთი (2000-2003 წწ, 2008 წ); ირლანდია (2007 წ); ესპანეთი (2000-2007 წწ); კვიპროსი (2001-2002 წწ, 2004-2008 წწ); ლატვია (2000, 2002 წწ, 2006-2008 წწ, 2011-2013 წწ); ლიტვა (2007-2008 წწ, 2012-2013 წწ); ლუქსემბურგი (2000-2001 წწ, 2006-2008 წწ); რუმინეთი (2000-2001 წწ, 2006-2008 წწ, 2010-2013 წწ); სლოვაკეთი (2002-2008 წწ); ინგლისი (2000-2001 წწ); საქართველო (**2008**-2010). |
| III-ჯგუფი | 40-45% | 6,8% | ბულგარეთი (**2009** წ); ჩეხეთი (**2000**-2002 წწ, **2004**-2006 წწ, 2008-2013 წწ); გერმანია (**2000**-2008 წწ,2011-2013 წწ); ესტონეთი (**2010**-2013 წწ); ირლანდია (**2008,2012**-2013 წწ); საბერძნეთი (**2006** წ); ესპანეთი (**2008, 2013** წწ); ხორვატია (2005-2008 წწ); კვიპროსი (**2003, 2009**-2013 წწ) ლატვია (2009-2010 წწ); ლიტვა (**2007**-2011 წწ); ლუქსემბურგი (2002-2005, 2009-2013 წწ); მალტა (**2000**-2002, 2004-2013 წწ); რუმინეთი (**2009**); ნიდერლანდები (**2000**-2008 წწ); პორტუგალია (**2000**-2003, 2007 წწ); სლოვაკეთი (**2001**-2002, 2009-2013 წწ); ინგლისი (**2002**-2007 წწ); პოლონეთი (2011-2013 წწ), სლოვენია (**2004**-2008 წწ). |
| IV-ჯგუფი | 45-60% | 2,1% | ჩეხეთი (**20**03 წ); დანია (**2000**-2013 წწ); გერმანია (2000-2005 წწ, **2009**-2010 წწ); ესტონეთი (**2009** წ); ირლანდია (**2009**-2011 წწ);საბერძნეთი (**2007**-2013 წწ); საფრანგეთი (**2000**-2013 წწ); ხორვატია (**2001**-2004, 2009-2013 წწ); იტალია (**2000**-2013 წწ); უნგრეთი (2000-2013 წწ); მალტა (**20**03 წ); ავსტრია (**2000**-2013 წწ); სლოვაკეთი (**2000**-2003, 2009-2013 წწ); ფინეთი (2000-2013 წწ); შვედეთი (**2000**-2013 წწ); დიდი ბრიტანეთი (2008-2013 წწ); პორტუგალია (**2003**-2006,2008-2013 წწ); ბელგია (**2002**-2013 წწ); ბულგარეთი (**2000**-2013 წწ); ნიდერლანდები (**2009**-2013 წწ); ესპანეთი (**2009**-2012 წწ). |

* ფორმირებულია მთავრობის მასშტაბის და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების მიხედვით (2000-2013 წწ).

** წლები მიუთითებს ცალკეული ქვეყნის მთავრობის მასშტაბის მოცემულ შუალედში მოხვედრის დროს.

# ლიტერატურა:

1. Cameron, D. On the Limits of the Public Economy. Annals of the Academy of Political and Social Science 459 (1). 1982, pp. 46–62.
2. Landau, D. Government Expenditure and Economic Growth: A Cross-Country Study. Southern Economic Journal 49 (3).1983, pp. 783–792.
3. Marlow, L. Private Sector Shrinkage and the Growth of Industrialized Economies Public Choice 49 (2). 1986, pp. 143–154.
4. Saunders, P. What Can We Learn from International Comparisons of Public Sector Size and Economic Performance? European Sociological Review 2 (1).1986,pp.52–60.
5. Saunders, P. Private Sector Shrinkage and the Growth of Industrialized Economies:Comment. Public Choice 58 (3). 1988, pp. 277–284.
6. Agell J, T. Lindh and H. Ohlsson), Growth and the Public Sector: A Critical Review Essay, European Journal of Political Economy 13. 1997, pp.33-52.
7. Fölster S, s Henrekson M. Growth Effects of Government Expenditure and Taxation in Rich Countries. European *Economic Review* 45 (8).2001,pp.1501–1520.
8. Agell, J, Ohlsson H, Skogman P. Growth Effects of Government "Expenditure and Taxation in Rich Countries: A Comment". *European Economic Review* 50 (1).2006, pp.211–219.
9. Colombier, C ."Growth Effects of Fiscal Policies: An Application of Robust Modified mestimator". *Applied Economics* 41 (7). 2009, pp. 899–912.
10. Dar, A. AmirKhalkhali S. "Government Size, Factor Accumulation, and Economic Growth: Evidence from OECD Countries". *Journal of Policy Modeling* 24 (7–8).2002, pp.679–692.
11. Afonso, A, Furceri D. Government Size, Composition, Volatility and Economic Growth. *European Journal of Political Economy* 26 (4). 2010, pp.517–532.
12. Bergh, A, Karlsson M. (2010). Government Size and Growth: Accounting for Economic Freedom and Globalization. Public Choice 142 (1–2). 2010, pp.195–213.
13. Robert M. Solow .A Contribution to the Theory of Economic Growth. The Quarterly Journal of Economics, Vol. 70, No. 1. Feb., 1956. pp. 65-94.
14. Romer Paul M.The Origins of Endogenous Growth.The Journal of Economic Perspectives, Vol. 8, No. 1.1994, pp.3-22.
15. Lucas Robert E. On the Mechanics of Economic Development. Journal of Monetary Economics 22. North-Holland.1988, pp. 3-42.
16. Barro, R. J. A cross country study of growth, saving, and government. (NBER Working Papers No 2855), Cambridge, MA: National Bureau of Economic Research, 1989.
17. Barro, R. J. Government spending in a simple model of endogenous growth. The Journal of Political Economy, 98. 1990,pp. S103-S125.
18. Barro, R. J. Economic growth in a cross section of countries. Quarterly Journal of Economics, 106. 1991,pp. 407-444.
19. Landau, D. Government expenditure and economic growth: a cross-country study. Southern Economic Journal, 49.1983, pp.783-792.
20. Engen Eric M., Skinner J. Fiscal Policy and Economic Growth. December. NBER Working Paper No. w4223, 1992.

21. Hansson P., Henrekson M. A New Framework for Testing the Effect of Government Spending on Growth and Productivity. Trade Union Institute for Economic Research. 1994.
22. Fölster, S., M. Henrekson. Growth and the Public Sector: A Critique of the Critics, European Journal of Political Economy 15.1999, pp. 337-358.
23. Fölster, S., M. Henrekson. Growth Effects of Government Expenditure and Taxation in Rich Countries, European Economic Review 45.2001, PP.1501-1520.
24. Илларионов А, Пивоварова Н. Размеры государства и экономический рост «Вопросы Экономики» №9,2002.
25. Romero-Ávila D., Strauch R. Public finances and long-term growth in Europe: Evidence from a panel data analysis" European Journal of Political Economy 24.2008, pp. 172–191.
26. Rubinson, R. Dependency, Government Revenue, and Economic Growth, 1955-70.» Studies in Comparative lnternational Development 12.1977, pp.3-28.
27. Grossman, P. J. Government and economic growth: a non-linear relationship. Public Choice, 56. 1988, pp. 193-200.
28. Sachs Jeffrey D., Larrain Felipe B. "Macroeconomics in the Global Economy". Prentice Hall. 1993.
29. Ferris S, West E. Testing Theories of Real Government Size—US Experience, 1959–89. Southern Economic Journal (1996).
30. Mutascu, M., Milos, M. Optimal Size of Government Spending. The Case of European Union Member States" Annales Universitatis Apulensis Series Oeconomica,11(1), 2009.
31. Armey D. The Freedom Revolution: The New Republican House Majority Leader Tells Why Big Government Failed, Why Freedom Works, and How We Will Rebuild America. 1995.
32. Di Liddo G., Magazzino C., Porcelli F. Decentralization, growth and optimal government size in the Italian regional framework. A BARS curve approach. 2013.
33. ანანიაშვილი ი., პაპავა ვ. გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი. ,,სიახლეო, თბილისი, საქართველო. 2009.
34. Vedder, K. and Lowell Gallaway, E. GOVERNMENT SIZE AND ECONOMIC GROWTH" Distinguished Professors of Economics, Ohio University.1998.
35. Chao, J. and Grubel, H.. Optimal Levels of Spending and Taxation in Canada, Chapter in How to Use the Fiscal Surplus: What is the optimum Size of Government, The Fraser Institute, Vancouver. 1998.
36. Pevcin P."Size of Buydgetary and non-budgetary Government: explaining Cross-country Differences", Working Paper, Univerza v Ljubljuni. 2004.
37. Magazzino, C., Forte, F. Optimal size of government and economic growth in EU-27. Published in: C.R.E.I. Working Papers No. 04. 2010.
38. Scully W. What Is the Optimal Size of Government in the United States". NCPA Policy Report No.188. 1994.
39. Friedman, M. If Only the US were as free as Hong Kong. Wall Street Journal, 1997, p.14.
40. Тарасевич Л.С.,Гребенников П.И, Леусский А.И „МАКРОЭКОНОМИКА", 6-е издание, исправленное и дополненное, Москва. 2006.

ვებგვერდები

1. http://data.worldbank.org/; 2. http://ec.europa.eu/eurostat/data/database; 3.www.geostat.ge; 4. www.mof.ge; 5.www.edu.gber.ge

# The Influence of Government Size on Economic Growth

***Sulkhan Tabaghua***

*Doctoral Student*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*
*sulkhani87@gmail.com*

In framework of this article there is analyzed correlation between government size and economic growth in case of Georgia and EU member state by using double logarithmic regression model. The research is focused on importance of government size increasing/decreasing in process of stimulation economic growth, also there is analyzed causality between government size and economic growth, ways of searching the government size indicator, defining optimal size of government and the role of budget deficit in the process of the assessment of government size.

**Keywords:** Budget expenditures; Budget revenues; Economic growth; Armey curve.
**JEL Codes:** E62, H10, H50, B12, C01

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 1, გვ. 62-71
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 14, pp. 72-71

მიკროეკონომიკა ✧ მაკროეკონომიკა ✧ ეკონომეტრიკა
MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

# საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიების ეკონომეტრიკული ანალიზი
## (ჩინეთის მაგალითზე)

*გიორგი მიქელაძე*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი
*Giooo.miqeladze@gmail.com*

XX საუკუნის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან მოვლენებს მიეკუთვნება მსოფლიო ომები, გერმანიის ფედერაციული და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკების გაერთიანება, დიდი დეპრესია და სხვა. აღნიშნული მოვლენების რიგს ასევე მიეკუთნება საბჭოთა კავშირის დაშლა, რომელმაც ეკონომიკური მეცნიერება ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. სოციალისტური ეკონომიკური სისტემა, XX საუკუნის ე.წ. გრანდიოზული ექსპერიმენტი, კრახით დამთავრდა. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკის ზრდის ტემპები პერიოდულად მცირდებოდა, ხოლო 1980-იან წლების მეორე ნახევრიდან კი ზრდა შეწყდა. მსოფლიო ორგანიზაციების და განვითარებული ქვეყნების ინიციატივით და თანადგომით დაიწყო კომუნისტური სისტემის ქვეყნების ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის ეტაპი საბაზრო ეკონომიკაზე [1, გვ. 84-85; 2, გვ.17-18].

ვრცელი თეორიული თუ ემპირიული კვლევების საფუძველზე შესაძლებელი გახდა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შესახებ ორი მიდგომა ჩამოყალიბებულიყო: შოკური თერაპია და გრადუალისტური ტრანსფორმაცია. XX საუკუნეში შოკური თერაპიის მხარდამჭერად გვევლინებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომელიც ფინანსურად უზრუნველყოფდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს აღნიშნული სტრატეგიის გამო-

ყენების ფარგლებში, ხოლო გრადუალისტების რიგებში მოიაზრებოდნენ ქვეყნები, რომლებსაც თავად შეეძლოთ რეფორმების გატარება და მათი დაფინანსება [1, გვ. 84-85].

**საკვანძო სიტყვები:** ჩინეთი, შოკური თერაპია, გრადუალისტური სტრატეგია.

## საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შოკური თერაპიის სტრატეგია ჩინეთის ეკონომიკის მაგალითზე

შოკური თერაპია გულისხმობს უმოკლეს დროში რადიკალური გარდაქმნების რიცხვის მაქსიმიზებას. აღნიშნული პოლიტიკის წარმართვისთვის აუცილებელია ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია და მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარება (ფულის მასისა თუ გაცვლითი კურსის კონტროლი). იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პოლიტიკა ითვალისწინებს ასევე შემოსავლებისა და ფასების რეგულირებას, მაშინ მას ჰეტეროდოქსული სცენარი ეწოდება [1, გვ. 85].

აღნიშნული თეორიის საფუძველზე შესაძლებელია ავაგოთ მოდელი რომელსაც შემდეგი სახე ექნება:

$$\log(GDP_t) = b_0 + b_1 \log(gr\ debt_t) + b_2(Unemp_t) + b_3(inf_t) + u_t \tag{1}$$

სადაც $\log(GDP_t)$ მთლიანი შიგა პროდუქტის ლოგარითმული მნიშვნელობაა, $\log(gr\ debt_t)$-სახელმწიფო საგარეო ვალის ლოგარითმული მნიშვნელობა, $Unemp_t$-უმუშევრობის დონე, $inf_t$-კი ინფლაციის დონე.

(1) მოდელის საშედეგო ცვლადს მშპ-ის ლოგარითმული მნიშვნელობა წარმოადგენს, აღნიშნული ცვლადი გვევლინება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებლად. ფაქტორული ცვლადების როლში განხილულია სახელმწიფო საგარეო ვალის ლოგარითმული მნიშვნელობა, უმუშევრობის დონე და ინფლაციის დონე. უმუშევრობის დონე ირიბად გამოსახავს ჰეტეროდოქსული თეორიული მოდელის შემოსავლიანობის ფაქტორს. თეორიული მოდელის ფასების რეგულირების ფაქტორად ემპირიულ მოდელში ინფლაციის დონეა ჩართული. ამასთან (1) მოდელის ფაქტორულ ცვლადს წარმოადგენს სახელმწიფო საგარეო ვალი, აღნიშნულის მიხედვით, მთავრობის მხარჯველობითი დამოკიდებულების მაჩვენებლად სახელმწიფო საგარეო ვალი გამოიყენება.

(1) მოდელში მთლიან მშპ-ის და სახელმწიფო საგარეო ვალის ლოგარითმული მნიშვნელობებია ჩართული, რადგან მოდელის დანარჩენი ფაქტორული ცვლადები პროცენტებშია გამოსახული.

აღსანიშნავია, რომ ჰეტეროდოქსული სცენარი ითვალისწინებს შემოსავლების რეგულირებას, ამ ცვლადის როლის მოდელში უმუშევრობის დონეა გამოყენებული. უმუშევრობით ირიბად განისაზღვრება შემოსავლები, რაც შემოსავლების მნიშვნელობების უმუშევრობით დონით ჩანაცვლების საფუძველია. ამასთან, მთლიან მშპ-ს და სახელმწიფო ვალს არ გააჩნია უარყოფითი მნიშვნელობები, რაც საშუალებას იძლევა განვიხილოთ მათი ლოგარითმული მნიშვნელობები.

მშპ-ისგან განსხვავებით, რომელიც მლრდ აშშ დოლარებშია მოცემული, სსფ-ის ინფორმაციაზე დაყრდნობით, სახელმწიფო საგარეო ვალი მოცემულია ჩინურ იუანში და მისი დოლარში გადაყვანა უკავშირდება რიგ პრობლემას: 1) სესხი რა კურსით იყო გაცემული (შესახლებელია კონტრაქტში სპეციალური კურსი იყო განსაზღვრული,რომელიც განსხვავდებოდა ოფიციალური კურსისაგან); 2) სესხის გაცემის ტრანშების დროს განსხვავებული დოლარი-იუანის ოფიციალური კურსის არსებობა.

(1) მოდელით, რომელიც ეფუძნება სსფ-ის შოკური თერაპიის ჰეტეროდოქსულ სტრატეგიას, ვახასიათებთ ჩინეთის ეკონომიკას. აღსანიშნავია, რომ ჩინეთი მიეკუთნება გრადუალისტურ ქვეყნებს. ჩინეთის ეკონომიკურმა ისტორიამ აჩვენა, რომ ვუ ჩინგ ლის სიტყვები- სოციალისტური სისტემა წარმოადგენს სოციალური სამართლიანობისა და საბაზრო ეკონომიკის ნაერთს, ქვეყნის გრადუალისტურ გზაზე მიუთითებს [3, გვ. 41]. ამ ემპირიული კვლევის მეშვეობით ჩვენ მივიღებთ ორ მნიშვნელოვან შედეგს:

1. რამდენად ეფექტიანი სტრატეგიაა შოკური თერაპია;
2. როგორი შედეგი ექნებოდა ამ პოლიტიკის განხორციელებას ჩინეთის ეკონომიკაში.

(1) გამოსახულების რეალიზაციისთვის გამოყენებულია ჩინეთის ეკონომიკის წლიური მონაცემები 1995-წლიდან 2014-წლამდე [4].

მშპ და სახელმწიფოს საგარეო ვალი კორექტირებულია მშპ-ის დეფლატორის მიხედვით, დეფლირების საბაზისო წელს 1990 წარმოადგენს.

დოლდოს, ჯენკინსისა და სოსვილა-რივეროს მიერ შემოთავაზებული პროცედურით, დროითი მწკრივები უნდა შემოწმდეს და დადგინდეს თუ რომელი ტიპებია TSP თუ DSP. კერძოდ, TSP ტიპი გულისხმობს, რომ მწკრივები არასტაციონალურია ცვალებადი ტრენდის გამო, ხოლო DSP ტიპისას – არის არასტაციონალური ცვალებადი დისპერსიის გამო. აღნიშნული ტესტის გამოყენებით, ლოგარითმულ შიგა პროდუქტის და ლოგარითმულ სახელმწიფო საგარეო ვალის მნიშვნელობების მწკრივში მიიღება ნულოვანი ჰიპოთეზა ერთეულოვანი ფესვის არსებობაზე, რაც მათ არასტაციონალურობას გულისხმობს. მწკრივების გასასტაციონალურებლად, სხვაობებზე გადასვლით დგინდება, რომ ორივე მწკრივი პირველი რიგის ინტეგრირებად I(1) ტიპს მიეკუთნება. ხოლო ინფლაციის და უმუშევრობის მწკრივები ტრენდსტაციონალური მწკრივებია. [5, თავი 11, გვ. 24-27].

ცრუ რეგრესიის საფრთხის თავიდან ასარიდებლად, ენგელ-გრეინჯერის პროცედურით, მიიღება ერთეულოვანი ჰიპოთეზა კოინტეგრაციის არსებობის შესახებ, როგორც ოთხივე მწკრივს შორის, ასევე ლოგარითმულ მშპ-სა და ლოგარითმულ სახელმწიფო საგარეო ვალს შორის.

აღნიშნული მოდელის ნარჩენობითი წევრები ნორმალურადაა განაწილებული, ამასთან, ბროიშ-გოდფრის ტესტით, მიიღება ნულოვანი ჰოპოთეზა ავტოკორელაციის არ არსებობის შესახებ და ვაიტის ტესტით – ნულოვანი ჰიპოთეზით ჰეტეროსკედასტურობის არ არსებობის შესახებ[5, გვ. 9-18]. ასევე, დარბინ-ვოტსონის სტატისტიკის კრიტიკულ წერტილებს სამ ფაქტორულ ცვლადსა და ოც დაკვირვების წერტილზე წარმოადგენს du=1,27 , dl=0,774. აღნიშნულის მიხედვით, 1,79 ვარდება 1,27-2 შუალედში, რაც მიუთითებს, რომ ნარჩენობით წევრებში არ შეინიშნება ავტოკორელაცია.

(1) გამოსახულების რეალიზაციით ვღებულობთ შემდეგ განტოლებას:

$$\log(GDP_t) = 4.174 + 4.44\log(gr\ debt_t) + \\ + 0.115(Unemp_t) + 0.008(inf_t) + u_t \qquad (2)$$

(2) გამოსახულების კოეფიციენტების შესახებ მიიღება $H_1$ ჰოპოთეზა 99%-იანი ალბათობით სტატისტიკურად მნიშვნელოვნების შესახებ. ასევე, 99%-იანი ალბათობით მოდელი სტატისტიკურად ვარგისია.

Dependent Variable: LGGDP_CH_DEP

Method: Least Squares

Date: 01/15/16 Time: 12:18

Sample (adjusted): 1995 2014

Included observations: 20 after adjustments

| Variable | Coefficient | Std. Error | t-Statistic | Prob. |
|---|---|---|---|---|
| LGGROS_DEBT | 0.439707 | 0.026308 | 16.71376 | 0.0000 |
| UNEMP_PER_CH | 0.115422 | 0.034735 | 3.322985 | 0.0043 |
| INFL_PER_CH | 0.008277 | 0.002715 | 3.048932 | 0.0077 |
| C | 4.174534 | 0.134813 | 30.96527 | 0.0000 |

| | | | |
|---|---|---|---|
| R-squared | 0.985272 | Mean dependent var | 8.100951 |
| Adjusted R-squared | 0.982510 | S.D. dependent var | 0.348258 |
| S.E. of regression | 0.046057 | Akaike info criterion | -3.141026 |
| Sum squared resid | 0.033940 | Schwarz criterion | -2.941879 |
| Log likelihood | 35.41026 | Hannan-Quinn criter. | -3.102150 |
| F-statistic | 356.7821 | Durbin-Watson stat | 1.799393 |
| Prob(F-statistic) | 0.000000 | | |

დეტერმინაციის კოეფიციენტსა და კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტს გააჩნია მაღალი მნიშვნელობები $R^2$=0,99 $R^2_{კორ}$=0,98, რაც მოდელის სტატისტიკურად მაღალ ამხსნელობით უნარზე მიუთითებს.

(2) მოდელის ემპირიული შედეგების მიხედვით შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნები: 1) ჩინეთის ეკონომიკის მშპ გაიზრდება, თუ გაიზრდება სახელმწიფო საგარეო ვალი, რაც რეალობას შეესაბამება, ვინაიდან სახელმწიფო საგარეო ვალით ფინანსდება მთავრობის ხარჯები; 2) უმუშევრობა და მშპ ზრდად დამოკიდებულებაშია. ამ ფაქტის საფუძველია სოციალისტური სისტემის ნაკლოვანება- დასაქმების ზედმეტად გადაჭარბებული დონე თუ სტატისტიკური ინფორმაციის უზუსტობა; 3) ინფლაციის ზრდა დადებით კავშირშია მშპ-სთან, თუმცა, აღნიშნული კავშირი მეტად მცირეა, ვინაიდან კოეფიციენტი შეადგენს 0,008-ს. ეს ფაქტი რეალობისგან შორს არ იმყოფება, ნებისმიერ ეკონომიკაში მშპ-ს ზრდა და ინფლაციის ზრდა თანმიმდევრული პროცესია; 4) სსფ-ის ჰეტეროდოქსული სტრატეგია არ იყო აზრს მოკლებული, მეტიც, აღნიშნული სტრატეგიით შესაძლებელი იყო მშპ-ზე ზემოქმედება, რაზეც მოდელის სტატისტიკურად ვარგისიანობა მიუთითებს; 5) ჩინეთის ეკონომიკაში შესაძლებელი იყო შოკური თერაპიის გატარება, რომელიც ეფექტიანი შედეგების მატარებელი იქნებოდა.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არ შეიძლება ერთ ქვეყანაში აპრობირებული მოდელით მიღებული შედეგებით დახასიათდეს მეორე ქვეყნის ეკონომიკა. აქედან გამომდინარე, არ გამოირიცხება ფაქტი აღნიშნული მოდელის ნაკლოვანების შესახებ რომელიმე სხვა ქვეყანის ეკონომიკის მაგალითზე.

## საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გრადუალისტური გზა ჩინეთის ეკონომიკის მაგალითზე

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გრადუალისტური სტრატეგია გულისხმობს ეკონომიკის თანდათანობით ტრანსფორმაციას საბაზრო ეკონომიკაზე. აღნიშნული სტრატეგიის გატარების აუცილებელ და მნიშვნელოვან პირობებს წარმოადგენს: 1) რეფორმების გატარება, რაც ქვეყანაში ხელისუფლების მაღალ მხარდაჭერას გულისხმობს; 2) ფინანსური რესურსების არსებობა რეფორმების დასაფინანსებლად [1, გვ. 87-88].

აღნიშნული თეორიის საფუძველზე შესაძლებელია ავაგოთ შემდეგი მოდელი:

მშპ=ფინანსური მხარდაჭერა + ხელისუფლების მხარდაჭერა და რეფორმების გატარება (3)

მოდელის სტატისტიკურ სახეზე დასაყვანად (3) მოდელი შესაძლებელია ტრანსფორმირდეს როგორც:

$$GDP\ perc\ change_t = b_0 + b_1 saving\ perc\ change_t + b_2 invest\ perc_t + \\ + b_3 government\ force_t + U_t \qquad (4)$$

სადაც $GDP\ perc\ change_t$ მშპ-ის ჯაჭვური ზრდის ტემპია, $saving\ perc\ change_t$ – დაზოგვის პროცენტული მნიშვნელობა, $invest\ perc_t$ – მთლიანი ინვესტიციების პროცენტული წილი მშპ-ში, ხოლო $government\ force_t$ კი – ხელისუფლების მხარდაჭერისა და რეფორმატორობის აღმნიშვნელი ფიქტიური ცვლადი.

(4) მოდელში სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობის მაჩვენებელ ცვლადებად აღებულია დაზოგვის პროცენტული და მთლიანი ინვესტიციების პროცენტული მნიშვნელობბები. დაზოგვის ნორმითა და მთლიანი ინვესტიციებით შესაძლებელია ნაწილობრივ მაინც დავახასიათოთ ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობები. (4) მოდელის ემპირიული მონაცემები განხილულია 1980-წლიდან 2014-წლამდე [4]. საშედეგო ცვლადად მშპ-ის ჯაჭვური ზრდის ტემპია განხილული, ხოლო ინვესტიციების პროცენტული და დაზოგვის პროცენტულ ზრდაში-აღნიშნული ცვლადების პროცენტული მნიშვნელობბები.

გატარებული რეფორმების და ხელისუფლების მხარდაჭერის დასახასიათებლად (4) მოდელში შემოტანილია ფიქტიური ცვლადი $government\ force_t$ ამ ცვლადის მნიშვნელობების განსასაზღვრად საჭიროა გადავხედოთ ჩინეთის მმართველებს 1980-წლიდან 2014-წლამდე.

სქემა 1

| ჩინეთის პრეზიდენტი | რეფორმატორობა | მმართველობის წლები | ცვლადის ინდექსი |
|---|---|---|---|
| Ye Jianyng | | 1978-1983 | 0 |
| Li xiannian | X | 1983-1988 | 1 |
| Yang shangkun | | 1988-1993 | 0 |
| Jiang zemin | X | 1993-2003 | 1 |
| Hu Jintao | | 2003-2013 | 0 |
| Xi Jinping | | 2013-დღემდე | 0 |

სქემა გაკეთებულია BBC-ის ჩინეთის ისტორული პროფილის მიხედვით [6]

ცვლადის ფიქტიური მნიშვნელობბები განსაზღვრულია რეფორმატორი მმართველების მმართველობის წლების მიხედვით, ცვლადის მნიშვნელობბების განსაზღვრაში გამოყენებულია არა მარტო მათი ძალაუფლება, არამედ რეფორმატორობა (იხ. სქემა 1).

(4) გამოსახულების ემპირიული რეალიზაციის დროს მნიშვნელოვანია დროითი მწკრივების შემოწმება სტაციონალურობაზე. ერთეულოვანი ფესვის ტესტით დგინდება, რომ მთლიანი ინვესტიციების პროცენტული მნიშვნელობები პირველი რიგის ინტეგრირებადი პროცესია, ხოლო მშპ-ის პროცენტული

ზრდა და დაზოგვის პროცენტული მნიშვნელობები, ტრენდსტაციონალური მწკრივებია. მთლიანი ინვესტიციების პროცენტული მნიშვნელობების პირველი რიგის სხვაობებზე გადასვლით და მშპ-ის პროცენტული ზრდის და დაზოგვის პროცენტული მნიშვნელობებიდან ტრენდის გამორიცხვით, შესაძლებელია ავაგოთ რეგრესია, რომელსაც შემდეგი სახე ექნება:

$$\text{GDP perc change det}_t = 0.448\text{saving perc change det}_t + \\ + 0.6\text{dif invest perc}_t + 1.768\text{government force}_t + U_t \quad (5)$$

სადაც $\text{GDP perc change det}_t$ – მშპ-ის ჯაჭვური ზრდის ტემპის დეტრენდირებული მნიშვნელობაა, $\text{dif invest perc}_t$ – მშპ-ში ინვესტიციების პროცენტული წილის პირველი რიგის სხვაობები, $\text{government force}_t$ – ჩინეთის მმართველების რეფორმატორობის და მხარდაჭერის ფიქტიური ცვლადი.

Dependent Variable: GDP_PER_CH_DETR
Method: Least Squares
Date: 01/15/16 Time: 13:41
Sample (adjusted): 1981 2014
Included observations: 34 after adjustments

| Variable | Coefficient | Std. Error | t-Statistic | Prob. |
|---|---|---|---|---|
| DINV_PROC | 0.600540 | 0.167288 | 3.589852 | 0.0011 |
| SOC | 1.176784 | 0.546974 | 2.151443 | 0.0393 |
| SAVING_DETR | 0.447887 | 0.127902 | 3.501800 | 0.0014 |

| | | | |
|---|---|---|---|
| R-squared | 0.486837 | Mean dependent var | 0.055647 |
| Adjusted R-squared | 0.453730 | S.D. dependent var | 2.743772 |
| S.E. of regression | 2.027924 | Akaike info criterion | 4.336000 |
| Sum squared resid | 127.4868 | Schwarz criterion | 4.470679 |
| Log likelihood | -70.71200 | Hannan-Quinn criter. | 4.381929 |
| Durbin-Watson stat | 1.261949 | | |

ემპირიული რეალიზაციისას დგინდება, რომ თავისუფალი წევრი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი, ხოლო დანარჩენი კოეფიციენტები, მნიშვნელოვანია 5%-იანი დონით და მოდელი სტატისტიკურად ვარგისია. (5) გამოსახულებაში ნარჩენობითი წევრები ნორმალურადაა განაწილებული და ვაიტის ტესტის 1%-იანი მნიშვნელოვნების დონის მიხედვით, არ შეინიშნება ჰეტეროსკედასტურობის პრობლემა. დარბინ-ვოტსონის ტესტი არ გამოდგება ავტოკო-

რელაციის შესამოწმებლად, ვინაიდან მოდელი არ შეიცავს თავისუფალ წევრს, რაც ტესტის გამოყენების ერთ-ერთ დაშვებას წარმოადგენს, ამასთან, ნარჩენობით წევრებში ბროიშ-გოდფრის ტესტის მიხედვით მიიღება $H_0$ ჰიპოთეზა ავტოკორელაციის არ არსებობის შესახებ.

აღნიშნული შედეგების მიხედვით შეგვიძლია შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ: 1) გრადუალისტური მიდგომა ჩინეთის ეკონომიკის მაგალითზე ეფექტიანად მუშაობს, რასაც მოდელის ვარგისიანობა მიუთითებს; 2) მოდელში დეტერმინაციის და კორექტირებული დეტერმინაციის ($R^2$=0,49 $R^2_{კორ}$=0,45) მნიშვნელობების მიხედვით სასურველია ჩაირთოს სხვა ფაქტორული ცვლადები, რაც მოდელით განსაზღვრული არ არის; 3) მთლიანი ინვესტიციების და დაზოგვის ნორმა ზრდად დამოკიდებულებაშია მშპ-სთან, რაც ლოგიკური შედეგია. მთლიანი ინვესტიციები და დაზოგვის ნორმა ფინანსური მხარდაჭერის წყაროა, რაც მოდელის აგების წინ აღინიშნა. ასევე, ზრდად დამოკიდებულებაშია მთვარობის რეფორმატორობის და მხარდაჭერის ფაქტორი მშპ-ის ზრდასთან. მიღებული შედეგები თეორიული მოდელის ანალოგიურია და მიუთითებს გრადუალისტური სტრატეგიის ეფექტიანობაზე.

აღსანიშნავია, რომ მოდელის არც თუ მაღალი დეტერმინაციის კოეფიციენტი ($R^2$=0,49) შესაძლოა გამოწვეულია თეორიული მოდელის ცვლადების გამოსახვის მცდელობითა (ჩამნაცვლებელი ცვლადების გამოყენებით) თუ მოდელში მნიშვნელოვანი ფაქტორის ჩაურთველობით.

## დასკვნები

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შოკური თერაპიის მოდელის პირობებში შესაძლებელია მშპ-ის რეგულირება ჰეტეროდოქსული სტრატეგიის მეშვეობით.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გრადუალისტური სტრატეგია ეფექტიანია ჩინეთის მაგალითზე, კერძოდ, რეფორმები და მძლავრი ფულადი მხარდაჭერა ქვეყანას საშუალებას აძლევს განაგრძოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზა მაკროეკონომიკური სტაბილურობის პირობებში.

ჩინეთის ეკონომიკაზე შესაძლოა მორგებულიყო შოკური თერაპიის სტრატეგია, რაც კვლევებით დასტურდება. მკვეთრი არგუმენტი, თუ რომელი სტრატეგია უნდა აერჩია ქვეყანას, არ არსებობს, თუმცა, აღსანიშნავია შემდეგი ფაქტი: გრადუალისტური მიდგომის დროს ქვეყნის ეკონომიკა არ განიცდის მკვეთრ ცვლილებებს და მაკროეკონომიკურ რყევებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩინეთისათვის პრიორიტეტულ მიდგომად მიმაჩნია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გრადუალისტური თეორია.

ჩინეთის მაგალითზე ჩატარებული კვლევებით ცალსახად ვერ დავასკვნით იმუშავებდა თუ არა შოკური თერაპია სხვა გრადუალისტურ ქვეყნის მაგალით-ზე და რამდენად ეფექტიანი იყო ამ ქვეყნების მიერ არჩეული სტრატეგია. ამ მიმართულებით საჭიროა ჩატარდეს კვლევები, რათა გამოვლინდეს არჩევნის კორექტულობა.

სასურველია შემოწმდეს პოსტსაბჭოთა გრადუალისტური ქვეყნების სტრა-ტეგია ემპირიულად და მოხდეს შედეგების შედარება ჩინეთთან, რამაც შესაძ-ლოა, წარმოშვას ახალი თეორიები და კვლევის ახალი ობიექტები. ასევე მნიშ-ვნელოვანია იმ ქვეყნების ეკონომიკის ემპირიული კვლევა, რომლებმაც აირ-ჩიეს შოკური თერაპია.

## ლიტერატურა:


1. პაპავა, ვ. *არატრადიციული ეკონომიკსი.* თბილისი, გამომცემლობა პაატა გუგუშ-ვილის ინსტიტუტი, 2011.
2. Николаева, И.П., ред. *Теория переходной экономики*. Москва, ЮНИТИ-ДАНА, 2001.
3. Колодко, Г.В. *От щока к терапии: Политическая экономия постсоциалистических преобразований*, Москва, «Журнал Эксперт», 2000.
4. World economic outlook 2015, http://www.imf.org
5. ანანიაშვილი, ი. *დროითი მწკრივების ანალიზი. სალექციო კურსი.* თბილისი, გა-მომცემლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი , 2014.
6. BBC. *China Historic Profile*, 21 January 2016, http://www.bbc.com/news/world-asia-pacific-13017882


## Econometric Analysis of the Theories of Transition to Market Economy (Case of Chin's Economy)


***Giorgi Miqeladze***

*Doctoral student,*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

*Giooo.miqeladze@gmail.com*



After the collapse of the Soviet Union the post-Soviet countries began their transition to market economy, which produced different economic theories. The article presents the review of shock therapy of the transition to market economy and gradualistic transformation theories and their empirical comparison in the case of China's economy. The given work discusses the possible consequences of shock therapy and effectiveness of the use of gradualistic transformation theory for China's economy. In empirical

research there are given variables (GDP, inflation rate, and unemployment rate) examined in theoretical models and substitute variables (percentage rate of savings, percentage rate of investments, state foreign debt) of the factors presented in these models, as well as an individual approach to the determination of one of the factors (variable of the government's reforms and support). Based on the China's economic indicators, by the empirical realization of shock therapy model it is determined in China's economy that it was possible to successfully implement the noted theory. In addition, on the basis of the comparative analysis of the models the research determines the effectiveness of the gradualistic strategy and its advantage with respect to the strategy of shock therapy.

**Keywords:** China, shock therapy, gradualistic strategy.
**JEL Codes:** P 20, P 31, P 40, P 52

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 1, გვ. 72-80
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 14, pp. 72-80

# მაკროპრუდენციული პოლიტიკის განვითარება ფინანსური კრიზისის შემდგომ პერიოდში

**ზვიად ზედგინიძე**

*ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*
E-mail: zviad.zedginidze@gmail.com

ფინანსურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა საფინანსო სისტემის არსებული სტრუქტურა და მისი საზედამხედველო პოლიტიკა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რიგი ღონისძიება გაატარეს, რათა, ერთი მხრივ, შეეკავებინათ ფინანსური კრიზისის უარყოფითი ეფექტი, ხოლო, მეორე მხრივ, დაიწყეს საფინანსო სექტორის საზედამხედველო პოლიტიკის რეფორმირების გრძელვადიანი პროცესი. რეფორმა მიზნად ისახავდა საზედამხედველო პრაქტიკაში მანამდე არსებული სისუსტეების აღმოფხვრას და ღონისძიებების განხორციელებას, რომელთა შედეგადაც უფრო ძლიერი და მდგრადი საფინანსო სისტემა უნდა ჩამოყალიბებულიყო [1].

ყოველივე ამაზე, ბოლო წლებში პოლიტიკის გამტარებლებისა და მაკროეკონომისტების მზარდი ყურადღება ეთმობა ფინანსური რეგულირების მეთოდების მაკროეკონომიკურ ანალიზს [2], [3]. დებატები ძირითადად ფოკუსირებულია მაკროპრუდენციულ ინსტრუმენტებსა და მათი ეფექტიანად გამოყენების გზებზე, ასევე, მაკროპრუდენციული და მონეტარული პოლიტიკის ურთიერთკავშირსა და ამ ყველაფერთან დაკავშირებულ სირთულეებზე.

**საკვანძო სიტყვები:** მაკროპრუდენციული პოლიტიკა; სისტემური რისკი; საზედამხედველო პოლიტიკა.

## მაკროპრუდენციული პოლიტიკის არსი

მაკროპრუდენციული პოლიტიკა გულისხმობს მონიტორინგს, შეფასებას და ფინანსური სტაბილურობის ისეთი საზედამხედველო პოლიტიკის გატარებას, რომელიც მიმართული იქნება სისტემური რისკების აღმოფხვრასა და ფინანსური სექტორის პროციკლურობის (ციკლის მიმართულებით მზარდი, procyclical) განეიტრალებაზე. მაკროპრუდენციული პოლიტიკა პრევენციული ხასიათისაა, რომლის მიზანია, ერთი მხრივ, გაზარდოს ფინანსური სისტემის მედეგობა ეგზოგენური შოკების მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, შეზღუდოს ფინანსური დისბალანსის წარმოქმნა აქტივებისა და კრედიტების ბაზარზე, რაც ფინანსური კრიზისების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. ფინანსური ბაზარზე დისბალანსის შესამცირებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ციკლის საწინააღმდეგო (countercyclical) პოლიტიკის გატარებას და ამ მხრივ რისკების წარმოქმნის ხელშეშლას.

მაკროპრუდენციული პოლიტიკის ერთი-ერთი საკითხი, რომლის მნიშვნელობა ფინანსურმა კრიზისმა ნათლად წარმოაჩინა, არის საზედამხედველო პოლიტიკაში სისტემური მიდგომის აუცილებლობა. სისტემური ხასიათის რისკების არასათანადოდ შეფასება ფინანსური კრიზისის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია. ბანკების მარეგულირებელი ორგანოები, როგორც წესი, ფოკუსირებულნი იყვნენ ე.წ. „იდეოსიკნარატულ" - კონკრეტული ბანკისთვის დამახასიათებელ რისკებზე. სისტემური ხასიათის რისკები მთლიანად საფინანსო სისტემას უქმნის საფრთხეს და არა მხოლოდ იზოლირებულად რომელიმე კონკრეტულ ინსტიტუტს.

სისტემური რისკები რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დაიყოს. პირველია, ეგზოგენური შოკები, რომელთაც, მაგალითად, ეკონომიკური ვარდნა განეკუთვნება, საგარეო შოკი და სხვა. ამ ტიპის შოკები გულისხმობს ჩვენგან დამოუკიდებელი მოვლენის მოხდენას. მეორე ეს არის, ე.წ. „გადამდები ეფექტები" (contagion), რომელიც საერთაშორისო მასშტაბით, ფინანსური სექტორის მაღალი ინტეგრაციით არის განპირობებული. მესამე კატეგორიას წარმოადგენს ფინანსური დისბალანსის დაგროვება, რომელიც ენდოგენური ხასიათის რისკია და იგი ხშირად ბაზრის მონაწილეთა, მათი მარეგულირებლების, ცენტრალური ბანკებისა და ხელისუფლებების უყურადღებობით გროვდება. ამის მაგალითია მსოფლიო ფინანსური კრიზისიც, როდესაც, ერთი მხრივ, შემცირებული მონეტარული პოლიტიკის სარგებლის განაკვეთებმა და, მეორე მხრივ, არაგონივრულმა ფინანსურმა საზედამხედველო პოლიტიკამ, უძრავი ქონების ფასების ბუშტი წაახალისა.

სისტემური რისკის ხასიათის მიხედვით, განსხვავებულია მიდგომები, თითოეულ შემთხვევაში მაკროპრუდენციულმა პოლიტიკამ უნდა გამოიყე-

ნოს. თუკი ეგზოგენური შოკების მიმართ, მაკროპრუდენციულმა პოლიტიკამ ფინანსური სისტემის მედეგობა უნდა აკონტროლოს და გაზარდოს, გადამდები რისკებისა და ფინანსური დისბალანსის საშიშროების შემთხვევებში, მათი წინასწარი პრევენცია და ამ ტიპის რისკების წარმოქმნის ხელშეშლა უნდა განახორციელოს. ფინანსური კრიზისის შემდგომ, ამ მიმართულებით დიდი ყურადღება გამახვილდა და არა ერთი ინსტრუმენტის დანერგვა დაიწყო საზედამხედველო პოლიტიკაში, რომელიც სისტემური რისკების აღმოფხვრისკენ არის მიმართული. სისტემური რისკების უმთავრეს წყაროს საფინანსო სექტორის პროციკლური ხასიათი წარმოადგენს.

ფინანსური სისტემის პროციკლურობის საფუძველს, ბაზარზე ინფორმაციის ასიმეტრიულობა ქმნის. კერძოდ, როდესაც ეკონომიკური ვითარება გაუარესებულია (რეცესიის დროს) საგირავნო აქტივის ფასები (უძრავი ქონება, ფირმების კაპიტალი) მცირდება და უარესდება ფირმების საბალანსო უწყისი, შესაბამისად. მომგებიანი საინვესტიციო პროექტებიც კი ძნელად ფინანსდება, ხოლო როდესაც ეკონომიკური პირობები გაუმჯობესებულია (ეკონომიკური აღმავლობის ფაზაში) საგირავნო აქტივის ფასები მატულობს, ფირმები ადვილად ახერხებენ დაფინანსების მოძიებას და ეს კიდევ უფრო ზრდის ეკონომიკურ აქტივობას. ეკონომიკური და ფინანსური ციკლების ასეთ კავშირს „ფინანსური აქსელერაცია" ეწოდება. უნდა ითქვას, რომ გარდა ფინანსური აქსელერაციისა, არსებობს სხვა ფაქტორები, რაც ფინანსურ სექტორს პროციკლურობას სძენს [4]. თანამედროვე კვლევებით ითვლება, რომ პროციკლურობის დამატებით წყაროს წარმოადგენს ეკონომიკური რისკების ცვლილების მიმართ საფინანსო ბაზრის მონაწილეთა არაადეკვატური პასუხი. სხვადასხვა ფაქტორი ხშირად განაპირობებს ეკონომიკური ბუმის დროს რისკების არასათანადოდ, ხოლო რეცესიის დროს გადაჭარბებულად შეფასებას.

ფინანსური სექტორის პროციკლურობის განმაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო ასევე საფინანსო ზედამხედველობის პოლიტიკა, რომლის აღმოფხვრაზეც კრიზისის შემდგომ აქტიურად დაიწყო მუშაობა. კერძოდ, სესხების შესაძლო დანაკარგების მიმართ დარეზერვების პრაქტიკა სტანდარტულად ითვალისწინებს იმას, რომ შესაძლო დანაკარგების რეზერვი მიბმულია სესხების მომსახურების დეფაქტო ვადაგადაცილებაზე. შესაბამისად, ეკონომიკური ციკლის აღმავლობის ფაზაში ბანკს შესაძლო დანაკარგების მცირე რეზერვი სჭირდება, ხოლო ციკლის დაღმავალ ფაზაში (ეკონომიკური სტაგნაციის პერიოდი), როდესაც ცუდი ხარისხის სესხები თავს გამოავლენს, იზრდება შესაძლო დანაკარგების რეზერვი. ასევე, ბაზელ II[1]-ის მიხედვით,

1 საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი შეიმუშავებს და განსაზღვრავს საბანკო ზედამხედველობისა და კანონმდებლობის საუკეთესო პრაქტიკას, რომელსაც რეკომენდაციების სახით აწვდის მსოფლიოს ქვეყნების საფინანსო სექტორის მარეგულირებელ ორგანოებს. ბაზელ II წარმოადგენს მეორე თაობის

მოთხოვნები კაპიტალის ადეკვატურობის უზრუნველყოფისთვის, პროციკლური ხასიათის მიდგომით გამოირჩეოდა. კაპიტალის მოთხოვნები შერბილებულია საკრედიტო ციკლის ბუმის დროს, რაც კიდევ უფრო ამწვავებს აღნიშნულ პროცესს. საკრედიტო ციკლის დაღმავლობისას, როდესაც დაკრედიტება შემცირებულია, კაპიტალის მოთხოვნები მკაცრდება, რაც კიდევ უფრო ზღუდავს დაკრედიტებას და შესაბამისად ეს ყოველივე აფერხებს ეკონომიკის გაჯანსაღებას.

მაკროპრუდენციული პოლიტიკის ფარგლებში საფინანსო სექტორის რეგულირება ბიზნესციკლზე დამოკიდებული ხდება. კერძოდ, კაპიტალის ადეკვატურობის და სესხების შესაძლო დანაკარგების მიმართ დარეზერვების ნორმები ციკლის საწინააღმდეგო ხასიათის ხდება. აღნიშნული იდეა გულისხმობს, რომ კაპიტალის მოთხოვნები უნდა გამკაცრდეს საკრედიტო ციკლის ბუმის პერიოდში, რათა შეიზღუდოს საკრედიტო პორტფელის ჭარბად ზრდა, ხოლო მოთხოვნები შესუსტდეს დაღმავლობის ფაზაში, რათა წაახალისოს დაკრედიტების ზრდა. შესაბამისად, უზრუნველყოს მასტაბილიზებელი ფუნქცია. მაკროპრუდენციული ზედამხედველობის პოლიტიკით სისტემური რისკების რეგულირების შემთხვევაში, განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს ანალიტიკური მეთოდები, რაც საზედამხედველო ნორმების ოპტიმალურად დადგენისთვისაა საჭირო. მაგალითად, რაოდენობრივად როგორ უნდა იქნეს შეფასებული საკრედიტო თუ ბიზნესციკლები, ასევე როგორ უნდა კალიბრირდეს[1] მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები და სხვა.

## მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტები

მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტები საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა, ორ ძირითად კატეგორიად იყოფა. პირველ კატეგორიას განეკუთვნება ინსტრუმენტები, რომელსაც დროითი განზომილება გააჩნია. ამ კატეგორიის ინსტრუმენტები გამიზნულია ფინანსური სისტემის პროციკლურობის აღმოსაფხვრელად. მეორე, ეს არის რისკების განაწილების შეზღუდვაზე ორიენტირებული ინსტრუმენტები (დროის კონკრეტულ პერიოდში). დროითი განზომილების მქონე ინსტრუმენტებიდან ყველაზე ფართოდ გამოიყენება კაპიტალის ციკლის საწინააღმდეგო ბუფერი (Countercyclical Capital Buffer), Loan-to-Value (სესხის ფარდობა გირაოს ფასთან), Debt-to-Income (ვალის მომსახურების ტვირთი) და Dynamic Provisioning (სესხების შესაძლო დანაკარ-

შეთანხმებას, რომელიც პრაქტიკულად უკვე 2010 – 2011 წლებში ჩანაცვლდა ბაზელ III-ით.

1 კალიბრაცია პარამეტრების განსაზღვრაა ეკონომიკური თეორიის, სხვა ქვეყნების გამოცდილების და ექსპერტული შეფასებების გამოყენებით.

გების მიმართ რეზერვების დინამიკური წესი). რისკების განაწილების შეზღუდვაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების გამოყენება გულისხმობს დამატებით კაპიტალსა და ლიკვიდურ აქტივებზე მოთხოვნას სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკებისთვის (Systemically Important Financial Institutes), ასევე შეზღუდვებს ბანკის არაძირითად (არაპროფილურ) საქმიანობაზე და სხვა. მაკროპრუდენციული პოლიტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სისტემური მნიშვნელობის მქონე ბანკებს, რომლებიც საკმარისად დიდებია, რომ მთავრობამ მათი გაკოტრება დაუშვას (too big to fail). ასეთ შემთხვევაში, დამატებითი უსაფრთხოების ნორმებია საჭირო, რომ ერთი რომელიმე ბანკის მხრიდან მთლიანად ფინანსურ სისტემას არ დაემუქროს საფრთხე და გადასახადის გადამხდელებს არ დააწვეთ ტვირთად.

ციკლის საწინააღმდეგო ბუფერის (countercyclical buffer) მიზანია, კაპიტალის ბუფერის გამოყენების გზით, მიაღწიოს მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითად მიზანს და, ერთი მხრივ, შეზღუდოს საბანკო სექტორი დაკრედიტების ჭარბი ზრდისგან (რომელიც ხშირად სისტემური რისკის წარმოქმნასთან არის დაკავშირებული [5], ხოლო, მეორე მხრივ, მოამზადოს ბუმის შემდგომ დაღმასვლის ფაზაში დანაკარგების გაძლებისთვის. კერძოდ, ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი კაპიტალის ბუფერი უზრუნველყოფს საბანკო სექტორს ჰქონდეს საკმარისი კაპიტალი რათა დაკრედიტების ჭარბი ზრდის შემდგომ, სტრესის პერიოდში არ შეფერხდეს ეკონომიკისთვის საჭირო დაკრედიტების პროცესი. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტორია იმისთვის, რომ საფინანსო სექტორის დამატებითი დანაკარგები იქნეს თავიდან აცილებული.

გარდა იმისა, რომ ციკლის საწინააღმდეგო კაპიტალის ბუფერი ემსახურება საბანკო სექტორის დაცვას სტრესის პერიოდში, იგი ასევე ასრულებს სისტემური რისკების დაგროვების შემაფერხებელ ფუნქციას (lean against the wind). კერძოდ, კაპიტალის ბუფერის გამოყენებით შესაძლებელია გავზარდოთ დაკრედიტების ხარჯი და შევამციროთ მოთხოვნა, როდესაც იკვეთება, რომ წარსულ ტენდენციებთან შედარებით დაკრედიტების ტემპი ჭარბია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალის საწინააღმდეგო ბუფერისთვის ჭარბი დაკრედიტების შემაფერხებელი ფუნქცია არ არის ძირითადი, მის მთავარ ფუნქციას შესაძლო სტრესის პირობებში მდგრადობის ზრდა წარმოადგენს.

აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებისთვის, შესაბამისი უფლებამოსილი ინსტიტუტი ხელმძღვანელობს საერთაშორისო პრაქტიკით, რომელის მიხედვითაც იგი იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ინფორმაციას, რათა სწორად შეაფასოს წარმოქმნილი სისტემური რისკი და ამის მიხედვით დაადგინოს ბანკებისთვის კაპიტალის დამატებითი ოდენობა, რომელიც მათ უნდა

იქონიონ. ბაზელის მიერ გამოცემული რეკომენდაციების თანახმად კაპიტალის ბუფერის კონკრეტული ნიშნულის დადგენისთვის გამოიყენება კერძო სექტორზე გაცემული სესხების მშპ-სთან ფარდობის ანალიზი (credit-to-GDP gap). კერძოდ, credit-to-GDP რამდენად გადახრილია თავისი ისტორიული ტრენდიდან, პოტენციურად სისტემური რისკის დონეზე მიუთითებს და შესაბამისად, კაპიტალის ბუფერი მასზე დაყრდნობით განისაზღვრება. აღნიშნული ინდიკატორი, ისტორიულად კარგად აღწერს სისტემური რისკების დაგროვებას [6].

მაკროპრუდენციული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია: სესხის Loan-to-Value (LTV) და Debt-to-Income (DTI) კოეფიციენტი. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აქტიურად გამოიყენება LTV მაჩვენებლისთვის მაქსიმალური ზღვრის დაწესება. აღნიშნული შეზღუდვა მიზნად ისახავს სისტემური რისკების შემცირებას, რაც თან სდევს უძრავი ქონების ფასების ბუშტის წარმოქმნას. კერძოდ, LTV-ს ზედა ზღვრის დაწესება უზრუნველყოფს, იმას, რომ სესხის მოცულობა იყოს მცირე საგირავნო უძრავი ქონების ფასთან შედარებით, რაც ზღუდავს უძრავი ქონების ფასების სპეკულაციურ ზრდას და ამცირებს ფინანსური აქსელერაციის ეფექტს [7]. ზოგიერთ შემთხვევაში, LTV-ს რეგულირება დისკრიმინაციულია უძრავი ქონების დანიშნულების მიხედვით (მაგ. მკაცრი პირობები უწესდებათ კომერციული და სპეკულაციური მიზნით ქონების შეძენის შემთხვევაში, მაშინ როცა შეღავათებია საცხოვრებელი დანიშნულებით ყიდვისას.). პრაქტიკაში, LTV-სთან ერთად გამოიყენება აგრეთვე DTI კოეფიციენტის რეგულირება. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ვალის ყოველთვიური მომსახურების მოცულობა მსესხებლის წმინდა განკარგვად შემოსავალთან მიმართებით, არ უნდა აღემატებოდეს დაწესებულ ზღვარს.

ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მაკროპრუდენციული ინსტრუმენტია ასევე Dynamic Provisioning,რომელიც პირველად ჯერ კიდევ გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე, ესპანეთში იქნა შემოღებული ხოლო ფინანსური კრიზისის შემდეგ განსაკუთრებული პოპულარობა შეიძინა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იქნა დანერგილი. Dynamic Provisioning გამოყენება მიზნად ისახავს საბანკო სისტემისთვის საკრედიტო დანაკარგების თანაბარ განაწილებას საკრედიტო ციკლის მიხედვით. კერძოდ, Dynamic Provisioning ითვალისწინებს რეზერვის ბუფერის დაწესებას ბანკისთვის საკრედიტო ციკლის ბუმის პერიოდში, როდესაც სტანდარტული კრიტერიუმებით სესხების ხარისხი კარგია და მცირე დანაკარგებია მოსალოდნელი. შესაბამისად, ეს ინსტრუმენტი ხელს უწყობს სესხის დანაკარგების ზღვრული დანახარჯის სტაბილურობას საკრედიტო ციკლის სხვადასხვა ფაზაში. Dynamic Provisioning-ის და კონტრციკლური კაპიტალის ბუფერის ინსტრუმენტები ერთმანეთს ავსებს მაკროპრუდენციულ მიზნების უზრუნველსაყოფად, რადგან დანაკარგების რეზერვი განკუთვნილია

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების, ხოლო კაპიტალის ბუფერი კი მოულოდნელი დანაკარგების დასაფარად [8].

მაკროპრუდენციული პოლიტიკა, გარდა საკრედიტო ციკლის და მასთან დაკავშირებული სისტემური რისკების განეიტრალებისა, ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს რისკების განაწილებისა და სტრესის შემთხვევაში რისკების ერთი ბანკიდან მეორე ბანკზე შესაძლო გავრცელების აღმოფხვრას. კერძოდ, გლობალური კრიზისის ფონზე, Lehman Brothers-ის გაკოტრებამ 2008 წლის სექტემბერში, ნათლად წარმოაჩინა ის უარყოფითი გარეეფექტები (negative externalities), რაც დაკავშირებულია გლობალურად სისტემური მნიშვნელობის მქონე ბანკის გაკოტრებასთან. ამასთან, საფინანსო ინსტიტუტები, რომლებიც სისტემურად მნიშვნელოვანია თავისი ზომის, კომპლექსურობის, სხვა ინსტიტუტებთან გადაჯაჭვულობისა და გლობალურ ასპარეზზე ძნელად ჩანაცვლებადობის გათვალისწინებით კარგად აცნობიერებენ რა თავიანთი გაკოტრების მძიმე შედეგებს ზოგადად ეკონომიკური გარემოსთვის, უყალიბდებათ მოლოდინი, რომ მთავრობა არ დაუშვებს მათ გაკოტრებას (too big to fail) და ერთგვარ სახელმწიფო გარანტიას ფლობენ. ეს ფაქტორი კი მორალურობის რისკს (Moral hazard) წარმოშობს და ზრდის მათი რისკებისადმი მიდრეკილებას, პრივილეგიას ანიჭებს მათ და არაკონკურენტულ გარემოს აყალიბებს. ზემოაღნიშნული გარე ეფექტების გამო, საფინანსო ინსტიტუტის რაციონალური ქცევა მაქსიმალური სარგებლის მიღების მიზნით, შესაძლოა მკვეთრად განსხვავდებოდეს საზოგადოებრივი ინტერესებისგან, რაც საბოლოო ანგარიშით, ზრდის მომავალი კრიზისის ალბათობას და შესაბამისად, გადასახადის გადამხდელების ტვირთს [9].

ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარებისთვის, მაკროპრუდენციული პოლიტიკა მიზნად ისახავს შეამციროს სისტემური ბანკების გაკოტრების ალბათობა და გაკოტრების შემთხვევაში შეზღუდოს სისტემისთვის უარყოფით ეფექტი. კერძოდ, 2011 წლის ნოემბერში, ბაზელის კომიტეტმა გამოსცა მეთოდოლოგიის საბაზისო ჩარჩო [Basel Committee on Banking Supervision, 2013, "Global systemically important banks: updated assessment methodology and the higher loss absorbency requirement".], რომლის მიხედვითაც სისტემური მნიშვნელობის მქონე ფინანსური ინსტიტუტები უნდა იქნეს იდენტიფიცირებული და დაუწესდეთ დამატებითი კაპიტალის ბუფერი, დანაკარგების მიმართ მდგრადობის ზრდისთვის. ბაზელის კომიტეტი ასევე ყურადღებას ამახვილებს საფინანსო ინსტიტუტების გაკოტრების მექანიზმის ეფექტიანობის აუცილებლობაზე. მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს, აუცილებლობის შემთხვევაში, ინსტიტუტის გაკოტრება - პროცედურის წარმართვა ისეთნაირად, რომ არ გამოიწვიოს მთლიანად საფინანსო სისტემის პარალიზება ან/და ტვირთად არ დააწვეს გადასახადის გადამხდელებს

კრიზისების პრევენციისა და დაძლევისთვის საფინანსო სექტორის მაკროპრუდენციული რეგულირების პოლიტიკა ძალზედ მნიშვნელოვანია, თუმცა, იგი შესაძლოა არ იყოს საკმარისი. კრიზისის შემდეგ ეკონომისტებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ციკლის საწინააღმდეგო ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის როლს ფინანსური სტაბილურობისთვის [2], [3]. კერძოდ, ციკლის საწინააღმდეგო ფისკალური პოლიტიკა, რომლის მიზანია ეკონომიკური ციკლის სტაბილიზაცია, ამცირებს საკრედიტო დანაკარგებს რეცესიის დროს, ასევე, აფერხებს სისტემური რისკების დაგროვებას ციკლის ბუმის ფაზაში.

მონეტარული პოლიტიკა, თავისი ტრადიციული შინაარსით, ციკლის საწინააღმდეგოა და მისი ძირითადი მიზნები-ფასების სტაბილურობის და ეკონომიკური ზრდის გრძელვადიანი სტაბილიზაცია, თავისთავად უწყობს ხელს საფინანსო სექტორის სტაბილურობას. თუმცა, ბოლო პერიოდში არაერთი კვლევა მიეძღვნა მონეტარული პოლიტიკისა და საფინანსო ზედამხედველობის პოლიტიკის ურთიერთმოქმედების შესწავლას [2], [3], [4], რომელმაც ნათლად წარმოაჩინა, რომ შესაძლოა არსებობდეს კონფლიქტური სიტუაციებიც, როდესაც პოლიტიკის გამტარებლებს უწევთ არჩევანის გაკეთება სხვადასხვა მიზნებს შორის. ასევე, ფინანსურმა კრიზისმა წარმოაჩინა, რომ მონეტარული პოლიტიკის დადგენისას ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკური ციკლის ანალიზს ფართო კონტექსტით და მათ შორის ფინანსური აქტივების ფასების დინამიკას, რათა შემცირდეს ფასების ბუშტის წარმოქმნის შესაძლებლობა.

* * *

სისტემური რისკები, რომლის წარმოქმნა და დაგროვება ვერ იქნა კრიზისამდელი საზედამხედველო პრაქტიკით გამოვლენილი, გახდა გლობალური ფინანსური კრიზისის ერთ-ერთი ფაქტორი. შესაბამისად, სწორედ აღნიშნული რისკების დროული გამოვლენა და მისი ეფექტიანი მართვა ფინანსური ზედამხედველობის ახალებური ჩარჩოს ჩამოყალიბების ძირითადი მიზანი გახდა.

## ლიტერატურა:


1. BIS, 2011, *81st Annual Report, V. Financial Regulatory Reform: Accomplishments, Pitfalls, Prospects*, Bank for International Settlements Basel, June.
2. Blanchard, O., Dell''Ariccia, G., and Mauro, P., 2010, *Rethinking Monetary Policy,* IMF Staff Position Note, SPN/10/03, February.
3. Blanchard, O., Dell''Ariccia, G., and Mauro, P., 2013, *Rethinking Monetary Policy II: Getting Granular,* IMF Staff Position Note, SDN/13/03, April.

4. Borio, C., 2014, *Monetary Policy and Financial Stability: What Role in Prevention and Recovery?*, BIS Working Papers No 440, January.
5. Drehmann, M., Borio, C., and Tsatsaronis, K., 2011, *Anchoring Countercyclical Capital Buffers: the Role of Credit Aggregates;* BIS Working Paper No 355, November.
6. Drehmann, M., Borio, C., Gambacorta, L., Jimenez, G., Trucharte, C., 2010, *Countercycylical capital buffers: exploring options*, BIS Working Papers No 317 .
7. Crowe, C., Dell'Ariccia, G., Igan, D., Rabanal, P., 2011, *How to Deal with Real Estate Booms: Lessons from Country Experiences,* IMF Working Paper 11/91.
8. Wezel, T., Chan-Lau, J.A., and Columba, F., 2012, *Dynamic Loan-Loss Provisioning: Simulations on Effectiveness and Guide to Implementation,* Working Paper No. 12/110, International Monetary Fund, May.
9. BIS, 2013, *Global systemically important banks: updated assessment methodology and the higher loss absorbency requirement*, Basel Committee on Banking Supervision, Basel, July.

## Development of Macroprudential Policy after Financial Crisis

***Zviad Zedginidze***

*Doctoral student,*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*
*zviad.zedginidze@gmail.com*

Formation and accumulation of systemic risks could not be detected by the financial supervisory practice before crisis, which became one of the causes for global financial crisis. These risks and their effective management have become a major objective of the new framework for financial supervision. The article reviews the development of macroprudential policy, which has taken place after the global financial crisis and has been paid growing attention by macroeconomists, as it necessitates analysis of financial regulation in the context of macroeconomics.

**Keywords:** Macroprudential policy, systemic risks, financial regulation.
**JEL Codes:** E 44, E 58, G 18, G 38

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 1, გვ. 81-93
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 1, pp. 81-93

# მენეჯმენტი ✧ მარკეტინგი ✧ ტურიზმი
# MENEGMENT ✧ MARCETING ✧ TOURISM

## შრომითი პროცესების მართვის ძირითადი მიმართულებები

**ნაირა ღვედაშვილი**

*ეკონომიკის დოქტორი,*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის*
*მოწვეული პროფესორი*
*e-mail: naira1-63@mail.ru*

სტატიაში შრომის პროცესების მართვის პრინციპებზე, ეტაპებზე, შრომის ნორმირების თავისებურებებზე, ჯანდცვის სისტემაში ამჟამად მოქმედ შრომის ნორმებზე ცალკეულ მკვლევართა შეხედულებების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია ავტორისეული მოსაზრებები აღნიშნულ სფეროში შრომითი პროცესების მართვის სრულყოფის მიმართულებების შესახებ. მათ შორისაა როგორც მედმუშაკებისათვის შრომის მაღალნაყოფიერების უზრუნველმყოფი პირობების შექმნა, ასევე პაციენტებისათვის მათი ჯანმრთელობის გამოკვლევის და მკურნალობის პროცესში მოხერხებულობის მაქსიმალური პირობების უზრუნველყოფა. დასახულია მოცემულ სფეროში არსებულ ნაკლოვანებათა შემცირების ზოგიერთი რეკომენდაცია.

**საკვანძო სიტყვები:** შრომითი პროცესები; შრომის ნორმირება; ჯანდაცვის სისტემაში შრომის ნორმა; ელასტიკური სამუშაო გრაფიკი; შრომის მეთოდების რაციონალიზაცია.

მენეჯმენეტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების დღევანდელ ეტაპზე, ნებისმიერი ორგანიზაციის, მათ შორის ჯანდაცვის ორგანიზაციების ეფექტიანი საქმიანობისათვის, ადამიანის ფაქტორმა და შრომითი პროცესების მართვამ განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა. სწორედ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნებისმიერი ორგანიზციის ეფექტიანი მოქმედების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა

იზრუნოს საკადრო პოლიტიკის დახვეწაზე. კონკურენციას უძლებს ის ორგანიზაცია, რომლის მენეჯმენტი უფრო მოქნილია და სწრაფად რეაგირებს საბაზრო კონიუნქტურაზე, მის მოთხოვნილებებზე. ცვლილებათა ამ სისტემაში სწორედ რომ ადამიანთა რესურსს და შრომითი პროცესების მართვას ცენტრალური ადგილი უკავია [1, გვ. 201]. ხშირია შემთხვევა, როცა დაწესებულება ამჯობინებს ადამიანთა რესურსები ეძიოს თავისი ორგანიზაციის შიგნით, ვინაიდან თანამშრომლის დაწინაურება არა მხოლოდ უფრო იაფია, არამედ ხელს უწყობს პერსონალის დაინტერესებას, ორგანიზაციაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესებას. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შემსრულებლები მხოლოდ მაშინ მუშაობენ სრული უკუგებით, როდესაც გრძნობენ, რომ გაწეული ძალისხმევა უშუალოდ მათ კეთილდღეობაზე მოახდენს გავლენას. მხედველობაშია მისაღები, ასევე, კოლექტივის წევრთა მონაწილეობის გაფართოვება გადაწყვეტილების მიღებაშიც, რომელიც ნებისმიერი რანგისა და კვალიფიკაციის პერსონალისათვის მოტივაციის მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს. ამ ფაქტორის გამოყენება კი უზრუნველყოფს შრომის მაღალ მწარმოებლურობას, ქმნის დადებით შრომით ატმოსფეროს, ზრდის ხარისხს, ავლენს ინიციატივიან და ნიჭიერ ადამიანებს, რაც ხელს უწყობს შრომითი პროცესების გამართულ მუშაობას.

ცხადია, შრომითი პროცესის გამოკვლევაზე დაფუძვნებული სამუშაო ადგილის ორგანიზება კი მიმართულია იქითკენ, რომ პერსონალს შეეძლოს შრომის რაციონალური ხერხების და მეთოდების გამოყენება, რაც სხვა დადებითი შედეგების გარდა, გამოიწვევს პერსონალის გამონთავისუფლებასაც.

სამუშაო ადგილის დაპროექტებასა და შრომის კეთილსასურველი პირობების შექმნაში გავლენას ახდენს, ასევე, ნორმალური სანიტარულ-ჰიგიენური პარამეტრების დაცვა, კერძოდ, მიკროკლიმატი, ჰაერის დაბინძურება, განათება, ვიბრაცია თუ ხმაური, რაც უნდა იყოს ნორმების ზღვრებში, რათა ადამიანმა შეძლოს სრულფასოვანი მუშაობა.

## შრომითი პროცესების მართვის არსი, პრინციპები და ეტაპები

შრომითი პროცესი ეს არის შემსრულებლის მიერ გარკვეული თანამიმდევრობით შესრულებული შრომითი ქმედებების და ხერხების ერთობლიობა, რაც სრულდება მატერიალურ ან სხვა სახის საქმიანობაში. სხვანაირი განმარტებით, შრომითი პროცესი არის პროდუქციის დამზადების, ანდა სამუშაოს შესრულების მიზნით შრომის საგანზე ან შრომის იარაღზე მუშაკის ზემოქმედების პროცესი, რომელსაც თან ახლავს ადამიანის ფიზიკური და ნერვული ენერგიის ხარჯვა [2, გვ. 153].

შრომითი პროცესის მართვად იწოდება განვითარებაზე ორიენტირებული ამ პროცესების მომწესრიგებელი სისტემა. ის გამოიხატება მენეჯერებსა

და მათ დაქვემდებარებულებს შორის ფორმალურ და არაფორმალურ ურთიერთობაში და ემსახურება შრომითი პროცესის სამართავად გადაწყვეტილებების მიღებას.

შრომითი პროცესის მართვა მოიცავს:

• მმართველობითი პერსონალის შრომის დანაწილებას და კოოპერაციას, როგორც მთელი წარმოების, ასევე მისი ცალკეული რგოლის მასშტაბით;

• მმართველობითი კადრების შერჩევას და დასაქმებას მათი თანამდებობრივი ვალდებულებების და კვალიფიციური დონის შესაბამისად;

• მმართველობითი კადრების საქმიანობის ორგანიზებას;

• მმართველობითი კადრების სამუშაო ადგილების კეთილმოწყობას;

• მმართველობითი კადრების შრომის კეთილსასურველი პირობების შექმნას;

• მმართველობითი კადრების ინდივიდუალური და კოლექტიური შრომის შეფასებას შრომის ნორმირების საფუძველზე;

• მმართველობითი კადრების შრომის მოტივაციას.

შრომითი პროცესების ორგანიზაცია ეს არის მომუშავეთა შრომითი საქმიანობის ხასიათის და შინაარსის აღწერა და განსაზღვრა, რომელიც საჭიროა ორგანიზაციის მიზნების და ამოცანების რეალიზაციისათვის. შრომის რაციონალიზაციისა და შრომითი პროცესის ნორმირებისათვის მიზანშეწონილია მისი შემადგენელ ნაწილებად (შრომითი მოძრაობები, მოქმედებები და ილეთები) დაყოფა. ამის გარდა, შრომის ორგანიზაციისათვის საჭიროა მისი კომპლექსური და სისტემური მიდგომებით მეცნიერული დასაბუთება.

კომპლექსურობა არის ორგანიზაციის მთელი კოლექტივის შრომის ორგანიზების ასპექტის (ორგანიზაციული, სამართლებრივი, ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური) აღრიცხვა. სისტემურობა კი არის შრომის ერთობლივ ორგანიზაციაში ურთიერთშეთანხმებულობა, ურთიერთკავშირი და გამოვლენილ წინააღმდეგობათა აღმოფხვრა.

შრომითი პროცესი შეიძლება იყოს ინდივიდუალურიც და კოლექტიურიც. ინდივიდუალურ შრომაში ერთი ადამიანია დასაქმებული, კოლექტიურში კი ჯგუფი (კოლექტივი). აქ მიღებული შედეგიც კოლექტიური ხასიათისაა.

ამასთან, შეიძლება გამოვყოთ შრომითი პროცესის მართვის მიზნები, კერძოდ:

• შეიქმნას შრომით პროცესზე ზემოქმედი გარემო და კულტურა;

• დადგინდეს სტანდარტები და კრიტერიუმები;

• უზრუნველყოფილ იქნეს გეგმების და სტრატეგიის შემუშავება;

• შესაძლებელი იყოს თანამშრომლებთან უკუკავშირი;

• დადგინდეს შრომისა და მისი ანაზღაურების სტაბილური სისტემა.

რაც შეეხება შრომითი პროცესის მართვის ეტაპებს, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: დაგეგმვა; მხარდაჭერა; ანალიზი; განხილვა; შემდგომი საქმიანობა.

დაგეგმვის ეტაპზე ისაზღვრება სამუშაოს მიზნები და ამოცანები, საქმიანობის სფერო და მისი სტანდარტები. ამასთან, სტანდარტში იგულისხმება სამუშაოს ხასიათი, მისი შედეგი, რომელიც შეიძლება ფუნქციონალურ ვალდებულებაში აისახოს.

რაც შეეხება შრომითი პროცესის მხარდაჭერას, იგი მოიცავს:

- საჭირო რესურსებით უზრუნველყოფას;
- პერსონალთან ხელმძღვანელობის ურთიერთკავშირს;
- რეგულარულ შეხვედრებს და განხილვებს;
- მუდმივ უკუკავშირს;
- განვითარების შესაძლებლობის არსებობას (სამუშაოს მრავალფეროვნების გაზრდას, დავალებების გართულებას და სხვა);
- გადაწყვეტილებების მიღებაში თანამშრომლებისთვის მონაწილეობის უფლების მიცემას;
- შემოქმედებითი აზროვნების და ინიციატივის წახალისებას;
- სწავლებასა და კარიერულ წინსვლაში პირობების შექმნას.

შრომის პროცესის მხარდაჭერისას მხედველობაში უნდა მივიღოთ როგორც თითოეული თანამშრომელი, ასევე მათი ერთობა, კერძოდ:

- ასოციაციები--ძირითად დავალებათა შემსრულებელ ადამიანთა ერთიანობა;
- ორგანიზაციები--ინდივიდების ჯგუფი, რომელთა საქმიანობით მიიღწევა გარკვეული მიზნები ამა თუ იმ დარგში;
- ადამიან-კაპიტალი-ორგანიზაციის სპეციფიკასთან მიმართებით, თანამშრომელთა ცოდნა და ქცევები.

ადამიან-კაპიტალი ასევე შეიძლება დავახასიათოთ, როგორც პერსონალის სოციალურ-კულტურული და პიროვნულ-ფსიქოლოგიური თვისებათა ერთობლიობა. ადამიან-კაპიტალი არ ცვდება. იგი ინახება და გამოყენების კვალდაკვალ იზრდება და ვითარდება კიდეც.

## შრომის ნორმირების პროცესის თავისებურებები

სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით შრომის ნორმირებაში იგულისხმება ერთეული პროდუქციის (მომსახურების) წარმოებაზე საჭირო შრომითი ხარჯის სიდიდე. შრომის დანორმვის არსია სწორედ შრომის დანახარჯის სიდიდის ობიექტური განსაზღვრა. როგორც აღვნიშნეთ, ეს დანახარჯი შრომის ნორმებში აისახება. არსებობს შრომის შემდეგი ნორმები: დროის ნორმა, გამომუშავების ნორმა, მომსახურების ნორმა, მომუშავეთა რიცხოვნობის ნორმა.

აღსანიშნავია, რომ შრომის ყველა ნორმიდან უფრო ფუძემდებლურია დროის ნორმები, ყველა დანარჩენი ნორმა და ნორმატივი ამ მაჩვენებლებიდანაა წარმოებული.

შრომის ნორმირების საგანია კონკრეტული სასარგებლო შრომის პროცესი, ანუ სამომხმარებლო ღირებულების შესაქმნელად ადამიანის შეგნებული მიზანმიმართული საქმიანობა.

შეიძლება გამოვყოთ შრომის ნორმირების ძირითადი ფუნქციები: შრომის მიხედვით განაწილება, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, წარმოების დაგეგმვა, ცალკეულ მუშაკთა და მთელი კოლექტივის შრომითი საქმიანობის შეფასება, შრომითი საქმიანობის მოწინავე მეთოდების გავრცელება.

შრომის ნორმა ობიექტურად აფასებს კონკრეტულ პირობებში პროდუქციის (ან სამუშაოს, მომსახურების) წარმოებისათვის აუცილებელი ყველა დანახარჯის სიდიდეს. შემცირებული ნორმები პესიმიზმს იწვევს, გაზრდილი ნორმები კი-შეუსრულებადია. ორივე შემთხვევაში შრომის მწარმოებლურობის ზრდა დამუხრუჭდება. შრომის ნორმირებამ უნდა მოიცვას შრომის პროცესის ყველა მხარე, სამუშაო ძალა, შრომის საშუალებები და შრომის საგნები, მათი ურთიერთკავშირები. სწორედ, შრომის ნორმირების ძირითადი ამოცანებია, ის რომ დასაბუთდეს კონკრეტულ პირობებში ერთეულ პროდუქტზე (მომსახურებაზე) საჭირო დროის რაოდენობა, დაპროექტდეს შრომის რაციონალური მეთოდები, სისტემატურად გაანალიზდეს შრომის ნორმების შესრულება, გადაიხედოს შრომის ნორმები შრომის პირობების შეცვლის კვალდაკვალ.

გამოყოფენ შრომის ნორმირების ძირითად მეთოდებს: ჯამურ მეთოდს და ანალიტიკურ მეთოდს. ჯამური მეთოდის დროს დგინდება კონკრეტული სამუშაო პროცესისთვის სამუშაო დროის ხარჯი ერთეულ პროდუქციაზე (პროცესის ანალიზის გარეშე). სამუშაოს შესრულების წესს თვითონ პერსონალი განსაზღვრავს. ჯამური მეთოდის სახეებია: საცდელი მეთოდი და საცდელი-სტატისტიკური მეთოდი.

საცდელი მეთოდის დროს ექსპერტი ეცნობა სამუშაო ადგილს, შრომის საშუალებებს და პირობებს და ინტუიციურად, თავისი სუბიექტური გადაწყვეტილებით ადგენს შრომის ნორმას. ეს ნორმა არ არის საშუალო სიდიდე. იგი სამუშაო დროის შესაძლებელი დანახარჯის მაჩვენებელია. მისი დასაბუთებულობა და შესაბამისობა სამუშაო ადგილებთან მთლიანად ექსპერტის გამოცდილებაზეა დამოკიდებული. ამასთან, იგი მხოლოდ განვლილ პერიოდს ასახავს.

საცდელ-სტატისტიკური მეთოდის დროს შრომის ნორმები განისაზღვრება გასულ პერიოდში შრომის მწარმოებლურობის შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ეს მეთოდი არ იყენებს ნორმირებულ სამუშაო პროცესის ანალიზს და არც მხედველობაში იღებს მოწინავე გამოცდილებას

და ტექნიკურ პროგრესს. ამიტომ ამ ნორმებში თავს იყრის ყველა ის ნაკლი, რომელიც შრომის და წარმოების ორგანიზაციის პროცესს ჰქონდა განვლილ პერიოდში, და რომლებიც ასახული იყო მაშინდელ შრომის მწარმოებლურობაში. ასე, რომ საცდელ-სტატისტიკურ მეთოდებს გამოუსწორებელი ნაკლი აქვს. ისინი არ არის ორიენტირებული პროგრესზე და სტიმულს არ აძლევენ შრომითი პროცესის სრულყოფას. ამიტომ, ამ ნორმების გამოყენება უნდა შეიზღუდოს.

შრომის ნორმირების ანალიზური მეთოდის დროს დროის ნორმა კონკრეტული პროდუქციის წარმოების პროცესისთვის დგინდება არა მთელ დროზე, არამედ ცალ-ცალკე მის ნაწილებზე: ოპერაციებზე, მოძრაობებზე და ილეთებზე.

ანალიზურ მეთოდის ორი სახეა ცნობილი: მეცნიერული და ტექნიკური.

მეცნიერული მეთოდით, შრომის ნორმა წესდება შრომის პროცესზე და კონკრეტულ პირობებში შექმნილ შრომის მწარმოებლურობაზე ზემოქმედი ყველა ფაქტორის, მათი მთელი ერთობლიობის გათვალისწინებით.

შრომის ტექნიკური ნორმირება ნორმების დადგენისას ითვალისწინებს არა ყველა ფაქტორს, არამედ მხოლოდ ტექნიკურს, ბუნებრივს და ორგანიზაციულს (ნაწილობრივ ფიზიოლოგიურსაც). ამ ნორმებს ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები ეწოდება. მათი სრულყოფილობის დონე მეცნიერულ ნორმებთან შედარებით უფრო დაბალია.

**ჯანდაცვის სისტემაში** ამჟამად ოთხი სახის შრომის ნორმა გამოიყენება [2, გვ. 160]. ესენია: დროის ნორმა, დატვირთვის ნორმა, რიცხოვნობის ნორმა და მართვადობის ნორმა.

დროის ნორმა არის ერთეულ პროდუქციას ან სამუშაოზე საჭირო დრო. დატვირთვის ნორმა არის სამუშაოს ერთეულთა რიცხვი, რომელიც უნდა შესრულდეს დროის ერთეულში ერთი ადამიანის ან ადამიანთა გუნდის მიერ(მაგალითად. დღეში ექიმის მიერ მიღებულ პაციენტთა რაოდენობა).

რიცხოვნობის ნორმა არის გარკვეული კვალიფიკაციის და პროფესიის მუშაკთა (მაგალითად, ექიმთა რაოდენობა), რომელიც საჭიროა მოსახლეობის გარკვეული რაოდენობის მომსახურებისათვის. მართვადობის ნორმა არის მომუშავეთა ოპტიმალური რაოდენობა, რომლებიც უნდა ექვემდებარებოდნენ ერთ უფროსს. უკანასკნელ წლებში ითვლებოდა, რომ ერთ უფროსს ეფექტიანად შეუძლია 15-კაცამდე დაქვემდებარებულის მართვა, ინფორმაციული ტექნოლოგიების მასობრივი გამოყენების შემდეგ, მართალია, ეს ნორმა არ გადამოწმებულა, მაგრამ კომპიუტერების ეპოქაში სამართავად 15 კაცი, ცხადია, ოპტიმალური რიცხვი აღარ არის.

## შრომითი პროცესების მართვის სრულყოფის გზები

შრომითი პროცესების მართვის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებია: შრომის დანაწილება, კოოპერაცია და შრომის პირობების გაუმჯობესება. შრომის დანაწილებაში იგულისხმება ადამიანთა ერთობლივი შრომის დაყოფა, ურთიერთგამიჯვნა. შრომის კოოპერაციაში კი პირიქით, ერთ ან სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ პროცესებში ადამიანთა ერთობლივი მონაწილეობაა ნაგულისხმევი.

შრომის დანაწილება და შრომის კოოპერაცია, ერთი შეხედვით ურთიერთსაპირისპირო პროცესებია. მათ რაციონალურ შეთანაწყობას თანამდებობრივი ინსტრუქციები უზრუვნელყოფს. ამ ინსტრუქციების მიხედვით შრომა ისე იყოფა და თან ისე კოოპერირდება, რომ დღის განმავლობაში, მთელი სამედიცინო პერსონალი თანაბრად იყოს დატვირთული. მიღებულია, რომ თანამდებობრივი ინსტრუქციები 2-3 წელიწადში ერთხელ უნდა გადაიხედოს. ეს უნდა გაკეთდეს მაშინაც, თუ იცვლება მთლიანად ჯანდაცვის დაწესებულების, ანდა მისი სტრუქტურული ერთეულის შრომის პირობები. კარგად მოფიქრებული და გონივრულად შედგენილი ინსტრუქციები თავიდან აგვაცილებს სამუშაოთა დუბლირებას, რადგან თითოეული ოპერაცია თითოეულ შემსრულებელზე იქნება გაპიროვნებული. ამასთან, ცალკეული ფუნქციის ასეთი გაპიროვნება ხელს შეუწყობს მუშაკთა მოტივაციის გადიდებას და აამღლებს მათი შესაძლებლობების თვითრეალიზაციას. შემცირდება პიროვნებათაშორისი კონფლიქტებიც.

თანამდებობრივი ინსტრუქციების შედგენისას დაუშვებელია რომელიმე განყოფილების ხელმძღვანელის დავალებით (თუ თხოვნით) ვინმესთვის სამუშაოს გაფართოება, ანდა პირიქით-შემცირება. ჯანდაცვის დაწესებულების თითოეულ პერსონალს სამუშაო უნდა დაეკისროს მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით. ასეთი დოკუმენტია სპეციალური დებულებები, რაც იქმნება როგორც მთლიანად ჯანდაცვის დაწესებულებისათვის, ასევე ცალკეული პერსონალისათვის. თანამდებობრივ ინსტრუქციებს საფუძვლად უდევს ასევე პერსონალის საკვალიფიკაციო დახასიათებები.

შრომის პირობების გაუმჯობესებაში, როგორც სახელწოდებაც გვიჩვენებს, იგულისხმება იმ პირობების გაკეთილშობილება, რომელიც მთლიანობაში ადამიანს აძლევს თავისი კომპეტენციების უკეთ გამოხატვის შესაძლებლობას. ეს ეხება შრომის სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, შენობის შიგა ინტერიერის ესთეტიკურ გაფორმებას, შრომის და დასვენების რეჟიმის ოპტიმიზებას.

შრომის და დასვენების ოპტიმალური რეჟიმი, რომელიც შემუშავდება პერსონალისთვის ფსიქოფიზიოლოგიური გამოკვლევის ჩატარებით, ამცი-

რებს პერსონალის გადაღლას და ხელს უწყობს მათი შრომის ეფექტიანობის ამაღლებას. გადაღლის საწინააღმდეგოა გუნდური და ბრიგადული მუშაობა, პროფესიების შეთავსება, ფუნქციების შეთავსება და სხვა.

უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება მიექცა კოლექტივებში ფსიქო-სოციალურ ურთიერთობათა სრულყოფასაც, რომელიც წარიმართება პერ-სონალის რაციონალური შერჩევით და განთავსებით. ამ პროცესს სწორედ სოციალური ფსიქოლოგია უდევს საფუძვლად. ადამიანთა ფსიქოლოგიური ტიპაჟის გარკვევა ადვილებს გუნდების, ჯგუფების, ბრიგადების და რგოლე-ბის დაკომპლექტებას -- მათში ხასიათის, ინტერესების, განწყობის და შეხედუ-ლებების თავსებადობაა მთავარი. ასე, რომ გუნდი მარტო საჭირო პროფესი-ების მქონე ადამიანებით კი არ უნდა დაკომპლექტდეს, არამედ ამ ადამიამებს ფსიქოლოგიური თანხმობაც უნდა ჰქონდეს. ფსიქოლოგი ჯ. ბრაუნი წერს: „ყველა თანამედროვე გამოკვლევა ცხადყოფს, რომ ადამიანები, ცალ-ცალკე და ერთადაც უფრო მგრძნობიარენი არიან ფსიქოლოგიური და არა ფიზი-კური ატმოსფეროს შეცვლის მიმართ. ისინი უფრო მეტად რეაგირებენ ერთ არასასურველი სიტყვის მოსმენაზე ან არასასურველი ქცევის დანახვაზე, ვიდ-რე შენობაში არსებულ განათების, გათბობის თუ ტენიანობის ცვლილებებზე“ [2, გვ. 161-162].

XX საუკუნის 60-იან წლებამდე ადამიანები ლუკმა-პურისთვის, ოჯახის შესანახად მუშაობდნენ. მაშინ სამუშაო განაპირობებდა ადამიანის პიროვნე-ბას, მის ადგილს საზოგადოებაში, მის პროფესიულ წარმომადგენლობას. 60-იანი წლებიდან, წარმოების და ეკონომიკის განვითარების შედეგად, მოხდა გარდატეხა-ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფულადი სტიმუ-ლები ჩამოქვეითდა, წინა პლანზე წამოვიდა შრომითი კმაყოფილება, შრო-მით „ტკბობა“. ასე, რომ, ადამიანები ამჟამად მუშაობენ არა მხოლოდ და არა იმდენად ფულადი ანაზღაურებისათვის, რამდენადაც შრომით სიამოვნების მისაღებად. ისინი ეძებენ ისეთ სამუშაოს, რომელიც, პირველ რიგში, მათ-თვის სასიამოვნო იქნება, შემდეგ კი, რა თქმა უნდა, აინტერესებთ შრომის ანაზღაურების ოდენობაც. ამ ფონზე დაიწყო კონფლიქტის ჩასახვა შრომასა და ადამიანის პირად ცხოვრებას შორის. ადამიანებმა დაიწყეს თავისი პირა-დი დროის გაყოფა ორ სფეროს შორის და აშკარად გამოჩნდა ის ფაქტი, რომ მათ მეტად დააფასეს პირადი ცხოვრება. აღმოჩნდა, რომ ადამიანი, რომელიც დღე-ღამეში მუშაობს 20 საათს (24 საათიდან) თავის რესურსს ძირეულად ამოწურავს, პროფესიულად „გადაიწვება“ და თანდათან ვეღარ მუშაობს ეფექტიანად. ამით კი ზარალდება თვითონაც და ორგანიზაციაც, სა-დაც იგი მუშაობს.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან უნდა გავარჩი-ოთ ორი ცნება – ეფექტიანობა და შედეგიანობა. ეფექტიანობა არის გრძელვა-

დიან პერიოდში სასურველი შედეგის მუდმივად მიღება, შედეგიანობა კი არის მოკლევადიან პერიოდში მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღება. შედეგიანობაზე ორიენტაცია ორგანიზაციისათვის არ არის მთლად ცუდი, მაგრამ თანამშრომლისათვის იგი დამღუპველია, რადგან დღეს თუ მან თავისი შესაძლებლობების ზღვარზე იმუშავა, ხვალ იგი მას ვეღარ გაიმეორებს.

თუ ადამიანს თავისი სამუშაო არ მოსწონს, როგორი მაღალი ხელფასიც არ უნდა ჰქონდეს, მაინც არ იქნება სამუშაოთი კმაყოფილი. საბოლოოდ მივიღებთ მუშაობაში თავჩარგულ, დაქანცულ, პრობლემებით გადაღლილ და ამ მიზეზით ოჯახის წევრებთან კონფლიქტური ურთიერთობით გადატვირთულ ადამიანს, რომელიც თვითონაც მეტად უკმაყოფილოა თავისი არსებობით. ეს მდგომარეობა თანდათან ამცირებს მის შრომის მწარმოებლურობას, რითაც, პირველ რიგში, ზარალდება ის ორგანიზაცია, სადაც იგი მუშაობს.

პერსონალის ეფექტიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ორგანიზაციაში შეიქმნას კონსტრუქციული თანამშრომლობის ატმოსფერო, როცა თითოეული ადამიანი თავისი შესაძლებლობის სრული რეალიზაციით და ორგანიზაციის საერთო წარმატებით იქნება დაინტერესებული. ასეთი ატმოსფეროს შექმნა პერსონალის მართვაში ურთულესი ამოცანაა. მისი შეფასება შეიძლება კონკრეტული სიტუაციის შესაბამისი ეთიკური ნორმების, პერსონალის მოტივაციის, შრომის შედეგების შეფასების და მართვის სტილის არჩევის შემუშავებით.

ჩამოთვლილ საკითხებს შორის ყურადღებას გავამახვილებთ პერსონალის მოტივაციაზე. მოტივაციაში არ იგულისხმება მხოლოდ შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების სისტემის სამართლიანობა და კარიერული წინსვლა. აქ იგულისხმება თავისუფლებაც. პერსონალის ერთი ნაწილისათვის მუდმივი კონტროლი მუშაობაში ხელისშეშლასთან ასოცირდება. თუ ასეთი ადამიანი კარგად ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მას მეტი თავისუფლება უნდა მიეცეს. ასეთი ადამიანებისათვის უნდა შემუშავდეს მუშაობის მცოცავი გრაფიკი, ისე, რომ დაცული იყოს სრული სამუშაო დღე. ასეთივეა არასრული სამუშაო დღით მუშაობა, გვიან საღამოს, ადრე დილით, ანდა სულაც ღამით მუშაობა. შეიძლება დაინერგოს სამუშაო დღის ცვლადობაც-ერთი დღე სამსახურში, ერთი- შინ მუშაობა, ერთი კი-ინტერნეტ ოფისში ან ფილიალში მუშაობა.

მცოცავი გრაფიკი განსაკუთრებით აქტუალურია სტუდენტებისა და მცირეწლოვან ბავშვთა დედებისათვის. ასეთი გრაფიკი სჭირდებათ შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანებსაც, რომელთაც არ შეუძლიათ ერთ ადგილზე (სამუშაო ადგილი გვაქვს მხედველობაში) 8 და მეტი საათი ყოფნა. ასეთი გრაფიკის შემოღებით ორგანიზაცია ინარჩუნებს კოლექტივის სტაბილურო-

ბას, მცირდება მუშაკთა დენადობა და იზრდება მათი შრომის მწარმოებლურობა.

მისაღებია ასევე 3-ცვლიანი მუშაობის შემოღება _ დილის ცვლა, საღამოს ცვლა და ღამის ცვლა. სამუშაო დავალებები ყველგან ერთნაირი იქნება, მხოლოდ ადამიანები დასაქმდებიან სხვადასხვა დროში. უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანები თავიანთი სადღეღამისო რიტმის და აქტიურობის დონის მიხედვით იყოფიან: [3, გვ.101]: დღის და ღამის ადამიანებად. დღის ადამიანებს „ტოროლებს" უწოდებენ, ღამის ადამიანებს კი-- „ბუებს". მიხვდებით ალბათ რატომ. ტოროლა ფრინველია, იგი დილით ადრე ე. წ. გამთენისას იწყებს გალობას და დღის პირველ ნახევარშია აქტიური. ბუს კი, რომელიც ასევე ფრინველია, დღე ძინავს და ღამე აქტიურობს. ასე იყოფიან ადამიანებიც (შევნიშნავთ, რომ არსებობენ არითმიებიც, რომლებისთვისაც ასეთი დაყოფა არ არსებობს. ისინი ერთნაირად მუშაობენ). ამიტომ პერსონალის მართვის პროცესში ეს მომენტი უნდა იყოს გათვალისწინებული და თანამშრომლებს მუშაობის სხვადასხვა გრაფიკი უნდა დავუწესოთ.

დასავლეთში საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ელასტიკური სამუშაო გრაფიკი. ამ მეთოდით პიროვნების სამუშაოზე გამოცხადება ან სამუშაოს დამთავრება დაკანონებული არ არის, მაგრამ იგი აუცილენლად უნდა იმყოფებოდეს სამუშაო ადგილზე დროის იმ პერიოდში, როდესაც ეს ორგანიზაციას ჭირდება. სამუშაო რეჟიმის ასეთი წესი შეიძლება დავასაბუთოთ შემდეგი გარემოებით: ადმინისტრაციულ საქმიანობაში, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, მუშაობის ტემპი არათანაბარია, თანამშრომელთა დატვირთვაც სხვადასხვაა, ამიტომ, თუ პიროვნებას აწყობს სამუშაო დროის გადაწევა ორი ან სამი საათით ადრე ან გვიან, ეს სრულიად დასაშვებია. ელასტიკური სამუშაო დროის დაწესება ხელს უწყობს უფრო რითმულ, მიზანმიმართულ და რაც მთავარია, ხარისხიან მუშაობას.ელასტიკური სამუშაო დროის კონცეფცია გამორიცხავს დამატებითი პერსონალის არსებობას, ამცირებს კონფლიქტების სიხშირეს და ა. შ [1, გვ. 227].

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ პერსონალის თვითნებურად განაწილება დღის და ღამის ცვლაში არ არის დასაშვები. ისინი უნდა განაწილდნენ მხოლოდ თავიაანთი სადღეღამისო რიტმის მიხედვით. თუ „დღის ადამიანის" ღამის ცვლაში, მოხვდება, ის ბევრ შეცდომას დაუშვებს და პირიქით. ორგანიზაციის უმეტესობა თავს არიდებს ღამის ცვლის არსებობას, რადგან უჭირთ კონტროლის განხორციელება. ასეთ დროს, არავითარი პრობლემა არ შეიქმნება, თუ მაკონტროლებელი ადამიანებიც იქნებიან „ბუები", ე. ი. ღამის ადამიანები.

ამის გარდა, ორგანიზაციას, ე. ი. დამქირავებელს უფლება აქვს შეიმუშავოს უნიკალური სამუშაო გრაფიკი, რომელიც ჩამონათვალში არ გვაქვს

მოცემული და იგი შესთავაზოს დაქირავებულს. სამუშაო დროის ასეთი მრავალფეროვანი დიზაინის არჩევანი იწვევს შესრულებული სამუშაოს რაოდენობის და ხარისხის ოპტიმიზაციას, ამცირებს გაცდენებს და მოცდენებს, ამაღლებს საკუთარი შრომით მუშაკის კმაყოფილების დონეს.

10. Кэмпбелл К. Венчурный бизнес: новые подходы. М.: Алыпина Бизнес Букс, 2008.
11. Мазерсил У., Уотсон Б., Фаст Ф., Гедеон С. Эпоха Бизнес-ангелов. Практика работы бизнес-ангельских сетей. М.: Вершина, 2009.

12. Фияксель Э.А. Теория, методы и практика венчурного бизнеса. СПб.: Изд-во СПбГУЭФ, 2006.
13. Тольковый словарь терминов венчурного инвемтирования. СПБ.: РАВИ, 2004.
14. Хилл Б., Пауэр Д. Бизнес-ангелы. Как привлечъ их денги иопит под реализвцию своих бизнес-идей М.: Эксмо, 2008.
15. Meyer Th., Weidig T. Modelling Venture Capital Funds Euroean Investment Fund // Risk Magazine. 2003. 16, 89-92.
16. Weidig T. Towards a Risk Model for Venture Capital Funds: Liquidity and Performance Forecasting // SSRN Working papers. 2002.

# Place of Venture and Business Angel Investment in the Cycle of Business Financing

***Lamara Qoqiauri***

*Doctor of Economics, Professor*

***Nino Qoqiauri***

*Master Student, Sokhumi State University*

Today positive state policies in the developed countries of the world are directed towards fundamental transformation and development of innovative economical sector.

One of the most principle ways for solving tasks of priorities set for economical development is a correct direction of innovative activities; particularly, processing and implementation of the programs of public and private partnership in the financial, investment and infrastructural sectors; creation of wide network of state-private venture funds, technoparks and business incubator center and etc. Likewise, extended nature of the terms of repurchasing of innovative and especially – venture investments should be emphasized.

To our mind, in the development of innovative and venture entrepreneurial sector, as united complex, we should distinguish two "narrow places"; the first – "Primary" is non-development of the initial investment; the second one – is the lack of qualified specialists. Business-angel, primary, seed and start-up investment sectors are not developed in Georgia and it includes narrow range of projects; at that, neither venture capital, not – institutions related with it possess serious financial resources.

As for qualified specialists, there are many high-qualified specialists, and managers of serious investment projects in Georgia, but there is the lack of people, who comprehend difficult mechanisms of venture and business-angel investments.

It is often very difficult to find common language between participants of innovative projection and investment processes; sometimes the parties do not understand each other; in the process of searching for investments, sometimes difficulties of preparing business-offers

arise and etc. Due to this fact, many of potential interesting transactions fall through at the stage of negotiations.

In the United States of America, and in fewer cases in the EU states, venture and business-angel fields are singled out as separate specialization. Their representatives are different in professionalism, and the best features of practitioners knowing standards and criteria. This lowers the above noted risks to the minimum.

To our mind, solving said problems may be provided in two ways:

In practical field the governmental – private partnership programs should accelerate development of the sectors of venture and business-angel investments.

Together with the existed ones, it is necessary to develop programs of joint co-financing of initial, seed and startup investment funds along with business-angels development programs.

Keywords: Venture investment, business-angel investment, development, innovative activities.
JEL Codes: G20, G23, G24, G28

## ვენჩურული და ბიზნეს–ანგელური ინვესტირება ბიზნესის დაფინანსების ციკლში

***ლამარა ქოქიაური***

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

***ნინო ქოქიაური***

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი*

დღეს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში პოზიტიური სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ინოვაციური ეკონომიკის სექტორის ძირეულ გარდაქმნასა და განვითარებაზე.

ეკონომიკის განვითარების დასახული პრიორიტეტული ამოცანების გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი გზა არის ინოვაციური საქმიანობის სწორი წარმართვა, კერძოდ, ფინანსურ, ინვესტიციურ და ინფრასტრუქტურის სფეროებში სახელმწიფო და კერძო სექტორების პარტნიორობის პროგრამების შემუშავება და განხორციელება, სახელმწიფო-კერძო ვენჩურული ფონდების, ტექნოპარკების და ბიზნესინკუბატორების ფართო ქსელის და ა.შ. შექმნა. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას ინოვაციური, განსაკუთრებით ვენჩურული ინვესტირების გამოსყიდვის ვადების ხანგრძლივ ხასიათს.

ჩვენი აზრით, ინოვაციური და ვენჩურული მეწარმეობის სექტორის როგორც ერთიანი კომპლექსის განვითარებაში, უნდა გამოიყოს ორი „ვიწრო ადგილი“. პირველი, „საწყისი“, თავდაპირველი ინვესტირების განუვითარებლობა; მეორე, კვალიფიციური სპეციალისტების უკმარისობა. საწყისი, თავდაპირველი (seed)* და „სტარტაპი“ (start-up) ინვესტიციების სექტორები საქართველოში ფართოდ არ არის განვითარებული.

ბიზნეს-ანგელური, საწყისი, თავდაპირველი (seed) და „სტარტაპი“ (start-up) ინვესტიციების სექტორები საქართველოში ფართოდ არ არის განვითარებული და პროექტების ვიწრო წრეს მოიცავს, ამასთან, არც ვენჩურული კაპიტალი და მასთან დაკავშირებული ინსტიტუტები ფლობენ სერიოზულ ფინანსურ რესურსებს. რაც შეეხება კვალიფიციურ სპეციალისტებს, საქართველოში ბევრი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, სერიოზული საინვესტიციო პროექტის ხელმძღვანელი გვყავს, მაგრამ ქვეყანაში ძალზე ცოტაა ადამიანები, რომლებიც ერკვევიან ვენჩურულ და ბიზნეს-ანგელურ ინვესტირების რთულ მექანიზმებში.

ინოვაციური დაპროექტებისა და საინვესტიციო პროცესების მონაწილეთა შორის ხშირად ძნელდება საერთო ენის გამონახვა, ზოგჯერ მხარეებს ერთმანეთის არ ესმით, ინვესტიციების მოძიების პროცესში ზოგჯერ წარმოიშობა ბიზნეს-წინადადებების მომზადების სირთულეები და ა.შ. ამიტომ, ბევრი პოტენციურად საინტერესო გარიგება მოლაპარაკებების ეტაპებზევე იშლება ხოლმე.

აშშ-ში, შედარებით ნაკლებად- ევროკავშირის ქვეყნებში,- ვენჩურული და ბიზნეს-ანგელური სფეროები ცალკე სპეციალიზაციადაა გამოყოფილი. მათი მუშაკები გამოირჩევიან პროფესიონალიზმის, სტანდარტების და კრიტერიუმების მცოდნე პრაქტიკოსების საუკეთესო თვისებებით. ეს კი ზემოთ აღნიშნულ რისკებს მინიმუმამდე დაბლა სწევს.

ჩვენი აზრით, აღნიშნული პრობლემების გადაჭრა ორი კუთხითაა შესაძლებელი: პრაქტიკულ სიბრტყეში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროგრამებმა უნდა დააჩქაროს ვენჩურული და ბიზნეს-ანგელური ინვესტიციების სექტორის განვითარება. არსებულთან ერთად საჭიროა საწყისი, თავდაპირველი და „,სტარტაპ“ - საინვესტიციო ფონდების, აგრეთვე ბიზნეს-ანგელებთან ერთობლივი თანადაფინანსების პროგრამების განვითარება.

*ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 1, გვ. 115-125*
*ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 1, pp. 115-125*

# კონტროლის მექანიზმი ფინანსების ფუნქციათა სისტემაში და მისი განხორციელების წინაპირობები

***ციური ოქრუაშვილი,***

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

***ქეთევან ღუდუშაური,***

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*თსუ-ის დოქტორანტი*

სტატიაში გაანალიზებულია ფინანსების კონტროლის ფუნქციის კავშირი სხვა ძირითად ფუნქციებთან თანამედროვე საქართველოში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. წარმოჩენილია ფინანსების კონტროლის ფუნქციის განხორციელების მნიშვნელობა. ყურადღება გამახვილებულია, აგრეთვე, ფინანსების განმანაწილებელ და მარეგულირებელ ფუნქციებზე. დასაბუთებულია, რომ ფინანსების ფუნქციებს შორის არსებობს მჭიდრო ეკონომიკური კავშირი. შემოთავაზებულია მოსაზრება, რომ საქართველოს პრაქტიკაში ფინანსების ფუნქციების წარმატებული განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა მთავარი ბანკის მიერ ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის და ეროვნული ვალუტის მტკიცე კურსის უზრუნველყოფა.

**საკვანძო სიტყვები:** ფინანსების კონტროლის, განმანაწილებელი და მარეგულირებელი ფუნქციები. ეროვნული ვალუტის კურსი. „იაფი" და „ძვირი" ფულის პოლიტიკა.

## კონტროლის მექანიზმი ფინანსების ფუნქციათა სისტემაში

ფინანსების სოციალურ-ეკონომიკური არსი მის ფუნქციებში ვლინდება. ფინანსები სამ ძირითად ფუნქციას ასრულებს: განმანაწილებელ, საკონტროლო და მარეგულირებელ ფუნქციებს, რომელსაც ერთდროულად ახორციე-

ლებს. თითოეული ფინანსური ოპერაცია ნიშნავს მთლიანი შიგა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის განაწილებასა და ამ განაწილებაზე კონტროლს და რეგულირებას.

განმანაწილებელი ფუნქციის მეშვეობით, უწინარეს ყოვლისა, ვლინდება ფინანსების სახელმწიფო-სამეურნეო დანიშნულება: ერთის მხრივ, თითოეული მეურნე სუბიექტი, მეორე მხრივ, ხელისუფლება სახელმწიფოს უზრუნველყოფს მისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსებით. ფინანსების განმანაწილებელი ფუნქციის მოქმედების ობიექტად გამოდის მშპ-ის ღირებულება, ეროვნული შემოსავალი, აგრეთვე, ფულადი ფორმით გამოხატული ეროვნული სიმდიდრე. ფინანსების განმანაწილებელი ფუნქცია ვლინდება, პირველ რიგში, ეროვნული შემოსავლის განაწილებისას, როდესაც წარმოებს ძირითადი (პირველადი) შემოსავლების ფორმირება. ეროვნული შემოსავლის განაწილება და პირველადი შემოსავლების თავმოყრა ხდება წარმოების ფაქტორთა მფლობელებს შორის. პირველადი შემოსავალი ჯერ კიდევ ვერ ქმნის იმ მოცულობის საზოგადოებრივ ფულად ფონდებს, რომელსაც შეეძლება ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების ფინანსური რესურსებით სრულად დაკმაყოფილება. დღის წესრიგში დგება ეროვნული შემოსავლის მეორადი გნაწილების, ანუ გადანაწილების აუცილებლობა. ეს პროცესი დაკავშირებულია სახსრების დარგთაშორის და ტერიტორიულ ერთეულებს შორის გადანაწილებასთან, რომლის უშუალო მონაწილე უკვე სახელმწიფო ხდება. ფინანსების განმანაწილებელი ფუნქცია ხასიათდება სირთულეებით და მრავალფეროვნებით. ფინანსები ემსახურება განაწილების სხვადასხვა ეტაპს, მონაწილეობს რა მშპ-ის როგორც პირველად, ისე მეორად განაწილებაში, ანუ გადანაწილებაში. ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის პირობებში ფინანსების განმანაწილებელი ფუნქცია ქმნის სამი სახის ფონდის ფორმირების პირობებს: საბიუჯეტო, დაგროვების ანუ წარმოების საშუალებების და მოხმარების ფონდის [4].

ფინანსების კონტროლის ფუნქცია უშუალო კავშირშია მის განმანაწილებელ ფუნქციასთან. ფინანსების საკონტროლო ფუნქცია ვლინდება მშპ-ის შესაბამის ფონდებში მოქცევისა და შემდგომში მისი მიზნობრივი განაწილების კონტროლში. საბიუჯეტო სახსრების მოძრაობა და მთლიანად საბიუჯეტო პროცესი - ბიუჯეტის შედგენა, განხილვა, დამტკიცება, შესრულება და შესრულების ანგარიშგების დამტკიცება - დაკავშირებულია ფინანსების საკონტროლო ფუნქციასთან. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური კონტროლის თავისებურება ვლინდება მის უნარში, მუდმივად იძლეოდეს სიგნალებს იმის შესახებ, თუ როგორი პროპორციები მყარდება მშპ-ის განაწილებაში, უზრუნველყოფს თუ არა ეს პროპორციები კვლავწარმოებითი პროცესის უწყვეტობას, ხომ არა აქვს ადგილი კვლავწარმოების სხვადასხვა ფაზაში შეფერხებას,

დროულად იქმნება თუა არა მიზნობრივი დანიშნულების ფონდები ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგებსა და სფეროებში. ფინანსების საკონტროლო ფუნქციის ამოცანებია: ქვეყანაში საფინანსო კანონმდებლობის ზუსტი დაცვის შემოწმება, საგადასახადო და საბაჟო სამსახურების, ბანკების, საბიუჯეტო სისტემის წინაშე ფინანსურ ვალდებულებათა დროულად და სრულად შესრულების კონტროლი, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორებათა და გადასახდელების ურთიერთვალდებულებათა შესრულების კონტროლი. ფინანსების საკონტროლო ფუნქციის საფუძველია ფინანსური რესურსების მოძრაობა, ხოლო რეალიზაციის ინსტრუმენტია საფინანსო ინფორმაცია, რომელიც მოიცავს საბუღალტრო, სტატისტიკური და ოპერატიული აღრიცხვის მონაცემებს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ზოგიერთი სპეციალისტის სავსებით სამართლიანი შეფასებით, განმანაწილებელ და საკონტროლო ფუნქციებთან ერთად, ფინანსები ასრულებს მარეგულირებელ ფუნქციასაც, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ ფინანსების საშუალებით (სახელმწიფო ხარჯები, გადასახადები, სახელმწიფო კრედიტი) წარმოების პროცესების რეგულირებასთან. [5; 6; 7].

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფინანსების საკონტროლო ფუნქციას მჭიდრო მჭიდრო კავშირი აქვს განმანაწილებელ და მარეგულირებელ ფუნქციებთან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფინანსების საკონტროლო ფუნქციის ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული ეროვნულ მეურნეობაში არსებულ საფინანსო დისციპლინაზე.

კონტროლის ფუნქციას ორი მხარე აქვს: ერთი მხრივ, მას შეუძლია ორგანიზაცია ეფექტიანობაზე მიმართული გახადოს და, მეორე მხრივ კი, შიშის მანქანად იქცეს, რომელიც თანამშრომელთა გამოჭერასა და შეცდომების აღმოჩენაზე იქნება ორიენტირებული. კონტროლის ეს ორი ტიპი ერთმანეთისგან, ყველაზე მეტად, რითაც განსხვავდება – საბოლოო შედეგია. იქ, სადაც კონტროლი არა დასჯის, არამედ დამხმარე საშუალებაა, თანამშრომლები გადაცდომების, ხარვეზების დამალვაზე მოტივირებულნი მინიმალურად არიან, პირიქით, აქ გახსნილობა შენიშვნებისადმი, გამოსწორებისადმი და კარგი შედეგის მიღწევისადმი გამორჩეულია [2].

რაც უფრო ცენტრალიზებულია ორგანიზაციაში კონტროლის ფუნქცია – ერთი და იგივე სამსახური თუ დეპარტამენტი ახდენს გეგმების, სტანდარტების, უსაფრთხოების შეიძლება ფინანსური მდგრადობის კონტროლსაც, მით უფრო მეტი შანსია, რომ ეს ორგანიზაცია უფრო არაჯანსაღი სტიმულების წახალისებისკენ იყოს ორიენტირებული და მისი შედეგიანობაც გამოცდილებიდან არასახარბიელოა, მსგავსი სისტემები ადრე თუ გვიან ნგრევისკენაა მიმართული. ხოლო რაც უფრო დეცენტრალიზებულია ორგანიზაციაში კონტროლის ფუნ-

ქცია - ამ ფუნქციას ახორციელებენ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები და რომელთაც კონტროლის ფუნქციიდან მხოლოდ ნაწილი აქვთ დელეგირებული და სტრუქტურაც ისეა აწყობილი, რომ მაქსიმალურად მოტივირებულია სტრუქტურულ ერთეულებს შორის ჯანსაღი ბუნებრივი კონფლიქტები, მით მეტია შანსი, რომ ასეთ ორგანიზაციებში თანამშრომლების ეფექტიანობა საგრძნობლად გაიზარდოს და გამოცდილებით – ასეთი ორგანიზაციები სხვა ხელისშემშლელი ფაქტორები თუ არაა, ძლიერ ორგანიზმად ყალიბდება.

სინერჯი ჯგუფის განხორციელებულ პროექტებში, რომელიც ნაწილობრივ თუ სრულად კონტროლის სისტემის შექმნასა და განვითარებას ეხება, ყოველთვის ერთ-ერთი რეკომენდაციით კონტროლის ფუნქციის დეცენტრალიზაცია მიიჩნეოდა. ამ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, ეფექტიანი კონტროლის სისტემის შესაქმნელად, რამდენიმე ღონისძიებას შემოგთავაზებთ, რომელიც დღეს საქართველოს წამყვან ორგანიზაციებში წარმატებით მუშაობს.

## კონტროლის ფუნქციის დაშლა და სტრუქტურაში განაწილება

ორგანიზაციის სპეციფიკის მიხედვით, შიგაორგანიზაციული კონტროლი ძირითადად გულისხმობს გეგმების შესრულების, სტანდარტების დაცვის (ხარისხის), ფინანსების მართვის, მიმდინარე მუშაობის კონტროლს. თითოეული მათგანი განსხვავებული ბუნებისაა და რაც არ უნდა ძლიერი კომპეტენტებით იყოს დაკომპლექტებული კონტროლის სტრუქტურული ერთეული, შეუძლებელია რომ ყველაფრის კონტროლი ერთმა რგოლმა ეფექტიანად შეძლოს. ერთი ორგანიზაციის მაგალითს მოვიყვანთ, სადაც კონტროლის ფუნქციის დაშლის გადაწყვეტილება განხორციელდა.

ეს ორგანიზაცია სერვისის მწარმოებელია, შესაბამისად მისთვის მნიშვნელოვანია მომხმარებლებს მაღალი ხარისხის მომსახურება შესთავაზოს და პროდუქტი თავის მხრივ მაღალი ხარისხის იყოს. შესაბამისად, კონტროლის სისტემა აქ სწორედ მომსახურების ხარისხის დაცვის კონტროლს და მაღალი ხარისხის საქმისწარმოების შენარჩუნების კონტროლს გულისხმობდა. ტოპ-მენეჯერებს და თავად მთავარ „მაკონტროლებელსაც" ჰქონდათ იმის ცდუნება, რომ მთლიანად გაეერთიანებინათ კონტროლის ფუნქცია, თუმცა, ლოგიკური მსჯელობით მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კონტროლის ცენტრალიზაცია მთავარი მიზნის მიღწევაში ვერ დაეხმარებოდა ხარვეზების, გადაცდომების მიზეზების მინიმიზაცია მოეხდინათ და არა თავად ხარვეზების, რადგან არც ასეთი კადრები ჰყავდა, რომლებიც კომპლექსურად ყველა თემას ერთნაირი პროფესიონალიზმით მიუდგებოდნენ და ერთი სამსახური შეძლებდა იმ რესურსებით ორივე თემისთვის ერთნაირი პრიორიტეტის მიენიჭებას. ამიტომ, საბოლოოდ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს, რომ უკვე არსებული

კონტროლის სამსახური პასუხისმგებლობას აიღებდა მომსახურების ხარისხის კონტროლის ამოცანაზე, ხოლო საქმისწარმოების/მათი მთავარი პროდუქტის შექმნის კონტროლს კი სხვა სამსახური შეითავსებდა, რომელიც რეგიონებში საერთო პრაქტიკის დანერგვაზე იყო პასუხისმგებელი. ამ უკანასკნელს მხარდაჭერისა და ანალიზის სამსახური დაერქვა, საბოლოო ანგარიშით.

მნიშვნელოვანია ასევე პარალელური კონტროლის საკითხი. არის ფუნქციები, რომელთა ერთად დაჯგუფება არ არის სასურველი, რადგან თუ მათ შორის ბუნებრივი კონფლიქტის თემა გაქრა, მაშინ რომელიმე ფუნქცია ნაკლებ პრიორიტეტული აღმოჩნდება და უხეშად რომ ვთქვათ, დაიჩაგრება. ეს ფუნქციები ერთმანეთისთვის ყველაზე რეალური მაკონტროლებლები არიან და ისინი ყველაზე დიდ სამსახურს უწევენ ორგანიზაციას. მაგალითად, მომსახურების და გაყიდვების ფუნქციების ერთად ყოფნა არ არის სასურველი და საჭიროა მათ შორის მუდმივი პარალელური კონტროლი. თუ მომსახურება დაწევს ხარისხს, გაყიდვები პირდაპირ მას მოსთხოვს პასუხს, და პირიქით, როგორც კი გაყიდვები შემცირდება, მომსახურება მას ბუნებრივად აიძულებს, რომ მათი მეტი დატვირთვებისთვის გააქტიურდეს გაყიდვები.

## კონტროლის შედეგების გასაჯაროება და რეალიზება

კონტროლი მხოლოდ კონტროლისთვის უსარგებლოა. კონტროლის შედეგები ყველაზე მეტად სადაც უნდა გამოჩნდეს, გადაცდომების და ხარვეზების რაოდენობის შემცირებაა და არა გამოვლენილ გადაცდომათა ან საყვედურგამოცხადებულ თანამშრომელთა რაოდენობა. მნიშვნელოვანია არსებობდეს ფორმა, რომელიც იძლევა კონტროლის შედეგების სწორად ასახვის და რეაგირების ორგანიზების საშუალებას. მოვიყვან ერთ-ერთი ორგანიზაციის მაგალითს, სადაც 500-ზე მეტი ადამიანი მუშაობს და კონტროლის ფუნქცია საკმაოდ მასშტაბური და კომპლექსურია. მანამდე არაფორმალურად არსებობდა ფორმატი, სადაც ორგანიზაციის ხელმძღვანელი და კონტროლის სამსახურის უფროსი ინფორმაციული ხასიათის შეხვედრებს ატარებდნენ და კონტროლის სამსახურზე ხდებოდა გადაწყვეტილებების/რეაგირების ღონისძიებების დელეგირება

ორგანიზაციაში შეიქმნა აუდიტისა და კონტროლის კომიტეტი, რომელსაც საკმაოდ დიდი დატვირთვა ენიჭებოდა. კომიტეტი გახდა გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, რომელიც განიხილავდა „კონტროლის სამსახურის" მიერ წარმოდგენილ ოქმებს, რეკომენდაციებს, საჭირო რეაგირების ღონისძიებებს და იღებდა გადაწყვეტილებას მათ აღსრულებაზე – პასუხისმგებელ პირებზე, ვადებზე და და ა.შ. კომიტეტის რეგლამენტი მკაცრად განსაზღვრული იყო, უნდა შეკრებილიყო თვეში ერთხელ ყოველი თვის მესამე კვირას

ხუთშაბათ დღეს. კომიტეტის წევრები იყვნენ თავად „კონტროლის სამსახურის" უფროსი, ადამიანთა რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, ერთ-ერთი მიმართულების ხელმძღვანელი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ასევე კომიტეტს ჰყავდა მდივანი. რომელსაც კომიტეტის ყოველი შეხვედრის წინ უნდა შეედგინა განსახილველი დღის წესრიგი, მასალები გადაეგზავნა კომიტეტის წევრებთან, დაეწერა მიღებული გადაწყვეტილებების ოქმები და მოემზადებინა გადაწყვეტილებებზე რეაგირების ღონისძიებების შესახებ მოკლე რეპორტი - რა გაკეთდა და რა ვერ გაკეთდა.

შესაბამისად, ცხადია, რომ მთავარია **კონტროლის ხარისხის შეფასება.** რაც არ უნდა სტერეოტიპები არსებობდეს კონტროლის ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით, კონტროლის ფუნქციის შესრულებას აქვს თავისი ხარისხობრივი მაჩვენებელი და ის უნდა პერიოდულად ფასდებოდეს. წინა მაგალითის შემთხვევაში კონტროლის სამსახურს განესაზღვრა შეფასების კრიტერიუმები, რის მიხედვითაც ტოპ-მენეჯმენტი წელიწადში ერთხელ და საჭიროებისამებრ აფასებდა კონტროლის სამსახურის საქმიანობის ხარისხს. ერთ-ერთი კრიტერიუმი კონტროლის სამსახურის მიერ მომზადებული აქტების/ანგარიშების რაოდენობა და კომიტეტის მიერ შეფასებული აქტების ხარისხი იყო. ასევე, შესაძლოა წელიწადში ერთხელ თანამშრომლების გამოკითხვაც ჩატარდეს – მათი დამოკიდებულება კონტროლის შედეგად გამოვლენილ საკითხებსა და რეაგირების ღონისძიებების სამართლიანობაზე. იმის ალბათობა, რომ სუბიექტურობა მაღალი იქნება დიდია, თუმცა ამ გამოკითხვით შესაძლოა ისეთი მინიშნებების გამოკვეთა, რომელიც საგულისხმოა ტოპ-მენეჯმენტისთვის და შესაძლოა სხვა შემთხვევებში იქნეს გათვალისწინებული კონტროლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.[8]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფინანსების საკონტროლო ფუნქციის ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული ეროვნულ მეურნეობაში არსებულ საფინანსო დისციპლინაზე. ამასთან, მიგვაჩნია, რომ საქართველოს პრაქტიკაში საფინანსო დისციპლინის და ფინანსების ფუნქციების წარმატებული განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა მთავარი ბანკის მიერ ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის და ეროვნული ვალუტის მტკიცე კურსის უზრუნველყოფა.

თანამედროვე პირობებში ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილება უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკის ყველა სეგმენტზე, მათ შორის ფინანსების ფუნქციების განხორციელების სფეროზე. მისაღებია მოსაზრება, რომ ლარის ოპტიმალური კურსის განსაზღვრა საკმაოდ რთულია, რადგან იგი დამოკიდებულია უამრავ ფსიქოლოგიურ ფაქტორზე და ცვალებად ეკონომიკურ პარამეტრებზე – თეორიული ციფრის მკაცრად განსაზღვრას და მიღწევას არც ერთ ქვეყანაში არ ისწრაფვიან (კრიზისული პერიოდების გამოკლებით), არამედ ცდილობენ, რომ ვალუტის კურსის განმსაზღვრელი

ფაქტორები დინამიკურად ვითარდებოდეს და ურთიერთქმედებდეს, რადგანაც ვალუტა, განსაკუთრებით სხვა ქვეყნის ფულის ერთეულთან მიმართებით, საკმაოდ რთული ფენომენი და არა მხოლოდ სახელმწიფოს სუვერენიტეტის ატრიბუტია.[8]

შედარების მიზნით, განვიხილოთ ლარის კურსის ცვლილების დინამიკა რეტროსპექტივაში. თანამედროვე პირობებში ლარის კურსის მკვეთრი დაცემა ძალიან ჰგავს 1998 წლის ნოემბერ-დეკემბერში ლარის გაუფასურების ტემპს. 1995 წლის 2 ოქტომბრიდან მიმოქცევაში ლარის გაშვებას თან ახლდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის საფუძველზე მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის სამ ტრანშიანი, სამწლიანი „სტენდ ბაინ-ს კრედიტის გაცემა, რომელიც მოიაზრებოდა როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტის უზრუნველყოფა. 1998 წლის 2 ოქტომბერს კრედიტის ვადის ამოწურვისთანავე, დაიწყო ლარის კურსის დაცემა დოლართან მიმართებით და 1, 35-დან დაეცა 2,56-მდე დეკემბრის თვეში. გაუფასურების ტემპმა შეადგინა 87 %. იმ პერიოდში, საქართველოში მყოფი საერთაშორისო სავალუტო მისიის წარმომადგენლების განცხადებით, თუ ეროვნული ვალუტის გაუფასურების ტემპი აღემატება 34%-ს, ეს ღრმა ეკონომიკური კრიზისის მაჩვენებელია. 87 % 34 %-ს აღემატება 2,5 -ჯერ და მეტად. თუ შევადარებთ აღნიშნულ პერიოდს თანამედროვე მდგომარეობასთან, ვნახავთ, რომ ამჟამად ანალოგიური სიტუაციაა: ლარი დოლართან მიმართებით 1,70-დან გაუფასურდა 2,52-მდე, გაუფასურება შეადგენს 67%-ს, რაც თითქმის 2-ჯერ აღემატება საწყის პერიოდს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა [9]. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის – ფასების სტაბილურობის შესრულებას. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა გულისხმობს მთლიანად საფინანსო სისტემის წინაშე არსებული და მოსალოდნელი რისკების განსაზღვრას და მის შემცირებას.

თუ შევადარებთ ბანკების მიერ მოზიდულ დეპოზიტებთან დაკავშირებულ ორ ტენდენციას – ვადიანი დეპოზიტების საშუალო ვადიანობის შემცირებასა და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთების ზრდას, ცხადია, რომ ეს, ერთი მხრივ, რესურსების მოზიდვასა და ლიკვიდობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და, მეორე მხრივ, რესურსების გაძვირებასა და ფინანსური მაჩვენებლების გაუარესებაზე მიუთითებს.

ცნობილმა ამერიკელმა პროფესორმა გრეგორი მენქიუმ შეიმუშავა ფულის მულტიპლიკატორის ფორმულა: $m=1/R*100\%$, სადაც $m$ არის ფულის მულტიპლიკატორი, ხოლო, $R$ არის ეროვნული ბანკის მიერ კომერციული

ბანკებისათვის დაწესებული მინიმალური რეზერვების ნორმატივი, რომელიც გაიანგარიშება კომერციული ბანკების მოზიდული ანაბრების საშუალო-დეკადური ნაშთის მიხედვით [1].

როგორც ფორმულიდან ჩანს, ფულის მულტიპლიკატორსა და მინიმალური რეზერვების ნორმატივს შორის უკუპროპორციული დამოკი-დებულებაა, ანუ რაც მეტია ნორმატივი, მით უფრო ნაკლებია ფულის მულ-ტიპლიკატორი. ამ შემთხვევაში ფულის მულტიპლიკატორი გვიჩვენებს, კომერციულ ბანკში ანაბრებზე განთავსებული ფულადი რესურსების სხვა ბან-კებში განთავსება რამდენჯერ შეიძლება განხორციელდეს.

ამასთან, მინიმალური რეზერვების ნორმატივი არის ერთგვარი ინ-დიკატორი, რომელიც გვიჩვენებს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პო-ლიტიკას, თუ რომელ პოლიტიკას ანიჭებს უპირატესობას ეროვნული ბანკი – იაფი ფულის თუ ძვირი ფულის პოლიტიკას.

ინგლისის ცენტრალურმა ბანკმა საერთოდ გააუქმა მინიმალური რეზერვების ნორმატივი, იაპონიაში აღნიშნული ნორმატივი კომერციული ბანკის საშუალოდეკადური ნაშთის მხოლოდ 0,01%-ს შეადგენს, საერ-თაშორისო საბანკო სექტორში კი – 8%-ს არ აღემატება. საქართველოში მინიმალური რეზერვების ნორმატივი 1996 წლის თებერვლამდე შეადგენდა 20%-ს, თებერვლიდან აგვისტომდე – 18%-ს, აგვისტოდან 1997 წლის სექტემბრამდე – 15%-ს, 1997 წლის სექტემბრიდან 1998 წლის ნოემბრამდე – 12%-ს, 1998 წლის ნოემბრიდან 2004 წლის ივლისამდე – 16%-ს. 2004 წლის ივლისში მინიმალური რეზერვების ნორმატივი შემცირდა 13%-მდე. ამასთან, თუ მანამადე ხდებოდა უცხო ვალუტაში განთავსებული ანაბრების თანხის ეროვნულ ვალუტაში გადაყვანა შესაბამისი კურსით და მინიმალური რეზერვების ფონდში არსებული ნორმატივის მიხედვით განთავსება, 2004 წლის 1 ივლისს განხორციელდა ნორმატივის დივერსიფიკაცია, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ ანაბრებზე ნორმატივი განისაზღვრა 9%-ით, ხოლო უცხო ვალუტაში განთავსებულ ანაბრებზე – 4%-ით. 2012 წლის 6 იანვარს საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ ანაბრებზე ნორმატივი გაეზარდა 10%-დე, ხოლო უცხო ვალუტაში განთავსებულ ანაბრებზე ჯერ 10%-მდე, შემდეგ კი – 15%-მდე [10],

თუ ჩვენ მიერ შესწავლილ მაჩვენებლებს შევუდარებთ, საერთაშორისო საბანკო სისტემაში მოქმედ ნორმატივებს, დავრწმუნდებით, რომ საქართვე-ლოს ეროვნული ბანკი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის გან-მავლობაში ატარებს ძვირი ფულის პოლიტიკას.

განვიხილოთ რა გავლენას ახდენს ეროვნული ბანკის ძვირი ფულის პო-ლიტიკა ფინანსურ და ეკონომიკურ სექტორზე. თუ ინგლისის კომერციული ბანკები საერთოდ არ განათავსებენ არც ერთ გირვანქა სტერლინგს ანაბრებ-ზე დაბანდებული თანხიდან ცენტრალური ბანკის მინიმალური რეზერვების

ფონდში, იაპონიის კომერციული ბანკები ყოველ 100 ათას იენზე მხოლოდ 10 იენს განათავსებენ, ხოლო საქართველოს კომერციული ბანკები ვალდებულია 100 ათას ლარზე განათავსონ 10 ათასი ლარი და 100 ათას დოლარზე – 15 ათასი დოლარი. ასეთი მაღალი ნორმატივი კომერციული ბანკის ხელმძღვანელობას აიძულებს მის განკარგულებაში დარჩენილი საკრედიტო რესურსები უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით გასცეს, რაც თავის მხრივ, იწვევს კრედიტის გამოყენებით დამზადებული პროდუქციის თვითღირებულების გაზრდას.

***

დასასრულ, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავოს ისეთი ფულად -საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მინიმალური რეზერვების ნორმატივის საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მოქმედ ნორმატივებთან მიახლოვებას და „ძვირი" ფულის პოლიტიკის "„აფი" ფულის პოლიტიკით შეცვლას; თანამედროვე ეტაპზე განვითარებადი ქვეყნების საბანკო სისტემის მნიშვნელოვანი სფერო საფინანსო ბაზრების განვითარებაა; აუცილებელია, საქართველოში შეიქმნას ანაბრების დაზღვევის კორპორაცია, რომელიც დააზღვევს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების დანაზოგებს [3].

## ლიტერატურა:


1. მენქიუ გრ., ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2010.
2. მუნჯიშვილი ე., კონტროლის ფუნქციის დეცენტრალიზაცია, თბ., 2013.
3. ოქრუაშვილი ც., კომერციული ბანკის მენეჯმენტი, აუდიტი, მარკეტინგი, თბ., 2009.
4. ჩანტლაძე ვ., ფინანსების თეორიის საკითხები, რუსულიდან თარგმნეს ც. ოქრუაშვილმა
და მ.ჭირაქაძემ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1987.
4. ცაავა გ., საბანკო საქმე, თბ., 2005.
5. ცაავა გ., ბიწაძე ბ., ლიპარტია ზ., ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2006.
6. ყირიმლიშვილი ნ., ფინანსები, თბ., 2005.
7. ბიწაძე კ., რა სარგებლობა მოაქვს ეროვნულ ვალუტას, როგორი უნდა იყოს მისი ოპტიმალური კურსი, გაზეთი ,,ბანკები და ფინანსები“, #44-45, 1998.
8. Коваленко А.Ю., Финансы в схемах и таблицах с комментариями, М., 2006.
9. [http://strategy.ge/2013/01/10/decentralization-of-control-function]

# Mechanism of Control in Finances Function System and Prerequisites for its Realization

***Tsiuri Oqruashvili***
*Doctor of Economics*

***Ketevan Gudushauri***
*Doctoral student, TSU*

The article analyzes the connection of financial control function with other main functions in modern Georgia considering the experience of foreign countries. There is highlighted the importance of the implementation of finances control function. In addition, the focus is shifted to the finances distribution and regulatory functions. It is proved that there are strong economic ties between finances functions. There is offered the opinion that in Georgia's practice the necessary prerequisite for successful implementation of finances functions is the provision of financial stability and hard national currency by the main bank of the country.

The function of financial control is directly connected to its distribution function. The function of financial control is manifested in the conversion of the gross domestic product in relevant funds and then in the control of its targeted distribution. The movement of budgetary funds and the overall budgetary process - budgeting, review, approval, implementation and approval of accounting - is related to the financial control function.

The objectives of the function of finances control are: the protection status of the country's financial legislation, control over the tax and customs services, banks, financial obligations and full control over the implementation of the budget system, the performance of mutual payments between enterprises and organizations. In the conditions of market economy, some experts estimate is fair, along with distribution and control functions, finances perform also regulatory functions; through the finances of the state (state spending, taxes, the state credit) it is connected to the regulation of production processes. It can be made the conclusion that the finances control function is closely connected with distribution and regulatory functions. It should be noted that effectiveness of the financial control function is highly dependent on the finances discipline existing in the national economy.

On the basis of presenting the noted issues in a new way in the article there is made a conclusion that the National Bank should formulate such monetary policy which will provide the approximation of the standard of minimal reserves to the standard existing

in the international banking practice and change the “expensive” money policy with “cheap” money policy. At the present stage the important sphere of the banking system of developing countries is the development of financial markets. It is necessary to create in Georgia the Deposit Insurance Corporation, which will insure both individuals and legal entities savings.

**Keywords:** Control of finances, distributive and regulations functions, national rate of exchange of currency, ,,cheap” and ,,expensive” money’s policy.
**JEL Codes:** E 42, E 52, G 32, G 38

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 1, გვ. 126-150
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 1, pp. 126-150

## გამოკვლევის შედეგები
## RESEARCH RESULTS

# თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2015 წელს შესრულებული მიზნობრივი სამეცნიერო – კვლევითი სამუშაოების შედეგების შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ბრძანების (N:22/04; 30.12.2014) საფუძველზე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2015 წელს განხორციელდა ექვსი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი. კვლევის პროცესში, აკადემიურ პერსონალთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს მოწინავე სტუდენტებმა, რამაც გამოიწვია მათი ინტეგრირება და შესაბამისად, სტუდენტთა კვლევითი უნარ-ჩვევების გაფართოვება, პასუხისმგებლობის გაზრდა და დაინტერესება მეცნიერული კვლევებით. გთავაზობთ თითოეული პროექტის განხორციელების მოკლე მიმოხილვას.

ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები, – ევროკავშირის მოდელები და გამოწვევები საქართველოში (მიკროეკონომიკის კათედრა, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ეთერ ხარაიშვილი). პროექტში ჩართული იყო აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, კერძოდ, ასოცირებული პროფესორები: მარინა ჩავლეიშვილი, მარინა ნაცვალაძე, ია ნაცვლიშვილი, ინეზა გაგნიძე, ასისტენტ-პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი; სტუდენტები: ანა ლომოური, სალომე ექიზაშვილი, რუსუდან გურაშვილი.

კვლევის ძირითად მიზნად განისაზღვრა საქართველოში ფერმერული მეურნეობების განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა და პერსპექტივების დასაბუთება ევროკავშირის ქვეყნებში არსებული მოდელების გათვალისწინებით. შესაბამისად დაისახა შემდეგი ამოცანები: ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესახებ ბიბლიოგრაფიული კვლევის ჩატარება; კვლევის ობიექტის შერჩევა; კვლევისათვის კითხვარისა და ინტერვიუების ჩატარების სახელმძღვანელოს მომზადება; ინტერვიუების ჩატარება; ტრანსკრიპტების

მომზადება; ევროკავშირის ქვეყნების ფერმერული მეურნეობების ხელშეწყობასთან დაკავშირებული გამოცდილებისა და არსებული მოდელების შესწავლა; ღვინის ბაზრის დივერსიფიკაციის მოდელების შეფასება; მოდელების და რეკომენდაციების შემუშავება მიკრო და მაკრო დონეზე საქართველოში ფერმერული მეურნობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად და სხვა.

საქართველო ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ქვეყანაა და ამ მხრივ მიზანშეწონილია ისეთი დივერსიფიცირებული ეკონომიკის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს: ქვეყნის თვითმყოფადობის შენარჩუნებას, ძირითადი ეროვნული პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მიღწევას, სატრანსპორტო და ენერგოდერეფნის ფუნქციის ეფექტიანად შესრულებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. ამდენად, ნათელი გახდა, რომ საქართველოში დივერსიფიკაციის პრობლემების კვლევა მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფერმერული მეურნეობები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკურ სტრუქტურაში. ევროკავშირთან დაახლოების კუთხით კი აუცილებელია საქართველოსათვის შემუშავდეს დივერსიფიკაციის ისეთი მოდელები, რომლებიც, ერთი მხრივ, შესაბამისობაში იქნება ევროპულ მოთხოვნებთან, მეორე მხრივ, ასახავს იმ საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, რომელიც არსებობს სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში.

საქართველოსთვის მევენახეობა-მეღვინეობა ტრადიციული და სტრატეგიული მნიშვნელობის დარგია. მასში ჩართულია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაცია მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკონომიკური ზრდის კუთხით და იმავდროულად უზრუნველყოფს ყველაზე მოწყვლადი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. დივერსიფიკაციის ეფექტიანი მოდელების შესამუშავებლად მნიშვნელოვანია პროცესში ჩართული იყოს ყველა დაინტერესებული და კომპეტენტური მხარე, კერძოდ, შესაბამისი სამინისტროები, ექსპერტები, მეცნიერ-მუშაკები და უშუალოდ მევენახეობა-მეღვინეობის დარგის წარმომადგენლები.

აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა ისეთი კვლევის ჩატარებას, რომელიც მოიცავდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მხარეების პოზიციებისა და ხედვების შესწავლა-ანალიზს. დამატებით გამოკვლეული იქნა ისეთი საუკეთესო ევროპული გამოცდილება, რომელიც ადეკვატურია საქართველოს რეალობისათვის და შემუშავდა ამ მოდელების ადაპტირების რეკომენდაციები.

კვლევის მიზნების მისაღწევად გამოყენებულია ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის კომპლექსური მეთოდები: (1) სამაგიდე კვლევა; (2) თვი-

სებრივი კვლევა. „სამაგიდე კვლევის“ მეთოდის გამოყენებით განხორციელდა მეორადი მონაცემების მოპოვება. აღნიშნული მიდგომა გამოყენებულია ისეთი საკითხების დამუშავებისათვის, რომლებიც მოიცავს ფერემერული მეურნეობების განვითარების ევროპული გამოცდილებისა და მოდელების შესწავლას, ასევე, საქართველოში არსებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მოპოვებასა და ექსტრაპოლაციას, აგრარულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების მოპოვებასა და ანალიზს.

ფერმერული მეურნეობების ფაქტობრივი მდგომარეობის ობიექტურად შეფასებისათვის თვისებრივი კვლევის მეთოდია გამოყენებული, კერძოდ ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი.

კვლევა სამ ეტაპად განხორციელდა: კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა მეორადი მონაცემების შეგროვება, დახარისხება და დამუშავება, კერძოდ, შეგროვდა ფერმერულ მეურნეობების შესახებ სტატისტიკური მონაცემები, პოლიტიკის დოკუმენტები, სამეცნიერო ნაშრომები, ანალიტიკური ანგარიშები და ა.შ. კვლევის მეორე ეტაპზე უშუალოდ პირველადი მონაცემები შეგროვდა და ჩატარდა შერჩეულ ფერმერებთან ჩაღრმავებული ინტერვიუები, შეფასდა ფერმერული მეურნეობების განვითარებისა და დივერსიფიკაციის ფაქტობრივი მდგომარეობა, გამოვლინდა განვითარებისათვის საჭირო ძირითადი ამოცანები და ხელშემშლელი ბარიერები, მიღებული მონაცემები განზოგადდა და საფუძვლად დაედო ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობებზე რეკომენდაციების შემუშავებას. კვლევის დასკვნითი ეტაპი დაეთმო ანალიტიკური ანგარიშის შემუშავებასა და სტატიების გამოქვეყნებას.

თვისებრივი კვლევის ჩასატარებლად განისაზღვრა დარგობრივი ფოკუსი: მევენახეობა -მეღვინეობის დარგი, ხოლო გეოგრაფიულ არეალად შეირჩა კახეთის რეგიონი.

სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევით გამოიყო სამი სტრატა ჯგუფი:

ა. ფერმერები, რომლებიც მხოლოდ მევენახეობას მისდევენ;

ბ. მევენახეობა-მეღვინეობით დაკავებული მეწარმეები;

გ. მხოლოდ მეღვინეები.

კვლევის პროცესში შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავდა 1952 ფერმერს, 214 მევენახე-მეღვინესა და მეღვინეს, სულ 2166 ეკონომიკურ ერთეულს.

გამოკითხვისათვის ძირითადი და დამატებითი სიის შერჩევას საფუძვლად დაედო შემდეგი მაჩვენებლები: საქმიანობის სფერო, პროდუქციის სახეობა, პროდუქციის მოცულობა, მიწის ფართობი. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მონაცემთა ერთიანი ბაზიდან შეირჩა 25 ერთეული, მათ შორის: 10 - მხოლოდ მევენახე, 8 - მხოლოდ მეღვინე, 7 - მევენახეობა-მეღვინეობაში ჩართული მეწარმე. მათთან ჩატარებული ინტერვიუს მიზანი იყო

ფერმერული მეურნეობების ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასება, ძირითადი გამოწვევების და დივერსიფიკაციის შესაძლებლობების გამოვლენა.

კვლევის საფუძველზე შემდეგი ძირითადი ტენდენციები გამოვლინდა:

- ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის პროცესი კახეთის რეგიონში, მიუხედავად დარგის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა, საწყის ეტაპზეა;
- მევენახეობაში ჩართულია ძირითადად მცირე ზომის ფერმები და ისინი დამოკიდებულია მსხვილი და საშუალო ღვინის ქარხნების მიერ დაწესებულ ფასზე. დაბალი ფასებისა და შემოსავლების სიმცირის გამო, ფერმერები ვერ ახდენენ წარმოების დივერსიფიკაციას. მსხვილი და ნაწილობრივ საშუალო ზომის ღვინის ქარხნები ფლობენ საკუთარი ვენახის ფართობებს და ფერმერისაგან ყურძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში იძენენ, თუ ნედლეულზე გაჩნდება დეფიციტი (ამ საწარმოების წარმომადგენლებმა ინტერვიუს პროცესში განაცხადეს, რომ მათ წინა წლის ღვინის საშუალოდ 40% არ აქვთ გაყიდული, შედეგად, მიმდინარე წელს დაბალი იყო მოთხოვნა ყურძენზე);
- მსხვილ ქარხნებზე დამოკიდებულება დივერსიფიკაციის არასახარბიელო პერსპექტივაა;
- მცირე ფერმებს, რომლებიც იყენებდნენ გაფართოების სტრატეგიას, აქვთ ბევრად უკეთესი ეკონომიკური შედეგები, ვიდრე ფერმებს, რომლებიც ჩართული არ არიან დივერსიფიკაციის პროცესში. ფერმები გაფართოების სტრატეგიის გამოყენებით ლიდერობენ წმინდა შემოსავლით ერთეულ ოჯახზე;
- მოქმედი სუბსიდირების პროგრამები არ არის დივერსიფიკაციის ეფექტიანი საშუალება. ასევე, დაზღვევა ვერ ასრულებს დივერსიფიკაციის ხელშემწყობ როლს;
- დივერსიფიკაციაში მნიშვნელოვანი როლის შერულება შეუძლია კოოპერირებას, რაც თითქმის არ ხდება;
- მცირე ფერმერთა ნაწილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნაკვეთების გამსხვილება საქმიანობის გაფართოების აუცილებელი წინაპირობაა. მიუხედავად ამისა, ფაქტობრივად, მაინც ვერ ახდენენ გაერთიანებას, ძირითადად ცოდნის ნაკლებობისა და კოოპერაციისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების გამო;
- რუსეთის ბაზარი ადვილად ხელმისაწვდომია მცირე მასშტაბის ღვინის ქარხნებისთვის, ასევე, ზოგიერთი სხვა დივერსიფიცირებული პროდუქტებისთვის. შესაბამისად, პრიორიტეტულად მათთვის ამ ბაზრის დივერსიფიკაცია განიხილება; მევენეხეებიც და მეღვინეებიც თანხმდებიან, რომ უმთავრესი გამოწვევა არის ღვინის საერთაშორისო ბაზრების გაფართოება/დივერსიფიკაცია. თუმცა, ამ პროცესში თითქმის არ არიან ჩართულნი საშუალო და მცირე ზომის მწარმოებლები;

- გამოუყენებელია პროდუქტების დივერსიფიკაციის მნიშვნელოვანი შესაძლებლობები (არაყის წარმოება, სუფრის ყურძენი, ყურძნის წვენი, წიპწის ზეთი, ღვინის ტურიზმი და სხვ.);
- მცირე ფერმერული მეურნეობების შესახებ მნიშვნელოვნად შეზღუდულია სტატისტიკური მონაცემები და ანალიტიკური ინფორმაცია, რაც ასეთი ტიპის მეურნეობების მიმართ ართულებს როგორც კვლევებს, ასევე სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებს;
- არ არსებობს სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა წარმოების სტრატეგიული განვითარებისა და გაფართოებისათვის.

მკვლევართა ჯგუფმა მოამზადა ორი ტიპის რეკომენდაცია: 1. სამთავრობო სტრუქტურებისათვის; 2. უშუალოდ ფერმერებისათვის, მათგან მნიშვნელოვანია:

- დივერსიფიკაციის სტრატეგია უნდა გახდეს მცირე ღვინის ქარხნების ამუშავება;
- საჭიროა პროდუქტების დივერსიფიკაციის პროცესის ხელშეწყობა სახელმწიფოს მიერ დასაბუთებული პროგრამებითა და შესაბამისი კვლევებით;
- დასახლებული ლოკაციების შესაბამისად აუცილებელია მცირე ფერმერის მიერ ყურძნის, ღვინისა და დივერსიფიცირებული პროდუქტების პირდაპირი გაყიდვების ორგანიზება;
- შესამუშავებელია დივერსიფიცირებული პროდუქტების შესაძლებლობების სქემა: არაყის წარმოება; სუფრის ყურძნის ჯიშების გაფართოება; ყურძნის წვენი; წიპწის ზეთი; ღვინის ტურიზმი;
- მცირე და საშუალო ზომის ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის პროცესის განვითარებისათვის აუცილებელია კანონის მიღება „ფერმერული მეურნეობების შესახებ";
- აუცილებელია ღვინის ტრადიციული ბაზრების დივერსიფიკაცია: რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ბელარუსი; ასევე, მნიშვნელოვანია პერსპექტიული ბაზრების დივერსიფიკაცია შემდეგ ქვეყნებში: აშშ, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, პოლონეთი, უკრაინა;
- სახელმწიფო პროგრამების მიმართულებით აუცილებელია: ა. პროგრამებს შორის კოორდინაცია; ბ. პროგრამების შემუშავების დროს მცირე ფერმერების საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი ფოკუსირება; გ. პროგრამების შესახებ მეტი საინფორმაციო კამპანიის ჩატარება და ფერმერების ინფორმირება; დ. სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის შეფასება კვლევების საფუძველზე;
- აუცილებელია ფერმერული მეურნეობების ხელმისაწვდომობის გაზრდა იაფ აგრო-კრედიტებზე. კრიტიკული მნიშვნელობა აქვს საშეღავათო პერიოდის არსებობას; საჭიროა კოოპერირების იდეის სწორი არგუმენტაცია, პროპაგანდა და კოოპერატივების შექმნის ეფექტიანი მხარდაჭერის სისტემის ამოქმედება და სხვა.

სამეცნიერო კვლევის შედეგების ნაწილი უკვე მოხსენდა და გამოქვეყნდა, კერძოდ: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე (World Academy of Science, Engineering and Technology - ICEMBIT 2015 : International Conference on Economics, Management of Business, Innovation and Technology - Economics and Business Sciences Conferences in Italy, 5-6 May, 2015), რომელიც ჩატარდა იტალიაში, რომში. მოხსენების თემა იყო: ,,Farm Diversification and the Corresponding Policy for its Implementation in Georgia" (E. Kharaishvili). იგივე სტატია მათივე მოთხოვნით დაიბეჭდა საერთაშორისო ელექტრონულ ჟურნალში: World Academy of Science, Engineering and Technology, International Science index 101, International Journal of Social, Education, Economics and Management Engineering 9(5), 2015.

კვლევის ფარგლებში ასევე, მომზადდა მოხსენება - ,,Small Farm Diversification Opportunities in Viticulture-Winemaking Sector of Georgia" (E. Kharaishvili) - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისათვის 18th International Conference on Economics, Business and Marketing Management to be held in Paris, France on May, 16-17, 2016. იგივე სტატია სარედაქციო ჯგუფის მოთხოვნით დაიბეჭდა საერთაშორისო ჟურნალში International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering Vol:10, No:5, 2016.

აზიის უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი ჯგუფის მიერ შემოთავაზებულია სტატიის მომზადება ,,Wine Brand and Wine Tourism Development Prospective in Georgia", რომელიც გამოქვეყნდება ადეკვატურ საერთაშორისო ჟურნალში.

მიღებულია სტატია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ქ. ბარსელონაში (ესპანეთი), 2016 წელი, 23-26 მაისი, თემით – „ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის ევროპული მოდელები და გამოწვევები საქართველოში", რომლის ავტორია ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი; ასევე, ასოცირებული პროფესორის მარინა ჩავლეიშვილის მიერ მზადდება სტატია „კოოპერატივები და ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაცია", რომელიც წარდგენილი იქნება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე.

კვლევის შედეგებს ექნება როგორც სამეცნიერო, ასევე, პრაქტიკული გამოყენება. სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელი და განმახორციელებელი სტრუქტურები მიიღებენ მეცნიერულად არგუმენტირებულ რეკომენდაციებს ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობების შესახებ. დარგის ექსპერტებსა და მეცნიერებს მიეწოდებათ დამატებითი ინფორმაცია და თეორიები ფერმერული მეურნეობების განვითარების ფორმაციისა და დივერსიფიკაციის კუთხით.

ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობების კვლევის შედეგები დაეხმარება ადგილობრივი, რეგიონული და ცენტრალური

მთავრობის წარმომადგენლებს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთობლივი პროექტების დაგეგმვაში. სტუდენტები კვლევის მასალებს გამოიყენებენ სასწავლო კურსებში, ასევე, სამეცნიერო კონფერენციებისა და სამაგისტრო კვლევითი თემების დამუშავებისას.

* * *

<u>ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო საქართველოში და მისი გავლენა ექსპორტის გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე</u> – (საერთაშორისო ბიზნესის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი იაშა მესხია. პროექტში მონაწილეობდნენ: ასოცირებული პროფესორები: ლარისა ყორღანაშვილი; შოთა შაბურიშვილი; დავით სიხარულიძე; ასისტენტ პროფესორი: ლეილა ქადაგიშვილი; ეკონომიკის დოქტორი ვახტანგ ჭარაია; დოქტორანტი ოთარ ანგურიძე; ბაკალავრიატის სტუდენტი ეკა მაღლაფერიძე)

პროექტის თემატიკის აქტუალურობა განაპირობა მსოფლიო და ეროვნულ ეკონომიკაში მიმდინარე ტრანსფორმაციულმა პროცესებმა, საერთაშორისო ბიზნესის ტექნოლოგიური და ინოვაციური გარემოს სერიოზულმა ცვლილებებმა, საქართველოს ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ მოდელზე გადაყვანის აუცილებლობამ.

ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში არსებითად შეიცვალა საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა, მოიშალა ტექნიკასა და ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რეალური სექტორი, სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა ბიზნესის მასტიმულირებელი ტექნოლოგიური გარემოს ფორმირებას, ტექნოლოგიურ მიღწევებზე დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას. ამან განაპირობა ექსპორტის დაბალი კონკურენტუნარიანობა, ახალ საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრების სირთულე და, შესაბამისად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე.

პროექტის ავტორებმა მიზნად დაისახეს საქართველოს ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს კომპლექსური ანალიზი და შეფასება, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამოყენებით ქვეყნის საექპორტო კუნკურენტუნარიანობის ზრდის პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენა და ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესების კონკრეტული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება. მიზნის მისაღწევად განისაზღვრა ამოცანათა ფართო წრე, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი: ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს არსის, სტრუქტურის და ძირითადი კომპონენტების გამოკვლევა; ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს ძირითადი იდიკატორების ანალიზი და შეფასება; ბიზნესის კონკურენტუნარიანობაზე ინოვაციებისა და ტექნოლოგიური სიახლეების გავლენის გამოკვლევა; ბიზნესის

ტექნოლოგიური გარემოს ფორმირებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლის განსაზღვრა; საგარეო ვაჭრობის ზრდაზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების გავლენის გამოკვლევა; ბუნებრივი რესურსების და გეოპოლიტიკური გარემოს როგორც ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს ფორმირების ხელშემწყობი ფაქტორების ანალიზი; „მწვანე ეკონომიკის" ადგილის განსაზღვრა ბიზნესის ტექნოლოგიურ გარემოში; ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს განვითარების, ექსპორტის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებით კონკრეტული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევაში ტრადიციული სტატისტიკური ანალიზის, ინდუქციის და დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ანალოგიის მეთოდებთან ერთად, გამოყენებულია SWOT – ანალიზის მეთოდი. ტექნოლოგიური ფარემოს ძირითადი ინდიკატორების შეფასებაში გამოყენებულ იქნა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ფორუმებისა და ინსტიტუტების მიერ შემუშავებულ ინდექსები და რეიტინგები (გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, ცოდნის ეკონომიკის ინდექსი, გლობალური ინოვაციური ინდექსი და ა. შ.), აგრეთვე, სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციების სტატისტიკური და სხვა მასალები.

კვლევამ აჩვენა, რომ ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო, ბიზნესგარემოს სხვა კომპონენტებთან (ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური და სხვა) შედარებით, ნაკლებად გამოკვლეული სფეროა როგორც გლობალურ დონეზე, ისე ცალკეული ქვეყნების ჭრილით. განსაკუთრებით ნაკლებადაა ეს სფერო შესწავლილი პოსტსაბჭოურ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში. ნაშრომში დაჯგუფებულია ის ძირითადი ცვლადი კომპონენტები, რომელთა ანალიზით შესაძლებელია ქვეყნის ტექნოლოგიური გარემოს ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება და მათი გაუმჯობესების გზების დასახვა და სხვა. გლობალური კონკურენტუნარიანობის და გლობალური ინოვაციური ინდექსების მიხედვით საქართველო თანდათანობით იუმჯობესებს მდგომარეობას. გარკვეული პოზიტიური ძვრები შეინიშნება ასევე ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს გაუმჯობესების კუთხით. კერძოდ, გერმანიის საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციამ (GIZ) დააფუძნა საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი, შეიქმნა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ევროკავშირის ინიციატივით შეიქმნა სამთავრობო პანელი „კვლევა და ინოვაცია", უკანასკნელ წლებში საქართველომ მონაწილეობა მიიღო 63 ევროპულ პროექტში, დაარსდა სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები - ე.წ. ფაბლაბები და სხვ.

საქართველო გააჩნია ეკონომიკური აღმავლობისა და სწრაფად ზრდის დიდი შესაძლებლობები (გეოპოლიტიკური მდებარეობა, ბუნებრივი რესურ-

სები, ინოვაციური პოტენციალი და სხვ.), რომელთა გონივრული გამოყენებით მას შეუძლია განვითარების ინოვაციურ მოდელზე გადასვლა და ქვეყნის გლობალური (მათ შორის ექსპორტის) კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ამაღლება. კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები ხელს შეუწყობს ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს გაუმჯობესებას, უახლესი ტექნოლოგიების ტრანსფერის გაზრდას და პრაქტიკაში მათ დანერგვას, სამეცნიერო წრეებს და ბიზნესს შორის კავშირების გამყარებას, ბიზნესის კრეატიულობის დონის ამაღლებას, საექსპორტო პროდუქტის დივერსიფიკაციას, ქართული კომპანიების ახალ ბაზრებზე შეღწევა-დამკვიდრებას და ა. შ.

კვლევის შედეგები ნაწილობრივ გამოქვეყნებულია 3 სტატიაში, 2 სტატია გადაცებულია გამოსაქვეყნებლად. გათვალისწინებულია კვლევის შედეგების მონოგრაფიისა (უნდა ითარგმნოს და გამოიცეს ინგლისურ ენაზეც) და ლექციების კურსის ფორმით გამოცემა, რაც გამოყენებული იქნება თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის დამხმარე ლიტერატურის სახით.

* * *

<u>შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების რეზერვები</u> (ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ელენე ხარაბაძე, პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდა კათედრის ხუთი ასოცირებული პროფესორი: ლევან საბაური, ნადეჟდა კვატაშიძე, ნანა სრესელი და მერაბ ჯიქია. პროექტში ასევე აქტიურად ჩართულები იყვნენ კათედრის დოქტორანტები: რუსუდან სრესელი, ნინო ჩავლეშვილი, ნანა ხინჩალაშვილი და იოსებ მამუკელაშვილი).

ნებისმიერი საწარმოსა და ორგანიზაციის მიზანია ფინანსური მდგრადობის, საქმიანობის ეფექტიანობის და ზოგადად, ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება, რაც საბოლოოდ გამოიხატება შემოსავლებისა და მოგების მაჩვენებლის ზრდაში.

ფინანსური მდგრადობა საწარმოს ეფექტიანი საქმიანობისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა. ფინანსური მდგრადობის პირობებში, საწარმოს შეუძლია შექმნას და დანერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები, აამაღლოს პროდუქციის ხარისხი, გააუმჯობესოს ფასწარმოქმნის პოლიტიკა, უზრუნველყოს თვითღირებულების შემცირება, გაზარდოს შრომის ანაზღაურება. საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზი იძლევა მისი გადახდისუნარიანობის ნათელ სურათს. საწარმოს ხარჯების მართვაში თანამედროვე მიდგომების გამოყენება წარმოადგენს მისი ეფექტიანობის ზრდის წინაპირობას. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება და-

გეგმვის, კოორდინაციის, ორგანიზაციისა და მოტივაციის სწორ რეალიზებას. საწარმოს გამართული და შეუფერხებელი მუშაობა მოითხოვს პრობლემებზე ორიენტირებული დაგეგმვის, აღრიცხვის, კონტროლისა და ანალიზის სისტემების შექმნასა და ფუნქციონირებას. სამეურნეო სუბიექტების მიმდინარე და მოსალოდნელი მოთხოვნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ხარჯების მართვის ახალი არატრადიციული სისტემების დანერგვა, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს მყარ მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას, ხარჯების ოპტიმიზაციის მეთოდებისა და მოდელების შემუშავებასა და პრაქტიკულ რეალიზაციას. ზემოაღნიშნული პრობლემებით დაინტერესებამ და აქტუალურობამ განაპირობა სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელება შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" მაგალითზე.

კვლევის შედეგებში წარმოდგენილია საერთაშორისო პრაქტიკით აპრობირებული პროგრესული მეთოდებისა და მოდელების სისტემები ქალაქის სატრანსპორტო კომპანიისათვის. წარმოების ხარჯების მართვის ეფექტიანი სისტემის შემუშავება, ფინანსური მდგრადობის ანალიზის თანამედროვე მეთოდების დანერგვა, საწარმოს განვითარების ნებისმიერ ეტაპზე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს შესრულებული სამუშაოს აქტუალურობასა და განხორციელების მნიშვნელობას. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ქ. თბილისის ავტოსატრანსპორტო საწარმო, რომლის ბაზაზეც მოხდა კვლევა, ქ. თბილისის მერიის 100 %-ი წილით მფლობელობაშია. იგი შერეული დაფინანსების სისტემაზეა, რომელშიც განმსაზღვრელია ქალაქის ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული დაფინანსება. აღსანიშნავია, რომ საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მონაცემების ზოგადი გაცნობის შედეგად გამოვლინდა მისი ფინანსური შედეგების უარყოფითი მაჩვენებლები, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ქალაქის ბიუჯეტზე. კვლევის დროს სწორედ ამ კუთხით იქნა უპირატესი ყურადღება გამახვილებული, რათა, რაც შეიძლება მინიმუმამდე იყოს დაყვანილი რისკებისა და იმ ფაქტორების გავლენა, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ანალიზი, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შედეგების, მისი დინამიკის, ფინანსური მდგომარეობის შეფასება. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეშვეობით განხორციელდა საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მართვაში არსებული პრობლემების გამოვლენა, კაპიტალის ინვესტირების მიმართულების შერჩევა.

ანალიზი, საერთოდ, ცალკეული მაჩვენებლის პროგნოზირების მძლავრი ინსტრუმენტია, ხოლო კონკრეტულად, საწარმოს ფინანსური მდგომარე-

ობის ანგარიშგების (ბუღალტრული ბალანსის) ანალიზი კი, იძლევა საწარმოს ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობის, წმინდა საბრუნავი კაპიტალისა და მიმდინარე ვალდებულებების თანაფარდობის შეფასების საშუალებას. იმის დადგენა, თუ რამდენად აღემატება საბრუნავი აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს, ნიშნავს არა მხოლოდ ვალდებულებების დაფარვის რესურსების არსებობას, არამედ გულისხმობს, რომ საწარმოს აქვს საქმიანობის გაფართოვების რეალური პერსპექტივა, რადგან სწორედ სამუშაო კაპიტალი არის ის დადებითი ინდიკატორი, რომელიც კრედიტორებს და ინვესტორებს ინვესტიციების განხორციელებისკენ უბიძგებს.

სატრანსპორტო საწარმოს ფუნქციონირების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი რეზერვია დანახარჯების მართვის კომპლექსური მოდელებისა და მეთოდების დანერგვა, რომელიც ორიენტირებული იქნება საწარმოს მიერ დასმული ამოცანების ანალიზის, მოდელირების, ოპტიმიზაციისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაზე, რაც მთლიანობაში წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებას. აღნიშნულის გათვალისწინებით კვლევის ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა:

- სატრანსპორტო საწარმოს არსებული ფინანსური მდგომარეობის დახასიათება სისტემური მიდგომით და დანახარჯების მართვის პრობლემებზე ორიენტირებული სისტემის შექმნა, მეთოდოლოგიური პრინციპებისა და საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით;
- სატრანსპორტო საწარმოს დანახარჯების მართვის მექანიზმის შემუშავება ერთიანი ბაზებისა და ეკონომიკური მოდელების გამოყენებით;
- ფინანსური მოდელების შემუშავებით ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების მართვა სატრანსპორტო საწარმოში;
- პოტენციური რისკების მატარებელი გადახრების განსაზღვრა;
- საწარმოს განვითარების ფინანსური გეგმების ფორმირება;
- ფინანსური და მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციების შემუშავება;
- საწარმოს ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება;
- კაპიტალის სტრუქტურის მართვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის განხორციელებაში ჩართულმა ჯგუფმა შპს „თბილისის სატრანსპორტო საწარმოს" მონაცემებზე დაყრდნობით:

1. განსაზღვრა საწარმოს ფინანსური მდგრადობის მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივები, ჩაატარა მათი მახასიათებლების ფაქტორული ანალიზი;
2. შეაფასა საწარმოს საქმიანი აქტივობა, ფინანსური რესურსების გამოყენების დონე, განსაზღვრა საბოლოო მაჩვენებელზე ექსტენსიური და ინტენსიური ფაქტორების გავლენა;

3. დაადგინა საწარმოს საინვესტიციო აქტივობის დონე და შეაფასა მისი განვითარების პერსპექტივები;
4. განახორციელა გაკოტრების რისკის დიაგნოსტიკა და დაადგინა მისი ცვლილების ტენდენციები;
5. ჩაატარა ბიზნესის საოპერაციო სეგმენტების ანალიზი;
6. ჩამოაყალიბა საწარმოს ფინანსური გაჯანსაღებისა და მდგრადობის ძირითადი ღონისძიებები, შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები.

სამეცნიეროდკვლევითი პროექტის საგანს წარმოადგენდა სატრანსპორტო საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის ანალიზი თანამედროვე ეკონომიკური მოდელების გამოყენებით, რაც პროექტის შედეგებში არის ნათლად ასახული;

პროექტის სამეცნიერო-კვლევითი ნაწილის გახორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება თეორიული ასპექტების გათვალისწინებით შეიქმნას დამაკავშირებელი რგოლი ეკონომიკური ანალიზის ფუნქციებსა და რეგულირებას შორის, რომელიც მმართველობით რგოლს საშუალებას მისცემს მიიღოს ეკონომიკური გადაწყვეტილებები შეთავაზებული მოდელების გამოყენებით;

- სატრანსპორტო საწარმოს წინაშე დასმული ამოცანების ეკონომიკური დიაგნოსტირება/შეფასება, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას;
- ეკონომიკური ანალიზის შედეგების ადაპტაციაზე ორიენტირებული ეკონომიკური დიაგნოსტირების მეთოდის შემუშავება და დასაბუთებული რწმუნება მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად;
- მიღწეული შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება სატრანსპორტო საწარმოს ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებისკენ.

კვლევის განხორციელებით შემუშავდა მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდი, რაც რეკომენდაციის სახით წარედგინა ქალაქის სატრანსპორტო კომპანიას. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს მართვის პროცესების ინტეგრაციას, ეკონომიკური ანალიზსა და გამართული მმართველობითი გადაწყვეტილებების ფორმირებას;

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობაა ის, რომ მიღებული შედეგები მიმართული იქნება არა მარტო სატრანსპორტო კომპანიის მენეჯმენტის პროცესის გაუმჯობესებისკენ, არამედ საინტერესო და მიმზიდველი გახდება სხვა ანალოგიური ტიპის საწარმოებისთვისაც.

განხორციელებული კვლევა საქართველოს მასშტაბით წარმოადგენს პირველ მცდელობას. რომელიც მიმართულია შერეული დაფინანსების ტიპის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და მდგრადობის შეფასების, კვლევის, ანალიზისა და მისი გაუმჯობესების კომპლექსური ღონესძიებების პაკეტის შემუშავებისაკენ, რაც პროექტის პრაქტიკულ მნიშვნელობას კიდევ უფრო ყურადსაღებს ხდის.

კვლევის შედეგების გამოყენებით ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ასოცირებული პროფესორის, ლევან საბაურის მიერ მომზადდა ორი სტატია:

„ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის ლოგისტიკური სისტემის სატარიფო პოლიტიკა", რომელიც მარტში გამოქვეყნდება საერთაშორისო რეფერირებად და ინდექსირებად ჟურნალში „Journal of Modern Accounting and Auditing";

„ფინანსური კრიზისის პირობებში სატრანსპორტო საწარმოების ფინანსური მდგომარეობის გაუარესების მიზეზების ანალიზი", რომელიც გამოქვეყნდება "World of Academy of Science, Engineering and Technology"- ის მიერ ორგანიზებული მე - 18 საერთაშორისო კონფერენციის კრებულში, რომელიც გაიმართება ბერლინში მიმდინარე წლის 19-20 მაისს.

* * *

<u>ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა-მიწოდების სტატისტიკური კვლევა</u> (ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი სიმონ გელაშვილი; კვლევითი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდა სულ 11 პირი, მათ შორის 8 აკადემიური პერსონალი და 3 სტუდენტი: 2 დოქტორანტი და 1 მაგისტრანტი. აკადემიური პერსონალიდან პროექტში მონაწილეობდნენ: პროფესორი ქეთევან მარშავა, ასოცირებული პროფესორები: მარინე მინდორაშვილი, ნინო აბესაძე, მერაბ ხმალაძე, მარინა მუჩიაშვილი; ასისტენტ-პროფესორები: ზამირა შონია და მაია გიორგობიანი, დოქტორანტები: შორენა ფარჯიანი და ნათია გიგინეიშვილი, მაგისტრანტი ანა აბესაძე).

კვლევის ძირითადი მიზანი იყო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა.

ძირითადი მიზნის მისაღწევად დასახული იქნა შემდეგი ამოცანები:

• ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დასაქმებულ კურსდამთავრებულთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება;

• ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ სპეციალისტთა მომზადების სრულყოფის მიზნით, საჯარო და კერძო სექტორებიდან პოტენციური დამსაქმებლების შეფასებების, მოთხოვნებისა და რეკომენდაციების შესწავლა;

• კურსდამთავრებულთა მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სხვადასხვა ასპექტის შეფასება დასაქმების შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე და მათ შორის შესაბამისობის განსაზღვრა;

• იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამებში კორექტივების შეტანის აუცილებლობას შემდგომში.

კვლევა მიმდინარეობდა წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კითხვარების შესაბამისად, რომელთა ელექტრონული ვერსიები ჩატვირთული იყო Google Drive-ის სისტემაში. კვლევის პროცესში ფართოდ იქნა გამოყენებული შემდეგი მეთოდები: შერჩევითი სტატისტიკური დაკვირვება, მონაცემთა თავმოყრად-დაჯგუფება, შეფარდებითი და საშუალოების მეთოდი, ვარიაციული ანალიზის, ასევე კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი. კვლევის პროცესში მიღებული რაოდენობრივი მონაცემების დამუშავება და სათანადო მაჩვენებლების გაანგარიშება განხორციელდა კომპიუტერული პროგრამა SPSS–ის გამოყენებით.

შინაარსობრივად, კვლევითი სამუშაო შედგება 2 ნაწილისგან: I. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და მათზე მოთხოვნის სტატისტიკური კვლევა; II. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მიწოდების სტატისტიკური კვლევა.

პოტენციური დამსაქმებლების – რესპონდენტი იურიდიული პირებისგან მიღებული ინფორმაციის დამუშავება-ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2010–2015 წლებში მათ სამსახურში მიიღეს შემდეგი უნივერსიტეტების ყველაზე მეტი კურსდამთავრებული: პირველ ადგილზეა ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ (38,5%); მეორე და მესამე ადგილზე, შესაბამისად, ილიას უნივერსიტეტი (17,4%) და თავისუფალი უნივერსიტეტი (10,1%), ხოლო მეოთხე და მეხუთე ადგილებზე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (9,2%) და კავკასიის უნივერსიტეტი (6,2%).

პოტენციური დამსაქმებელი ინსტიტუციების შეფასებების თანახმად, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს, ყველა დანარჩენებთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვთ განათლების დონეში, შემდეგ – პროფესიულ უნარ-ჩვევებში, აგრეთვე ზოგად კულტურაში, კომპიუტერის ცოდნასა და კომუნიკაბელურობაში. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა უპირატესობა უცხო ენების ცოდნაში არცერთმა რესპონდენტმა არ დაასახელა, რაც დამაფიქრებელი ფაქტია და ადეკვატურ რეაგირებას საჭიროებს.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ამოცანა იყო რესპონდენტი ინსტიტუციების აზრის შესწავლა იმის შესახებ, თუ რა საგნებს აძლევენ ისინი პრიორიტეტს სპეციალისტების მომზადებისას, რაზეც რესპონდენტებს შევთავაზეთ ადეკვატური შეკითხვა. მიღებული პასუხები დავაჯგუფეთ ერთგვაროვან საგნებად და დავალაგეთ რანჟირებული რიგით, კლებადობის მიხედვით. პირველი შვიდეული ასეთია:

1. ფინანსები, საგადასახადო და საბანკო საქმე;
2. საბუღალტრო აღრიცხვის საგნები;
3. მათემატიკური საგნები;
4. სტატისტიკური საგნები;
5. კომპიუტერული პროგრამები Excel, SPSS, Power Point;
6. ინგლისური ენა;
7. მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა და ეკონომეტრიკა.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ამოცანა იყო იმის დადგენა, თუ როგორ შეესაბამება მომზადებული კადრები მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს. აღნიშნული საკითხის შესასწავლად რესპონდენტებს დავუსვით ადეკვატური კითხვა, მიღებული პასუხების დაჯგუფებისა და რანჟირების შედეგად ყველაზე ხშირი პასუხები ასე განაწილდა:

1. მაღალკვალიფიციური კადრების დეფიციტი რეგიონებში;
2. კვალიფიციური კადრების მიღება და მათი შენარჩუნება არც თუ მაღალი ანაზღაურების პირობებში;
3. სპეციფიკური გამოცდილების არქონა, კომპიუტერული პროგრამებისა და უცხო ენების ცოდნის არასაკმარისი დონე;
4. ახალი კურსდამთავრებულების ხშირად არასაკმარისი სიღრმისეული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ასევე, მათ უჭირთ დოკუმენტებთან მუშაობა, მიმოწერის წარმოება და გუნდური მუშაობა.

კვლევის ფარგლებში საკუთარი წინადადებები წარმოადგინა სულ 257–მა დასაქმებულმა კურსდამთავრებულმა. მათი კომენტარების უმეტესი ნაწილი გულისხმობს ცვლილებების აუცილებლობას ფაკულტეტზე, კონკრეტულად კი: სწავლების პრაქტიკული ნაწილის გაძლიერებას და მსოფლიოში აპრობირებულ თანამედროვე მიდგომებს, ასევე იმ საგნების შესწავლის აუცილებლობას, რომლებიც ვიწრო პროფესიულ განათლებაზე იქნება ორიენტირებული (ბაკალავრიატში ბოლო 2 წელი მხოლოდ ასეთ საგნებს უნდა დაეთმოს); უნდა გაიზარდოს კომპიუტერული პროგრამების, განსაკუთრებით Excel და SPSS-ის სწავლების ხარისხი და გაძლიერდეს უცხო ენების სწავლება; შეიქმნას სასიამოვნო სასწავლო გარემო, რაც თითქმის არ არსებობს ფაკულტეტზე, პირველ რიგში, მატერიალურდტექნიკური ბაზის თვალსაზრისით.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები სასარგებლო იქნება სწავლების ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად, ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის, გაფართოებისა და განვითარებისთვის. ყოველივე ეს კი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საფუძველია.

* * *

<u>პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია საქართველოში და ეკონომიკის ინსტიტუციური ბაზის ფორმირების ძირითადი მიმართულებები</u> - (მაკროეკონომიკის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია. პროექტში მონაწილეობდნენ: ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა, დოქტორანტები - გიორგი თეთრაული, ალექსანდე ერგეშიძე, მაგისტრანტები - ცოტნე ჟღენტი, ნინი ბიწაძე, კახა დაუშვილი).

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში ინსტიტუციების ფორმირებისა და მისი ჩამორჩენის დაძლევის ძირითად მიმართულებათა ჩამოყალიბება მაკროეკონომიკური რეფორმების შემდგომი სრულყოფის მიზნით. პოსტკომუნისტური ქვეყნების ტრანსფორმაციის აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა იმ ობიექტური პირობების შესწავლა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო ტრანსფორმაციულმა პერიოდმა და რომლის განსხვავებული ხასიათი შემდგომი რეფორმების თავისებურებაში გამოიხატა.

კვლევაში ძირითადად გამოყენებულ იქნა ტრანსფორმაციულ პროცესთა თეორიული კვლევის ისეთი ცნობილი თეორიები, როგორიცაა: „საზოგადოებრივი არჩევანის თეორია" (ჯეიმს ბიუქენენი), რომელიც პრაქტიკულად „ახალი პოლიტიკური ეკონომიის" სახელით არის ცნობილი, „ახალი ინსტიტუციონალური თეორია" და მისი ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი „ევოლუციური თეორია" (ნელსონი და უინტერი), „ევოლუციური და ინსტიტუციური ცვლილებები" (დუგლას ნორტი).

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა ეკონომიკური აზრის კლასიკოსთა, უცხოელი ავტორებისა და ქართველ მეცნიერთა ნაშრომები, თანამედროვე გამოკვლევები და პუბლიკაციები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეკონომიკური რეფორმების შესახებ.

განხილულ იქნა ტ. ვებლენის, რ. კოუზის, ო. უილიამსონის კ. ეროუს, გ. ტალოკის, მ. ოლსონის, ა. ალჩიანის, გ. დემსეცის, ო. ჯ. გელბრეიტის, რ. ნელსონის, ს. უინტერმისა დ. ნორტმის, ე. დე სოტომის, ჯ. სტიგლიცის, ი. კორნაის, ლ. ბალცეროვიჩის, ა. ოსლუნდის, ვ. ანდრეფის და სხვათა ნაშრომები.

ტრანსფორმაციულ პროცესში ინსტიტუციური რეფორმების პრობლემატიკაზე მნიშვნელოვანი კვლევებია ჩატარებული ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა მიერ, რომელთა შორის კვლევის პროცეში გამოყენებულ იქნა ვლადიმერ პაპავას, ნოდარ ხადურის, ელგუჯა მექვაბიშვილის, რეზო გოგოხიას, ავთანდილ სილაგაძის, თემურ ბერიძის, მიხეილ თოქმაზიშვილის, თეიმურაზ შენგელიას, ნინო პაპაჩაშვილის, ინგა ბალარჯიშვილისა და სხვათა შრომები.

კვლევა დაეყრდნო რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის (EBRD), მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, სტატისტიკის დეპარტამენტისა და ეროვნული ბანკის მონაცემებს.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია: ტრანსფორმაციის პერიოდი ეტაპობრივად: 1991-1993 წწ. - ტრანსფორმაციის დასაწისი; 1994 - 2004 წლები, 2004 - 2014 წლები და 2014 დან დღემდე მიმდინარე რეფორმები.

მეორე ნაწილში ჩატარებული კვლევები, მოიცავს ტრანსფორმაციის პროცესში განხორციელებული ინსტიტუციური ცვლილებების მიმოხილვას სამი ქვეყნის მაგალითზე (სომხეთი, აზერბაიჯანი, როგორც მეზობელი ქვეყნები და ესტონეთი, როგორც ყველაზე წარმატებული რეფორმატორული ქვეყანა).

ტრანსფორმაციის პროცესში ძირითადი ყურადღება ინსტიტუციების ცვლილებას ეთმობა, რომლის გასაზომად გამოვიყენეთ თვისებრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები. განხორციელებულ რეფორმებსა და მათ ეფექტიანობაზე საკმაოდ კარგ სურათს გვაძლევს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ინდიკატორები, რაც ტრანსფორმაციის ინდიკატორების სახელით არის ცნობილი. ეს ინდიკატორები მოიცავს ექვს ძირითად ჯგუფს: ინდიკატორის შეფასების მინიმალური, ანუ საწყისი დონე არის 1.0, ხოლო მაქსიმალური - 4.0 და 4+ (წარმატებული რეფორმების შემთხვევაში ინდიკატორი მაღალია 4.0-ზე).

ამ ნაწილში მიზნად დავისახეთ საქართველოში გატარებული ინსტიტუციური რეფორმების შედარება აზერბაიჯანში, სომხეთსა და ესტონეთში გატარებულ რეფორმებთან.

ამ მიზნით შეირჩა ექვსი ძირითადი ინდიკატორი:

1. მსხვილ საწარმოთა პრივატიზაცია,
2. მცირე საწარმოთა პრივატიზაცია,
3. სახელმწიფო მმართველობა და კომპანიების რესტრუქტურიზაცია,
4. ფასების ლიბერალიზაცია,
5. ვაჭრობა/სავალუტო ბაზრის განვითარება
6. კონკურენციის პოლიტიკა.

შემდეგ ეტაპზე, ინსტიტუციური ცვლადების რაოდენობრივ ცვლადებზე მჭიდრო კავშირის არსებობის გამოვლენის მიზნით, მოხდა ინსტიტუტების ცვლილებების გაზომვა (ძირითადად ზემოხსენებული ექვსი ინდიკატორის მიხედვით). ამ გავლენის დასადგენად მოდელის სახით გამოყენებულ იქნა წრფივი მრავლობითი რეგრესია. ტრანსფორმაციის სრულყოფილი ანალიზისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ არამხოლოდ რაოდენობრივი ცვლადების ურთიერთქმედების შეფასება, არამედ ინსტიტუციური ცვლადების ზეგავლენის განსაზღვრა რაოდენობრივ ცვლადებზე. თვისებრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს შორის კავშირის დადგენისათვის გამოვიყენეთ რეგრესულ-კორელაციური ანალიზი შესაბამის ინდიკატორებს შორის.

თვისებრივ, ანუ ინსტიტუციურ ინდიკატორად გამოვიყენეთ ქვეყნების მიერ გატარებული რეფორმების წარმატების ერთ-ერთი მაჩვენებელი - ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ტრანსფორმაციის ინდიკატორები.

რაოდენობრივ ცვლადებად ავიღეთ ეკონომიკური ზრდა და სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილება, რომლებიც მთავარი მაკროეკონომიკური ინდიკატორებია, ასევე, განსხვავებით სხვა მაჩვენებლებისაგან, არსებობს მათ შესახებ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ინფორმაცია, ტრანსფორმაციის საწყის წლებშიც. ეკონომიკურ ზრდის მაჩვენებელად ავიღეთ მშპ-ის რეალური წლიური ზრდა, ხოლო ფასების დონის ცვლილების საჩვენებლად - სამომხმარებლო ფასების ინდექსით დათვლილი საშუალოწლიური ინფლაცია. შედეგობრივი ცვლადის როლში წარმოვადგინეთ რეალური ინდიკატორები, ხოლო თვისებრივი ინდიკატორები - ფაქტორული ცვლადის როლში. ასევე, ფაქტორულ ცვლადად მოდელში ჩავრთეთ - დრო, ტრანსფორმაციის დაწყებიდან დღემდე და საშუალო ინსტიტუციური ინდიკატორი (ექვსივე ინდიკატორის საშუალო მაჩვენებელი). დროითი ფაქტორის მოდელში ჩართვის მიზეზი არის ის, რომ შესაძლებელია ტრანსფორმაციის საწყის და მომდევნო წლებში სხვადასხვა დოზით მოქმედებდეს ინსტიტუციური განვითარება ქვეყნის ეკონომიკაზე.

მესამე ნაწილში დავადგინეთ საქართველოს ინსტიტუციური ჩამორჩენის მიზეზები, აგრეთვე, შევიმუშავეთ კონკრეტული ღონისძიებები (რეკომენდაციების დონეზე) არსებული ინსტიტუციური ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

კვლევის ფარგლებში ქვეყნის ინსტიტუციური განვითარების დონის შეფასება მოხდა საერთაშორისო ორგანიზაციების ინდიკატორების გამოყენებით. მიდგომის თანახმად, თვით ინდიკატორების მნიშვნელობების ნაცვლად მოხდა „ეტალონური ქვეყნის“ შესაბამისი ინდიკატორისგან მათი გადახრის (ანუ ჩამორჩენის) შეფასება.

მოდელის სახით არჩეული იქნა წრფივი მრავლობითი რეგრესია. მოდელის სპეციფიკაციის ეტაპზე მოხდა შემდეგი ცვლადების არჩევა:

შედეგობრივი ცვლადის სახით არჩეულ იქნა სახელმწიფო მმართველობის ინდიკატორები – Worldwide Governance Indicators (WGI), რასაც საფუძვლად უდევს 1990-იან წლებში დაწყებული მსოფლიო ბანკის კვლევები. აღნიშნული ინდიკატორები (ინდექსები) გაიანგარიშება 1996 წლიდან და თავდაპირველად ქვეყნდებოდა ორ წელიწადში ერთხელ, ხოლო 2002 წლიდან-ყოველწლიურად. ის მოიცავს მსოფლიოს 212 ქვეყანაში სახელმწიფო მმართველობის 6 ძირითად ასპექტს, რომელიც შემდეგ აგრეგირდება 6 ინდიკატორის სახით[1]:

1. მოქალაქეთა უფლებები და სახელმწიფო ორგანოების ანგარიშვალდებულება (voice and accountability) – ასახავს მოსახლეობის მიერ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, მასმედიის თავისუფლებას და გამოხატვის თავისუფლებას;

1 The Worldwide Governance Indicators, Methodology and Analytical Issues. Daniel Kaufmann Aart Kraay Massimo Mastruzzi. The World Bank Development Research Group. September 2010. გვ. 3-5.

2. პოლიტიკური სისტემის მდგრადობა და ძალადობის არ არსებობა (political stability and absence of violence) – აფასებს რესპონდენტების მოლოდინებს პოლიტიკური სიტუაციის სტაბილურობის შესახებ;

3. სახელმწიფო მართვის ორგანოების ეფექტიანობა (government effectiveness) – ზომავს სახელმწიფოს მიერ გაწეული მომსახურების ხარისხს, სახელმწიფო სამსახურის დამოუკიდებლობას პოლიტიკური ზეწოლისგან, მთავრობის მიმართ ნდობას;

4. მარეგულირებელი ინსტიტუტების ხარისხი (regulatory quality) – განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოების უნარს, შექმნან და აღასრულონ ძირითადი ნორმები და დებულებები კერძო სექტორთან ურთიერთობისთვის;

5. სამართლებრივი ინსტიტუტების ხარისხი (rule of law) – ასახავს რესპონდენტების მიერ საზოგადოებაში არსებული კანონების დაცვას და მათ მიმართ ნდობას;

6. ანტიკორუფციული კონტროლი (control of corruption).

ამ ინდიკატორების შედგენისას გამოიყენება მონაცემთა 33 სხვადასხვა წყარო, მათ შორის: კერძო ფირმები, სხვადასხვა სააგენტოები, არასამთავრობო ორგანიზაციები და კვლევითი ცენტრები. სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემების აგრეგირების შედეგად მიიღება 6 ინდიკატორი[1].

WGI ინდიკატორები იღებს მნიშვნელობას [-2,5; 2,5] შუალედში, ამასთან, უფრო მაღალი მნიშვნელობა ასახავს სახელმწიფო მართვის, ანუ ინსტიტუტის განვითარების უფრო მაღალ დონეს.

კვლევის მიზნით აგებული იყო წრფივი რეგრესიული მოდელი. შედეგობრივი ცვლადი-იმის გამო, რომ WGI ინდიკატორები რამდენიმე კომპონენტისგან შედგება, აღებულ იქნა არჩეული 4 ინდექსის საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა. ამ გზით შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ინსტიტუტის ერთი ცვლადის ფარგლებში განხილვა. კვლევის მიზანი იყო არა უშუალოდ რომელიმე ინდექსის, არამედ მათი ჩამორჩენის (განსხვავების) სიდიდის განხილვა. ამ მიზნით არჩეულ იქნა ინსტიტუციურად ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და სტაბილური ქვეყანა-ესტონეთი. შესაბამისად, WGI ინდიკატორებიდან არჩეული 4 მათგანის საშუალო მნიშვნელობების სხვაობა აღებულ იქნა დამოკიდებული ცვლადის სახით.

განხილული 6 ინდიკატორიდან პირველი და მეორე წმინდა პოლიტიკური ხასითისაა, დანარჩენი 4 კი - ეკონომიკური. იმის გამო რომ მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ინსტიტუციური ჩამორჩენის ეკონომიკური მიზეზების გამოვლენა, კვლევაში ჩართულ იქნა 4 ეკონომიკური

1 The Worldwide Governance Indicators, Methodology and Analytical Issues. Daniel Kaufmann Aart Kraay Massimo Mastruzzi. The World Bank Development Research Group. September 2010. გვ. **5-8.**

ინდიკატორი-სახელმწიფო მართვის ორგანოების ეფექტიანობა, მარეგულირებელი ინსტიტუტების ხარისხი, სამართლებრივი ინსტიტუტების ხარისხი და ანტიკორუფციული კონტროლი.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა თითოეული ცვლადის ზეგავლენის სიძლიერის ურთიერთ შედარება. კოეფიციენტების აბსოლუტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყველაზე ძლიერად ქვეყნის ინსტიტუციური ჩამორჩენის შემცირებაზე ვაჭრობის თავისუფლება მოქმედებს. მეორე ადგილზე ფინანსური თავისუფლებაა, მესამეზე-ფისკალური თავისუფლება, ხოლო სახელმწიფო დანახარჯების ზეგავლენა შედარებით მცირეა დანარჩენ ფაქტორებთან შედარებით, თანაც, როგორც უკვე აღინიშნა, მისი გავლენა ნეგატიურია. კვლევაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ინსტიტუციური ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად ძალისხმევა მიმართულ უნდა იქნეს საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული ინსტიტუტების და შესაბამისი კანონმდებლობის განვითარებაზე და ქვეყნის ფინანსური სისტემის სრულყოფაზე. პირველ რიგში, მაღალი სტანდარტების გამო, საქართველო იძულებული იქნება საკუთარი ინსტიტუტების ხარსიხის ამაღლებაზე იზრუნოს, მეორე მხრივ, თავს იჩენს უცხოური ინსტიტუტების „ტრანსპლანტაციის" ეფექტი, რომლის დროსაც უფრო მაღალგანვითარებულ ქვეყანასთან ურთიერთობა შედარებით ნაკლებად განვითარებულისთვის განვითარების ბიძგის როლში გამოდის.

კვლევის ძირითადი შედეგები შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ:

- ჩატარებულია შედარებითი ანალიზი ინსტიტუციური კუთხით რიგ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის;
- ემპირიულ დასკვნებზე დაყრდნობით დასაბუთებულია ინსტიტუციური განვითარების ძლიერი ზეგავლენა რეალურ ეკონომიკაზე;
- გამოვლენილია დადებითი კავშირი ინსტიტუციურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის;
- ფაქტორული ანალიზის საფუძველზე შეფასებულია რვა ინსტიტუციური ინდიკატორი, რომელთა შორისაც გამოვლინდა საქართელოს ეკონომიკურ ჩამორჩენაზე მოქმედი ინდიკატორები;
- დასაბუთებულია, რომ კოეფიციენტების აბსოლუტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყველაზე ძლიერად ქვეყნის ინსტიტუციური ჩამორჩენის შემცირებაზე ვაჭრობის თავისუფლება მოქმედებს, მეორე ადგილზე ფინანსური თავისუფლებაა, მესამეზე - ფისკალური თავისუფლება, ხოლო სახელმწიფო დანახარჯები ზეგავლენა შედარებით მცირეა დანარჩენ ფაქტორებთან შედარებით;
- გამოთვლის საფუძველზე ნაჩვენები იქნა საქართველოს თითოეული ინდიკატორის მნიშვნელობის გადახრა ესტონეთის შესაბამისი ინდიკატორის-

გან, რის შედეგადაც თითოეულმა დამოუკიდებელმა ცვლადმა აღნიშნა კონკრეტულ სფეროში (ანუ თითოეული ინსტიტუტის) საქართველოს ჩარმოჩენის დონე;

- გამოკვეთილ იქნა ინსტიტუციური ჩამორჩენის მიზეზები და მისი აღმოფხვრის შესაძლო გზები.

**დამატებითი ინფორმაცია:** პროექტის ფარგლებში: ნაშრომის ცალკეული კვლევები წარდგენილია ბერლინის კონფერენციაზე, ლუბლინის მე-13 კონფერნციაზე; ფლორენციის კონფერენციასა და კანადაში. კვლევა გამოიცემა ინგლისურ და რუსულ ენაზე.

* * *

<u>კათედრის მართვისა და ფაკულტეტზე კონკურსების ჩატარების ავტომატიზებული სისტემების შემუშავება და დანერგვა</u> (ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი დემურ სიჭინავა მონაწილეni: ემერიტუს-პროფესორი მურთაზ მაღრაძე; ასოცირებული პროფესორი ენვერ ლაგვილავა; ასისტენტ- პროფესორები - რუსუდან სეთურიძე, თინა მელქოშვილი; დოქტორანტი სოფო გელაშვილი; მაგისტრანტი დავით წიკლაური).

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული მართვის პროცესების მაქსიმალურად ავტომატიზების საშუალებით, მისი შემდგომი სრულყოფისა და განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაციის ხარისხი დიდადაა დამოკიდებული უმაღლეს სასწავლებელში პერსონალის მართვის ოპტიმიზაციაზე (სრულყოფაზე), განსაკუთრებით აკადემიურ თანამდებობაზე კადრების შერჩევაზე, განაწილებასა და გამოყენებაზე. კადრების მართვის ძირითად რგოლს, როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო მუშაობის მიმართულებით, წარმოადგენს კათედრა. დღეისთვის კათედრის შიგა საუნივერსიტეტო და გარე კავშირები გაიზარდა. კათედრის ხელმძღვანელის მიერ გადასამუშავებელი ინფორმაციის მოცულობა იმდენად დიდია, რომ მას აღარ რჩება დრო შემოქმედებითი საქმიანობის განსახორციელებლად. აუცილებელი ხდება კათედრაზე შემოსული და გასული ინფორმაციის ოპერატიული დამუშავება. ასევე, სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის სრულყოფა, რომელიც ინფორმაციის ხელით დამუშავების პირობებში შეუძლებელი ხდება. გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ მიმართულებით ენიჭება კათედრის მართვის სრულყოფას თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია ცოდნის გამოვლენისა და შეფასების სისტემა, რომლის სრულყოფა ყოველთვის აქტუალური იყო, არის და იქნება.

ზემოაღნიშნულის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით, მიმდინარე წელს კათედრაზე შემუშავდა კათედრის მართვის ავტომატიზებული სისტემა და ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობაზე აპლიკანტებისა და კონკურსანტების შეფასების არსებული წესის სრულყოფა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრაზე 2015 წელს შესრულდა სამეცნიერო კვლევითი პროექტი - „კათედრის მართვისა და ფაკულტეტზე კონკურსების ჩატარების ავტომატიზებული სისტემების შემუშავება და დანერგვა".

აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მიეკუთვნება უმაღლესი განათლების სფეროში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში მართვის ავტომატიზებული სისტემების შემუშავებისა და დანერგვის ამოცანათა კომპლექსს, რომლის მიზანია სასწავლებლების მართვის სრულყოფა. სამეცნიერო-კვლევითი თემა შედგება სამი დამოუკიდებელი ნაწილისაგან: კათედრის მართვის ავტომატიზებული სისტემის შემუშავება და დანერგვა; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი კათედრის სასწავლო დისციპლინებისა და პედაგოგების მიხედვით; უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიურ თანამდებობებზე აპლიკანტებისა და კონკურსანტების შეფასების სისტემის სრულყოფა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

კვლევითი პროექტის პირველი ნაწილის რელიზაციამ უზრუნველყო: ძირითადი და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის მონაცემთა ბაზის შემუშავება; კათედრის მოდულის სტუდენტების (ბაკალავრები, მაგისტრანტები, დოქტორანტები) აქტივობისა და პერსონალური ინფორმაციის მონაცემთა ბაზის ფორმირება; კათედრის მოდულის სასწავლო გეგმისა და სასწავლო დისციპლინების სილაბუსების მონაცემთა ბაზის შემუშავება; კათედრაზე შემოსული კორესპონდენციების (ბრძანებები, განკარგულებები და სხვ.) აღრიცხვა და შესრულების კონტროლის ბაზის ფორმირება; კათედრიდან გასული კორესპონდენციების აღრიცხვის მონაცემთა ბაზის შემუშავება; კათედრის აკადემიური პერსონალის მინიმალური სამეცნიერო მოთხოვნების აღრიცხვა და კონტროლი და სხვ.

კვლევითი პროექტის მეორე ნაწილში გადაწყდა შემდეგი ამოცანები:

შუალედური და ფინალური გამოცდების სტატისტიკური ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სტატისტიკური ანალიზისათვის საჭირო საშედეგო ფორმების შემუშავება და სხვ.

კვლევითი პროექტის მესამე ნაწილის ამოცანებია: კონკურსანტის აქტივობის გამოსახვა ქულებით; კოლექტიური წესით შესრულებული სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდურ პროდუქტებში თითოეული ავტორის წვლილის გან-

საზღვრა; კომპიუტერული წესით კონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენა და სხვ.

პირველ ნაწილში შემუშავებულ იქნა კათედრის ავტომატიზებული მართვისათვის საჭირო მონაცემთა ბაზა მონაცემთა ბაზების მართვის სისტემის Access-ის გარემოში, რომლის საფუძველზეც კათედრის ხელმძღვანელს შეუძლია მიიღოს: კათედრის ძირითადი და მოწვეული პედაგოგების სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის ანკეტური მონაცემები. აგრეთვე, ინფორმაციები: კათედრის მოდულის სტუდენტების შესახებ (აქტივობა, საანკეტო მონაცემები, მონაცემები კურსდამთავრებულთა შესახებ, აკადემიური მოსწრება და სხვ.); კათედრაზე უნივერსიტეტის სტრუქტურული განყოფილებებიდან შემოსული განკარგულებების აღრიცხვისა და მათი შესრულების კონტროლის შესახებ; აკადემიური პერსონალის მინიმალური სამეცნიერო მოთხოვნების შესრულების აღრიცხვისა და კონტროლის შესახებ; კათედრის მოდულის სასწავლო გეგმებისა და სილაბუსების შესახებ.

ზემოთ ხსენებული კათედრის მართვის ავტომატიზებული სისტემა ღიაა, რაც მისი გაფართოების საშუალებას იძლევა.

მეორე ნაწილში შემუშავებულია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სტატისტიკური ანალიზის მოდული, რომელიც ჩაშენებულია კომპიუტერული ტესტური გამოცდების ჩატარების კლიენტ-სერვერულ სისტემა TEGAPRO-ში. მისი გამოყენებით შესაძლებელია: პედაგოგებისა და სასაწავლო დისციპლინების ჭრილით გამოცდების სტატისტიკური ანალიზი; ინფორმაცია პედაგოგებისა და სასწავლო დისციპლინების მიხედვით გამოცდაზე არგამოცხადებულ და ჩაჭრილ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ; ინფორმაცია პედაგოგებისა და სასწავლო დისციპლინების მიხედვით სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ; ინფორმაცია აკადემიური მოსწრების საშუალო ქულის შესახებ პედაგოგებისა და სასწავლო დისციპლინების მიხედვით.

აღნიშნული მონაცემების ანალიზი კათედრისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას საშუალებას მისცემს სრულყოს სასწავლო პროცესი. მოცემული ანალიზის შედეგები შესაძლებელია გამოტანილ იქნეს ცხრილების სახით და გადაიგზავნოს ფაკულტეტის მონაცემთა ბაზაში.

ნებისმიერი სამართავი ობიექტის წარმატებული ფუნქციონირება შეუძლებელია სათანადო კვალიფიკაციის კადრების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მეცნიერულად დასაბუთებული მენეჯმენტის გარეშე. ამ მხრივ უმაღლესი სასწავლებლებიც არაა გამონაკლისი. უმაღლეს სასწვლებლებში პირველ პლანზე გამოდის კადრების შერჩევისა და განთავსების პრობლემა. უმაღლეს სასწავლებლების უმეტესობაში პროფესორ-მასწავლებელთა მიღება და განთავსება წარმოებს კონკურსების საფუძველზე, რომლის მიზანია მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების შერჩევა, პიროვნების უფლებების, ობიექტურო-

ბის, ღიაობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და კონკურენციის პრინციპების დაცვის საუძველზე. თუმცა, უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებელთა კონკურსების ჩატარების არსებულ წესებს გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებები: არ წარმოებს კონკურსანტის აქტივობის შეფასება რაოდენობრივად (ქულები); არ ხდება კოლექტიურად შესრულებული სამეცნიერო და პედაგოგიურ პრდუქტებში თითოეული ავტორის წვლილის განსაზღვრა; საკონკურსო კომისიას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია დაარწმუნოს კონკურსში ვერგასული პიროვნება თუ რატომ ვერ გაიმარჯვა; საკონკურსო კომისიის წევრები განიცდიან ფსიქოლოგიურ ზეწოლას; კონკურსის ჩატარების პროცესი ნაკლებადაა გამჭვირვალე და საჯარო, რის გამოც კონკურსების ჩატარების შემდეგ ადგილი აქვს კონკურსში ვერგასული კონკურსანტების მხრიდან სხვადასხვა ინსტანციაში გაუთავებელ საჩივრებს; უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივში იქმნება არასასურველი, არაჯანსაღი ატმოსფერო.

აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით კვლევითი პროექტის ფარგლებში შემუშავებულია რეკომენდაციები, რაც უზრუნველყოფს:

1. კონკურსების ჩატარების გამჭვირვალობას;
2. საჯაროობისა და ობიექტურობის ამაღლებას;
3. კონკურსის ყველა მონაწილისთვის თანაბარი პირობების შექმნას;
4. კონკურსანტების სამეცნიერო-პედაგოგიური და სხვადასხვა აქტივობების შეფასებას ქულებით;
5. კოლექტიურად შესრულებულ ნაშრომებში თითოეული ავტორის წვლილის განსაზღვრას;
6. კომპიუტერის საშუალებით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენას;
7. კონკურსში გამარჯვებულის კენჭისყრით გამოვლენის პროცესის თავიდან აცილებას;
8. საჩივრების განხილვისა და კონკურსების ჩატარების ვადების შემცირებას.

კონკურსების ჩატარების აღნიშნული სისტემა ღია და ქსელურია.

პროექტის ფარგლებში კათედრის მართვის ყველა ამოცანისთვის შემუშავდა მონაცემთა ერთიანი ბაზა, რაც იძლევა შესაძლებლობას განხორციელდეს ამ ბაზის ფაკულტეტის მონაცემთა ბაზასთან ინტეგრირება, რაც საბოლოოდ გამოიწვევს როგორც კათედრის, ასევე ფაკულტეტის მონაცემთა ბაზების ოპტიმიზაციას, ინფორმაციის დუბლირების მინიმუმამდე შემცირებას და სხვ. უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური პერსონალის კონკურსების ჩატარებისას კონკურსის მიმდინარეობისა და საბოლოო შედეგების ამსახველი ინფორმაცია განთავსდეს ინტერნეტში; განისაზღვროს მომხმარებლის კატეგორიიდან გამომდინარე კონკურსის მასალებთან წვდომის უფლებები და სხვ. გარდა ზე-

მოთ ხსენებულისა კომპიუტერული ტესტური გამოცდების ორგანიზაციის გაუმ-ჯობესების მიზნით დაისვა საკითხი: დისციპლინების მიხედვით შემუშავებული ტესტები, საგამოცდო ტესტების მონაცემთა ბაზაში, ინტერნეტის საშუალებით ატვირთონ ტესტების შემდგენელმა პედაგოგებმა.

ფაკულტეტზე კათედრების მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი პროექტე-ბის შემუშავებამ მოგვცა შემდეგი დადებითი შედეგები:

- ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა შეძლეს თავიანთი სა-მეცნიერო მიმართულების მიხედვით სათანადო კვლევის უფრო სრულყოფი-ლად ჩატარება;
- კათედრებმა კვლევების ჩასატარებლად მიიღეს მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფა;
- შესაძლებელი გახდა კათედრის რამდენიმე წევრის მეცნიერული შესაძლებლობების გაერთიანება;
- სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სტუდენტების (დოქტორანტები, მაგისტრანტები) ჩაბმა, რამაც მათ განუვითარა მეცნიერული კვლევების უნარ-ჩვევები.

***ნინო ფარესაშვილი***

*თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის*
*დეკანის მოადგილე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

*ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 1, გვ. 151-158*
*ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 1, pp. 151-158*



# მეშვიდე ფორმაცია

## ინტერვიუ პროფესორ გიორგი ცაგოლოვთან

ამ დღეებში გამოვა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის გიორგი ცაგოლოვის წიგნი „გზა ბედნიერი ცხოვრებისაკენ". ნუთუ ასეთი რამ შესაძლებელია და რას ემყარება ავტორი თავის დასკვნებში? რედაქციამ შეძლო გაცნობოდა წიგნის შინაარსს და მიეცა ავტორისათვის შეკითხვები.

**- ბატონო გიორგი, წიგნის თავად დასახელებაც კი შესამჩნევად გამოირჩევა ეკონომისტების შრომების მთელი რიგი ჩვეულებრივი დასახელებებისაგან. რამ გიბიძგათ აგერჩიათ ასეთი სათაური?**

- მოსკოვში ერთი საერთაშორისო კონფერენციის მოდერატორი, რომელშიც მე ვმონაწილეობდი, იყო ჩვენი მემარჯვენე იდეოლოგიური ფრთის თავმჯდომარე. ჩემი გამოსვლის შემდეგ მან, არც თუ სარკაზმის გარეშე, წარმოთქვა: „როგორც იქნა დაგვიხაზეს გზა ბედნიერი ცხოვრებისაკენ". პასუხად მე შევნიშნე, რომ ამგვარ შეკითხვებზე საერთოდ დიდი ხანია, ცდილობენ უპასუხონ ფილოსოფოსებმაც, ეკონომისტებმაც და საზოგადოებასაც, სიტყვის ფართო აზრით, ისინი აღელვებს – მათ შორის ჩვეულებრივ ადამიანებს. მოდერატორის რეპლიკა გულში ჩამრჩა და შემდეგ გადავწყვიტე, რომ მასში იბადება წიგნის დასახელება.

**- სომერსეტ მოემის მოთხრობაში The happy Man შენიშნულია პირობითი ცნება „ბედნიერება" ცალკეული ადამიანებისთვის. კიდევ უფრო რთულია განსაზღრო, გაზომო, მით უმეტეს კიდეც უზრუნველყო იგი ერისთვის, საზოგადოებისთვის.**

- ბედნიერების პრობლემაზე დაფიქრებულან კაცობრიობის საუკეთესო გონებანი. ჯერ კიდევ მე-IV საუკუნეში ჩვენს ერამდე უდიდესი ძველი ბერძენი ფილოსოფოსის სოკრატეს ერთ-ერთი აღზრდილი პლატონი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ სხვების ბედნიერებისათვის ზრუნვის დროს ვპოულობთ საკუთარ ბედნიერებას.

ჩემმა ოპონენტმა – მოდერატორმა თითქოს დაივიწყა, რომ ბედნიერებაზე აზროვნების ესტაფეტა ფილოსოფოსებისაგან აიტაცეს ეკონომისტებმაც.

XVII საუკუნში ადამ სმითმა, როდესაც ჩასწვდა კაპიტალიზმის შინაგან ფილოსოფიას, შექმნა ეკონომიკურ ცოდნათა სისტემა, ახსნა მისი უპირატესობა ფეოდალიზმზე. ის გონების პარადოქსულ დასკვნამდე მივიდა: როდესაც საკუთარი მოგებისათვის ზრუნავს, ყოველი ადამიანი ხელს უწყობს მთელი საზოგადოების ინტერესებსა და ბედნიერებას. „ბაზრის უხილავი ხელი", როგორც ღვთაება, გვარწმუნებდა იგი, წყვეტს ყველა პრობლემას.

**- ესე იგი „ბაზრის უხილავი ხელი", რის შესახებაც ამჟამად ხშირად საუბრობენ ირონიით, ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ აღმოაჩინეს?**

- „გონივრული ეგოიზმის" თეორიაზე ჯერ კიდევ სმითამდე უფრო ადრე, საუბრობდა ფრანგული წარმომავლობის ინგლისელი მწერალი, ფილოსოფოსი და ეკონომისტი ბერნარდ მანდევილი (1670-1733). როდესაც ფეოდალურ ზნე-ჩვეულებებს აკრიტიკებდა და ააშკარავებდა კლერიკალიზმის პირმოთნეობას, ის ამტკიცებდა,რომ ინდივიდუალიზმი, ანგარება და სხვა ადამიანური ნაკლოვანებანი უნებლიეთ ხელს უწყობენ საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

**- დიახ, მაგარმ არის მეორე მხარეც. და როდესაც შინაგანი წყლულები და ფორმატის დაპირისპირებანი, რომლებიც ემყარება კერძო საკუთრებას და საბაზრო თავისუფლებას, გაჩნდა საკმარისად, სულ უფრო ცხადად გაისმოდა კრიტიკული ხმები მისი მისამართით.**

- XIX საუკუნის დასაწყისში პოლიტეკონომისტი სიმონ დე სისმონდი გამოვიდა კაპიტალიზმის სტიქიური განვითარების წინააღმდეგ, რომელსაც თან ახლავს წვრილი მეწარმეობის დაღუპვა და ხალხის გაღატაკება. „იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ, როგორც ის ამბობდა ადამიანთა ბედნიერება, საზოგადოებაში რომ არიან შეკრებილი", სახელმწიფო უნდა ჩაერთოს პროცესში და დაუბრუნდეს წარსულს, როდესაც ყველა მათგანს ჰქონდა სიმდიდრე და იყვნენ მეტად თუ ნაკლებად კმაყოფილი ცხოვრებით. ფრანგი ჰუმანისტი იყო, თუმცა რომანტიკოსი და უტოპისტი. ისტორია უკან აღარ ბრუნდება.

**- რაღაც ამის მსგავსს, რამდენადაც ვიცი კარლ მარქსიც წერდა!**

- „კაპიტალში" მან ღრმად გააშიშვლა ანტაგონიზმისა და კლასობრივი უთანასწორობის ფესვები ბურჟუაზიულ წყობილებაში. მარქსი საზოგადოების პოზიტიურ წყობას უკავშირებდა იმას, რომ თითოეულის თავისუფალი განვითარება იქნებოდა ყველას თავისუფალი განვიათარების პირობა. მას მიაჩნდა, რომ ეს შეიძლება მოხდეს კაპიტალიზმის დაპირისპირებათა გადაწყვეტისა და კერძო წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრების შედეგად. დიდი ხნის განმავლობაში მილიონობით ადამიანს ეგონა, რომ მის მიერ აღმოჩენილი ძირითადი კანონი და კაპიტალიზმის განვითარების ისტორიული ტენდენცია აგებს სწორ გზას ტაძრისკენ. „კაპიტალის" მრუდთარგებით მრავალი ათეული წლის განმავლობაში ცდილობდნენ აეშენებინათ კომუნისტური სამოთხე სსრ კავშირსა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში.

**- მაგრამ ეს გზა, რბილად რომ ვთქვათ, აღმოჩნდა ეკლიანი, კაპიტალიზმი კი სიცოცხლისუნარიანი?**

- XX საუკუნის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ კომუნისტური მოდელი არ იძლევა საყოველთაო აყვავების მოდელს, სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელობა, ადრე თუ გვიან გარდაიქმნებოდა პარტიულ-სახელმწიფო ნომენკლატურად – ახალ მმართველ კლასად, რომელიც ექსპლუატაციას უწევს საზოგადოებას. თანაც მეწარმეობისა და კონკურენციის აკრძალვას მივყავდით მონოპოლიზმთან, იგი ამუხრუჭებდა სოციალურ-ეკონომიკურ, სამეცნიერო და ტექნიკურ პროგრესს.

**- მაგრამ დასავლეთმა გადაიღო ზოგიერთი ღირებული სოციალისტური იდეა და მნიშვნელოვნად განიმტკიცა თავისი პოზიციები**

- ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზმა პირველმა განაცხადა, რომ სახელმწიფო ჩარევის გარეშე კაპიტალიზმი კრახში აღმოჩნდებოდა. მას თავს დაატყდა საყვედურები სოციალიზმისათის აგიტაციაში, თუმცა მას მხოლოდ სურდა განემტკიცებინა და გაეხანგრძლივებინა ბურჟუაზიული საზოგადოების არსებობა. მისი მოსწავლე და მიმდევარი ამერიკელი ეკონომისტი ჯონ კენეტ ჰელბრეიტი კიდევ უფრო შორს წავიდა და დააფუძნა კონვერგენციის თეორია. მან გააბათილა მითი საბაზრო და საგეგმო მეურნეობას შორის უფსკრულის აუცილებლობის შესახებ. უფრო მეტიც, ის გამჭვირვალედ ამტკიცებდა, რომ დაპირისპირებული სისტემების ასეთი დაახლოება უკვე ხდებოდა და სასიკეთოა ორივესთვის. ანალოგიურ თვალსაზრისს მხარს უჭერდა მისი კოლეგა ჰარვარდიდან, რუსული წარმომავლობის გამოჩენილი სოციოლოგი პიტირიმ სოროკინი.

**- თქვენი ახალი წიგნის ყველა, 59 თავის მთავარი ძაფი - ესაა ინტეგრალური საზოგადოების კონცეფცია. ხომ არ არის იგი სწორედ ამ აზრების განვითარება და გაგრძელება?**

- რასაკვირველია. ისტორიული პროცესის მსვლელობა გვიჩვენებს, რომ ჰარვარდის ორი მეცნიერის მიერ გამოთქმული ჰიპოთეზები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. ყველაზე მეტ წარმატებებს აღწევენ ქვეყნები, რომლებიც ახდენენ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის უპირატესობათა კომბინირებას. უკანასკნელი ათწლეულების პრაქტიკამ დაადასტურა ასეთი პოლიტიკურ- ეკონომიკური სიმბიოზის სიცოცხლისუნარუიანობა. სოციალისტური ქვეყნებიდან თავის დროზე პირველი ნაგიჯები ინტეგრალური საზოგადოებისკენ ცდილობდა გადაედგა იუგოსლავიას და უკვე ქრესტომათიული მაგალითი გახდა ჩინეთი, რომელმაც 1978 წლიდან დენ სიოპინის ხელმძღვანელობით თანამიმდევრულად და თანდათანობით დაიწყო გარდაქმნები, რომლებმაც, ჩამორჩენილი და უღარიბესი ქვეყანა გამოიყვანა ზრდის, მყარი და ჰარმონიული განვითარების ყველაზე მაღალი ტემპების ტრაექტორიაზე. მის მაგალითს მიბაძა ვიეტნამმა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ასეთი ტიპის მოდელი აიღო

ორიენტირად ნურსულთან ნაზარბაევმა ყაზახეთში, და ნაწილობრივ ალექსანდრე ლუკაშენკომ ბელარუსში.

**- რუსმა რეფორმატორებმა „დემოკრატიული ცვლილებები" ჩინელებზე გაცილებით გვიან დაიწყეს. თუმცა მათ გამოცდილებაზე თვალები დახუჭეს.**

- დიახ, „ახალგაზრდა რეფორმატორებმა" ავტორიტეტულ ეკონომისტებს, ჩვენსას და საზღვარგარეთისას, რომლებიც შუალედურ გზას გვთავაზობდნენ, ყური არ უგდეს. „შოკური თერაპია" ხორციელდებოდა ვაშინგტონის კონსესუსის რეცეპტებით. სოციალიზმის დანგრევა „საფუძვლიანად" ნიშნავდა ბოლშევიზმს პირიქით, ხეტიალს ერთი უკიდურესობიდან მეორისაკენ. მოახდინეს ყოფილი ზესახელმწიფოს პერეფორმირება მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკის ნედლეულის პერიფერიად.

**- ჩინეთის, ვიეტნამის, ყაზახეთისა და ბელარუსის გარდა, თქვენ დიდ ადგილს უთმობთ БРИКС-ის ქვეყნების ეკონომიკის კვლევას, რომლებსაც ასევე პრაქტიკაში აქვთ ინტეგრალური მოდელი. ინდოეთი და ბრაზილია არიან მათ რიცხვში?**

- ინდოეთი, რომელიც წარმატებით ახორციელებს მოდერნიზაციას, გახდა ჩინეთის შემდეგ მსოფლიოს მეორე სწრაფად მზარდი ეკონომიკა. ქვეყანაში ოპერირებენ ტრანსეროვნული კორპორაციებიც, ეროვნული კაპიტალიც. ამას გარდა, კვლავ მოქმედებს გეგმური რეგულატორი, რომელიც განსაზღვრავს განვითარების სტრატეგიულ მიზნებს – მათი რეალიზება ხუთწლიანი გეგმების საშუალებით ხდება. შემოწმებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია – ინდოეთის ეკონომიკის სახისა და არსების ცვლილება.

**- რა არის ინდური მოდელის განსაკუთრებული სპეციფიკა?**

- იქ არ წასულან ჩინური „ურჩხულისა" და „აზიური ვეფხვების" გზით, რომლებიც იწყებდნენ იმ დარგების საქონლის ექსპორტით, რომლებიც ემყარებოდნენ იაფ და შედარებით ნაკლებად კვალიფიცირებულ სამუშაო ძალას. გამოინახა საკუთარი ნიშა საექსპორტო მომსახურებაში, ამან კი მოითხოვა განათლების მაღალი დონე – კომპიუტერული პროგრამირება და საბანკო მომსახურება. ქვეყანა დასავლეთის კორპორაციების ბეკ-ოფისი გახდა. მოვლენათა ასეთ შემობრუნებას ეხმარებოდა კარგად განათლებული კადრების არსებობა. ინდოეთში ტექნოლოგიური ინსტიტუტები ხშირად არ ჩამორჩება დასავლეთელ კონკურენტებს. ეს ხელისუფლების მოფიქრებული პოლიტიკის შედეგი გახდა, ამჟამად სამეცნიერო-ტექნიკური კადრების რიცხვით ინდოეთი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა.

**- ბრაზილიის მიღწევები არც ისე შთამბეჭდავია...**

- მაგრამ, მეტად მნიშვნელოვანია. თავისუფალი გეგმებისა და პროგრამების დახმარებით ქვეყანაში განხორციელდა ეკონომიკის მოდერნიზაცია, მიღწეულია ეკონომიკური ზრდის მყარი ტემპები. არ ღირს დღეს ზოგიერთი მათი შემცირების დრამატიზება . მთავარია, რომ ქვეყნის სოციალურ-დე-

მოკრატიული ხელმძღვანელობა უფრო დინამიკური განვითარების აღდგენას უკავშირებს როგორც საბაზრო, ისე გეგმური რეგულატორების სრულყოფას. ბრაზილიაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ძვრები მოხდა. მაგალითდ, კომპანია „ემბრაიერი“, ამერიკული „ბოინგისა“ და ევროპული „ეირბასის“ შემდეგ, გახდა მესამე ავიამშენებელი მსოფლიოში! ბრაზილიის საავტომობილო ინდუსტრია წელიწადში დაახლოებით ოთხ მილიონ მანქანას უშვებს, ევროპაში მხოლოდ გერმანელებს ჩამორჩება.იზრდება მუშებისა და მოსამსახურეების რეალური შემოსავლები, ფართოვდება დაბეჩავებული ფენების დახმარება. წინა დროსთან შედარებით დაბალ დონეზეა ინფლაცია და უმუშევრობა. თუმცა ბრაზლიის მოსახლეობის მეოთხედი დღემდე ცხოვრობს სიღარიბეში და მის მიღმა. მაგრამ ასეთია მემკვიდრეობა. სიღარიბის მანკიერი წრე იჭიმება შაგრენის ტყავის მსგავსად.

**- როგორ ახერხებენ შერეული ეკონომიკის სახელმწიფოები სოციალიზმისა და კაპიტალიზმის უპირატესობათა არა მხოლოდ კომბინირებას, არამედ მათი ნაკლოვანებების მოკვეთასაც?**

- მოქნილი დაგეგმვის გარდა, იყენებენ საგადასახადო-საბიუჯეტო ინსტრუმენტარიებსა და სოციალურ სტაბილიზატორებს, რაც ამცირებს კონტრასტებს საზოგადოებაში და კაპიტალის განვიტარებას წარმართავს შემოქმედებითი კალაპოტით. ვიეტნამში, მაგალითად, სადაც მოსახლეობის რაოდენობა ერთნახევარჯერ ნაკლებია, ვიდრე ჩვენთან, არის მხოლოდ ერთი მილიარდერი. და ისიც იწყებდა არა სახელმწიფო საკუთრების „პრივატიზაციით“, არამედ სწრაფი მომზადების ასტრიის (ე.წ. „ლაფშის“) გამოშვებით, ახლა მუშაობს დიდი ობიექტების მშენებლობაზე.

**- ჩინეთის საფონდო ბაზრის ამჟამინდელ კრიზისზე როდესაც ვლაპარაკობთ, ინტეგრალური ქვეყნები არ არიან დაზღვეული ეკონომიკური არეულ-დარეულობისაგან?**

- იდეალური საზოგადოება როგორც მარადიული ძრავა, არ შეიძლება რომ იყოს. საბაზრო თაფისუფლებათა და კაპიტალიზმის დაშვება ცისქვეშეთში იქცა გაზის პედლად, რომელმაც დააჩქარა მისი ეკონომიკური ზრდის ტემპები.მანვე დღეს მიგვიყვანა საფონდო ბაზრის გადაწვასთან და მის დანგრევასთან. მაგრამ ძლიერი მაკროეკონომიკური რეგულატორები საშუალებას იძლევა, თავი გაართვას ნაკლოვანებებს. ლიბერალები მთელს მსოფლიოში, ჩვენებიც კერძოდ, ზეიმობენ ჩინეთის სირთულეებთან დაკავშირებით, მაგრამ ეკონომიკური ზრდის ტემპები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში შენარჩუნებულია 7 პროცენტზე მაღალ დონეზე, რაც არ შეედრება საერთო მსოფლიო დინამიკას. ჩვენთან კი წელს ეკონომიკა იკუმშება არანაკლებ 4 პროცენტისა. მითითებანი სანქციებზე, სხვა საგარეო ფაქტორებზე ნაკებად სარწმუნოა – დაცემის ტენდენცია მეოთხე წელია, ზედიზედ მოქმედებს.

**- ევროპა? არის იქ ძლიერი ინტეგრალური მოდელები?**

- კი. უწინარეს ყოვლისა, ეს სკანდინავიის ქვეყნებია, მათმა საგეგმო-საბაზრო ეკონომიკებმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწიეს.

**- რაშია განვითარების კურსის თქვენი ხედვის განსაკუთრებული თავისებურება?**

- ჩვენ თვალწინ კაცობრიობა გადადის ახალ, ანგარიშით მეშვიდე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაზე – ინტეგრალურზე.

**- რატომ მეშვიდე? ადრე მიაჩნდათ, რომ ისინი მხოლოდ ხუთია...**

- პირველყოფილი სათემო, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და სოციალისტური წყობილების გარდა, მარქსი, ენგელსი ახსენებდნენ აზიურ ფორმაციას. იგი წინ უსწრებდა მონობას ძველ აღმოსავლურ ხალხებში, ემყარებოდა ბიუროკრატიის ბატონობას წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დომინირების პირობებში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მასზე არაფერს საუბრობდნენ, იგი რაღაცით თავად რეალურ ბიუროკრატიულ სოციალიზმს გვაგონებდა.

**- მაშ ასე, როგორც არ უნდა იტრიალო, ინტეგრალური საზოგადოება მოდის „წმინდა" კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შემცვლელად?**

- სწორედ ასეა. სოციალიზმისა და კაპიტალიზმის საწყისის მოხერხებულ კომბინაციას განვითარების ოთხ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანებთან მივყავართ: ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებთან, სამართლიანობასთან, პიროვნების განვითრებასთან (ადამიანის პოტენციალისა), მოქალაქეთა სულიერი თავისუფლების ამაღლებასთან. პრაქტიკა ჯერჯერობით თეორიის წინ მიდის, რაც ხშირად არ მომხდარა.

**- მაშასადამე, „ისტორიის დასასრული" ფრენსის ფუკუიამას მიხედვით უქმდება?**

- თეზისი კაპიტალიზმის „მარადიულობის" ან „ბუნებრიობის" შესახებ შორსაა რეალობისაგან, არაკორექტულია აზრიც სოციალიზმის „ხელოვნურობის" ან „ხელთუქმნელობის" შესახებ. ორივე ფორმაციაა, რომლებსაც აქვთ მთელი რიგი უპირატესობანი, სავსებით ობიექტურია და ჰქონდათ (და ჯერ კიდევ აქვთ) ადგილი კაცობრიობის ისტორიაში არა შემთხვევით. მაგრამ ისინი თითოეული ცალ-ცალკე დაპირისპირებულია, მყარ თანამოქმედებას მოითხოვენ. ყველაზე წარმატებულმა და ჰარმონიულად განვითარებულმა ქვეყანამ უკვე მიიღო ინტეგრალური სისტემა ცხოვრების მოწყობის საფუძვლად.

**- მნიშვნელოვანია ასეთი დასკვნა ჩვენთვის და თუ კი - რით?**

- შეცდომით განხორციელებული რეფორმის გამო რუსეთი კოორდინატ ბიუროკრატიულ - ოლიგარქიულ სისტემაში აღმოჩნდა. ინტეგრალური საზოგადოება ჩვენი საზოგადოებრივი განვითარებისა და ოპტიმალური ეკონომიკური პოლიტიკის ძირეული შეცვლისათვის შუქურა უნდა გახდეს. ასეთი სტრატეგიის რეალიზაციისა და მასზე რევოლუციური გზით გადასვლის შესაძლებლობა ჯერჯერობით შენარჩუნებულია, თუმცა დრო ლიმიტირებულია. დაყოვნებას შეიძლება ბევრი რამ მოჰყვეს – რევოლუციური აფეთქება და ქვეყნის მორიგი გადახრა რომელიმე სხვა სწორი გზიდან.

**- გამოდის, რომ მარქსი მართალი იყო ბევრ რამეში, როდესაც წინასწარმეტყველებდა კაპიტალიზმის დაღუპვას და მიუთითებდა სოციალისტურ ტენდენციაზე?**

- მაგრამ კომუნიზმი აღმოჩნდა უტოპია, რომელიც მსოფლიო პრაქტიკამ ვერ დაადასტურა. „უმაგალითო" სოციალიზმმაც კრახი განიცადა, ვაი, რომ, არა შემთხვევით. ის ქვეყნებიც, რომლებიც განაგრძობდნენ განვითარებას მთლიანად მის პლატფორმაზე მყოფნი, არც თუ შესაშურ ვითარებაში არიან. იქნებ, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის საუკეთესო თვისებების სამბიოზი – საზოგადოებრივი განვითარების ყველაზე პერსპექტიული შტოა.

**- თქვენს წიგნში წარმოდგენილი სურათი შორდება კონცეფციებს „პოსტინდუსტრიალიზმისა" და ზოგიერთ სხვა პოპულარულ თეორიებს.**

- კატეგორიები „კაპიტალიზმი", „სოციალიზი" და „ინტეგრალური წყობილება" შეიცავენ, უწინარეს ყოვლისა, ადამანებს შორის საზოგადოებრივ ურთიერთობათა დახასიათებას. განსაზღვრებები „პოსტინდუსტრიული", „ტექნოტრონული" ან „ინფორმაციული საზოგადოება" ახდენენ ამ არსებითი მხარისაგან აბსტრაგირებას. თუ თანმიმდევრული ვიქნებით, მაშინ კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დავაყენოთ ცნებების „კაპიტალიზმი" და „სოციალიზმი" მართლმორწმუნეობა. ერთი სიტყვით, ლოგიკური ხაზი: კაპიტალიზმი, სოციალიზმი, პოსტინდუსტრიალიზმი ვერაფრით ვერ ლაგდება.

**- ინტეგრალურ ფორმაციაში არის შინაგანი წინააღმდეგობრიობა. ხომ არ გამოდის აქედან არასიმყარე, შესაძლებლობა – გადავეშვათ ან კაპიტალიზმში ან სოციალიზმში?**

- მსგავსი საფრთხე, ალბათ, არსებობს, მაგრამ დროის ქარი აფრიალებს იალქნებს სწორედ ასეთი ფორმაციით. ადამიანის ბუნებაში სოციალური საწყისები არსებობს ეგოიზმით. ადამ სმითს მიაჩნდა, რომ მხოლოდ უკანასკნელის დახმარებით მოდის საზოგადოება იდეალური მდგომარეობისაკენ. მარქსი, ენგელსი და მათი მიმდევრები, პირიქით, აქცენტს სამართლიანობისა და სოციალურ ასპექტებზე აკეთებენ.ისტორია კი გვიჩვენებს, რომ ადამიანი ბუნების ორ დაპირისპირებულ, მაგრამ რეალურ მხარეს შორის ბალანსის არსებობა უპასუხებს საერთო ცხოვრების ოპტიმალური მოდელის ძიების ამოცანებს.

**- თქვენი ნათქვამიდან გამოდის ახალი იდეოლოგიის ჩამოყალიბების შესაძლებლობა.თუმცა არც ერთ ქვეყანას იგი საფუძვლად არ მიუღია. როგორც ფიქრობთ, რატომ?**

- ამის მთავარი დაბრკოლება – იდეოლოგიური შეზღუდვებია . ბაზრის თაყვანისმცემელ დასავლეთს იგი არ სჭირდება. მარქსიზმის მიმდევრებს, როგორც რწმენა, იგი, მით უმეტეს, ხელს არ აძლევს.

**- რა გვიშლის ხელს, ეს რომ ჩვენ გავაკეთოთ რუსეთში, რომელმაც არაერთგზის გვიჩვენა ისტორიული ნოვატორობა?**

- 30 წლის წინათ ჩვენ გარდაქმნის (ე.წ. „პერესტროიკის“) აუცილებლობა გამოვაცხადეთ და ბიუროკრატიული სოციალიზმის ნაცვლად მიზნად დავისახეთ შეგვექმნა მისი დემოკრატიული ვარიანტი. ამის ნაცვლად იოლიგარქიული კაპიტალიზმის სისტემაში აღმოვჩნდით. სოციალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლა, მით უმეტეს ოლიგარქიულში, შემდეგ კი ბიუროკრატიულ-ოლიგარქიულში- შეცდომად უნდა ვაღიაროთ. ახალი მოთხოვნადი ცვლილებების მიზნად უნდა დავასახელოთ ინტეგრალური საზოგადოება.

**- ეს არის სწორედ გზა ბედნიერი ცხოვრებისაკენ?**

- ინტეგრალური მოდელი საყოველთაო სამოთხის გარანტიას არ იძლევა. ასეთი რამ, როგორც უკვე ითქვა, არ ყოფილა, არ არის და არც იქნება. მაგრამ უფრო სწორ გზას ღირსეული და ბედნიერი ცხოვრების მიღწევისათვის დედამიწის მცხოვრებთა უმრავლესობისათვის ცივილიზაციის თანამედროვე ეტაპზე მე არ განვიხილავ.

**- ჩვენ ეკონომიკის კრიზისი გვაიძულებს, ვილაპარაკოთ ახალი ეკონომიკური მოდელის განვითარებისა და განმტკიცების პარადიგმის შეცვლის აუცილებლობის შესახებ. ჩვენი გაზეთი ამის შესახებ ხშირად წერს. თქვენ და თქვენი კოლეგები მას გვთავაზობთ. უარყოფს ვინმე მას?**

- არა, მაგრამ იქ, ზევით, თითქოს არაფერი ესმით ან ვერ ამჩნევენ.

გადმობეჭდილია გაზეთიდან – „საქართველოს რესპუბლიკა“,<br>2015, 24 ოქტომბერი

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 1, გვ. 159
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 1, pp. 159

# საიუბილეო სხდომა
# THE MEETING

## საიუბილეო სხდომა

## თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მიძღვნილი პროფესორ ნიკოლოზ იაშვილის დაბადებიდან 115 წლისთავისადმი (2015 წლის 26 დეკემბერი)

საიუბილეო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ.

პროფ. ნ.იაშვილის როგორც დიდი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ქვეყნის წინაშე დამსახურების ზოგადი ასპექტები წარმოაჩინა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

პროფესორ ნიკოლოზ იაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ვრცელი, ღრმაშინაარსიანი მოხსენებით წარსდგა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ გოგოხია(ტექსტი იხილეთ ქვემოთ).

მოგონებებით გამოვიდნენ: პროფესორები ეთერ ხარაიშვილი, პაატა კოღუაშვილი, ომარ ქეშელაშვილი, ნუგზარ პაიჭაძე, კარლო ღურწკაია და სხვები.

საიუბილეო სხდომის ორგანიზატორებისა და მონაწილეების წინაშე, მადლიერების გრძნობით გამსჭვალული სიტყვით გამოვიდა იუბილარის ქალიშვილი, პროფესორი ნათელა იაშვილი.

ღრმადშინაარსიანი, სიყვარულით და სითბოთი სავსე, დიდებული საიუბილეო სხდომა შეაჯამა და მრავალჟამიერი უსურვა დიდი იუბილარის შთამომავლებს სხდომის წამყვანმა, პროფ. თეიმურაზ ბერიძემ.

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 1, გვ. 160-169
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 1, pp. 160-169

# პროფესორ ნიკოლოზ იაშვილის ცხოვრება და შემოქმედება

## (თვალსაჩინო მეცნიერის, ღვაწლმოსილი პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის პროფ. ნიკოლოზ იაშვილის დაბადების 115 წლისთავის გამო)

სამშობლო საქართველოსადმი, მისი ხალხის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისადმი განუსაზღვრელი სიყვარულისა და ერთგულების დიდებული მაგალითია დიდი მეცნიერის, ღვაწლმოსილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ იაშვილის ბობოქარი, მოუსვენარი, მუდამ ახლისმაძიებლური პათოსით აღსავსე, ცისკარივით ნათელი ცხოვრება და მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა.

მაშინაც კი, როცა იგი 75 წელს გადაცილებული იყო, გარეგნულად შუა ხნის კაცი გეგონებოდათ, – ორმოცდაათიოდე წელს მიღწეული, სულიერად კიდევ უფრო ახალგაზრდა იყო ეს ჭეშმარიტად ჭაბუკური ენერგიით აღსავსე, მუდამ სახენათელი და კეთილისადმი მისწრაფებადი პიროვნება. ოჯახმა და სკოლამ, კეთილმყოფელმა გარემომ, თავისი ხალხის სიყვარულმა, მეცნიერულმა აღმაფრენამ განაპირობეს სახელოვანი იუბილარის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ტრიუმფი.

ნიკოლოზ იაშვილი დაიბადა 1900 წლის 28 ნოემბერს, ქ. ქუთაისში, რკინიგზელის ხელმოკლე ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლაში. შემდგომ, წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი და 1920 წელს ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1925 წელს დაამთავრა. თუმცა, მთელ ამ პერიოდში დიდი სიძნელეების გადალახვა მოუწია – ჯერ იყო და 10 წლისას ოჯახის მარჩენალი მამა გარდაეცვალა და დედამისს დაეკისრა უმძიმესი ვალდებულება – გაძღოლოდა 6 სულისაგან შემდგარ ოჯახს, რომლის 5 შვილიდან ბოლო, მხოლოდ 10 თვის იყო. ასეთ ვითარებაში დედის ოცნება იყო 10 წლის უფროს ვაჟს – ნიკოს რაიმე ხელობა, რაც შეიძლება მოკლე პერიოდში აეთვისებინა და ოჯახის რჩენა-გაძღოლის

სიმძიმე ეკისრა. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ აწყობდა ნიჭიერ და სწავლა-განათლების მოყვარულ ბიჭუნას. მან დედა დაითანხმა იმაზე, რომ რეალურ სასწავლებელში ჩარიცხულიყო, რომელსაც დროზე ადრე დაამთავრებდა და მასთან ერთად ჩაებმებოდა შრომით ფერხულში. დედის თანხმობა მიიღო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ორ ადგილზე 25 მსურველი იყო. ნიკოსდა სასიხარულოდ, კონკურსმა წარმატებით ჩაიარა იგი ჩარიცხულთა შორის აღმოჩნდა.

როგორც აღვნიშნეთ, ათი წლის ასაკში მან მამა დაკარგა და ამიერიდან იგი თურმე ყოველთვის დაუღალავად, ყოველგვარი წუწუნის გარეშე, ვირტუოზულად ათავსებდა სწავლასა და შრომას; ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ფრიადოსან მოსწავლეს, როგორც ,,მამაკაცს", რეპეტიტორობით საკუთარი თავის და ობლად დარჩენილი 5-შვილიანი ოჯახის პატრონობა დაეკისრა. მან ეს უმძიმესი, მაგრამ ფრიად კეთილშობილური ტვირთი დიდხანს პირნათლად ატარა.ამ უპრეცენდენტო მოვლენას ანალოგი ძნელად მოეძებნება. ასე იზრდებოდა ის, ასე ყალიბდებოდა მისგან ჭეშმარიტი პიროვნება, ბრწყინვალე მეცნიერი, ყველა სიკეთით შემკული, მუდამ კარგის მთესველი და ყველა კეთილი ადამიანის სიკეთით გახარებული . . .

...რეალურ სასწავლებელში სწავლისას, 1917 წელს დიდი ივანე ჯავახიშვილის ქუთაისში წაკითხულმა მოხსენებამ, მეოცნებე ნიკოს გულში უმაღლესი განათლების მიღების იმედიააკიაფა. ოჯახში დიდი განსჯის შემდეგ, 1920 წლის 21 მაისს, დიპლომის მიღების მეორე დღესვე, ერთი კვირის სარჩოთი და სამსახურში მოწყობის სარეკომენდაციო ბარათით, თბილისს მიაშურა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე. დილიდან დღის 4 საათამდე იგი მსახურობდა, ხოლო 5 საათიდან ყოველდღიურად 3 ლექციას ესწრებოდა. ამასთან, იგი დროს პოულობდა იმისათვის, რომ ივანე ჯავახიშვილის, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის, დიმიტრი უზნაძის, ალექსანდრე ჯანელიძისა და სხვ. კორიფეების ლექციებსაც დასწრებოდა. 1921 წლის თებერვლიდან, როგორც თვითონ წერს, სტუდენტთა საქმე თანმიმდევრულად გაუმჯობესებისაკენ შემობრუნდა.მთავრობამ უნივერსიტეტი სახელმწიფო სასწავლებლად გარდაქმნა და სტუდენტობაზე მზრუნველობაც იკისრა. ასეთ პირობებში სტუდენტმა ნიკო იაშვილმა მთელი ყურადღება სწავლაზე გადაიტანა და უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა. 1925 წელს, პროფ. გ. გეხტმანის რეკომენდაციით, მისსავე კათედრაზე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად.

სტუდენტობის პერიოდში (1921-1923წწ.) იგი მასწავლებლობდა თბილისი 21-ე საშუალო სკოლაში, ხოლო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ-1925-1927წწ, – თბილისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. 1923 წლის ზაფხულში მუშაობდა მოსკოვის პირველ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს პავილიონში ამხსნელ-განმმარტებლად.

1927 წელს იგი გაიგზავნა კვალიფიკაციის ასამაღებლად მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. 1928-29 სასწავლო წლიდან ნ. იაშვილი სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა აგროღონისძიებათა ორგანიზაციის კურსს. 1930 წელს პროფ. გ. გეხტმანის წარდგენით იგი აირჩიეს დოცენტის თანამდებობაზე. ამიერიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს კითხულობდა იგი სხვადსხვა უმაღლეს სასწავლებლებში ლექციებს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, საორგანიზაციო-საწარმოო გეგმების შედგენის მეთოდიკის, სოფლის მეურნეობის გეოგრაფიის, დარაიონებისა და სპეციალიზაციის, წყალთა მეურნეობის, ეკოლოგიის, მიწის ეკონომიკური შეფასების და სხვა კურსებებში.

ამ პერიოდში მან ასობით და ათასობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი აღზარდა და სწორედ მისი უშუალო დამსახურებაა, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მეცნიერებას მრავალი ღვაწლმოსილი მეცნიერი, ხოლო სოფლის მეურნეობის საწარმოებს – მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მთელი პლეადა ამშვენებდა და დღესაც ამშვენებს.

იგი სოფლის მეურნეობის ეკონომიკას, ერთი შეხედვით „მოსაწყენ" საგანს გვიკითხავდა, მაგრამ მისი ყოველი ლექცია ბარაქიანი ქართული ენის ამოურწყველი საგანძურიდან უხვად მოტანილი ჯავარიანი სიტყვებით იყო მუდამ მოკაზმული. დედაენა მისთვის ყოველთვის იყო ჯადოსნური გასაღები მეცნიერებას დაწაფებული ახალგაზრდების გულებში შესაღწევად, მეცნიერული დისციპლინის სიღრმეში ჩასახედად, ამა თუ იმ პრობლემის გასათვალისწინებლად. მისი ლექციების განუყრელი კომპონენტი იყო სისტემურობა, ლოგიკური თანმიმდევრულობა, მასალათა სიუხვე, ნათელი და მჭერმეტყველური გადმოცემა, დარბაისლური და დახვეწილი მეტყველება. მისი ყოველი ლექცია არა მარტო მეცნიერული დისციპლინის ამა თუ იმ საკითხის უზადო გადმოცემა იყო, არამედ ის ყოველთვის პოულობდა დროს ახალგაზრდობისათვის მშობლიური მიწისა და ხალხის ერთგულება, მისი განუსაზღვრელი სიყვარული ექადაგა. თანაც, იგი არა მხოლოდ მეცნიერულ დისციპლინებს გვიკითხავდა, არამედ მომაჯადოებლად გადაგვიშლიდა მეცნიერების დიად პერსპექტივებს და მამაშვილურად გვასწავლიდა და გვისახავდა მისკენ მიმავალ გზებს…. ამიტომ მის ლექციას თუ პრაქტუკულ მეცადინეობას, არავინ აცდენდა და ყველა უდიდესი ინტერესით სულგანაბული უსმენდა.

საერთოდ, ვისაც კი მასთან რაიმე ურთიერთობა ჰქონია, ანდამატივით იზიდავდა მასთან ყოველი შეხვედრა, რადგანაც მასთან ურთიერთობით ვითარდებოდა და მდიდრდებოდა თითოეულის მეცნიერული ცოდნა, ცხოვრებისეული გამოცდილება. ჩემთვის და ჩემი თაობისათვის ბატონი ნიკოლოზ იაშვილი მკაფიო მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ქართველი

ადამიანი, მეცნიერი და მოქალაქე, რომელიც მუდამ იმას ცდილობს ყოველი კაცი ადამიანი იყოს, ყველას გულში ჩაიხედოს, ყველას რაღაც სიკეთე და სითბო უწილადოს. მაგრამ მის ასეთ კეთილკაცობასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ ჰგავდა იმ ადამიანებს, რომელთაც მშვენივრად ეხერხებათ ყველასთან კარგად ყოფნა. ასეთები არც თვითონ ეკამათებიან ვინმეს, არც სხვას წაიკიდებენ, ოღონდ უმტკივნეულოდ იცხოვრონ. იგი ადამიანთა იმ რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ახარებთ წესიერი გზით მოპოვებული წარმატება და აღაშფოთებთ უღირსთა ,,მიღწევა''. იგი არ უფრთხოდა არც შეტევას და არც მეცნიერულ პაექრობას, მაგრამ არა უბრალოდ დავის, არამედ იმ იდეალების ერთგულების გამო, რომელთაც იგი სიყრმიდანვე ეთაყვანებოდა. ის, სხვა ერისკაცებთან ერთად, უწინარეს იმისათვის იღწვოდა, რომ მისი ბრწყინვალე თაობის შემცვლელ თაობას შეძლებოდა უფრო მეტის გაკეთება. იგი ის კაცი იყო, რომელთა ყოფის ყოველი წუთი დამუხტულია რაიმე საინტერესოთი ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრებიდან.

და, რაც მთავარია, იგი სასწავლო აუდიტორიაში, სხვადასხვა ლექციამოხსენებებსა თუ სადღესასწაულო გამოსვლებში, ბრწყინვალე ორატორი იყო – შინაარსით ღრმა, ფორმით მიმზიდველი, ტევადმწყობრი დებულებებისა და დასკვნების გადმოცემით. საქმიან საკონსულტაციო საუბრებსა და გამრთობ მასლაათებში, კაბინეტსა და ლაბორატორიაში იგი რთული საკითხების ყოველმხრივი, ღრმად ჩამწვდომი და ფართოდ გადამწვდომი მოაზროვნე იყო. იგი დაუზარელი იყო პრობლემებისა თუ სხვა კითხვების საინტერესო და ცოცხალი მაგალითების მრავალმხრივ გაშუქებაში ამასთანავე, იგი ხატოვანი და ბევრის მთქმელი ქართული ენით ტკბილმოუბარი ბრძანდებოდა.

მას ,,თავისად'' თვლიდნენ ეკონომისტები და აგრონომები, გეოგრაფები და ზოოტექნიკოკოსები და სხვა დარგის მეცნიერები. ეს იმიტომ, რომ იგი დიდი ერუდიტი და ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოვებული მჭერმეტყველი იყო. მჭერმეტყველება კი, ერთი ბრძენის თქმით – ,,საკვირველებათა საკვირველებაა და მას არ ესაჭიროება არც ზარების რეკვა – ხალხის თავშესაყრელად და არც ადმინისტრაციის დახმარება წესრიგის დასამყარებლად''.

**ჩანართი: (მოკლე ინტეპრეტაცია პროფ. შ. ქისტაურის მოგონებზიდან პროფ. იაშვილის 100 წლისთავზე).** 1963 წლის სექტემბრის თვეში თსუ-ს (რექტორი აკად. ე. ხარაძე) აშშ-ის პრეზიდენტ კენედის მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში - პროფ. ბრაუნი ეწვია, რომელსაც აინტერესებდა იმ პერიოდში სსრ კავშირში დაწყებული მწვავე აგრარული კრიზისის შესახებ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა აზრი. ამის თაობაზე თსუ-ის წამყვანი ეკონომისტები მიიწვიეს შეხვედრაზე და თან გააფრთხილეს (მიუხედავად პაპანაქება სიცხისა) ყველა ყოფილიყო კოსტიუმებსა და ჰალტუხებში. ასეც მოხდა – ერთი გამონაკლისით - პროფ. ნ. იაშვილი მობრძანდა მოკლესახელოები-

ანი თეთრი პერანგით, ღია ფერის ზოლებიანი შარვლითა და სანდლებით, რამაც ყველა გააკვირვა, ზოგმა გააქილიკა კიდეც ბატონი ნიკო. თუმცა, მისი ირონიულღიმილიანი პასუხი ასეთი იყო: ,,პერანგი და კოსტუმი სხვადასხვა ამინდისათვის შეუქმნიათ და არა სახვადასხვა ადამიანთან შეხვედრისათვის“.

მაღალ სტუმართან შეხვედრა შედგა რექტორის კაბინეტში, სადაც შემობრძანდა მაღალი, ჭაღარაშერეული ბატონი ბრაუნი - მოკლესახელოებიანი თეთრი პერანგით და განცვიფრებით მიაცქერდა ,,საზამთროდ“ ჩაცმულ სიცხისაგან გათანგულ პროფესურას. მერმე შეხვედრა დაიწყო ბრაუნის შესავალი სიტყვით, რომელშიც გააჟღერა დიდი ინტერესი ზემოთ დასახელებული პრობლემით. რექტორმა შეკრებილთ მოუწოდა გამოხმაურებოდნენ სტუმარსდარბაზში სრული სიჩუმე იყო, ვერავინ ხმას ვერ იღებდა. ბოლოს ყველა მიაშტერდა პროფ. ნ იაშვილს - იქნებ გვიხსნა, თუ არა თავი მოგვეჭრა ქართველ ეკონომისტებსო.

ბატონმა ნიკომ ღიმილით ჩაილაპარაკა: სტუმარი ვერც ბრმად ჩაგვთვლის და ვერც გონებაშეზღუდულად, მაგრამ სეზონის გიჟებად კი შეიძლება მიგვიჩნიოს ამ გაგანია სიცხეში თქვენი ჩაცმულობის გამო, მე თუ არა, სტუმრისთვის მაინც მიგებაძათო. შემდეგ კი სიღრმისეულად და მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით ახსნა აგრარული კრიზისის მიზეზები... სტუმარი სულ ,, იეს“, ,, იეს“ იძახდა... როცა ბატონმა ნიკომ დაასრულა გამოსვლა, ბრაუნი მივიდა მასთან და გამართული რუსულით (მანამდე სულ ინგლისურად ლაპარაკობდა) მიმართა: Спасибо профессор Яшвили, я очень доволен вашим выступлением, мы не только одинакого одеты, но и одинакого мыслим!“

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია... ასეთი იყო დიდი ნიკო ცხოვრებისა და შემოქმედების მთელ პერიოდში, ის არცერთ სიტუაციაში - თვით ურთულესშიც კი, გონებაგამჭრიახობითა და მახვილსიტყვაობით გამოირჩეოდა.

დიდია იუბილარის დამსახურება ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადებაში. მის მოწაფეთა შორის, ქართველებთან ერთად, არიან არა ერთი და ორი აზერბაიჯანელი, სომეხი, ჩეჩენი, დაღესტნელი, ინგუში, ოსი, ყაბარდო-ბალყარელი, ადიღეელი, უკრაინელი, რუსი და სხვ. მას გაუწევია ხელმძღვანელობა, კონსულტაცია, ოპონენტობა, რედაქტორობა და სხვა ფორმის დახმარება უამრავი ახალგაზრდისათვის და, როგორც წესი, საქმე ყოველთვის კეთილად დაგვირგვინებულა, თუმცა, რამდენიმე იოლი გზით სიარულის მსურველი გაწბილებულიც წასულა. იგი ხალისით და უანგაროდ ეხმარებოდა ყველა იმას, ვინც მასთან ცოდნას გულწრფელი სიყვარულით, დიდი შრომითა და მონდომებით ეძიებდა ახალ ამოცანათა მეცნიერული ამოხსნის საჭირო და მძიმე შრომის საიდუმლოებათა გასაღებს, მაგრამ სულსწრაფნი და იოლი

გზით ხარისხებისა თუ წოდებათა მაძიებელნი, მასთან დიდხანს ვერ მუშაობდნენ.

ბატონი ნიკო ლექციებსა თუ სხვა გამოსვლებში, არც თუ იშვიათად, შეგვახსენებდა ერთ აღმოსავლურ სიბრძნეს: ,,ვისაც სახლი არ აუშენებია, ხე არ დაურგავს და ბავშვი არ აღუზრდია, მას ნამდვილი ადამიანური ცხოვრება არ გაუტარებია" . . . იგი ყოველთვის ასაკზე მეტად იყო ცხოვრებაში ჩახედული, იცოდა ამის შესაბამისად საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია, თანამედროვე მდგომარეობა, მოსალოდნელი მომავალი და ადრინდანვე მტკიცედ გადაეწყვიტა ამ მხრივაც მოეხადა ერისკაცის ვალი სამშობლოს წინაშე. მან თავის ძვირფას მეუღლე ელენე კეთილაძესთან ერთად, სახლიც ააშენა, ხეც მრავალი დარგო და ვაზიც უხვად გაახარა (ზემო ვაკის ხრიოკ ფერდობზე, რაც მას გამოეყო), ოთხი შესანიშნავი შვილი აღზარდა – დოქტორები და პროფესორები (ერთი მათგანი – ნიკო იაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრიც იყო ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებაში) და ორჯერ მეტი შვილიშვილის აღზრდაში თავისი წვლილი შეიტანა. ასევე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ნიკო არაჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობითა და ტრადიციული ქართული მასპინძლობით გამოირჩეოდა.ყველაფერში მას მხარს უმშვენებდა დიდებული მეუღლე, რომლის ტკბილი სიმღერა იაშვილების ოჯახში ხშირად გამართული სუფრის მშვენება იყო.

პროფ. ნ. იაშვილის მეცნიერული კვლევის არეალი ფართო და ბევრის მომცველია, მაგრამ როგორც თვითონ არაერთხელ აღნიშნავდა, განსაკუთრებული ხალისითა და სიყვარულით იკვლევდა ,,ქართულ მიწას; ამ მიწის და მზის სხივების უკეთილშობილეს ამონაზარდ – ვაზს, მის ნაყოფს – ყურძენს და ჯადოსნურ პროდუქტს – ღვინოს" (ამასთანავე იგი დაუშრეტელი ენერგიით ეხმაურებოდა თანადროულობის აქტუალურ პრობლემებს). როცა ყველაფერმა ამან მეცნიერის ენციკლოპედიურ სადოქტორო სამეცნიერო მონოგრაფიაში - ,,საქართველოს მიწის ფონდი და მისი გამოყენება", მოიყარა თავი, ნაშრომის სიღრმით, მასშტაბურობითა და ავტორის გენიალურობით აღტაცებულმა ოპონენტმა, მსოფლიოში აღიარებულმა მეცნიერმა ლ. ზალცანმა ნაშრომს ,,მიწათსარგებლობის ფილოსოფია" უწოდა. ეს სადისერტაციო ნაშრომი, უფრო სრულყოფილი და ვრცელი, 1964 წელს ორ ტომად გამოიცა, რამაც საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში, სათავე დაუდო როგორც მიწის კადასტრის თეორიასა და პრაქტიკას, ასევე ზოგადად მიწათსარგებლობის მეცნიერებას საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციფიკის შესაბამისად. ამასთან ერთად, მის კალამს ეკუთვნის მრავალი მონოგრაფია, სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, სტატია, როგორიცაა: „სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის

საკითხები“, „თესლბრუნვის ორგანიზაცია“, „საორგანიზაციო-საწარმოო გეგმის შედგენის მეთოდიკა“, „მეაბრეშუმეობა საქართველოში“, „მევენახეობის გაადგილება საქართველოში“, „საგარეუბნო სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები“, „მელიორაცია საქართველოში“ და ა.შ.

სულ გამოქვეყნებული აქვს 350-ზე მეტი ნაშრომი 400-მდე საავტორო თაბახის, 50 000-ათასზე მეტი გვერდის მოცულობით ქართულ, რუსულ, უკრაინულ, უზბეკურ და სხვა ენებზე.

უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში მოღვაწეობასთან ერთად, ნიკოლოზ იაშვილი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის სამეურნეო-აღმშენებლობის სხვადასხვა სფეროში – ადმინისტრაციული რაიონების, მეურნეობების, მსხვილი საწარმოების სამეურნეო-ორგანიზაციულ, მიმდინარე თუ ხუთწლიანი გეგმის შედგენაში. მანვე დაამუშავა ტირიფონის ველის (1928) და ზემო ქართლის (1930) მორწყვის ეკონომიკური საკითხები და გაამზადა ადეკვატური მასალები დანარჩენი ობიექტებისათვის. მისი მონაწილეობით დამუშავდა კომპლექსური გეგმა ამიერკავკასიის მასშტაბით მტს-ების ორგანიზაციისათვის. ასევე დიდი წვლილი შეიტანა თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმის შედგენაში, კოლხეთის დაბლობის სასოფლო-სამეურნეო ათვისების გენერალური გეგმის შედგენის მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავებაში.

1954 წლიდან ნ. იაშვილი მიწვეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მწარმოებლური ძალების შემსწავლელ საბჭოში ბიუროს წევრად და კონსულტანტად სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებში.საბჭოს მიერ გამოიცა ფუნდამენტალური ხასიათის ნაშრომი ექვსტომეულის სახით ნ. იაშვილის თანაავტორობით („საქართველოს სოფლის მეურნეობის რესურსები”).

ნიკოლოზ იაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში და იყო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სამეცნიერო ნაწილში.

განსაკუთრებული ადგილი ნიკო იაშვილის მეცნიერულ მოღვაწეობაში უკავია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტს, სადაც ის მუშაობდა 1944-1981 წლებში განყოფილების გამგედ და უფროს მეცნიერთანამშრომლად, სადაც მან თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მრავალი ნაშრომი შექმნა. მთავარი კი ისაა, რომ იგი ამ თანამშრომლობით დიდად კმაყოფილი იყო. ფრიად საინტერესოა ამ მხრივ მისი 1974 წლის 15 დეკემბრით დათარიღებული მოგონებები: ,,1943 წლის ნოემბერში, წერს იგი, პროფ. პ. გუგუშვილმა დამირეკა ერთ დიდმნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით – საქმე ეხებოდა აკადემიის სისტემაში ეკონომიკის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას. მე კარგად ვიცოდი, რომ საქმე მქონდა სახელგანთქმულ მეც-

ნიერ-ეკონომისტთან, რომელიც დიდად პოპულარული იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს მიღმაც. ეს პოპულარულობა მისი სტუდენტობის პირველსავე წლებში ჩაისახა და წლიდან წლამდე სულ უფრო ძლიერდებოდა. უნივერსიტეტის დამთავრებისას იგი ჩამოყალიბებული მეცნიერი და ფართო ინტელექტის მკვლევარი გახდა და დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში საპროფესოროდ...”

აღნიშნული ზარის შემდეგ მათი შეხვედრა, რა თქმა უნდა, შედგა, პროფ. ნიკო იაშვილი უყოყმანოდ ამოუდგა გვერდში ბატონ პაატას ახალი ინსტიტუტის ორგანიზების საქმეში, უფრო მეტიც, ინსტიტუტში გახსნილი ორი განყოფილებიდან, ერთის – სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განყოფილების გამგედ, პროფ. პაატა გუგუშვილის რეკომენდაციით, დანიშნულ იქნა ბატონი ნიკო.

შემდგომ, გარკვეულ პერიოდში შეთავსების აკრძალვის გამო, შტატიდან დროებით გათავისუფლდა ბატონი ნიკო, თუმცა მას კავშირი ერთი დღითაც არ გაუწყვეტია ისნსტიტუტსა და პირადად პროფესორ პაატა გუგუშვილთან, ხოლო სულ მალე ნება დართეს და იგი კვლავ მიიწვიეს შემთავსებლად. აქ ვაგრძელებ ნ. იაშვილის აღნიშნულ მოგონებას: ,,1954 წელს კვლავ შემთავსებელთა რიგებში აღმოვჩნდი და კიდევ უფრო ძალუმად ვიგრძენი, თუ რას ნიშნავს ჩემთვის ესოდენ ძვირფასი – ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მთელი კოლექტივი, დიდი მეცნიერისა და სასიქადულო მამულიშვილის პაატა გუგუშვილის ხელმძღვანელობით. მე საკმაოდ ხანდაზმული ადამიანი ვარ, მაგრამ სანამ შემიძლია აზროვნება და შემოქმედებითი მუშაობა სრული საწყავითა და სათანადო ხარისხით, ჩემი სურვილია ამ კოლექტივში დავრჩე, ვინაიდან არსად უკეთესი რაიმე, გარდა დედა უნივერსიტეტისა, არაფერი მეგულება ისეთი, სადაც ყოფნა, შემოქმედებითი მუშაობა და განცდა, რომ კიდევ სასარგებლო ვარ, მიხარებდეს გულს ისე, როგორც ამ ინსტიტუტში” (1974 წლის 15 დეკემბერი).

ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს ის, რომ სამაგალითო და საოცრად მომხიბვლელია ქართველ სწავლულ ეკონომისტთა დიდი სამეულის — აკადემიკოსების პაატა გუგუშვილის, ვასილ ჩანტლაძისა და პროფესორ ნიკოლოზ იაშვილის მეცნიერული თანამშრომლობა და უზადო მეგობრობა, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ,,ერთ საერთო ნიადაგზე დგომა,” თვით პოლიტიკური მრწამსითაც კი. გარედან ბევრი მცდელობის მიუხედავად – შეერყიათ მათი მეგობრობა და დაესუსტებინათ პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილისა და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ შექმნილი ქართული ეკონომიკური სკოლა, შედეგი ვერ გამოიღო – ისინი ბოლომდის ერთად იდგნენ და უშურველად ემსახურებოდნენ საერთო ქართულ საქმეს.

სიმპტომურია ისიც, რომ დიდი მეცნიერის იუბილე ემთხვევა პერიოდს, როცა ფარული თუ აშკარა ხელისშემშლელი ხრიკების მიუხედავად, ბევრო რამ კეთდება მისი სათაყვანებელი უნივერსიტეტის ხელახალი აღორძინებისათვის .

პროფესორმა ნიკო იაშვილმა 15-მდე უცხო ქვეყანა მოიარა როგორც მეცნიერმა და ლექტორმა და თავისი შთამბეჭდავი მოხსენებებით თუ ლექციებით, ყველგან ასახელა საქართველო. და ეს სავსებით ბუნებრივია, რამეთუ იგი ღრმად ფლობდა არა მარტო საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიასა და ლიტერატურას, არამედ როგორც თვითონ აღნიშნავდა, მისთვის მხატვრული ღირსების გარდა, წმინდა პროფესიული თვალსაზრისითაც, საინტერესო იყო ბალზაკი და ზოლა, სტენდალი და შექსპირი, ბერნსი და გოლსუორსი, ფოიხტვაგნერი და დრაიზერი, დიკენსი და ბარბიუსი, ლონდონი და ჰემინგუეი, რომ არაფერი ვთქვათ ქართველ და რუს კლასიკოსებზე.

და მაინც, მისთვის დედასამშობლოს შემდეგ, ყველაზე ძვირფასი ქართული უნივერსიტეტი იყო: ,,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსებიდანვე არის ჩემი სიყვარული, სასოების, მოწიწების, იმედის და შთაგონების უპირველესი საგანი და უშრეტი წყარო... ჩემი უღრმესი და უმდაბლესი მადლობა ქართულ უნივერსიტეტს", წერდა იგი უნივერსიტეტის დაარსების 50 წელთან დაკავშირებით.

ვაგლახ, რომ ნ. იაშვილის შემოქმედობითი ცხოვრების გზა ყოველთვის იავარდებით როდი იყო მოფენილი. ზოგ მის კოლეგას არ ახარებდა მისი როგორც ქართველ აგრარიკოს-ეკონომისტთა თავკაცად დამკვიდრება და ფარული თუ ღია ხრიკებით, ცდილობდა დაემუხრუჭებინა მისი წინსვლა. ასე, მაგალითად, XX ს. 30-იან წლებში ნ. იაშვილმა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მეტად გაბედული და ორიგინალური კონცეფციები გამოაქვეყნა, რისთვისაც გაზეთ ,,კომუნისტში" ,,მეგობარმა" ეკონომისტ-კომუნისტებმა ცილისწამებლური სტატია გამოაქვეყნეს, თითქოსდა, იგი ბურჟუაზიული იდეების მატარებელი პიროვნება იყო. ამას მოჰყვა თსუ-დან მისი დათხოვნა და გარკვეულ პერიოდში უმუშევრად დატოვება.სხვა დროსაც, როცა, ვთქვათ, მეცნიერებათა აკადემია ვაკანსიებს აცხადებდა, ვირეშმაკულ ხაფანგს უგებდნენ – კომპარტიის წევრი არ არის და არც სურვილი აქვს ამისო. სხვათა შორის, პარტიეს წევრობა ბევრჯერ შესთავაზეს, მაგრამ სულ უარს ამბობდა – აკადემიის წევრობა დიდი პატივია, მაგრამ ამისთვის პარტიაში ვერ შევალო. ასე, რომ პროფ. ნ. იაშვილი, რომელიც მსოფლიოს რომელიც გნებავთ აკადემიას დაამშვენებდა, ოფიციალურად აკადემიის წევრი არ გამხდარა, თუმცა, ბევრ აკადემიკოსზე უფრო დიდი აკადემიკოსი იყო.

პროფ. ნ. იაშვილი მიეკუთვნება სახელოვან, ერის წინაშე ვალმოხდილ მეცნიერთა იმ პლეადას, რომელთაც თავიანთი მეცნიერული და საზო-

გადოებრივი მოღვაწეობით ქართული მეცნიერებისა და კულტურის ტრიუმფისათვის აქტიურად შეუწყვიათ ხელი და რომელთა სახელებიც საქართველოს ისტორიას ყოველთვის დაამშვენებენ.

იგი გარდაიცვალა 1981 წლის 10 აპრილს.

მართლაც, რომ ზედმიწევნით მიესადაგება დიდ ნიკო იაშვილს ბიბლიურ-ფილოსოფიური სენტენცია - ,,გარდაცვალება ცოდვილთათვის არის სიკვდილი, განწმენდილთათვის კი უკვდავების დასაწყისი”...

***რევაზ გოგოხია***

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,*
*თსუ-ის ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესის“*
*მთავარი რედაქტორი.*

*ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 1, გვ. 170-172*
*ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 1, pp. 170-142*

# მოსაზრებები ახალ წიგნებზე
**CONSIDERATIONS ABOUT NEW BOOKS**

## განსაკუთრებული დიალოგი მკითხველთან

წიგნს, რომელსაც კითხულობენ, აქვს აწმყო;

წიგნს, რომელსაც რამდენჯერმე წაიკითხავენ, აქვს მომავალი!

ვლადიმერ (ლადო) პაპავას[1] – „საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ფსევდორეფორმები", სწორედ ისეთი წიგნია, მრავალჯერ რომ მიუბრუნდები...

სამყარო იცვლება. ისტორიამ სვლა ააჩქარა; საზოგადოებაც, შესაბამისად, ყოველდღიურად სულ უფრო სწრაფად იცვლის ფერს. სიტყვის ენერგეტიკაც თითქოს გაუფერულდა, მაგრამ, ამავე დროს, ასეთი ძლიერიც არასოდეს ყოფილა...

პროფესორ ლადო პაპავას ეს წიგნი ერთგვარი ორიენტირია დღევანდელ ქაოტურ მოვლენებში გასარკვევად. ეს არის გულწრფელი დიალოგი მკითხველთან.

ავტორი, ამ ძნელ გარემოშიც, უკომპრომისო შეფასებებითა და დამოკიდებულებით, ძლიერი ინტელექტით ცდილობს შეინარჩუნოს პიროვნული და მოქალაქეობრივი ღირსება.

ეს არის, უპირველესად, ზნეობრივი და მორალური წიგნი – იმდენად ერთიანი ქსოვილი და იმდენად სრულყოფილი თითოეული თავი, რომ ყოველ სტრიქონში დიდოსტატობა საოცარ უბრალოებას ერწყმის.

წიგნები გვანან ავტორებს. აქ მთავარი პრინციპია, გადმოიცეს მოვლენები შეულამაზებლად და ობიექტურად.

პროფ. ლ. პაპავას პასუხისმგებლობის განცდაც, უკვე მომხდარსა და მოსალოდნელ მოვლენებზე, XX საუკუნის მეორე ნახევრის წინააღმდეგობრივ და რთულ პოლიტიკურ ვითარებაზე, სწორედ ამისი დასტურია.

XX საუკუნის საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების რუკაზე ოცდაათმა წელიწადმა ქვეყნის განვითარება გარკვეულწილად შეაფერხა. საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების მიკრომოდელმა სიღრმისეული ანალიზი მოითხო-

---

1 თბილისი, გამომც. „ინტელექტი", 2015, თამარ თაფლაძისა და არჩილ გეგეშიძის მონაწილეობით.

ვა. აუცილებელი გახდა საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების გზაზე როგორც წარმატებების, ასევე შეცდომების ბოლომდე გაცნობიერება და გაანალიზება.

დღეს საქართველო შედის იმ აუტსაიდერი პოსტკომუნისტური ქვეყნების ჭრილში, რომელმაც ევროპული ტიპის კაპიტალიზმის ნაცვლად, ე.წ. კომუნისტური კაპიტალიზმი შექმნა. პროფ. ლ. პაპავა წერს: „მთავრობამ ევროპული ტიპის საბაზრო ეკონომიკას საკუთარ თავზე მორგებული ეკონომიკა ამჯობინა, ხოლო დემოკრატიას - ავტორიტარიზმი" (გვ. 121).

ავტორის აზრით, საქართველოსთვის ევროკავშირი არის გზა, თუ როგორ გავხდეთ მართლაც დემოკრატიული და დამოუკიდებელი. საქართველოს დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის სხვა გზა არ გააჩნია, რადგან თავისუფლებაა სწორედ ყველაზე დიდი წესრიგი ამქვეყნად.

ქართული სივრცე თავისთავად შეზღუდულია და ლოკალური. ამიტომაც, ნამდვილი ღირებულებების შესწავლა და მისთვის ბრძოლა, პრობლემის უკეთ შეცნობისთვის, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

მიაქციეთ ყურადღება წიგნში დასმულ საკითხებს: პოსტვარდისფერი საქართველოს ეკონომიკური განვითარება, ძირითადი გამოწვევები, მძიმე მემკვიდრეობა, პოსტვარდისფერი პერიოდის სირთულეები, ეკონომიკური განვითარების ევროპული გზა, რას ველოდოთ 2020 წლისთვის, საგადასახადო კურიოზი, ვიტა ეკონომიკა, ზომბი ეკონომიკა - განსხვავებული ფენომენი, ნეკრო-ეკონომიკის არსი...

წიგნში მოცემულია ამ ეპოქის ,მოვლენების განსაკუთრებულად ობიექტური ანალიზი, საბაზრო ეკონომიკაში გადასვლის ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევისათვის მკაფიოდ ჩამოყალიბებული სიტყვათწყობები, მაძიებელი ინდივიდუალიზმი.

ძალიან ბევრ კითხვას პასუხობს ეს წიგნი, წლობით პასუხგაუცემელ ძალიან ბევრ კითხვას... რადგანაც მთავარია, ცვლილებათა კანონზომიერების შესწავლა და სისტემად ჩამოყალიბება, მიმდინარე პროცესების, მოვლენების ობიექტური ანალიზი.

უკეთესად თქმა კი მაშინაა საინტერესო, როცა ახალს ამბობ!

წიგნში არის ე.წ. ესეისტური გააზრებაც, ესეისტური სტილი, რომელიც ისე განგაცდევინებს პრობლემას, თითქოს მონაწილეც ხარ! არაკატეგორიულობა, განსჯის სილაღე, აზრის თავისუფლება, ობიექტურად და უკომპრომისოდ დახატული ეპოქა, მინითემები.

ბატონ ლადოს სტილი პირდაპირი შეგრძნებებიდან, შინაგანი კარნახიდან მოდის და არის სწორედ გულწრფელობის, სიმართლის უტყუარი დასტური.

ცნობილია, რომ აზროვნების სიღრმეს მეტაფორულობა განსაზღვრავს. წიგნში ვკითხულობთ: რატომ ხუჭავს თვალს დასავლეთი? მწვანე პარასკევი,

ვარდისფერი მთავრობა, მსოფლიოო ბანკის ვარდისფერი შეცდომები. აქ მეტაფორები იმაზე მეტს გვეუბნება, ვიდრე მათი შემადგენელი სიტყვები ერთად!

წიგნში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა შეცდომების ანალიზს, მის კლასიფიკაციას. თუ როგორი თანმიმდევრობითაა წარმოჩენილი ეს შეცდომები, ამის დასადასტურებლად საკმარისია მათი დასახელებაც: პოლიტიკური, მეთოდური, დაბნეულობით გამოწვეული, გაუთვალისწინებელი, ტრადიციული, ლობირებით, წაყრუებით, ტაქტიკური, კომპეტენციის გადამეტებით...

წიგნში მთელი ეპოქაა. ავტორი უტოვებს მკითხველს გზას, გარკვეული ფაქტები და მოვლენები თვითონ შეაფასოს.

ნაშრომი საინტერესოა მასალის ფლობის გამორჩეული უნარითაც, სრული ინფორმაციულობით, მოვლენების განზოგადებით, თითოეულ წვრილმანში მთელი ეპოქის წარმოჩენით.

იშვიათია ასე დახვეწილი, მწყობრი, ლოგიკური აზროვნებით დატვირთული სტრიქონები.

ავტორის დიდ შინაგან კულტურას ათვალსაჩინოებს წიგნის მიძღვნაც, მეგობრების ხსოვნის უკვდავსაყოფად და წიგნის ყოველი თავის ბოლოს დართული ლაკონური დასკვნებიც, ინფორმაციულად ვრცელი ლიტერატურის დასახელებით.

წიგნი ავტორის სახეა.

ასეთ წიგნს კი სტილით, თავისი სიღრმით, თავისი ზნეობრივი პოზიციით, მხოლოდ გულწრფელობა და სიმართლე წარმოშობს!

სწორედ სიმართლის ზეიმია ამ ნათელ და აზრიან წიგნში.

***მზია ქირთბაია***

***30.10.2015***

*ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 1, გვ. 173-188*
*ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 1, pp. 173-188*

# საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკისა და ეკონომიკური თეორიების განვითარების პრიზმით

## ფიქრები როზეტა ასათიანის წიგნის "XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი" [1] კვალდაკვალ

***მერაბ გველესიანი,***

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*
*ემერიტუს-პროფესორი*

არ არსებობს ჩვენი მეცნიერებისათვის უფრო მნიშვნელოვანი საკვლევი საგანი, ვიდრე ის გზებია, რამაც ქვეყნის ეკონომიკა დღევანდელობამდე მოიყვანა და ის გზები, რომლებსაც შეუძლია აქედად გაიყვანოს იგი. ამ საგნის შესწავლა ბოლო ათწლეულებში ხდებოდა და ხდება მრავალი სხვადასხვა კუთხით, მათ შორის გლობალური სივრცის განვითარების ტენდენციებთან, დასავლურ ეკონომიკურ სტრუქტურა-მოდელებთან, სხვადასხვა კონცეფციურ მიდგომებსა თუ სხვა საკითხებთან შეჯერებით. დაგროვილმა სოლიდურმა მეცნიერულმა მარაგმა, რომელშიც საპატიო ადგილი პროფესორ როზეტა ასათიანის ნაშრომებსაც უკავია, წარმოშვა საგნის ახალ დონეზე გააზრების შესაძლებლობა. მხედველობაში მაქვს პრობლემათა სინთეზის, ერთ სისტემაში, ანუ ერთიანობაში (და არა – უბრალოდ ურთიერთკავშირში) მათი გააზრების შესაძლებლობა. წარმოშვა შესაძლებლობა, რომლის რეალობად ქცევისკენ გადადგმული თითოეული ნაბიჯი, ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის ფართო ცოდნასთან ერთად, საჭიროებს ნოვატორულ აზროვნებასა და მისგან ნაშობ ამძრავ იდეას, რომელიც იკითხება პროფესორ როზეტა ასათიანი წიგნის "სტრიქონებს შორის", როგორც მისი უჩინარი მეთოდოლოგიური საძირკველი. ამ იდეის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური პორტრეტის მისაღებად, საჭიროა ერთმანეთში ჩაიწნას ქვეყნის წარსულიდან მომავალი

და მისგან გამომავალი (სამომავლო) გზების და მსოფლიო ეკონომიკის კონცეფციური ანალიზი ეკონომიკური აზრის განვითარების მიმართულებათა ანალიზთან შეწყვილებით. ანალიზი სინთეზში უნდა გადაიზარდოს. ამას საგნის კვლევა ახალ დონეზე აჰყავს.

ასეთია ჩემი შთაბეჭდილება. იგი ეხმიანება შემდეგ ლაპიდარულ ფორმულირებას, რომელიც ეკუთვნის პროფესორ ნოდარ ჭითანავას და მოცემულია წიგნს წამძღვარებულ წერილში – „რედაქტორისაგან“: „ავტორმა მოგვცა კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება კონკრეტული სიტუაციის ანალიზ-შეფასებისათვის სისტემური მიდგომის მეთოდოლოგიის შემოქმედებითად გამოყენება“ [1, გვ. 3], ანუ წიგნის ავტორმა უბრალოდ კი არ მიუყენა სისტემური მიდგომა კონკრეტულ ეკონომიკურ სიტუაციას. იგი შემოქმედებითად ეძიებს გზებს იმ ფაქტორ-გარემოებათა ერთიანობაში გააზრებისაკენ, რომელთა პროდუქტიც საქართველოს დღევანდელი ეკონომიკაა. არ ვიცი, არსებობს კი მსოფლიო ლიტერატურაში სხვა მსგავსი მცდელობა იმისა, რომ კონკრეტული სიტუაცია ერთდროულად ეკონომიკური აზრის განვითარების, ეკონომიკური სტრატეგიის კონცეფციათა შეპირისპირების, ეკონომიკის რეტროსპექტული ანალიზის, მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ძვრებისა და არაერთი სხვა (მათ შორის არაეკონომიკური) მიმართებებით განხილულიყო და მათთან შედუღაბებული სახით წარდგენოდა მკითხველს.

ამ ამოცანას ექვემდებარება წიგნის არქიტექტონიკა: საბოლოო მიზანი მასში არის სწორედ იმ კონკრეტული სიტუაციის გარკვევა, რომელმაც დღევანდელი საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი ჩამოაყალიბა, და იგი წიგნის ბოლო ნაწილშია დახასიათებული, წინა ნაწილები კი ამზადებს მასზე გადასვლას ცალკეული ფაქტორების ანალიზით. ამ ფაქტორთაგან ავტორის ყურადღების ცენტრშია პირველ ნაწილში წარმოდგენილი მსოფლიო ეკონომიკური აზრის განვითარების ძირითადი ხაზი, რომელიც თავის ყოველ მონაკვეთზე ძლიერ, თუმცა, სხვადასხვაგვარ ზემოქმედებას ახდენდა და ახდენს ეკონომიკის სახეზე იმის მიხედვით, თუ ამ აზრის რომელი მიმართულება – და სხვადასხვა დროსა და სივრცეში რამდენად აღწევდა და აღწევს გაბატონებულ მდგომარეობას.

კონკრეტული სიტუაციისადმი ავტორისეული მიდგომის რაციონალურ მარცვალთა შორის უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია ის, რომ ამოსავალ ფაქტორად ამ მიდგომაში ეკონომიკური აზრია გამოყვანილი. მასში ნახულობს ავტორი გასაღებს XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის პორტრეტის გასაანალიზებლად. ზოგი საკვანძო საკითხი აქ უკვე იწვევს კამათს, რომელსაც ქვემოთ გავშლი. საქმე ეხება წიგნში წარმოდგენილი კავშირის – ეკონომიკური აზრის განვითარება → XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის პორტრეტი → გარდამავალი ეკონომიკის ორიენტირები – სხვადასხვა წახნაგს. თავისთავად კი ეს კავშირი,

ცხადია, აღნიშნული ორიენტირების მთავარი მსაზღვრელია. რ. ასათიანი პირველია, რომელიც ამ კავშირს მისი ამოსავალი ელემენტიდანვე თანმიმდევრულად მიჰყვება და მასზე აქვს ასხმული ვითარების შემქმნელ სხვა ფაქტორთა როგორც „შენაკადთა", დახასიათება. რაც შეეხება კავშირის „გულს" – მის ძირითად ელემენტს – ყველაფრიდან ჩანს, რომ ასეთად ავტორს მიაჩნია არა თვით მსოფლიო ეკონომიკის პორტრეტი, არამედ ეკონომიკური მოდელი, როგორც აზრის პროდუქტი, რომელსაც საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული, სხვადასხვა ეტაპზე პორტრეტი სხვადასხვაგვარად ავლენდა. ამიტომ, უნდა ჩაითვალოს მისი წიგნი სინთეზის მეთოდის სისტემური გამოყენების პირველ მცდელობად ქვეყნის ეკონომიკური ვითარების კვლევისას, თორემ სინთეზის ელემენტები ამავე საგნის სხვა მკვლევარებსაც საკმაოდ ფართოდ აქვთ გამოყენებული სხვადასხვა მიმართებით და მას ისინი ვერც აუვლიდნენ გვერდს.

საქართველოს დღევანდელობისა და მომავლის ასახსნელად დიდი მნიშვნელობა აქვს ახალ ეპოქამდე (1990-იან წლებამდე) მის მიერ განვლილი მთელი გზის ანალიზს. იგი მოცემულია წიგნის მომდევნო ნაწილში. აქ მისი კავშირი საბოლოო მიზანთან შედარებით მკრთალია, მაგრამ ამის ერთგვარ კომპენსაციას ახდენს ის ზოგადი შეხედულებები ჩვენი ერის კულტურაზე, ტრადიციებზე, ეთნოფსიქიკაზე, მეწარმულ პოტენციალსა და სხვასა და სხვაზე, რომლებიც ავტორს წიგნის ბოლო ნაწილში აქვს ორგანულად დაკავშირებული მასში განხილულ პრობლემებთან.

რ. ასათიანის ამ წიგნის მიხედვით და საერთოდაც, პირველი მიახლობით შეგვიძლია გამოვყოთ ქვეყნის ეკონომიკური პორტრეტის განმსაზღვრელ ფაქტორთა ორი „სართული": „ზედაზე" განვათავსოთ მისი უშუალო შემქმნელი ფაქტორები – ეკონომიკის რეფორმამდელი (რეფორმის საწყისი) მდგომარეობა; ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა თავისი შეცდომებითურთ; მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება; რეფორმების გარედან თავსმოხვეული თუ „შინასამზარეულოში ნაჩეკი" კონცეფციები და ა.შ., ქვედაზე კი – ისეთი ფუძემდებლური ფაქტორები, როგორიცაა: ერის სამეურნეო და ყოფითი ტრადიციები; ეთნოფსიქიკა; მსოფლიო ეკონომიკური აზრის ძირითად მიმართულებათა პროდუქტები; გლობალიზაციის პროცესი და მათთანანი. ვაფიქსირებ მხოლოდ ფაქტორთა ამ ორი ბლოკის გამიჯვნის აუცილებლობას და არ მაქვს თვით ფაქტორთა კლასიფიკაციის პრეტენზია: მისი „ჩაყოლა" შორს წაგვიყვანდა და იგი არც არის წინამდებარე წერილის საგანი.

წარმოუდგენელიც კია მიდგომას, რომელიც ერთ „ქუდქვეშ" ამდენი დიდი თემის მოქცევას ითხოვს, ამთავითვე მოეცა უნაკლო პროდუქტი. ამ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის, რომ მკითხველი შეიგრძნობს და ხედავს კიდეც თემების ერთიანობას. ამ თვალსაზრისით მომგებიანია ის, რომ წიგნის

მოცულობა (140 გვ.) მოკრძალებულია: მომცრო წიგნში მკითხველს უფრო უადვილდება ერთიანობის აღქმა საკვანძო პრობლემებისა, რომელთა სრული ასახვა წიგნის სათაურში შეუძლებელი აღმოჩნდა. მაგალითად, სათაურის პირველმა ნახევარმა – „XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი" – მთლიანად ვერ დაიტია ვერც ეკონომიკური ისტორიისა და ვერც მასთან შეწყვილებული ეკონომიკური აზრის განვითარების ის ხაზი, რომელსაც წიგნის სოლიდური ნაწილი უკავია და შორს სცილდება მის სათაურში მითითებული საუკუნის ჩარჩოებს.

 რ. ასათიანი თვითონ არ მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას წიგნის მეთოდოლოგიურ მხარეზე. როგორც ითქვა, ეს მხარე სტრიქონებს მიღმა დგას, თუ არ ჩავთვლით მითითებას (მასაც – არაპირდაპირსა და არასრულს), რომელიც სხვადასხვა სიტყვით, წიგნის წინათქმაშიცაა მოცემული და ტექსტშიც. სახელდობრ, ავტორი სამართლიანად წერს, რომ ჯერ სრულად არ განხორციელებულა XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესების კონცეფციური ანალიზი, რომელთანაც ლოგიკურ კავშირშია საქართველოში (და არა მხოლოდ მასში) 90-იანი წლებიდან განვითარებული მოვლენები [1, გვ. 7, 33]. წინათქმაშივე აღნიშნავს, რომ საჭიროდ მიიჩნია ეკონომიკური მეცნიერების გენეზისისა და მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება-განვითარებაში ამ მეცნიერების როლზე ყურადღების გამახვილება [1, გვ. 7-8].

ასეთი ძუნწი, ავტორისეული მითითებების მიუხედავად, უთუოდ ღირს სწორედ სინთეზის მეთოდი გადავაქციოთ საგანგებო მსჯელობის საგნად, გავარკვიოთ მისი მნიშვნელობა, მისი გამოყენების პრობლემები ზოგადად და, კერძოდ კი, ქვეყნის ეკონომიკური პორტრეტის შექმნაში, მოვიძიოთ მის გამოყენებაში არსებული „თეთრი ლაქები" და ამ სიცარიელეთა შევსების გზები. წინამდებარე წერილს ვერ ექნება ამ რთული ამოცანების საკმარისი სისრულით გადაწყვეტის პრეტენზია, მაგრამ საშურია თვით საკითხის დასმა და მსჯელობის დაწყება. საშურია არა მარტო ქვეყნის განვითარების გზათა უფრო საფუძვლიანი ძიებისათვის, არამედ ეკონომიკური კვლევისათვის საერთოდ, რაკი დღეს მას – ეკონომიკურ კვლევას – საქართველოში თითქმის აღარ გააჩნია მეთოდოლოგიური მიმართულება, რომელსაც მდიდარი ტრადიციები ჰქონდა. ბოლო ათწლეულებში ეს მიმართულება ჯერ კლებაზე წავიდა, ბოლოხანს კი საერთოდ ჩაკვდა (დისერტაციებში თუღა გამოჩნდება ხოლმე ფორმალურად, ძალისძალით დაწერილი სტრიქონები ნაშრომის მეთოდოლოგიურ ფუნდამენტზე), ხოლო უმისოდ ეკონომიკური აზრი სიღრმეს კარგავს.

მეთოდოლოგიაზე მსჯელობა არ შეიძლება ეხებოდეს ერთ წიგნს, რადგან მეთოდს – ხერხს, საშუალებას, „გასაღებს" ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტისა – თავისთავადი, ანუ კერძო გადაწყვეტისგან დამოუკიდებელი,

ზოგადი მნიშვნელობაც აქვს და იგი სხვა პრობლემებსაც შეიძლება მივუყენოთ. ამიტომ, მივმართოთ შედარებით ანალიზს.

რ. ასათიანის წიგნისგან სრულიად განსხვავებული კუთხით, პირველად ეკონომიკურ მეცნიერებაში, სინთეზირების სწორუპოვარი ნიმუში მოგვცა კარლ მარქსმა თავის "კაპიტალში", რომელშიც, საქონლის ანალიზის შემდეგ, ანალიზს სინთეზი იქვემდებარებს როგორც თავის შემადგენელ ნაწილს: სამუშაო ძალის, კაპიტალის, მიწის ბაზრები ხომ იგივე საქონლის ბაზრებია, ახალი შტრიხებით გამდიდრებული, ანუ მათ სპეციფიკურ ნიშნებთან სინთეზირებული, ხოლო ეს სპეციფიკური ნიშნები ანალიზის გზითაა მიღებული. ამავე მეთოდს იყენებენ ეკონომიკსის სახელმძღვანელოები, თუმცა ბოლომდე თანმიმდევრულად ვერ იცავენ მას და ვერც დაიცავენ შემდეგი მიზეზის გამო: საბაზრო ეკონომიკის წმინდა მოდელი – ე.წ. "წმინდა კაპიტალიზმი" – მათში განხილულია მათი მიკროეკონომიკური ნაწილის მხოლოდ პირველ განყოფილებებში (სხვათა შორის, იქაც – ზოგჯერ სრულიად „არაწმინდა" სახით), თანამედროვე ეკონომიკა კი, რომლის სრული თეორიული ასახვის პრეტენზია ეკონომიკას აქვს, საბაზრო და არასაბაზრო საწყისების ნარევია – შერეული ეკონომიკაა, ხოლო არასაბაზრო ელემენტების ანალიზი ვერ მოთავსდება საბაზრო სისტემის ლოგიკაში.

ახლა ჩავხედოთ „დასაბუთების დასაწყისს". ჩვენი შედარებითი ანალიზის მიზანი უწინარესად იმის ჩვენებაა, რომ არც მარქსის „კაპიტალში", არც ეკონომიკსის სახელმძღვანელოებში და არც რ. ასათიანის წიგნში ამოსავალი დებულების გამოყვანა არ ხდება კორექტულად, მაგრამ ამ ამოსავალ დებულებებში არსებული რაციონალური მარცვლები შესაძლებლობას იძლევა მათზე აგებულმა მსჯელობებმა ფასეული შედეგები მოგვცეს. "კაპიტალში" ასეთი დებულებაა საქონლის ღირებულების განსაზღვრულობა საზოგადოებრივად აუცილებელი აბსტრაქტული შრომის რაოდენობით. მარქსმა იგი გამოიყვანა საქონლის ანალიზიდან მისი პირველი (მივაქციოთ ყურადღება: პირველი, და არა – მეორე) თვისებისგან – სახმარი ღირებულებისგან – აბსტრაქციის გზით; განმარტა, რომ სახმარი ღირებულება საქონელს გვიხასიათებს როგორც ნივთს, როგორც სასარგებლო თვისებების მქონე სხეულს, რომ იგი საქონელმცოდნეობის შესწავლის საგანია და რომ ამ ფაქტორისგან განყენების შემდეგ საქონელში არაფერი რჩება იმის გარდა, რომ იგი შრომის პროდუქტია. მაგრამ, განა ამ სასარგებლო თვისებების გამო არ გადაიქცევა ნივთი საქონლად – ეკონომიკური ურთიერთობის საგნად? რისთვის, რა მიზნით იხარჯება მასზე შრომა, თუ არა, უპირველესად, მისი სასარგებლო თვისებების შესაქმნელად? ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქონლის ამ პირველადი თვისებისგან, იგივე საფუძვლისგან, განყენება არალოგიკურია და ღირებულების კატე-

გორიას იგი „ჰაერში ჰკიდებს".[1] ამის მიუხედავად, „კაპიტალის" მეცნიერული ღირებულება უდავოა და მსოფლიოში აღიარებული.

მარქსის შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში მარჟინალიზმი მხოლოდ ისახებოდა. დროთა განმავლობაში სამეცნიერო-ეკონომიკური წრეები ამ მიმდინარეობას ერწმუნენ იმაში, რომ საქონლის სასარგებლო თვისებების საზოგადოებრივი (ზღვრული) შეფასება წარმოადგენს ღირებულების პირველსა და ფუძემდებლურ მსაზღვრელს. როგორ იყენებს ამ თეორიას ეკონომიკსი? იყენებს ფართოდ, როგორც ერთერთ საყრდენს, ოღონდ არა – როგორც დასაბუთების დასაწყისს: ზღვრული სარგებლიანობისა და ზღვრული დანახარჯების კატეგორიები კურსის ლოგიკაში არ „ზის". ეკონომიკსს ისინი შემოაქვს ემპირიული "საჭიროების მიხედვით", ხოლო იწყებს ფასით, რომელიც არ არის მარტივი კატეგორია და ამიტომ თვითონ საჭიროებს დასაბუთებას მანამ, სანამ თავად დაედება საფუძვლად კურსის ლოგიკას. ასეთი დასაბუთება კი საბაზრო სისტემის „გარეთ", მაშასადამე, ეკონომიკსის (მისი ლოგიკური ხაზის) "გარეთ" უნდა მოხდეს, რადგან თავისი დანიშნულებით მარჟინალიზმი პირველ რიგში ეკონომიკური ურთიერთობის საერთო საწყისების შემსწავლელი მიმდინარეობაა. აქედან, შემთხვევითი არ არის, რომ ეკონომიკსის კურსში ღირებულების ცნება არ განიხილება. მის ნაცვლად ვხედავთ ალტერნატიული ღირებულების არამყარ ნიადაგზე განმარტებულ ცნებას, რომელიც ძნელად რომ ადეკვატურად გაიცნობიეროს კურსის შემსწავლელმა.

იმისათვის, რომ ეკონომიკსი დადგეს მყარ მეთოდოლოგიურ ნიადაგზე, საჭიროდ მიმაჩნია იგი დაემყაროს თავისზე უფრო ზოგად, ეკონომიკის საერთო საფუძვლების შემსწვალელ დისციპლინას, რომელიც სასწავლო პროგრამებში წინ უნდა უსწრებდეს მას, რათა მისი „რებურსების" გარკვევა გაუადვილოს სტუდენტს (ამ საკითხზე ჩემი და ქალბატონ როზეტა ასათიანის შეხედულებები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა [შეად.: 2, გვ. 23-29; 3] .

სანამ რ. ასათიანის წიგნის იმ დებულებას შევეხებოდე, რომელიც საფუძვლად უდევს პოსტსაბჭოთა საქართველოში განხორციელებული რეფორმების ავტორისეულ შეფასებას და ამიტომ ქვეყნის ეკონომიკურ პორტრეტსაც, შევეხები იმას, რა მოგვცა "კაპიტალისა" და ეკონომიკსის საწყის დებულებათა შედარებითმა ანალიზმა რ. ასათიანის აღნიშნული დებულების შესაფასებლად. ამ ანალიზმა გვიჩვენა არა მარტო ის, რომ საწყისი დებულებები „კაპიტალსა" და ეკონომიკსში კორექტულად არაა შემოტანილი და თუ სისტემის შემდეგი კატეგორიების მეცნიერული ღირებულება მაინც მაღალია,

1 სხვათა შორის, აღვნიშნავ: საბჭოთა ფილოსოფიურ და ეკონომიკურ ლიტერატურაში ღირებულების კატეგორიის გამოყვანის მარქსისეული მეთოდი მეცნიერული აბსტრაქციის ეტალონად იყო მიჩნეული: ტოტალიტარულ რეჟიმში ვინ გაბედავდა იმის თქმას (ან, თუნდ, «შემჩნევასა» და გამოკვლევას), რომ საფუძვლისგან განყენება ამ მეთოდის არასწორ გამოყენებას წარმოადგენს.

ეს უწინარესად საწყისში ჩადებული რაციონალური მარცვლების პროდუქტია. ანალიზმა ამასთან ერთად მიგვანიშნა იმაზეც, რომ რაც უფრო კონკრეტულია საკვლევი საგანი, მით უფრო ძნელია დასაბუთების საწყისის მოძიება და შემდგომი მსჯელობის მასზე ასხმა. მკვლევარი აქ ამოსავლად უნდა იღებდეს იმ საბოლოო პროდუქტს, რომელიც ეკონომიკური სისტემის გამოკვლევამ ისეთ წყაროებში მოგვცა, როგორებსაც „კაპიტალი" და ეკონომიკის კურსი უნდა მიეკუთვნებოდეს, ვგულისხმობ ეკონომიკური განვითარების ზოგად სტრატეგიას, რომელიც ლოგიკურად უნდა გამოდიოდეს ამ გამოკვლევიდან – მომავლის ეკონომიკურ მოდელს, რომელიც მრავალი სხვა ფაქტორით განსაზღვრული კონკრეტული სიტუაციის სპეციფიკასთან მისადაგების შემდეგ, საფუძვლად დაედება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ორიენტირების შემუშავებას. ასეთი ზოგადი მოდელი, რომელიც მარქსმა დატოვა, დრომ გაახუნა მისი ცალმხრივობის (სწორხაზოვნობის) გამო. რაც შეეხება ეკონომიკსს, იგი საერთოდ არ იძლევა და ვერც მოგვცემს ასეთ მოდელს. ვერ მოგვცემს იმიტომ, რომ იგი ეკონომიკის ფუნქციური („ფიზიოლოგიური") კავშირების სისტემას აღწერს და არა – ეკონომიკური სისტემის ცვალებადობასა და განვითარებაზე, ანუ მომავალზე მიმართული გენეტიკური კავშირებისას (უფრო ფართოდ ამაზე – იხ.: [2]). ეკონომიკსის სახელმძღვანელოებში არის თავი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შესახებ, მაგრამ ეს თავი მათში აღწერილი სისტემის განვითარებას არ ეხება: იგი განვითარებად ქვეყნებს მოძღვრავს იმით, თუ როგორ, რა გზებით მივიდნენ ამ სისტემამდე. ხოლო ეკონომიკსი და ე.წ. ფუტუროლოგია („მომავლისმცოდნეობა") პარალელურ რელსებზე მოძრაობს და, ცხადია, ვეღარც ეს უკანასკნელი გვაწვდის მომავლის ეკონომიკის ზოგად არაფრაგმენტულ (მთლიან) სურათს.

ამ ფონზე პოსტსოციალისტური ქვეყნები დასავლურ სინამდვილეში ეძიებენ თავიანთ მიზნობრივ ეკონომიკურ მოდელს და არც უყურებენ იმ ტენდენციებს, რომლებსაც ეს სინამდვილე მომავლისკენ მიჰყავს. ფორმალური მხრივ ასეთად შეიძლება ჩაითვალოს რ. ასათიანის შემდეგი დებულება, რომელზეც ერთხანს შევჩერდები, რაკი არსებითად წიგნის ღერძის როლს ასრულებს და ფარულ სამომავლო მუხტს მოიცავს: ჯ.მ. კეინზის თეორიამ და „კეინზიანურმა რევოლუციამ" „დააჩქარა კაპიტალიზმის გადაზრდა ახალ თვისებრიობაში – საბაზრო ეკონომიკაში" [1, გვ. 34].

იმ ფორმულას იუცხოებს ყოველი ეკონომისტი, რომელიც კი დგას ამ ტრადიციულ პოზიციაზე, რომ არსებობს ეკონომიკის ორი ტიპი – საბაზრო და არასაბაზრო (რომელსაც ლიტერატურაში ცენტრალურად მართულს უწოდებენ), რომ დღევანდელი ეკონომიკა, პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში, მათი ნარევია და სწორედ ამიტომ ატარებს იგი შერეული ეკონომიკის სახელს. მართალია, ტერმინებს – „შერეული..." და „საბაზრო ეკონომიკა" ხშირად

სინონიმებადაც იყენებენ, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ შერეული ეკონომიკა საბაზრო საძირკვლიდან ამოშენდა და დღესაც მასზე დგას (წიგნში კი ეს ტერმინები იდენტური შინაარსით არის გამოყენებული [1, გვ. 43], მაგრამ არასაბაზრო ელემენტები სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფესვს.

საბაზრო ეკონომიკა წიგნში სხვაგანაც არაერთხელაა ნახსენები როგორც გასული საუკუნის პროდუქტი. გვ. 30-ზე მისი დაბადების თარიღიცაა დასახელებული: ავტორის აზრით, მისი კონტურები 1950-იანი წლებიდან გამოიკვეთა. რას უნდა ნიშნავდეს ეს? იქნებ იმას, რომ მანამდელი კაპიტალიზმი საბაზრო საძირკველს იყო მოკლებული? მაგრამ, საბაზრო ეკონომიკის მთავარი მახასიათებელი ხომ კონკურენციაა, ხოლო კონკურენციულმა (ანუ საბაზრო) სისტემამ თავის გაფურჩქვნას დასახელებულ თარიღამდე ზუსტად ერთი საუკუნით ადრე მიაღწია: დასავლეთევროპულ ქვეყნებში იგი სწორედ ამ დროს მიუახლოვდა სრულყოფილი კონკურენციის იდეალურ მოდელს.

შესაძლოა რ. ასათიანის პოზიციაზე გარკვეული გავლენა მოახდინა იმან, რომ მონოპოლიათა სულისშემხუთავი ბატონობის შემდეგ, XX საუკუნის შუახნებიდან, მართლაც შეინიშნება კონკურენციისკენ ერთგვარი შებრუნება. მაგრამ ეს მოხდა იმ ფორმითა და შინაარსით, რომ მან ეკონომიკურ ურთიერთობებში უფრო მეტი არასაბაზრო ელემენტი შეიტანა, ვიდრე საბაზრო (კონკურენციული) „აღადგინა".

მცირედი წიაღსვლა ამ თეზის განსამარტად:

კონკურენციისკენ თავისებური შებრუნების საფუძველი შექმნა მეცნიერულ-ტექნოლოგიურმა რევოლუციამ. ტექნოლოგიათა დამცრობამ შეარყია მასობრივი წარმოების პოზიციები, გააღრმავა პროდუქტთა დიფერენციაციის პროცესი და გზა გაუხსნა მცირე ბიზნესს.[1] ფასობრივი კონკურენციიდან აქცენტები გადავიდა პროდუქტით კონკურენციაზე: საბაზრო "ნიშის" მოპოვებისა თუ შენარჩუნების მთავარ საშუალებად იქცა პროდუქტის ისეთი ნაირსა-

1 მცირე ბიზნესის 60-70-იან წლებში დაწყებული ბუმის ტექნოლოგიურ მიზეზს ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, არ ეხებიან. არ ეხება მას არც რ. ასათიანი, თუმცკი მცირე ბიზნესის პრობლემას იგი შედარებით ფართოდ განიხილავს და მაღალი პროფესიონალიზმით უდარებს ერთმანეთს ამ საქმის ინსტიტუციურ ფონს განვითარებულ ქვეყნებსა და საქართველოში. შედეგად, აყალიბებს საგულისხმო დასკვნებს. მათ შორის მცირე ბიზნესის განვითარებას მიიჩნევს მრავალი მივიწყებული სოფლის აღდგენა-განვითარების საშუალებად [1, გვ. 113]. ეს ერთი დასკვნა გამოვყავი იმიტომ, რომ, მართალია, ეს პრობლემა საბჭოთა ხანაშიც არსებობდა, მაგრამ არ იყო უყურადღებოდ მიტოვებული, ახლა კი უმართავი შეიქნა, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის ხელშეწყობის კუთხით. პრობლემა უკიდურესად გამწვავდა იმის მიუხედავად, რომ მისი მნიშვნელობა უდავოა როგორც ეკონომიკური, ასევე კულტურული და, საერთოდ, სოციალური თვალსაზრისით.

ხეობის შექმნა, რომელიც ესადაგება ამა თუ იმ ასაკის, სქესის, ეთნოფსიქიკის, კულტურის, შემოსავლიანობის, გემოვნების, აღმსარებლობისა თუ სხვა კონკრეტული ნიშნების მატარებელ მომხმარებელთა საჭიროებებს.

ამასთან დაკავშირებით ავტორიტეტული მეცნიერი ჯონ კენეტ გელბრაითი 2004 წელს (გარდაცვალებამდე 2 წლით ადრე) წერდა: „წარსულში ეკონომისტები ტრადიციულად ხაზს უსვამდნენ იმას, რომ... მომხმარებელი კარნახობს, რა უნდა იქნას წარმოებული... ძირითად ფუნქციას (დღეს – მ. გ.) წარმოადგენს ახალი პროდუქტების შემუშავება და შექმნა, და არცერთი მწარმოებელი არ მოჰკიდებს ხელს ახალი პროდუქტის წარმოებას ისე, თუ წინასწარ არ შექმნა მასზე მოთხოვნა" [4, გვ. 23]. ხოლო როგორ, რა გზებითა და საშუალებებით ხდება მოთხოვნის წინასწარ შექმნა? ეს არის მარკეტინგული გზები და საშუალებები. სამწუხაროდ, მარკეტინგზე ზედაპირული წარმოადგენა ვერ ამოიძირკვა ადამიანთა ცნობიერებიდან. მარკეტინგი არ არის ის, რასაც მასზე ფიქრობენ თვით ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული "ეკონომიკსის" ავტორები კ. რ. მაკკონელი და ს. ი. ბრიუ, რომლებიც მას უწოდებენ მეცნიერებას იმის შესახებ, როგორ ვაკეთოთ ფული [5, გვ. 9]. მაგრამ, თეორეტიკოს ეკონომისტებს ხომ უწინარესად ის უნდა აინტერესებდეთ, რა მისიით მოდის მარკეტინგი ეკონომიკურ სისტემაში და თუ ცვლის იგი მასში რაიმე მნიშვნელოვანს. დიახ, ცვლის: იგი ეხება სისტემის ძირებს. უპირველესად, იგი გულისხმობს მომხმარებლის კონკრეტულ საჭიროებათა საფუძვლიან შესწავლას, მათ შორის – გაუცნობიერებელი საჭიროებებისა, და მხოლოდ ამ საფუძველზე იწყებს შექმნილი თუ ჯერაც შეუქმნელი პროდუქტის პროპაგანდას.

ნათელი უნდა იყოს, რომ ეს არ არის უცნობი ბაზრისთვის მუშაობა, რაც საბაზრო ეკონომიკის იმანენტური მახასიათებელია. ბოლო ათწლეულებში გაფართოვდა არა კონკურენციის მექანიზმის მოქმედების, არამედ საბაზრო სტრუქტურების განსაკუთრებული – დღეს უკვე ტიპურად ქცეული – სახეობის, მონოპოლისტური კონკურენციის ფარგლები, მისთვის კი ნიშანდობლოვია მონოპოლიურად მაღალი ანუ კონკურენციის მექანიზმის დარღვევით დაწესებული ფასები, რომელთაც შედარებით წარმატებული ფირმები თავიანთ ბრენდებს ადებენ. ბრენდის ცნობადობა ამაღლებს მასზე მომხმარებლის მიჯაჭვულობას და აბრკოლებს უფრო სარგებლიანი პროდუქტის მიმწოდებელთა შესვლას და დამკვიდრებას ბაზარზე. როგორც ჯ. გელბრეითი მოტანილი ციტატის შემდეგ დასძენს: „დადგა მომხმარებელთა მართვის საუკუნე... მომხმარებლისა და ბაზრის დამოუკიდებლობა თმობს თავის პოზიციებს" [4, გვ. 23]. ეს კი ნიშნავს, რომ საბაზრო ეკონომიკის როგორც ახალი თვისებრიობის გაჩენაზე კი არ უნდა ვიმსჯელოთ, არამედ მის იმანენტურ თვისებათა კარგვაზე და ასეცაა მიღებული ლიტერატურაში. ამის საპირისპიროდ, რ. ასათიანი საბაზრო (აქ – თანამედროვე) ეკონომიკის განუყოფელ ატრიბუტად მიიჩნევს მწარმოებლისა და მომხმარებლის დამოუკიდებლობას [1, გვ. 99].

რ. ასათიანის საკვანძო დებულება საკამათოდ მიმაჩნია ზოგიერთი სხვა კუთხითაც, მათ შორის იმ კუთხით, რომ, ჩემი აზრით, ავტორი ახდენს ჯ. კეინზის თეორიის როლის ჰიპერბოლიზაციას სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის წარმოშობაშიც და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის ჩამოყალიბებაშიც (მაშინ, როდესაც კეინზის თეორია, მისი ფართო მნიშვნელობის მიუხედავად, საკუთრივ ეკონომიკური კრიზისების თეორიაა, რასაც რ. ასათიანიც აღნიშნავს). საერთოდ, ავტორი უკრიტიკოდ აღიარებს ამ თეორიას, თუმცა შეეძლო კეინსის თეორია თუ არა, ის წყაროები (მათ შორის წინამდებარე წერილის ავტორის ნაშრომები) მაინც მოეხსენიებინა კრიტიკულად, რომლებიც მის წიგნს დართულ ლიტერატურის სიაშია მოხსენიებული და რომლებშიც კეინსის თეორიის ღირსებებთან ერთად, მის ჩრდილებზეცაა მსჯელობა და მოეტანა საპირისპირო არგუმენტები.

მკითხველს ეგებ დაებადა კითხვა, მაშ, რაღა არის რაციონალური რ. ასათიანის აღნიშნულ დებულებაში?

რაციონალური იდეა საფუძვლად უდევს თვით იმ იდეალურ მოდელს, რომელიც ავტორმა შექმნა. თუ შესაფერი სახელი ვერ შეურჩია, ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ეს მოდელი – წიგნიდან დარჩენილი შთაბეჭდილების საპირისპიროდ – არ არის არც საუკუნის მეორე ნახევრის ათწლეულებში „ნაცადი" მოდელების საუკეთესო ნიშანთა ნაერთი და, მით უმეტეს, არც XX საუკუნის 60-იანი წლების რეალობის ამსახველი, თუმცა ეს ათწლეული მართლაც იყო კეინზელობის ზეობისა და კაპიტალიზმის არნახული პროგრესის, ანუ „ოქროს" ხანა. სინამდვილეში ეს არის მომავლის მოდელი, რომლისთვისაც სახელის დარქმევა ძნელია, რაკი მას თავისი სახე არ გამოუჩენია.

იგივე სიძნელე თავადაც მაქვს. მკითხველს შევახსენებ: ზემოთ, ეკონომიკის საბაზრო და არასაბაზრო ფორმების შეპირისპირებისას, უკანასკნელის განსამარტად ფრჩხილებში აღვნიშნე – "რომელსაც ლიტერატურაში ცენტრალურად მართულს უწოდებენ". დიახ, უწოდებენ ასე, მაგრამ მოიცავს კი ეს სახელწოდება ყველა არასაბაზრო ფორმასა და ელემენტს? მარკეტინგული ურთიერთობის განხილვამ გვიჩვენა, რომ – არა. არ მოიცავს იგი არც შინამეურნეობის, სააქციო და პარტნიორული საზოგადოებების, ტერიტორიული თვითმმართველობებისა და სხვათა და სხვათა შიგაურთიერთობებს. არსებითად იგივე ნაკლი უფრო მკვეთრად ჩანს ფორმულაში „ბაზარი თუ სახელმწიფო". თვით ეს დილემა, ცხადია, არსებობს, მაგრამ იგი აღიქმება როგორც მთლიანად ეკონომიკისა და პოლიტიკური სტრუქტურების ფუნქციათა დაპირისპირება, ანუ იგი აიგივებს ეკონომიკას საბაზრო სტრუქტურათა ერთობლიობასთან, ხოლო სახელმწიფოს მათ გარეთ მდგომ საწყისად წარმოგვიდგენს. სინამდვილეში, ეკონომიკური ფუნქციების შესრულებისას სახელმწიფოც წარმოგვიდგება ეკონომიკის სუბიექტად.

სწორედ საბაზრო მექანიზმებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ორგანული ნაერთია აღწერილი რ. ასათიანისეულ მოდელში. უფრო კარგია და დასაფასებელი, ვიდრე უდი, რომ ამ მოდელის ნიშნები ავტორმა XX საუკუნის რეალობაში ამოიკითხა: მეცნიერთა ტიპური „სისუსტეა" არსებულ რეალობაში – აწმყოში ეძიონ დასრულებული ფორმები (განა თვით ჰეგელმა აბსოლუტური სულის მოძრაობა თვითშემეცნებისკენ პრუსიის იმპერიაში არ დაასრულა?), ხოლო მსგავსი კვლევების, მათ შორის, გამოკვეთილად რ. ასათიანისეული მოდელის მთავარი დანიშნულება ის არის, რომ ისინი აწმყოში ხედავენ მომავლის საწყისებს, თუმცა აიდეალებენ მის ზრდაუსრულ ფორმებს და ჰიპერბოლიზებულად წარმოგვიდგენენ მათ. თანამედროვე ეკონომიკაში საბაზრო და არასაბაზრო ელემენტები უმეტესწილად ჯერ ვერ არიან ერთიმეორის თავსებადი, მაგრამ ისინი ხომ საერთო-ეკონომიკურ ძირზე არიან მოსული და მხოლოდ სხვადასხვა მიმართულებით განვითარებამ გააუცხოვა ისინი ერთიმეორისგან. შესაძლებელია თუ არა მათი დაპირისპირება გადაიზარდოს შემგუებლობაში, ურთიერთადაპტაციასა და თავსებადობაში? ანუ, საბოლოოდ, შესაძლებელია თუ არა, რომ მათ წარმოშვან ორგანულად ერთიანი, საზოგადოების ინტერესთა ჰარმონიაზე აგებული მომავალი? მეთოდოლოგიური ხასიათის ეს კითხვა გამიჩინა რ. ასათიანის წიგნის გაცნობამ და ახალი თვალით შემახედა XXს. 80-90-იანი წლების საკუთარ ნაშრომებზე, რომლებშიც, არსობრივად, ვეძებდი საბაზრო და არასაბაზრო საწყისების შეხამების გზებს, მათ შორის ამ საქმეში გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოს პოტენციურ შესაძლებლობებს განვითარებული ქვეყნების სამთავრობო ფუნქციათა ცვალებადობის ანალიზის ფონზე.

სინთეზური მეთოდი მკაფიოდ არის გამოკვეთილი ახალი ტიპის („საბაზრო") ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესის რ. ასათიანისეული ანალიზისას, სადაც ავტორი მიუთითებს ამ პროცესის დასავლურ მეცნიერულ ანალიზზეც. იგი ასახელებს მის ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა მომსახურების სფეროს სწრაფი განვითარება, პოსტინდუსტრიული საზოგადოების ნიშნების გაჩენა და სხვა, აღნიშნავს, რომ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლის თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბებამ მეცნიერთა აბსოლუტურ უმრავლესობაში გააჩინა აზრი, რომ ეს გადასვლა იქნებოდა ნაბიჯი უფრო მაღალი სოციალური წესრიგისკენ, რამაც წინა პლანზე წამოსწია საზოგადოებრივი ინტერესები [1, გვ. 44-45] და ა.შ. „ასე ჩამოყალიბდა – აგრძელებს ავტორი – ახალი ტიპის ეკონომიკა (რომელსაც იგი აქვე საბაზრო ეკონომიკადაც მოიხსენიებს – მ.გ.) ...როგორც საკუთრებითი და ორგანიზაციული ინსტიტუტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების ერთმანეთთან დაკავშირებული და განსაზღვრული წესით მოწესრიგებული ეკონომიკური ელემენტების ერთობლიობა" [1, გვ. 45].

წიგნის სხვადასხვა ნაწილში ავტორი მსჯელობს თანამედროვე ("საბაზრო") ეკონომიკის ისეთ ნიშანზე, როგორიცაა საკუთრების პლურალიზმი და სამართლიანად შენიშნავს, რომ ამ მოვლენამ საფუძველი გამოაცალა მარტივ წარმოადგენას საბაზრო ეკონომიკაზე, თითქოს მისთვის მხოლოდ კერძო საკუთრება იყოს დამახასიათებელი. სამართლიანია ეს აზრი იმიტომ, რომ მოწესრიგებულ "სინთეზირებულ" ეკონომიკაში საზოგადოება უნდა ზრუნავდეს არა მარტო კერძო ფირმებს შორის კონკურენციის დაცვა-განვითრებაზე, არამედ კონკურენციის გაშლაზე საკუთრების ფორმებს შორისაც, რასაც შეუძლია უკეთ გამოავლინოს თითოეული მათგანის პლუს-მინუსები. ასეთი ეკონომიკური წესრიგი ვერ განხორციელდება ცენტრალური მმართველობის გარეშე. განსაკუთრებული როლის შესრულება სახელმწიფოს შეეძლო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში რეფორმის პირველ ეტაპებზე, რათა თავისი საკუთრების მიზანმიმართული განსახელმწიფოებრივების მეშვეობით "გამოეძერწა" კონკურენციული სტრუქტურები. ამ პროცესის ეფექტიანი განხორციელების გზებს ზემოაღნიშნულ ნაშრომებში ვეძიებდი კომერციული იჯარის ფორმით სახელმწიფო საკუთრების იჯარით გაცემაში (თუ იჯარას მოვაცილებდით მის ცნობილ ნაკლვანებებს), კორპორაციულ სტრუქტურებში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობის ახალ წესებში, რომლებიც, ერთი მხრივ, შეზღუდავდნენ მის როგორც მესაკუთრის უფლებებს, და მეორე მხრივ, გაზრდიდნენ მის როლს სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტაში და ა.შ. [6, გვ. 101-102; 7; 8, გვ. 124-131]. სამწუხაროდ, იმდროინდელი ვითარება გამორიცხავდა როგორც შესაბამისი პროგრამის შემუშავებას, ასევე მის განხორციელებას. ამის აღნიშვნა საჭიროდ მივიჩნიე იმის გამო, რომ რ. ასათიანის წიგნის ბოლო ნაწილი მოიცავს რეფორმების ანალიზს მრავალი კუთხით, მათ შორის სახელმწიფოს ფუნქციებისა და მისი პოლიტიკის კუთხით, სახელმწიფო საკუთრების პოტენციალი კი მასში მკრთალადაა ასახული.

წიგნის ბოლო ნაწილი [1, გვ. 70-121], როგორც დასაწყისშივე ითქვა, საქართველოს ეკონომიკურ პორტრეტს წარმოგვიდგენს. პორტრეტი შედგა, იგი გამდიდრებულია ახალი შტრიხებით, რომლებიც მას შეჰმატეს „შენაკადებმა". ოღონდ, ამ პორტრეტის უკან არ დგას და ვერც იდგება „შეკრული" ეკონომიკური სხეული, რომელსაც მცდარი გზებით მრავალი რეფორმა ვერ მოგვცემდა. შესაბამისად, სინთეზის მეთოდიც აქ „არაპირდაპირი გზებით" მუშაობს: იგი გვიჩვენებს, რა სტრატიგიას უნდა მივყოლოდით და რა შეცდომები დავუშვით. გარდამავალი პერიოდი უნდა იყოს ერთი მთლიანობიდან მეორეზე გადასვლის ხანა, რომელიც ვერ განხორციელდება ადეკვატური სტრატეგიის უქონლად. სტრატეგიები იყო, ოღონდ – არაადეკვატური. რაც იყო, იგიც არათანმიმდევრულად, სუბიექტურად ხორცელდებოდა. წიგნის ამ ნაწილში სწორედ ეს პროცესი და მისი ლოგიკური შედეგია განსჯის საგანი. შე-

უძლებელია არ დაეთანხმო ავტორს იმაში, რომ ხელისუფლება არ აღმოჩნდა მზად კოორდინაცია გაეწია სისტემური გარდაქმნებისათვის, შეემუშავებინა მართვის ბერკეტები და დაეცვა ქვეყნის ეკონომიკა გარედან თავსმოხვეული დოგმებისაგან [1, გვ. 74]. დღევანდელი გადასახედიდან უფრო ნათელი, რომ "შოკური" რეფორმების ტემპში ვერ ჩაჯდებოდა სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომელთა გარეშე ტრანსფორმაციული პროცესები ნორმალურად ვერ განვითარდება. ფსიქოლოგიური სტერეოტიპები, ცოდნის მწვავე დეფიციტი და ბევრი სხვა ფაქტორი ასევე ზრდიდა სიძნელეებს [1, გვ. 77 და სხვა). დღეს უფრო ყოველივე ეს ნათელი იმიტომ, რომ იგივე პრობლემები მოხსნილი ჯერაც არაა დღის წესრიგიდან.

ავტორის სამართლიანი აზრით, რეფორმის ლიბერალურ-მონეტარისტულმა მოდელმა – მისმა იმ ვარიანტმა, რომელმაც "ძვირი ფულის" პოლიტიკაში პოვა გამოხატულება [1, გვ. 80-81] და რომელმაც მალე ჩაანაცვლა "შოკური თერაპიის" მოდელი, გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო: შეიქმნა ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევისათვის აუცილებელი საკუთარი ფული, დასტაბილდა ეკონომიკა და სხვა; მაგრამ მანვე მოიტანა ნეგატიური შედეგები: ერთობლივი მოთხოვნის უკმარისობა, რამაც მერმე დააბრკოლა ეკონომიკური ზრდა, საგარეო ვალის გადიდება და ა.შ. წიგნში ასევე ორადი შეფასებითაა წარმოდგენილი პრივატიზაცია-განსახელმწიფოებრივების განხორციელების გამოყენებული ფორმები, ახალი ტიპის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფულად-საკრედიტო სისტემის სტრუქტურის გარდაქმნის პროცესები და ა.შ.

ამ პროცესების ანალიზის კვალდაკვალ ავტორი თანმიმდევრულად და ხაზგასმით განაზოგადებს რეფორმების შედეგებს. მათ შორისაა შემდეგი: **"...სოციალური სამართლიანობის ლოზუნგზე აგებული საბჭოური მონოპოლია შეიცვალა კლანურ ინტერესებზე აგებული კაპიტალისტური მონოპოლიით"** [გვ. 84]. **"მიუხედავად რიგი პოზიტიური ძვრებისა, ...ვერ მოხერხდა ეკონომიკური ინტერესების შეჯერება, ...წონასწორობის დამყარება საზოგადოებრივ ურთიერთობებში და სოციალური სოლიდარობის მიღწევა..."** [გვ. 85] და ა.შ. აქედან, ლოგიკურია ისეთი შემაჯამებელი შეფასებები, როგორიცაა "გარდამავალმა პერიოდმა საქართველოში უფრო მეტი პრობლემა წარმოშვა, ვიდრე გადაჭრა. რაც დრო გადიოდა, ქვეყანა სულ უფრო სცილდებოდა დასახულ მიზანს – სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას..." [გვ. 96]; **"მოკლედ, საქართველო ისევ ახალი ეკონომიკური ექსპერიმენტის მსხვერპლი აღმოჩნდა"** [გვ. 121].

ამ დასკვნებს შორის განსაკუთრებით ფასეულია ის, რომ საბაზრო სისტემის ჩამოყალიბებისა და ინტერესთა ჰარმონიზების მთავარ დაბრკოლებად ახლადწარმომადგარი მონოპოლიური სტრუქტურები იქცა. სწორედ ამიტომ იყო რეფორმის საწყის ეტაპზევე საჭირო გონივრული სტრატეგია და ძლიერი

პოლიტიკური ნება კონკურენტული სტრუქტურების მიზანმიმართულად შექმნისათვის, რათა მათ საბაზრო ბირთვი "შეეკრათ".

დავუბრუნდეთ წიგნის წმინდა მეთოდოლოგიურ ასპექტს. პრობლემის მიმოხილვამ გვიჩვენა სიძნელეები, რომლებიც საერთოდ არის ნიშანდობლივი სინთეზის მეთოდისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მრავალი ფაქტორის ანალიზს ემყარება. სინთეზი ხომ ლოგიკურად, ანალიზს უნდა მოსდევდეს, ისევე როგორც დედუქცია – ინდუქციას. ინდუქციისა და ანალიზის პროდუქტები კი, რომლებიც სინთეზის განსახორციელებლადაა საჭირო, ხშირადაა ნაკლოვანი ან "ნედლი" ან კიდევ ისინი პრაქტიკულად საერთოდ არ არსებობენ. გავიმეოროთ რ. ასათიანის ნათქვამი, რომ XX საუკუნის ეკონომიკის კონცეფციური ანალიზი ჯერ არ განხორციელებულა. ამიტომ სინთეზური მეთოდით შეიარაღებულ მკვლევარს ზოგჯერ ორმაგი შრომა უწევს, ხან – ისეთ სფეროშიც, რომელიც შორდება მის პროფილს.

დაბოლოს, ისევ მივმართოთ შედარებას, ამჯერად – ინსტიტუციონალიზმთან. ამან მიდგომათა მსგავსებაც შეიძლება გვიჩვენოს და სხვაობაც. რ. ასათიანის მიდგომა კვლევის დისციპლინათაშორისი მეთოდის ნაირსახეობაა, ისევე როგორც ინსტიტუციონალიზმისა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი შეფასება არ უნდა მოხდეს მხოლოდ ეკონომიკური მეცნიერების ფარგლებში: დისციპლინათაშორისი მეთოდი ავლენს ჯერაც ბოლომდე გაუცნობიერებელ სწრაფვას ერთ დროს მთლიანი, სადღეისოდ კი ღრმად დიფერენცირებული ცოდნის ხელახალი გამთლიანებისაკენ, რასაც ჩვენი დრო ითხოვს და ამ მეთოდის მეშვეობით ამწიფებს კიდეც.

ეკონომიკური მოვლენების შესწავლაში დისციპლინათაშორის მეთოდს ყველაზე უფრო მასშტაბურად ინსტიტუციონალიზმი იყენებს. სწორედ მისი მეოხებით მოექცა იგი ბოლო ათწლეულებში არა მარტო მეცნიერ ეკონომისტთა, არამედ მთლიანად საზოგადობრივი მეცნიერების წარმომადგენელთა ყურადღების ცენტრში. მართლაც დიდი საქმეა მშრალი ეკონომიკური მოდელები რეალურ, "თითქმის" ცხოვრებისეულ მოვლენებად წარმოსახო იმ არაეკონომიკური (ფსიქოლოგიური, სამართლებრივი და სხვა) ფაქტორების "დამატების" მეშვეობით, რომლებიც რეალობაში მათგან განუყოფელია, ხოლო ეკონომიკური ისტორია წარმოადგინო როგორც ინსტიტუტთა ბრძოლის, რეალურ ადამიანთა ურთიერთობის განვითარების ისტორია. რ. ასათიანის წიგნს არ აქვს მიზნად დასახული გასწვდეს ამ მასშტაბს, მაგრამ თვით დისციპლინათშორისი მიდგომა მასში, ვფიქრობ, უფრო სწორადაა გამოყენებული.

სახელდობრ, მასშიც აქვს კუთვნილი ადგილი მიჩენილი ინსტიტუტებს, როგორც ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ფაქტორთა ნაერთს, და თვით არაეკონომიკურ ფაქტორებს (სამართალს, კულტურას და ა.შ.), ოღონდ არსად არაა გაზვიადებული ამ ფაქტორთა როლი იმის მიუხედავად, რომ გარდამავალ ეკონომიკაში იგი დიდადაა გაზრდილი. ისტორიის დინებას ხომ სა-

ბოლოოდ მაინც, ობიექტური ეკონომიკური კანონები განსაზღვრავს – და პ. სამუელსონი და ვ. ნორდჰაუსიც სრულიად მართლებულად მიიჩნევენ ისტორიის ეკონომიკურ გაგებას ადამ სმითისა და, განსაკუთრებით, კი კარლ მარქსის მნიშვნელოვან წვლილად დასავლურ ეკონომიკურ აზრში [9, გვ. 750]. ინსტიტუციონალისტებს კი, თავიანთ ჭეშმარიტად ნოვატორულ კვლევებში, არაეკონომიკური ფაქტორების წინ წამოწევისას, ხშირად მათში ჩაეკარგებათ ხოლმე ისტორიის ეკონომიკური გაგება და კონკრეტული ეკონომიკური მოვლენა-სიტუაციების ობიექტური საფუძველი, რაც ამ მოვლენათა ეკონომიკური და არაეკონომიკური საწყისების მიმართებათა მეთოდოლოგიის არასაკმარისი დამუშავებით უნდა აიხსნას [10, გვ. 18-19, 21-22 და ა.შ.].

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვაობა ის არის, რომ ინსტიტუციონალისტებმა ვერ გამონახეს გზები ეკონომიკური აზრის განვითარებისა და ეკონომიკური ისტორიის სინთეზისაკენ ან იქნებ არც მიიჩნიეს საჭიროდ თავიანთი კვლევებისათვის მათი მოძიება; ხოლო რ. ასათიანის წიგნი, თავიდან ბოლომდე, ძირითადად ამ გზებს მიჰყვება და ეს მის უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ადამიანისეულ ფაქტორთაგან, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკური ისტორიის – თუ გნებავთ, ინსტიტუტთა ბრძოლის ისტორიის (როგორც მას ცნობილი ინსტიტუციონალისტი რ. ნურეევი უწოდებს [11, გვ. 272-282] – დინებას, უმნიშვნელოვანესი, უთუოდ არის ეკონომიკური აზრი.

## ლიტერატურა:


1. რ. ასათიანი. XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი. თბ., "სიახლე", 2015.
2. მ. გველესიანი. ეკონომიკური თეორია: საგანი, პრობლემები, ამოცანები. თბ., "კომენტარი", 1999.
3. რ. ასათიანი. ზოგადი ეკონომიკური თეორია და მისი სწავლების აღდგენის აუცილებლობა, თბ., "სიახლე", 2013.
4. Дж. К. Гэльбрейт. Экономика невинного обмана. Правила нашего времени. Москва. «Европа», 2000.
5. К. Р. Макконнелл, С. Ю. Брю, Экономикс. Тринадцатое издание, Москва, ИНФРА – М., 2001.
6. მ. გველესიანი. ეკონომიკური ვითარება: რეფორმის შედეგები და ტენდენციები. "საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების ტენდენციები საქართველოში" (ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. I, თბ., 1996.
7. მ. გველესიანი. ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობა და მრეწველობა. "საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების ტენდენციები საქართვე-

ლოში" (ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. II, თბ., 1997.
8. მ. გველესიანი. არსებობდა თუ არა ალტერნატივა? ჟურნ.: "ეკონომიკა". სპეციალური გამოშვება, #19-12, 1998.
9. П. Самуэльсон, В. Нордхаус. Экономика. 15-е изд., М., «Лаборатория Базовых Знаний», 2000.
10. მ. გველესიანი. ინსტიტუციონალიზმის არსის, მისიისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში ადგილის შესახებ. ჟურნ.: "ბიზნეს-ინჟინერინგი", 2015, #1.
11. Р. М. Нуреев., Ю. В., Латов. Институционализм в новой экономической истории// Институциональная экономика, Москва, ИНФРА – М., 2009, გვ. 242-289.

*ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 1, გვ. 189-192*
*ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 1, pp. 189-192*

## ახალი სტანდარტები
## NEW STANDARDS

# ჟურნალში – „ეკონომიკა და ბიზნესი“, სამეცნიერო სტატიის წარმოდგენისა და გამოქვეყნების ახალი სტანდარტები

1. ჟურნალში ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე ქვეყნდება სტატიები ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე, ასევე, რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე;

2. სტატია უნდა იყოს აქტუალური, დამოუკიდებლად შესრულებული, ორიგინალური, ადრე გამოუქვეყნებელი და სხვა გამოცემებში არწარდგენილი; სტატიაში სხვისი გამოქვეყნებული ტექსტების მითითების გარეშე გამოყენება (პლაგიატი) დაუშვებელია;

3. ყველა სტატია, ძირითად ტექსტთან ერთად, აუცილებლად უნდა შეიცავდეს შესავალ და დასკვნით ნაწილებს.

შესავალში, მეტ-ნაკლები ზომით, წარმოჩენილი უნდა იყოს: (ა) საკვლევი პრობლემის შესწავლის დონე და აქტუალურობა, (ბ) კვლევის მიზნები და ამოცანები, (გ)კვლევის ორიგინალურობა – ავტორის წვლილი მოცემული პრობლემის კვლევაში, (დ) სტატია უნდა იყოს მეთოდოლოგიურად სწორად აგებული, ანუ უნდა ჩანდეს კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენება. რაც შეეხება ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებას, მასზე მინიშნება მხოლოდ მაშინაა მიზანშეწონილი, თუ სტატია ამ მხრივ რაიმე სიახლეს შეიცავს და წარმოადგენს საინტერესოს მოცემული კვლევის თვალსაზრისით.

ძირითად ტექსტში, განსახილველ საკითხთა შესაბამისად, უნდა გამოიკვეთოს რამდენიმე ქვეთავი.

დასკვნით ნაწილში მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები, ადეკვატური რეკომენდაციები, რაშიც უპირატესობა ეძლევა არსებული დოგმების უარმყოფელ ავტორისეულ მტკიცებულებებს, ან კიდევ – მის სრულყოფა-განვითარებას; ასევე, სასურველია კვლევის შემდგომი შესაძლო გაღრმავების მიმართულებებისა და პერსპექტივების გამოკვეთა;

4. სტატიას თან უნდა ახლდეს სწორად შერჩეული საკვანძო სიტყვები (Keywords);

5. ანოტაცია უნდა იყოს ინფორმაციატევადი, სტატიის ძირითადი შინაარსის ამსახველი, აღწერდეს კვლევის მიზანს, აჯამებდეს კვლევის ძირითად შედეგებს და წარმოაჩენდეს მის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას; უნდა იყოს სტრუქტურირებული, ე.ი. მისდევდეს სტატიის აგების ლოგიკას. ანოტაციაში კატეგორიულად უნდა ავიცილოთ თავიდან ზოგადი, არაფრისმთქმელი სიტყვები, რაც მხოლოდ ზრდის ტექსტის მოცულობას, მაგრამ ხელს არ უწყობს სტატიის შინაარსის გახსნას. მოკლედ, ანოტაცია უნდა იყოს არსებითად ორიგინალური;

6. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატით. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეფერატების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს კომპიუტერზე 1,5 ინტერვალით და 12 შრიფტით ნაბეჭდ ერთ საავტორო თაბახს (40 ათასი ნიშანი) ან 20 კომპიუტერულ გვერდს;

7. ქართულ ენაზე დაწერილ სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია (ავტორისეული რეზიუმე) 600 ნიშნამდე ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე სათაური ინგლისურ და რუსულ ენებზე. უცხო ენაზე დაწერილ სტატიას თან უნდა ახლდეს ძირითადი შინაარსი 2 გვერდზე ქართულ ენაზე და ანოტაცია იმავე უცხო ენაზე. სტატია, რომელიც რეცენზენტთა და სარედაქციო კოლეგიის დასკვნით აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, დაიბეჭდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამასთან, სარედაქციო კოლეგიის მიერ ასევე მნიშვნელოვნად მიჩნეულ სტატიას თან უნდა დაერთოს გაშლილი რეზიუმე (2 გვერდზე) ქართულ და ინგლისურ ენებზე. ეს უკანასკნელი დაიბეჭდება სტატიასთან ერთად (ავტორის თანხმობით);

8. რედაქციაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელვერსიასთან ერთად (MS word, ქართული სტატია შრიფტით AcadNusx, ხოლო უცხოურ ენაზე ტექსტი – Times New Roman);

9. სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკად. ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი, ელფოსტა;

10. სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება. ლიტერატურის დასახელება უნდა განთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით (ლიტერატურა:) – ა) წიგნის დასახელება შემდეგი თანმიმდევრობით – ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი, გვერდების რაოდენობა; ბ) საჟურნალო სტატიისათვის – ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ჟურნალის ნომერი(სტატიის გვერდების მითითებით).

ლიტერატურის სია უნდა შედგეს მხოლოდ ტექსტში მითითებული წყაროებისაგან – მათი დასახელების რიგითობის მიხედვით. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომიდან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი გვერდის აღნიშვნით შემდეგი სახით [5.გვ.41], სადაც პირველი ციფრი შეესაბამება ციტირებული წყაროს რიგით ნომერს გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე – იმ გვერდს, საიდანაც მოყვანილია ციტატა. ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის (ჟურნალის) ბიბლიოგრაფიული აღწერა უნდა შეესაბამებოდეს მის სატიტულო ფურცელს. არაინგლისურ ლიტერატურას თან უნდა ახლდეს მისი ზუსტი ინგლისური თარგმანი (კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული);

11. ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქემები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ ადგილი არასაკმარისია, შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრილებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს დასახლება და ნუმერაცია.

12.მაგისტრანტს (მაგისტრს) მოეთხოვება თავისი, დამოუკიდებლად შესრულებული სამეცნიერო სტატია წარმოადგინოს მეცნიერ-ხელმძღვანელის დასკვნისა და შესაბამისი კათედრის რეკომენდაციასთან ერთად – ოქმიდან ამონაწერის სახით;

13. სტატიას, რომელიც არ უპასუხებს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, რედაქცია არ მიიღებს;

14. ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების რეცენზირება, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ანონიმურია. შეფასება ხდება რეიტინგული სისტემით (ტექსტს თან ახლავს). ამასთან, შემოსული სტატიები რედაქციული დამუშავების შემდეგ იგზავნება რეცენზენტებთან. ამ პროცესების გავლის შემდეგ, სტატია გადაეცემა სარედაქციო კოლეგიის წევრს მისი შეფასებისათვის. საბოლოო გადაწყვეტილებას ამა თუ იმ სტატიის ჟურნალში პუბლიკაციის შესახებ ერთობლივად იღებს სარედაქციო კოლეგიის სხდომა;

15. ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტების, მაგისტრანტებისა და ყველა თანამშრომლისათვის, ხოლო სხვა (გარე) ავტორები იხდიან საფასურს – ერთ გვერდზე 5 (ხუთ) ლარს, რაც მათ მიერ ჩაირიცხება თსუ-ის ეკონომიკური შემოსავლების ანგარიშში.

## რეცენზენტთა მიერ სამეცნიერო სტატიების შეფასების კრიტერიუმები (რეცენზირება ანონიმურია)

| შეფასება | საუკეთესო (5) | კარგი (4) | დამაკმა--ყოფილე-ბელი (3) | არადამაკ-მაყოფი-ლებელი (2) |
|---|---|---|---|---|
| პრობლემის შესწავლის დონე და აქტუალურობა | | | | |
| კვლევის მიზნები და ამოცანები | | | | |
| კვლევის ორიგინალურობა (ავტორის წვლილი მოცემული პრობლემის კვლევაში) | | | | |
| მეთოდოლოგიურად სწორად არის თუ არა აგებული სტატია | | | | |
| კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები | | | | |
| კვლევის შემდგომი გაღრმავების შესაძლო მიმართულებები და პერსპექტივები | | | | |

**რეცენზენტის დასკვნა:**

1. სტატია აკმაყოფილებს მოთხოვნებს და შეიძლება დაიბეჭდოს
2. სტატია საჭიროებს გარკვეულ ჩასწორებებს
3. სტატია საჭიროებს ძირეულ გადამუშავებას
4.სხვა სასურველობები

ეკონომიკა და ბიზნესი, 2016, 1, გვ. 193-198
ECONOMICS AND BUSINESS, 2016, 1, pp. 193-198

# ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ 2015 წლის #1-4-ის შინაარსი



| სტატიების ავტორები | რუბრიკების და სტატიების დასახელება | № გვ. |
|---|---|---|
| | | №1 |
| | ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა | |
| რევაზ გველესიანი | ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისა და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთობის პრობლემები | 9 |
| პაატა კოღუაშვილი | რა უნდა გავიზიაროთ ამერიკული გამოცდილებიდან | 19 |
| ბადრი რამიშვილი | საქართველოს პოზიცია გლობალურ გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში | 39 |
| ჯემალ ხარიტონაშვილი | ანტუან მონკრეტიენი (1575-1621) „პოლიტიკური ეკონომიის“ სათავეებთან (დაბადებიდან 440 წელი) | 53 |
| | მიკროეკონომიკა. მაკროეკონომიკა. ეკონომეტრიკა | |
| გულნაზ ერქომაიშვილი | აგრარული სექტორის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში | 65 |
| თენგიზ ვერულავა, მაკა გაბულდანი | გადაუდებელი დაავადებების ფინანსური ხელმისაწვდომობა საქართველოში | 75 |
| ნონა ქარქუზაშვილი | სტრატეგიის ფორმირებისა და აღსრულების აქტუალური საკითხები თანამედროვე ქართულ ორგანიზაციებში | 87 |

| | | |
|---|---|---|
| ნათია დაღელიშვილი | საქართველოს სამომავლო პერსპექტივები ასოცირების შეთანხმების კონტექსტით | 101 |
| | **მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი** | |
| გიორგი ღაღანიძე | კონკურენტული უპირატესობის ძიებაში | 113 |
| მაია გოგოხია | ინფლაციის და პროცენტის ნორმის თეორიული მოდელების ზოგიერთი საკითხი | 127 |
| ნუგზარ თოდუა, თეონა დოჭვირი | საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა დისპერსიული ანალიზის გამოყენებით | 137 |
| | **ანალიტიკური ინფორმაცია** | |
| გიორგი ტყეშელაშვილი, სალომე ყიფიანი | საქართველოს საავტომობილო გადაზიდვების ზრდის შესაძლებლობები | 149 |
| | **ახალი წიგნები: როგორია პროფესიონალ - რეცენზენტთა აზრი?** | |
| Мириан Тухашвили | Фундаментальное исследование (А.Г.Злотников. Демографические идеи и концепции. Минск, Право и Экономика, 2014, 388 с. ) | 155 |
| გივი ბედიანაშვილი | საინტერესო და ფრიად საჭირო ნაშრომი (Абесадзе Р., Бурдули В. Структупные и инновационные проблемы кономического развития. Институт Экономики Паата Гугушвили ТГУ. Тбилиси, 2014. – 372 стр.) | 158 |
| | ჟურნალში - „ეკონომიკა და ბიზნესი“, სამეცნიერო სტატიების წარდგენისა და გამოქვეყნების ახალი სტანდარტები | 165 |
| | **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა** | **№2** |
| ელგუჯა მექვაბიშვილი | გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პოლიტეკონომიური ანატომია | 9 |
| ნუგზარ პაიჭაძე | პროფესიული კომპეტენტურობა როგორც საჯარო მოსამსახურეთა მუშაობის ეფექტიანობის გადამწყვეტი ფაქტორი | 35 |
| | **მიკროეკონომიკა. მაკროეკონომიკა. ეკონომეტრიკა** | |
| იაშა მესხია | საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები: ანალიზი, გამოწვევები, პროგნოზები | 49 |

| | | |
|---|---|---|
| ბადრი რამიშვილი | ენერგეტიკული ტრენდის განვითარების მიმართულებები და მისი გავლენა საქართველოს სტრატეგიულ მდგომარეობაზე | 72 |
| | **საქმიანი თამაშები: თეორია და პრაქტიკა** | |
| მარკუს ულრიჰი | საქმიანი თამაშები: მდგრადი მომავლის ფორმირების ენა (ინგლისურ ენაზე) | 93 |
| დიმიტრი ქავთარაძე | საქმიანი თამაშები საუნივერსიტეტო განათლებაში (რუსულ ენაზე) | 106 |
| ჟანა თოლორდავა | გეოეკონომიკური იმიტაციური მოდელების გამოყენება სასწავლო პროცესში | 116 |
| | **აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე 110** | |
| | აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების მასალები | 125 |
| ირაკლი კოვზანაძე | გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი | 126 |
| გედევან ხელაია | თვალსაჩინო მეცნიერი, ბრწყინვალე პედაგოგი და მამულიშვილი | 131 |
| თეიმურაზ ბერიძე | აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის დაბადებიდან 110-ე წლისთავის გამო | 140 |
| ნოდარ ბაგრატიონი | აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძე – დიდი მეცნიერი და გამორჩეული პიროვნება | 142 |
| | კრიტიკა და ბიბლიოგრაფი | |
| ნატალია მაკაშევა | მაკროეკონომიკური შერიგება? (ი. ანანიაშვილისა და ვ. პაპავას წიგნის – “ლაფერ-კეინზიანური სინთეზი და მაკროეკონომიკური წონასწორობა” – შესახებ) | 145 |
| თეიმურაზ ბერიძე | ზოგიერთი მოსაზრება ი. ბაჩიაშვილის მონოგრაფიაზე – «ერი და დრო, ანუ გვიყვარს თუ არა ქართველებს საქართველო. ფილოსოფიური და ეკონომიკურ-სამართლებრივი ასპექტები» | 157 |
| ელგუჯა მექვაბიშვილი | დროის მართვა, ანუ როგორ შეიძლება ადამიანმა წარმატებას მიაღწიოს ცხოვრებაში (მ. ხარხელის ნაშრომის – დროის მენეჯმენტის – შესახებ) | 163 |

| | | |
|---|---|---|
| ანზორ ბრეგაძე, ირაკლი კალანდია, კახა ქეცბაია | საინტერესო ნაშრომი ისტორიოსოფიაში (გამოხმაურება ზ. ხასაიას წიგნზე “გერმანელი ფილოსოფოსები ისტორიის შესახებ») | 167 |
| | **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა** | **№3** |
| გიორგი ცაავა | ირვინგ ფიშერის «ფულის მასის გაანგარიშების ფორმულის» კორექტივის მიზანშეწონილობის შესახებ | 9 |
| მანანა ხარხელი | პიროვნება, როგორც დროის ორგანიზაციის სუბიექტი | 25 |
| | **მიკროეკონომიკა. მაკროეკონომიკა. ეკონომეტრიკა** | |
| იოსებ ხელაშვილი | უძრავი ქონების საინვესტიციო ტრასტი: აქტუალურობა საქართველოსთვის | 35 |
| ლია ჩარექიშვილი | ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, როგორც სამართლებრივი სტატისტიკის ახალი მიმართულება | 58 |
| ელენე პილიპენკო | ეკონომიკა ბუნება - საზოგადოება - ადამიანის ერთიან სისტემაში (რუსულ ენაზე) | 68 |
| თენგიზ ვერულავა ნინო სიბაშვილი | ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის ფინანსური უზრუნველყოფა საქართველოში | 78 |
| | **მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი** | |
| გიორგი ღაღანიძე | საექსპორტო პოტენციალი და კონკურენტული უპირატესობა | 91 |
| რუსუდან სირბილაძე | ტურიზმის განვითარება საქართველოში უმუშევრობის შემცირების ასპექტით | 100 |
| კარინა ნაზაროვა | შიგა და გარე აუდიტის ადაპტაციის პრობლემა უკრაინის პრაქტიკაში (ინგლისურ ენაზე) | 114 |
| იზოლდა ჭილაძე | საწარმოს საოპერაციო ლევერიჯის ანალიზის სრულყოფა | 127 |
| ქრისტინე ოდიშვილი | ადამიანთა რესურსების მნიშვნელობა ინოვაციური კომპანიების ფორმირებაში | 143 |
| | **ანალიტიკური ინფორმაცია** | |
| შორენა ფარჯიანი | საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: სტატისტიკური მიმოხილვა | 151 |

| | | |
|---|---|---|
| ევგენია გეორგიცა, დიანა გროსუ | მოლდოვას რესპუბლიკისა და საქართველოს ბიუჯეტების შედარებითი ანალიზი (ინგლისურ ენაზე) | 163 |
| | **კრიტიკა და ბიბლიოგრაფია** | |
| გივი ბედიანაშვილი. | არაფორმალური ინსტიტუტების ფუნდამენტური გამოკვლევა(რუსულ ენაზე) | 172 |
| | **ჩვენი იუბილარები** | |
| იური ანანიაშვილი, ავთანდილ სილაგაძე | პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე – 75 | 177 |
| ნოდარ ხადური | პროფესორი მირიან ტუხაშვილი – 70 | 180 |
| | **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა** | **№4** |
| ნუგზარ პაიჭაძე | ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს კანონზე უმაღლესი განათლების შესახებ | **9** |
| გედევან ხელაია | იაკობ გოგებაშვილის ეკონომიკური მოსაზრებები | 28 |
| რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი | ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პრობლემები და მათი დაძლევის შესაძლებლობები | 34 |
| | **მაკროეკონომიკა. მიკროეკონომიკა. ეკონომეტრიკა** | |
| პაატა კოღუაშვილი, ნიკოლოზ ჩიხლაძე | მიწა უფლის მიერ მობარებული ფასდაუდებელი ღირებულსიმდიდრეა | 46 |
| გიორგი დობორჯგინიძე | მიწოდების ჯაჭვის ეფექტიანობის შეფასება ქართულ კომპანიებში | 56 |
| აკაკი გაბელაია | ეკონომიკური ზრდის სამუელსონის მოდელის რეალიზაციის პრობლემა საქართველოს მაგალითზე | 72 |
| იოსებ მასურაშვილი, აგნეშკა რზეპკა | უცხოური ინვესტიციები და სპეციალური (თავისუფალი) ეკონომიკური ზონების კროსსექციური ანალიზი (პოლონეთის გამოცდილება) (ინგლისურ ენაზე) | 82 |
| ნინო ბერაია, მარინე ნაცვალაძე | უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობის ანალიზი (თბილისის მაგალითზე) | 100 |

| | | |
|---|---|---|
| | მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი | |
| გიორგი ღაღანიძე | საქართველოს საექსპორტო პოტენციალის რეალიზაცია ევროკავშირის ბაზარზე | 113 |
| ინეზა გაგნიძე | სამეწარმეო უნივერსიტეტი – განათლებისა და მეცნიერების ეფექტიანი პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი რგოლი | 121 |
| ქრისტინა ჯღანჯღავა | აუთსორსინგი-ბიზნესპროცესების ხელშემწყობი ფაქტორი | 134 |
| გიორგი მორჩილაძე | ემპათიის გამოყენებისას არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები | 141 |
| | ფინანსური ეკონომიკა | |
| ციური ოქრუაშვილი, ქეთევან ღუდუშაური | ფინანსების კონტროლის ფუნქციის განხორციელების თავისებურებანი თანამედროვე საქართველოში | 152 |
| ნინო ლომიძე | ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ადგილობრივი პრაქტიკა და მისი სრულყოფის საკითხები ბინათმშენებლობის დეველოპერულ ბიზნესში | **162** |
| | ანალიტიკური ინფორმაცია | |
| ნინო ხახუბია | მოტივაციის მაჩვენებლების დაბალანსებული სისტემა | 171 |
| დავით ასლანიშვილი | ეკონომიკური ზრდა და ენერგოუსაფრთხოება | 178 |
| | საიუბილეო სხდომა | |
| | აკადემიკოსების - პაატა გუგუშვილისა და ვასილ ჩანტლაძის დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში | 184 |
| | კრიტიკა და ბიბლიოგრაფია | |
| ავთანდილ სილაგაძე, თეიმურაზ ბერიძე, ელგუჯა მექვაბიშვილი | პოსტკომუნისტური პერიოდის საქართველოს ეკონომიკა რეფორმებისა და ფსევდორეფორმების სარკეში | 189 |
| ვალერიან ითონიშვილი, რევაზ გოგოხია | საქართველოს ისტორიოგრაფიისადმი მიძღვნილი საინტერესო წიგნი | 194 |
| გედევან ხელაია | პროფესორ ლეო ჩიქავას გახსენება | 196 |

გამოცემაზე მოშაობდნენ:
ნათია დვალი
ნინო ებრალიძე

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue,
Tbilisi 0179 Tel  +995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge